საქართველო ... და ... ჩასმული ბაღაკში

1,50 ლარი

№18 (697)



გვ. 2

**როგორ ახდა სისი სემის ამერიკული ოცნება და რომელ ვარსკვლავებს წვრთნიდა ის ვოკალში**

გვ. 14

# როგორ იქცა მურად ილდირიმი ქართველი ქალების ხორცშესხმულ ოცნებად და რას უყურებენ ჰარამხანაზე მეოცნებე მამაკაცები



გვ. 70

**რაზე თქვა უარი შვილის გამო მაია ყარყარაშვილმა და როგორ ამართლებს სოფი სააკაშვილი საკუთარ გვარს**



გვ. 47

**ვინ და როდის უყურებს ხოლმე ნატა ბერეჟიანს გულის ფორმის თვალებით**



გვ. 73

**რა დაავადებებს იწვევს დღევანდელი საფუარით გამომცხვარი პური ჩვენი და ჩვენი შვილების ორგანიზმში**



**ვისთან გადაიკვეთა ეკა ამირეჯიბის გზები და როგორ მოიწყო მან სახლში ედემი**

გვ. 74



გვ. 71

**ვინ არიან გია ჯაჯანიძის ავი ანგელოზები**

# გილოცავთ გიორგობას!

**პროექტმა „ერთი ერთში“ საშუალება მომცა, მსოფლიო დონის რამდენიმე მუსიკოსთან და ქორეოგრაფთან ჩამეწერა ინტერვიუები და აღმოვაჩინე, რომ ყველას ერთი რამ აერთიანებს – ისინი აღსავსე არიან პოზიტივით, არიან მხიარულები და კეთილგანწყობილები ყველას მიმართ. მათი დადებითი ემოციები ისეთი გადამდებია, რომ ქუჩაში გამოსულს დიდხანს მქონდა ღიმილი სახეზე, სანამ არ აღმოვაჩინე, რომ გამვლელები გაოცებული მიყურებდნენ. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ღიმილიანი ადამიანი უცნაური და უჩვეულო მოვლენაა. იმედია, ეს სიტუაცია ოდესმე შეიცვლება, მანამდე კი გაიცანით ვოკალის პედაგოგი – სისი სემი.**

# როგორ ახდა სისი სემის ამერიკული ოცნება და რომელ ვარსკვლავებს წვრთნიდა ის ვოკალში

**სისი სემი**: კარიბის ქვეყნებში, ტრინიდადში დავიბადე, არაჩვეულებრივ ადგილას, სადაც სულ მზე, კარგი ამინდი და საოცარი სამზარეულოა. სხვათა შორის, ტრინიდადისა და საქართველოს ბუნება, მთები და გორაკები, ძალიან ჰგავს ერთმანეთს და, ალბათ, ესეც არის მიზეზი, ასე რატომ შემიყვარდა საქართველო. 15 წლამდე სულ პიანინოზე ვუკრავდი. დედას ვთხოვდი, სკოლაში წასვლამდე გამაღვიძე-მეთქი და დილაობით ორი საათის განმავლობაში ვუკრავდი და ვუკრავდი. სკოლაში ნამდვილი ინტრავერტი ვიყავი. მოგვიანებით ჩემზე დედას სკოლაში უთხრეს, უკვე იმ ეტაპზე მივიდა, რომ ჩვენ მეტს ველარაფერს ვასწავლით და, გირჩევთ, ინგლისში ან ამერიკაში გაუშვათ, სამუსიკო სკოლაშიო. დედას კარგი კონტაქტები ჰქონდა ინგლისში და სამუსიკო სკოლაში წავედი. ძალიან გამიმართლა. მხოლოდ მეცადინეობა მაინტერესებდა. როდესაც ჩემი მეგობრები გასართობად დადიოდნენ, მე გაუთავებლად ვვარჯიშობდი და ვმეცადინეობდი.

**– ეს საკმაოდ უჩვეულოა თინეიჯერისთვის.**

– დიახ, მაგრამ, ეს ის არის, რისი კეთებაც მსიამოვნებდა, რაც მომწონდა. ლონდონში გადასვლის შემდეგ, ამ დროს უკვე 16 წლის ვიყავი, ეკლესიაში დავიწყე პიანინოზე დაკვრა და სიმღერა. როგორც ჩანს, ამ ეკლესიაში დადიოდა ორი პიროვნება, რომლებიც მუსიკის ინდუსტრიაში მუშაობდნენ. ერთ დღესაც, მოვიდნენ და მითხრეს, მოსმენაზე მობრძანდით, ერთი მომღერლისთვის ბექ-ვოკალისტს ვეძებთო. დედაჩემმა მითხრა, აუცილებლად უნდა წახვიდე, რომც ვერ გაიარო გასაუბრება წარმატებით, ეს ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რომელიც უნდა გამოიყენო და საკუთარი თავი წარმოაჩინოო. მივედი მოსმენაზე, მოეწონათ, ამიყვანეს და აღმოჩნდა, რომ, მომღერალი, რომელთანაც ბექ-ვოკალისტად უნდა მემუშავა, დაიანა როსი იყო.







**– ამას უწოდებენ სწორედ ამერიკულ ოცნებას.**

– დიახ. წლების განმავლობაში ამდენმა შრომამ და ვარჯიშმა თავისი შედეგი გამოიღო და ძალიან გამიმართლა.

**– რა რეაქცია გქონდათ, როდესაც აღმოაჩინეთ, რომ დაიანა როსთან უნდა გემუშავათ?**

– *(კივის)* გაოგნებული ვიყავი. რას მეუბნებით-მეთქი, არ მჯეროდა ***(იცინის)*** – რაა?! მე?! დაიანა როსი?! ძალიან ბევრი სატელევიზიო ლაივ-შოუ გვქონდა, ლაივ-კონცერტები ჰქონდა სხვადასხვა არხზე. დაიანა როსისგან დაიწყო ყველაფერი და ამის შემდეგ ვიმუშავე ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან ხულიო იგლესიასი და სხვები. ძალიან ბევრი რამ ვისწავლე ამ პერიოდში ჩემი მენტორებისგან. ესენი იყვნენ ვოკალის პედაგოგები და მათთან ვატარებდი მთელ დღეებს. ჩემი „ზუზრიაჩკობა“ დამეხმარა იმაში, რომ, მას შემდეგ, რაც ჩემი ბენდი რეპეტიციას დაასრულებდა, ვრჩებოდი და ვუყურებდი მათ, ვაანალიზებდი ყველაფერს, რასაც ისინი აკეთებდნენ. ამ გამოცდილებით მუშაობა დავიწყე კომპანიაში, სადაც ვოკალის გაკვეთილებს გადიოდნენ ცნობილი ვარსკვლავები. აღმოვაჩინე, რომ სუპერვარსკვლავი მომღერლები სისტემატურად დადიან ვოკალის პედაგოგებთან და სულ მუშაობენ ხმაზე – სწორედ ეს არის, რაც მათ ხმას უნარჩუნებს. დავიწყე ხმის ჩამწერ, სატელევიზიო, მენეჯმენტ კომპანიებთან თანამშრომლობა.

**– არ გინდოდათ, თავად გაყოლოდით სიმღერის გზას, თავად დამდგარიყავით სცენაზე?**

– სწავლებით ვიყავი აღტაცებული. მომწონდა, როგორ მუშაობდნენ ვოკალის პედაგოგები. არაჩვეულებრივი ადამიანები აღმოჩნდნენ ჩემ გარშემო, რომლებმაც მითხრეს: ნუ შეხედავ ცხოვრებას ერთი რაკურსით, რომელიც მოცემული გაქვს, რომელიც, უბრალოდ, გინდა; გაშალე ფანტაზია, წარმოიდგინე, შეიმეცნე, ისწავლე. არც ერთი გზა არ არის წარმატების რეცეპტი, მთავარია, როგორ შეხედავ მომავალს, როგორ მიიღებ მარცხს, რას ისწავლი აქედანო. ჩემს მოსწავლეებსაც ხშირად ვეუბნები: თუ დაეცემი, არა უშავს, წამოდექი. და თუ შენ წამოდგომას აირჩევ, ის აუცილებლად მოგიტანს წარმატებას. მიმუშავია ისეთ ადამიანებთანაც, რომლებსაც სიმღერის არანაირი გამოცდილება არ ჰქონიათ და ამას მხოლოდ სწავლების სიყვარულით ვაკეთებ.

**– რა არის სწავლების თქვენი მეთოდის განსაკუთრებულობა?**

– იმ უამრავი მეთოდის მიქსია, რომლებიც მე ვიცი. საინტერესოა ის, რომ კლასიკური მუსიკიდან მოვდივარ, მაგრამ, ეს არ გამორიცხავს პოპის სიყვარულს. და, კიდევ მთავარია დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, რომელსაც ასევე ვასწავლი ჩემს მოსწავლეებს. „იცხოვრე შენი ცხოვრებით, იმეგობრე ბევრ ადამიანთან, მჭიდრო ურთიერთობაში იყავი შენს ოჯახთან” – ეს არის ცხოვრების წესი, რომლითაც ჩემს ქვეყანაში ცხოვრობენ და იმავეს ვხედავ აქაც – ძალიან მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ ერთმანეთთან. ერთი სიტყვით, ყველაფერი ვნახე, აღმოვაჩინე, შევიმეცნე. არასდროს ჩამისვამს თავი ჩარჩოში, მაშინაც კი, როცა ჩემგან ამას მოითხოვდნენ. „ამას ვერ ვიზამ, ცუდად გამომივა, არ მომიხდება,” – ეს სიტყვები ჩემთვის არ არსებობს. მოსინჯე, კიდევ და კიდევ სცადე, ნუ ჩამოყრი მხრებს და აუცილებლად იქნები საინტერესო ყველასთვის.

**გაცილებით ძლიერი ვარ შვილის გამო და იმის გამოც, რომ სიკვდილს გადავურჩი**

**– მხოლოდ ვოკალის პედაგოგი კი არა, ფსიქოლოგიც ყოფილხართ თქვენი მოსწავლეებისთვის.**

– სიმართლე გითხრათ, რომ არა ვოკალის პედაგოგობა, რომ არა მუსიკის სამყარო, მომღერალი ან ფსიქოთერაპევტი ვიქნებოდი. ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ აკეთებენ ადამიანები იმას, რასაც აკეთებენ; რა უბიძგებთ მათ ამა თუ იმ გადაწყვეტილებისკენ; რატომ გრძნობენ თავს ცუდად. არა უშავს, თუ თავს ცუდად გრძნობ, აუცილებლად უნდა ადგე და განაგრძო ცხოვრება. მერე რა, რომ დღეს ბედნიერი არ ხარ, მაინც უნდა გაიღიმო, სარკეში ჩაიხედო და თქვა: „მე მჯერა საკუთარი თავის”. როდესაც ქუჩაში მივდივართ, არაფერი გვიშლის ხელს, ერთმანეთს გავუღიმოთ და გამარჯობა ვუთხრათ.

**– როგორ მოხვდით ჩვენს ქვეყანაში?**

– ორ ქვეყანას – ინგლისსა და ამერიკას შორის ვცხოვრობ, მაგრამ, მიყვარს ახალი ადგილების აღმოჩენა, მონახულება. მიმუშავია მალტაში და კიდევ ძალიან ბევრგან. საქართველოს შესახებ ვიცოდი და, როდესაც შემოთავაზება მივიღე, წამოვედი. საინტერესოა ისეთ ადგილებში მუშაობა, საიდანაც მე ვარ – მიყვარს პატარა ქვეყნები, რომლებიც სამშობლოს მახსენებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთ ქვეყნებში უამრავი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ მათ არ ეძლევათ დიდი შესაძლებლობები. ახლა გაცილებით ძლიერი ვარ, რადგან, უკვე დედა ვარ – პატარა ქალიშვილი მყავს და მასთან ერთად ვმოგზაურობ ყველგან...

**– აქაც შვილთან და დედასთან ერთად ხართ ჩამოსული?**

– დიახ. გაცილებით ძლიერი ვარ შვილის გამო და იმის გამოც, რომ სიკვდილს გადავურჩი. ოთხი თვის მყავდა შვილი, როცა ტვინის ანევრიზმა აღმომიჩინეს და, პრაქტიკულად, დავამთავრე ცხოვრება – ვერ დავდიოდი, ვერ ვლაპარაკობდი, მაგრამ, ნელ-ნელა, თავიდან ვისწავლე ეს ყველაფერი. ამ დაავადების დროს ადამიანების დიდი ნაწილი ან კვდება, ან ველარ განაგრძობს სრულფასოვან ცხოვრებას. კომაში ვიყავი, მაგრამ, მესმოდა, რას ლაპარაკობდნენ ჩემ გარშემო. მუსიკა დამეხმარა გამოჯანმრთელებაში. ამის შემდეგ გაცილებით ძლიერად ვგრძნობ თავს. ძალიან კარგია ვარსკვლავებთან, ცნობილ ადამიანებთან მუშაობა, მაგრამ, ეს არ არის ყველაფერი, რაც ცხოვრებისგან მინდა. მომწონს პატარა ქვეყნებში ჩასვლა, ტალანტების აღმოჩენა და მათი გამხნევება, წახალისება.

**– როგორც ვხვდები, შეყვარებული ხართ საქართველოზე.**

– ნამდვილად. სიყვარული, სიყვარული, სიყვარული! – ეს ერთადერთი გრძნობაა, რასაც ამ ქვეყნის მიმართ განვიცდი. გულწრფელად ვამბობ, ამ ადგილს, შემიძლია, „სახლი” ვუწოდო. მომწონს ხალხი, ურთიერთობები, საჭმელი. დავაკვირდი, რომ ძალიან ბევრ მარილს მოიხმართ, ამას უნდა შევეჩვიო. ხილის წვენზე გავგიჟდი, მოიცადეთ, სახელიც კი ჩავიწერე, ისე მომეწონა – „ქამფოთი.“ უნდა ვისწავლო მისი გაკეთება, უგემრიელესი სასმელია. და, კიდევ – პური, სასწაული პური გაქვთ.

**– რას იტყვით ქართველი მომღერლების შესახებ?**

– უზომოდ ნიჭიერები არიან. რაც მთავარია, მათ შეუძლიათ სიმღერა და, თან, საოცრად არტისტულები არიან. მთავარია, რომ გაიხსნან, უფრო მეტი სიხარული გამოუშვან, მეტად დააკვირდენ იმ გარემოს, სადაც ცხოვრობენ და ხმაში გადმოიტანონ ქვეყნის უდიდესი ისტორია.

**სალომე გველესიანი**




# განკურნების რა სასწაულებრივ მეთოდს ფლობს ექიმი თინათინ მაჩაიძე და როგორ უბრუნებს ის დაკარგულ იმედს თავის პაციენტებს

**უცხოეთის ქვეყნებში აღიარებული, დღეს თითქმის ყველასთვის საკმაოდ ცნობილი ექიმი-ბიოენერგოთერაპევტი, ექსტრასენსი, ფსიქოლოგი, საერთაშორისო კლასის მკურნალი, ამერიკა-კანადის საერთაშორისო ასოციაციის წევრი თინათინ მაჩაიძე პაციენტების მიღებას აგრძელებს.**


თინათინ მაჩაიძე

*დღესდღეობით ასე მომრავლებული მკურნალების ფონზე განკურნების საოცარი ისტორიებით ვერავის გააკვირვებ. ძნელია ასეთ დროს ნდობის მოპოვება ექიმისთვის, თუმცა პაციენტი, უპირველესად, საკუთარ თავზე გრძნობს, ჭეშმარიტად შესწევს თუ არა განკურნების უნარი იმ ექიმს, ვისთანაც ის მკურნალობას გადაწყვეტს. მაგრამ, არიან ისეთებიც, ვისი ძალა და მკურნალობის უტყუარი მეთოდი, არავისთვის გამხდარა ეჭვის საბაბი, რადგან მათ უკმაყოფილო პაციენტი პრაქტიკულად არ ჰყავთ. სწორედ ასეთი მკურნალია ქალბატონი თინათინ მაჩაიძე, რომელსაც ჩვენი მკითხველი საკმაოდ კარგად იცნობს ისევ და ისევ მისი მადლიერი პაციენტების წყალობით, რომლებიც ავადმყოფობისგან განკურნების საკუთარ ისტორიებს დაუზარებლად გვიყვებიან. აქვე კიდევ ერთხელ შევახსენებთ იმ დაავადებებს, რომლებსაც ქალბატონი თინათინი უკვე ათეული წლებია, თავის მიერვე დასმული უტყუარი დიაგნოზის შემდეგ, წარმატებით მკურნალობს. ესენია: ნერვული სისტემის მოშლილობა და მასთან დაკავშირებული ყველანაირი პრობლემა: ნევროზები, შიშები, აკვიატებული აზრები, თავის ტკივილი, უძილობა, მოთენთილობა, გაბრუება, ენერგიის ნაკლებობა, დეპრესია, ღამის უნებლიე შარდვა (ენურეზი), ოსტეოქონდროზი, მარილები, რადიკულიტი, ნერვის ანთება, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებები, ალერგიები და, რაც ყველაზე მთავარია, თინათინ ექიმი წმენდს დაბინძურებულ აურას და ასუფთავებს ბიოველს.*

*თინათინ მაჩაიძის პაციენტები:*

**ნინო წერეთელი** *(36 წლის, პედაგოგი):* ქალბატონ თინასთან ჩემი მეზობლის წყალობით მოვხვდი. ეს ბედის საჩუქარი იყო, რადგან არ ვიცი, რა მეშველებოდა მისი დახმარების გარეშე. ალბათ, იქამდე მივიდოდი, რომ სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებდი. ჩემი პრობლემა იყო მწვავე ნევროზი – აკვიატებული შიშები, უძილობა, თავის ტკივილები, დეპრესია. თინა ექიმმა ამქვეყნად დამაბრუნა, რასაც სულ რამდენიმე სეანსი მოანდომა. უღრმესი მადლობა, ჩემო გადამრჩენელო.

**ვახტანგ კვარაცხელია** *(49 წლის, იურისტი):* უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მოვხვდი ქალბატონ თინათინთან, სხვათა შორის, თქვენი ჟურნალის მეშვეობით. მქონდა ნერვის ანთება და რადიკულიტიც დამემატა, რასაც საშინელი ტკივილები ახლდა თან. ჯერ თავს ისევ ახალგაზრდად მივიჩნევ, მაგრამ ტკივილებმა ყველაფრის ხალისი დამაკარგვინა და იმედი გამიქრო. თინა ექიმმა კი თავისი ჯადოსნური ხელებით და მკურნალობის მეთოდით სასწაული მოახდინა და თითქოს ხელახლა დავიბადე.

**მანანა გამცემლიძე** *(62 წლის):* საშინელი ალერგია მქონდა ბოლო წლებში. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ალერგიის შეტევა მიძლიერდებოდა, რასაც მაღალი წნევაც დაემატა. ქალბატონ თინათინთან მკურნალობის შემდეგ მთლიანად აღმიდგა ჯანმრთელობა.

**ვასილ გოგორიშვილი** *(68 წლის):* ქალბატონ თინასთან ჩემმა შვილებმა მომიყვანეს. საშინელ მდგომარეობაში ვიყავი: მაწუხებდა გულის არითმია, სისხლძარღვების შევიწროება, შაქრიანი დიაბეტი. არ მქონდა სიცოცხლის ხალისი. სამი სეანსის შემდეგ შვება ვიგრძენი. სულ 15 სეანსი დამჭირდა.

**ნატალია გელაძე** *(55 წლის, დიასახლისი):* მე ჩემმა გასაჭირმა, კუჭ-ნაწლავის და ნაღვლის ბუშტის პრობლემებმა მიმიყვანა თინა ექიმთან. უკვე წლებია ვმკურნალობ სხვადასხვა ექიმთან, მაგრამ საშველის რა მოგახსენოთ. ამდენმა დიეტამ და არასწორად დანიშნულმა უამრავმა წამალმა უარეს დღეში ჩამაგდო. ქალბატონმა თინათინმა შეუძლებელი შეძლო და მკურნალობის პირველი კურსის შემდეგ თავს სრულფასოვან ადამიანად ვგრძნობ. მადლობის მეტი რა მეთქმის!

***P. S.* *ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებების გარდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში, მიმართეთ თინათინ მაჩაიძეს. ის თავისი მკურნალობის უნიკალური მეთოდით მალევე გაგათავისუფლებთ აბეზარი დაავადებებისგან და თავს ჯანმრთელად და ბედნიერად იგრძნობთ!***

**კონსულტაცია უფასოა!**

**თინათინ მაჩაიძეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 2-35-18-68, 599-58-69-47, 555-12-78-30, 593-38-26-13.**

# ფანტაზიის ჩემპიონები სკამიდან

## ადგომის მადლი

მას შემდეგ, რაც **აქტიურ ხელისუფლებას ჩამოშორდნენ** (გნებავთ, ჩამოაშორეს), **ყოფილებმა ისეთ ფაქტებსაც მიაპყრეს თავიანთი მახვილი მზერა**, რაც **ადრე ბუზის გაფრენად არ მიაჩნდათ**, მეორე მხრივ კი, რასაც **იმ ტკბილ დროს** (როდესაც თავად ისხდნენ მაღალ-მაღალ სკამებზე) **თავადაც დედის რძესავით ირგებდნენ.**

ხოლო, **რაკი დროც შეიცვალა და ძალაუფლების გადანაწილების სქემაც,** აღმოჩნდა, რომ **ფარული მოსმენების უპირველეს მტრად**



**სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“ შეიქნა**. ასე, მაგალითად, **უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ბრძანებს**, რომ **„პრემიერ-მინისტრი არასამთავრობო სექტორში და ჟურნალისტებში ეძებს მტრებს, რაც საზიანოა.“**

საზიანო კი იმიტომ ყოფილა, რომ მთავრობის უპირველესი მოვალეობა ეკონომიკაზე ზრუნვაა, ზედაც, საარჩევნო დაპირებების შესრულება. **ვერც შეედავები, რომ ეკონომიკაზე ზრუნვა, მართლაც, მთავრობის მოვალეობაა,** თუმცა **„მე არ ვეთანხმები** შექსპირს (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბ-ნი **ბოკერია** მყავს მხედველობაში), **სადაც ის ამბობს:** „აშკარაა, რომ მთავრობა, პრემიერ-მინისტრი ცდილობს საკუთარი უნიათობისა და არაკომპეტენტურობის გადაფარვას ე.წ. მტრების ძებნით. **აქედან ძალიან დიდი მანძილი არ არის პუტინის მმართველობის სტილამდე.“**

ვერ დავეთანხმები, რადგან, **ეს რომ პრ. პუტინის სტილი იყოს, მთელი „ნაცონალური მოძრაობა“ მის ორეულად უნდა ქცეულიყო**.

თუ გავიხსენებთ, რომ **ქვეყნის მტრებს ძველები ხედავდნენ თუ ხედავდნენ**, სავარაუდოა, რომ, ჯერ ერთი, **რაც მაღალია სკამი, მით აქტიურია მტრების ძებნის ფანტაზია**. ხოლო, თუ იმასაც **დავამატებთ, რომ ძველებმა სამი ფოტორეპორტიორი,** საერთოდაც, **ჯაშუშად გამოაცხადეს**, აშკარაა, რომ ფანტაზიის ჩემპიონობას ჯერ არავის უთმობენ.

# საბაჟო ღრუბლებში

## პირველი დამტერორებელი

**სანამ იქ, კრემლში, იმაზე გამართავენ ბჭობას, როგორ შეიტყუონ** (გნებავთ, შერეკონ) **ყოფილი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ევრაზიულ კავშირში**, საბაჟო კავშირელთა შეხვედრაზე **რფ-ს, ბელორუსიისა და ყაზახეთის თავკაცები შეიკრიბნენ** ზოგ-ზოგიერთი საკითხის მოსაგვარებლად და **იმის დასადგენადაც, თუ როდის გამოაცხადონ ევრაზიული კავშირის შექმნა.**

**თუმცა პრ. პუტინის, ნურსულთან ნაზარბაევისა და ალექსანდრ ლუკაშენკოს შეყრა მთლად უღრუბლოც ვერ აღმოჩნდა. განსხვავებული აზრი ამჯერადაც ევროპის უკანასკნელ დიქტატორად შერაცხილ ბ-ნ ლუკაშენკოს აღმოაჩნდა**: მან, არც მეტი, არც ნაკლები, **ევრაზიული კავშირის შექმნის 10 წლით გადავადება მოითხოვა** – . და **არა იმიტომ, რომ** ამ ახალ და **აბრაამივით ჯერ არდაბადებულ კავშირს იდეოლოგიურად ეწინააღმდეგება**, არამედ, იმიტომ, რომ **ბელორუსია ეკონომიკურად წამგებიან მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს.**

საქმე ის გახლავთ, რომ **რუსეთი და ყაზახეთი მზად არიან, ერთმანეთთან ვაჭრობისას ყველა ტიპის ბარიერი და გადასახადი გააუქმონ**, ოღონდ, **არა ნავთობპროდუქტებზე**, თუმცა **ბელორუსიას აიმედებენ, 10 წლის შემდეგ ნავთობპროდუქტებზეც გავაუქმებთო.**

მაგრამ, **რაკი ეს ჩვენი ბ-ნი ლუკაშენკო** (თუმცა ლენინის ძეგლს კვლავაც ამკობს ყვავილებით) **მეტად პრაქტიკული ადამიანია,** პარტნიორებს **ევრაზიული კავშირის შექმნის 10 წლით გადავადება შესთავაზა** (როდესაც მზად იქნებით ნავთობპროდუქტებზე გადასახადების მოხსნისთვისო). ჩვენ **არ ვიცით, გაიზიარებენ თუ არა პრ. პუტინი და ნურსულთან ნაზარბაევი** მოკავშირე **კოლეგის ამ წინადადებას**, თუმცა, **ეჭვი მაქვს, რომ,** ევროპის უკანასკნელი დიქტატორობა იქით იყოს და, **სულ მალე ბ-ნი ლუკაშენკო საბაჟო კავშირის პირველი დამტერორებლის სტატუსსაც გამოჰკრავს ხელს**.

# „ვაჰ, დრონი, დრონი“

## „მიყვარს ღამით მუშაობა, სულ მთლად გადარეული ვარ“

იყო დრო, როდესაც **გრანდიოზული სანახაობები ჩვენი ცხოვრების „თანამდევი, უკვდავი სული” იყო,** ერთი **მოკრძალებული შადრევანი რაა, იმის გახსნაც კი არ ჩაივლიდა, პრეზიდენტს რომ წითელი ლენტი არ გაეჭრა** („ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარილტვნენ, გაჰქრნენ, სიზმრებრივ ჩქარად“). აღარფერს **ვიტყვი ნაშუაღამევს პირდაპირი ეთერით გადაცემულ სიუჟეტებზე**, **მშრომელები რომ ჩაუქად ღამის განათების ფონზე აშენებდნენ**, მთავრობის **სხდომები კი ხან მღვიმეში იმართებოდა**, ხანაც – **ჯერარაშენებული ნაგებობების სახურავებზე**.

ამის მიუხედავადაც, საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ბ-ნმა **მელიქიშვილმა (რომელსაც**, დარწმუნებული ვარ, **გულს უთრთოლებდა ზემოჩამოთვლილის ხილვა და მასში მონაწილეობა**) გასულ კვირას პლენარულ სხდომაზე **განგაშის ზარები დაარისხა**: „სამუშაო ადგილები არ იქმნება კლიპებითა და ბანერებით!”

განგაშის ამ კონკრეტული ზარების შემოკვრის მიზეზად კი ხალხის რჩეულმა კვლავ საკუთარი გულისტკივილი დაასახელა. **მისი გული ამჯერად „ეკონომიკის არასახარბიელო მდგომარეობას“ შეუშფოთებია** („გულო, ჩადექ საგულესა“ – ). თუმცა **მხოლოდ შეშფოთებით არ შემოფარგლულა და რეცეპტიც შემოგვაშველა**: „სამუშაო ადგილებს **ქმნის ეკონომიკა, ხოლო ეკონომიკას ამუშავებს ან აჩერებს კონკრეტული ხელისუფლება** და ყველაფერი ძირითადად დამოკიდებულია ხელისუფლების ნებაზე, ამა თუ იმ მიმართულებას გაააქტიურებს თუ არა (**ოქროს სიტყვები**!)“.

**ძნელია, არ დაეთანხმო ერთ დროს სარეკლამო ბანერებისა და კლიპების მოყვარულ** ბ-ნ **მელიქიშვილს** (რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში **მისი ბაგეები ჭეშმარიტებას ღაღადებს**), თუმცა ისიც საინტერესოა: **როდის ეწვია მუზა, რომ სამუშაო ადგილებს ქმნის ეკონომიკა**, მას შემდეგ, **რაც მშობელი პარტიის მიერ დამზადებული ბანერები და სარეკლამო კლიპები თუ ბანერები მოიყირჭა** თუ **მანამდეც უფორიაქებდა სულს მსგავსი ეჭვები?!**


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com;
tbiliselebi2001@yahoo.com

# დიდი დაბრუნება

## ანუ სამი ჩასახატი

თუმცა ბოლო წლებია, **მოსკოვში ცხოვრობდა და**, როგორც თავად მითხრა ერთ-ერთ ინტერვიუში, **თავს ნახატების გაყიდვით ირჩენდა** (იმხანად კოსმოსური თემით იყო გატაცებული და მოსკოველებიც, თურმე, მეტად მოწადინებულად ყიდულობდნენ მის ნამუშევრებს), **ის მაინც დაგვიბრუნდა**. დაგვიბრუნდა და, **როგორც თავად მოგვახსენა, სამოქალაქო ანტიტერორისტულ ორგანიზაციასაც ჩაუდგა სათავეში.** სულ ამ ორგანიზაციას **სამი თავკაცი ჰყავს** („სამნი არიან და ამ სამ ლეგენდას შავი ანგელოზი მიუძღვის ცაში“?! – ):



**თენგიზ კიტოვანი** („სობსტვენნოი პერსონოი“) – თავდაცვის ყოფილი მინისტრი; **რომან გვენცაძე** – შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი; **ზურაბ ბაქრაძე** – უშიშროების გადამდგარი გენერალი.



მათ, **სამთა, გაგვიმხილეს, რომ „სამოქალაქო ანტიტერორისტული ორგანიზაციის მთავარი მიზანი ქვეყანაში ნეგატიური მოვლენების და საფრთხის თავიდან აცილება იქნება**“. ერთ-ერთ **ნეგატიურ მოვლენაში ნარკომაფიასთან ბრძოლა იგულისხმება**. მოვიხმობ ბ-ნი კიტოვანის ციტატას: „**მიშას დროს საქართველო წლების განმავლობაში ნარკოტრასა იყო**, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის შექმნის საჭიროებას ვხედავთ მსგავსი პრობლემების აღმოსაფხვრელად.“

მაგრამ, **ვიდრე ნარკოტრასას გაანადგურებენ,** თავდაცვის ექსმინისტრი **„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონსაც“ გამოეხმაურა,** სხვათა შორის, **20 წლის წინანდელი პათოსით**: „ამ კანონის მიღება გამოიწვევს უდიდეს ომს... **კანონპროექტი ქართველი ერის შეურაცხყოფაა** (კაცია და გუნება, თორემ, მე რომ მკითხოთ, ქართველი ერის შეურაცხყოფა რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებული ომი იყო)! ... **ქართველი კაცის შემარცხვენელი კანონის მიღებას არ დავუშვებ** (და მერე რა, რომ ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა დავუშვით და თავი კიტრად მოგვაქვს?!)!“

შესაბამისად, **არ დაგვიმალა, რომ** (კვლავ ციტატას მოვიშველიებ მეტი დამაჯერებლობისთვის): **„პარლამენტში შევალთ, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ და ისე გამოვყრით ყველას, არც მომერიდება არაფრის!“**

ვის-ვის და, **ჩვენ,** ბუნებრივია, **გვჯერა, რომ არაფრის მოერიდება**, თუმცა ეჭვიც გვაქვს, **ვითომ რუსთაველის პროსპექტის კიდევ ერთხელ გადახატვა მოენატრა?! –**

# მათხრახმომარჯვებულები

## ანუ არ გინდოდათ თაფლაკვერი?!

თითქოს **მათ შორის, თუ მთლად დიდი არა, საშუალო სიამტკბილობაა**, ყოველ შემთხვევაში, **ილჰამ ალიევმა ჯერ კიდევ გასულ წელს** (თვით დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე) **განაცხადა, რომ არც ევროკავშირთან აპირებს ასოცირების შეთანხმების გაფორმებას** (რა ასოცირება, რის ასოცირებაო) და **არც საბაჟო კავშირში გაწევრიანებას** („ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები“).

თუკი **იმ მომენტისთვის აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის ეს პოზიცია რფ-მ მეტად მშვიდად მიიღო** (მე ვიტყოდი, **ერთგვარ გამარჯვებადაც**, რაკი ევროკავშირის აღმოსავლეთით პარტნიორობის პროგრამას ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გამოეთიშა), **როგორც ჩანს, აწ უკვე სხვა პრიორიტეტებია** (იმ ანეკდოტის არ იყოს, დანაყრებულმა სტუმარმა რომ იკითხა, **ვიღაცამ ქალი ახსენაო**).



ჰოდა, რაკი **ახლა სიომ სულ სხვა მხრიდან დაუბერა** (ან კი როგორ არ დაუბერავდა ყირიმის მოვლენების შემდეგ?!), **რფ-ს მიგრაციული სამსახურის თავკაცმა კი** გვამცნო, თუმცა ჩვენ რა, თავის მოსახლეობას **ამცნო, რომ რუსეთში ამჟამად 3,7 მილიონი მიგრანტია**, რუსმა **კომუნისტებმაც არ დაახანეს და** თავიანთ ხელისუფლებას შესთავაზეს, **სავიზო რეჟიმი შემოიღოს დსთ-ის იმ ქვეყნებთან, რომლებიც საბაჟო კავშირში არ არიან**. მხოლოდ მოწოდებას არ დასჯერდნენ და **შესაბამისი კანონპროექტის განმეორებით შეტანასაც აპირებენ „დუმაში“** (ერთხელ უკვე ჰქონდათ მცდელობა და იმედი აქვთ, რომ უკრაინის მოვლენების ფონზე მეორედ კოჭი უეჭველად ალჩუზე დაუჯდებათ).

იმ მარტივი მიზეზით, რომ **აზერბაიჯანი საბაჟო კავშირის წევრი არ გახლავთ** (არა მხოლოდ აზერბაიჯანი, საბაჟო კავშირის წევრები ჯერჯერობით მხოლოდ ბელორუსია და ყაზახეთია, სომხეთი, უბრალოდ, თანახმაა), სავსებით **რეალურია, რომ ბაქოს მოსკოვმა სავიზო რეჟიმი გამოუცხოს და არა მხოლოდ ბაქოს**. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ იქ, კრემლში, **თაფლაკვერი გვერდით გადადეს** და **მათრახი საფუძვლიანად და დიდი ხნით მოიმარჯვეს**.

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

# უფასო ბოცვრები

## „მემენტო მორი“

**იმ დროს, როდესაც უკრაინაში**, ჩვენი 2008 წლის არ იყოს, **დასავლეთუკრაინელი აღმოსავლეთუკრაინელ სეპარატისტს არ აიყვანს ხელში**, **ამერიკელმა ექსპერტებმა** მომენტი ხელიდან რა გაუშვეს და **რფ-ს შეიარაღებული ძალების დღევანდელი მდგომარეობა შეაფასეს.**

მდგომარეობა კი შემდეგნაირია (ვფიქრობ, ამის ცოდნა არც ჩვენ გვაწყენს): **„რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კონტროლქვეშ იმყოფება 800 ათასიდან ერთ მილიონამდე სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, ბირთვული იარაღის მქონე სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები და სხვა სტრუქტურები**: სამხედრო-საჰაერო ძალები, სახმელეთო და ჰაერსაწინააღმდეგო ჯარები, სამხედრო-საზღვაო ფლოტი. რუსეთის ძალოვან სტრუქტურებს მიეკუთვნებიან აგრეთვე სხვადასხვა სპეციალური დანიშნულების ძალებიც, მათ შორის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვის სპეციალური დანიშნულების რაზმები.“ თუმცა ზემოჩამოთვლილის გარდა, ჩვენს ჩრდილოელს სხვა გასამხედროებული ქვედანაყოფებიც ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროს ექვემდებარებიან.“



თუმცა **ყველაზე საინტერესო ის არის** (იმიტომ რომ, სახელდობრ, ჩვენი უსაფრთხოებისთვის, უფრო ზუსტად, საფრთხიანობისთვის, ერთი მილიონი ეყოლება თუ ამის ნახევარი, მაინც არაფერი იცვლება), **რომ,** აშშ-ელი ექსპერტების აზრით, **რუსეთს საქართველოსთან ომით მიღებული გაკვეთილებიდან დასკვნები გაუკეთებია.** მომყავს ციტატა: „რუსეთს თავისი შეიარაღებული ძალების მოდერნიზების დასაწყებად საქართველომ უბიძგა (ისე, იმ დასკვნაში ჩვენთვის სახეირო ერთი მომენტიცაა: **„რუსებმა ქართველებს უფრო მეტად რაოდენობით სძლიეს, ვიდრე ხარისხით“).** ერთი სიტყვით, **ყირიმში რფ-ს ცხინვალში დაშვებული შეცდომები გამოუსწორებია და წარმატებისთვისაც მიუღწევია** („ისინი აშკარად უკეთესად არიან მომზადებულნი 2008 წელთან შედარებით“).



ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ჩვენს ტყავზე** აქეთ – **რფ-ს სამხედრო გამოცდილება შევძინეთ**, იქით – **დასავლეთს მოსალოდნელი საფრთხეების გასაანალიზებელი ცოცხალი მასალა**, ეს **უფასო ბოცვრები** ცოტაოდენ **ფულად კომპენსაციას მაინც არ ვიმსახურებთ** (თუნდაც, მზესუმზირის საკნატუნოდ)?! –


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ილიას სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის მიერ ჩატარებული კვლევით, საქართველოში ყველაზე დიდი მოთხოვნაა შემდეგ სამ სპეციალობაზე: მენეჯერი, კონსულტანტი და მოლარე. მათ მოსდევენ: მიმტანი, ადმინისტრატორი, დამლაგებელი, დისტრიბუტორი, პრისელერი (სავაჭრო აგენტი) და გაყიდვების აგენტი. რა გახდა ზემოჩამოთვლილი სპეციალობების პოპულარიზაციის მიზეზი, რით სჯობს დამლაგებლობა ფიზიკოსობას ან მოლარეობა – არქეოლოგობას, ოცდამეერთე საუკუნის ამ ტენდენციის ქართული განშტოების ახსნას საზოგადოებრივი კომუნიკაციების კვლევისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელთან, ანალიტიკოს არჩილ გამზარდიასთან ერთად შევეცდებით.**

# რა პროფესიებზეა მოთხოვნა საქართველოში და რატომ უჭირავს ამ ჩამონათვალში მეორე ადგილი მიმტანს

**– როგორ გვახასიათებს ამ კონკრეტული პროფესიების ჩამონათვალი. თუ უცხოელი სპეციალისტი დახედავს ამ მშრალ ჩამონათვალს, რას იფიქრებს, რა ტიპის ქვეყანაა საქართველო?**

– უპირველესად, რასაც გაიფიქრებს, ის არის, რომ ქვეყანა არის განვითარებად რეჟიმში, ამიტომ საზოგადოებაში ჯერჯერობით არ არის მართვის თანამედროვე სისტემისთვის აუცილებელი სპეციალისტების საკმარისი რაოდენობა. მოთხოვნა არის იმ სპეციალობებზე, რაც ახალგაზრდებს დასაქმების უფრო მეტ შანსს აძლევს უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. პირველი, რაც ჩანს, არის ის, რომ არ გვყავს მენეჯერები, ანუ იმდენად სხვადასხვა დარგის სპეციალისტების პრობლემა კი არ არის საქართველოში, რამდენადაც ამ პროცესის ორგანიზატორების, ზოგადი წარმმართველების, შესაბამისად, მაღალი და საშუალო რანგის მენეჯერების, რომლებიც დღეს უკვე განსხვავებულ რეჟიმში მუშაობენ. მომავალი თაობა ირჩევს იმ სპეციალობებს, რომლებითაც ხედავს თავისი დასაქმების პერსპექტივას.

**– გარდა იმისა, რომ მოთხოვნაა მენეჯერებზე, ეპოქის თავისებურებიდან გამომდინარე, მგონია, რომ მოთხოვნა კონსულტანტებზე, გაყიდვების აგენტებზე ვერ გვახასიათებს, როგორც ინტელექტის კომერციალიზაციის სურვილის მქონე ქვეყანას?**

– ეს არ არის მაღალი რანგის პროფესიები, მაგრამ ეს არის პროფესიები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე სამომხმარებლო გარემოსთვის. ამიტომაც, ბუნებრივია, კონსულტანტების საჭიროება მეტია. ჩვენ ვცხოვრობთ ცვალებად გარემოში. ოცდამეერთე საუკუნეში პროდუქციისა და სერვისის მრავალფეროვნებაა, როდესაც მომხმარებელი ყოველთვის არ არის ინფორმირებული და გადაწყვეტილებითი არჩევნით არ მიდის ამა თუ იმ პროდუქტის თუ მომსახურების შესაძენად, ამდენად, საჭიროებს კონკრეტულ პირებს, რომლებიც უნდა დაეხმარონ მას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

**– მე არ ვაკნინებ ამ სპეციალობებს, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ.**

– მეც იმას ვამბობ, რომ ეს დრომ მოიტანა. თუ ადრე, საბჭოთა ხანაში მხოლოდ ერთი თუ ორი პროდუქტი არსებობდა, ადამიანი ნაკლებად საჭიროებდა კონსულტაციას, რადგან არჩევნის მრავალფეროვნება არ არსებობდა. მაგალითად, 2003 წლამდე ძირითადი აქცენტი კეთდებოდა სამედიცინო სფეროზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, იურიდიულზე, ანუ ისეთ სპეციალობებზე, რომლებიც მოდურად მიიჩნეოდა, იმიტომ რომ ადამიანი უფრო თვითპრეზენტირების რეჟიმში იყო და მოთხოვნილებაც ამაზე არსებობდა. როდესაც გზების დაგება დაიწყო, საქართველოში არ გვყავდა ახალ ტექნიკაზე მომუშავე სპეციალისტები და ჩქარ-ჩქარა გადაამზადეს. ამას მოჰყვა კრიტიკა, თითქოს არის დამოკიდებულება, რომ ქართულ გარემოში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო საშემსრულებლო დონეზე, ანუ ინვესტორებისთვის საჭირო სპეციალობებზე.

**– უხეშად ვიტყვი, კვალიფიციურ შავ მუშებზე.**

– არის ასეთი მოსაზრება, რომლის ცალსახად იგნორირება არ შეიძლება, მაგრამ რეალობა არის ისეთი, როგორიც არის. თანამედროვე მმართველობით გარემოში სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას სისტემები, მაგრამ თითოეული ადამიანის დასაქმება მისი ამოცანა არ არის, თუმცა არჩევნების წინ აქტიურია დასაქმების დაპირებები. საქმე ის არის, რომ ხელი ეწყობა იმას, რაზეც არის მოთხოვნა. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებს აქვთ დასაქმების ვიწრო სივრცე: საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ამიტომ არალოგიკურია, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვან ათასობით ასეთი სპეციალისტი, მაგრამ ლოგიკურია, რომ ტურიზმის, ბიზნესის ადმინისტრირების კუთხით გამოუშვას მეტი სპეციალისტი, რომლებსაც დასაქმების მეტი შანსი აქვთ. განათლების სისტემა, მით უმეტეს კომერციული სასწავლებლები კონკურენტულ გარემოში იმაზე აკეთებენ აქცენტს, რაზეც არის მოთხოვნა. ათი წლის შემდეგ ბაზარი შეიძლება, მომარაგდეს თანამედროვე დარგების სპეციალისტებით და შემდგომ ისეთ სპეციალობებზე გაჩნდეს მოთხოვნა, რომლებიც ამ წუთისთვის საერთოდ არ არსებობს. სხვათა შორის, ამის პირობებიც უკვე შექმნილია.



**ერთი მომენტიცაა: ადამიანები ჩვენთან თავს არ მიიჩნევენ დასაქმებულად, თუკი მუშაობენ წვრილ ბიზნესში, ვაჭრობაში. დასაქმებულად საქართველოს მოქალაქე თავს მიიჩნევს, როდესაც მას სახელმწიფო ასაქმებს**

**– მესმის, რომ აუცილებელია გაყიდვების მენეჯერი, კონსულტანტი, გაყიდვების აგენტი, რადგან ამ ეპოქაში ყველაფერი იყიდება და მთავარია შეფუთვა და მიწოდება. მაგრამ შესაძლოა, რამდენიმე წლის შემდეგ აღარ გვყავდეს ინჟინერი, ენერგეტიკოსი, უკვე არის ისეთი სპეციალისტების დეფიციტი, რომლებიც აუცილებელია.**

– მართალი ბრძანდებით, ერთია დარგობრივი მოთხოვნები, კვლევა კი აჩვენებს მასობრივ მოთხოვნას. თუკი პირობითად წელიწადში 10 ინჟინერი გვჭირდება, ამ წუთისთვის შეიძლება, გვჭირდებოდეს 1 200 მენეჯერი და ბიზნესადმინისტრირების სპეციალისტი. რა თქმა უნდა, განათლების სფეროში დარგობრივი კრიზისი გვაქვს, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში ბევრად უფრო ჩავარდნილი იყო პროცესი. ჩვენ კარგად ვიცით, აგრარულ უნივერსიტეტში იმიტომ აბარებდნენ, რომ უბრალოდ უმაღლესში ჩაებარებინათ. მე არ ვლაპარაკობ ამ საკითხის პოლიტიკურ მოტივზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც იქ ტექნიკური ბაზა შეიცვალა, რაც იმ დარგების პრესტიჟი ასწიეს, იქ აბარებენ ადამიანები. დღეს პროფესიის არჩევისას მოქმედებს ისეთი მოტივები, როგორებიცაა დარგის პრესტიჟი, უმაღლესი სასწავლებლის პრესტიჟი, დიპლომის გასავლიანობა. მით უმეტეს, რომ საქართველო მიუერთდა ბოლონიის პროცესს და გაცვლით პროგრამებში იღებს მონაწილეობას. ჩემი სტუდენტობისას საქართველოში თერთმეტწლიანი განათლება და დიპლომი ითვლებოდა საშუალო განათლებად ევროპის გადმოსახედიდან, დღეს სტუდენტები პირდაპირ იცვლებიან: მეორეკურსელი მეორე კურსზე გადადის ევროპულ სასწავლებელში და ასე შემდეგ. მე იდეალიზებას არ ვახდენ, მაგრამ შესაძლებლობები არის. აი, თუნდაც, ახალმა ხელისუფლებამ გამოხატა სურვილი, რომ საინჟინრო მიმართულება უფრო მეტად დააფინანსოს. როგორც ვიცი, ტექნიკურ უნივერსიტეტში სამშენებლო კუთხით დღემდე კარგად ასწავლიან და სწორედ ის ამარაგებს სპეციალისტებით თანამედროვე მშენებლობებსა და გზის გაყვანით სამუშაოებს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებით მუშაობენ. მე რომ მკითხოთ, დღეს, რაზეც მოთხოვნაა, გადაჭარბებით ჩანს მოთხოვნადად. ეს, როგორც წესი, ყოველთვის ასეა: როდესაც ადამიანები გაიგებენ, რომ ბიზნესის მართვის სპეციალისტი ყველგან სჭირდებათ და ამიტომ დასაქმდები, ყველა მასობრივად იქ აბარებს. არსებობს ოცდამეერთე საუკუნის სპეციალობები და მუდმივად გვესმის ლაპარაკი, რომ გვჭირდება კარგი მეურნეები, კარგი მმართველები, კარგი მენეჯერები და ა. შ.

**– მაგრამ ამ კარგ მმართველებს სჭირდებათ კარგი კადრები, რომ კარგად მართონ, თუ კადრი არ ივარგებს, რას მართავენ?**

– აუცილებლად. უფრო მეტიც, არის მთელი რიგი სპეციალობები, რომლებიც უკვე საჭირო ხდება. დღეს არავინ ლაპარაკობს იმაზე, რომ იმავე ბიზნესადმინისტრირების სპეციალისტები საშუალო და წვრილ ბიზნესს დეკორაციულად ჰყავთ ერთი ან ორი ადამიანის დონეზე. არადა, როგორც ექიმი ერთდროულად ვერ იქნება გინეკოლოგი, სტომატოლოგი თუ ქირურგი, ისე ამ დარგსაც გააჩნია მთელი რიგი მიმართულებები, ამიტომ ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ არ იციან კარგად ამ დარგის საჭიროება, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნაა მათზე. ვერ ხვდებიან, რომ იქ ცალკეა იმიჯმეიკერები, შიდა იმიჯმეიკერები, პრომოუტერები და ასე შემდეგ. არის ისეთი დარგებიც, რომლებიც დღეს საქართველოში არ არსებობს სპეციალობების სახით. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში უკვე არის საჭიროება დროის მართვის კონსულტანტების, კრეატიული მენეჯერების.

**– ჩვენი კრეატიულობა ჯერჯერობით, ძირითადად, იმით გამოიხატება, რომ უცხოურ კომპანიას იდეას მოჰპარავენ და ძალიან უნიჭოდ გადმოამღერებენ.**

– ესეც უნდა ისწავლებოდეს, გარდა იმისა, რომ ბუნებით შინაგანად უნდა ჰქონდეს სპეციალისტს, ჩვენ კი არც ერთ უმაღლეს სასწავლებელში არ გვაქვს ისეთი ფაკულტეტი, რომელიც ასეთი ტიპის ვიწრო სპეციალისტებს გამოუშვებდა. ანუ იქაც კი, სადაც ეს მოთხოვნაა, ერთი ტიპის სპეციალისტებს უშვებენ. სახელმწიფოს, როგორც ჩანს, დღემდე არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა. მართალია, ის განათლებ-

ის სფეროში ვერ ჩაერევა, მაგრამ უნდა შესთავაზოს ხედვა, განათლების პოლიტიკა. იმდენად რამდენადაც სახელმწიფოს აქვს თავისი ინტერესი და იდენტობა სჭირდება, შესაძლოა, ისეთ სპეციალობებს აფინანსებდეს, რომელიც ერის, ქვეყნის იდენტობაზეა ორიენტირებული.

**– არქეოლოგიურზე რომ ჩააბარო, სამსახურს დიდი ალბათობით ვერ იშოვი, ალბათ, აქ სახელმწიფოს პრეროგატივა უნდა იყოს დასაქმებაც.**

– ხედვა მაინც უნდა შესთავაზოს ადამიანებს, სახელმწიფომ უნდა წაახალისოს ის სპეციალობები, რაც მას თვითმყოფადობას, მის კულტურულ კერებს წაახალისებს. მაგალითად, პირადად მე ფიარს ვსწავლობდი ერთი წიგნით მთელი ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ მე და ჩემი ზოგიერთი კოლეგა არ გავჩერდით და გავაგრძელეთ განათლების მიღება, თორემ იმ დიპლომის და იმ განათლების საფუძველზე სპეციალისტები ვერ დავდგებოდით. ახლა სხვა ეპოქაა. ტურიზმის მენეჯერი წინა წლებში გაეგო ვინმეს?! ახლა გაჩნდნენ ეს სპეციალისტები და იმდენად კონკურენტული გარემოა შექმნილი, რომ მხოლოდ საუკეთესოებს იღებენ სამსახურებში. როგორც კი ესა თუ ის დარგი შეივსება სპეციალისტებით და ორგანიზაციები დაინახავენ, რომ იმავე რაოდენობა აღარ სჭირდებათ, მოთხოვნის დონე დაიწევს და რაღაც სხვა გამოჩნდება. უკვე შემოსული და აქტუალურია კომპიუტერული ინჟინერია, იგივე კიბერსპეციალისტები. როგორც კი ის სპეციალობები, რაც ტოპ-ხუთეულშია შეივსება კადრებით, მაშინვე გადაინაცვლებენ სხვა სპეციალობებზე. დღეს ჩვენ არ ვლაპარაკობთ პედაგოგების კრიზისზე, არადა ძალიან ცოტა მიდის მასწავლებლად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან წახალისებები არსებობს და ჩანს, რომ ნელ-ნელა ამ დარგში გაჩნდება კრიზისი.

**– როდესაც ჩვენთან არ ფიგურირებს მოთხოვნა აუცილებელი პროფესიების, რის გარეშეც სახელმწიფოს სრულფასოვანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია, ეს ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლების საფეხურზეც კი მომსახურე პერსონალის დონეზე ვართ?**

– ცალსახად ასე არ არის: არსებობს პროფესიები, რომლებზეც არის მოთხოვნა და არსებობს პროფესიები, რომლებზეც მოთხოვნა ნაკლებია. ნაკლები მოთხოვნა არ ნიშნავს, რომ ამ პროფესიებს პრიორიტეტი არ აქვთ. უბრალოდ, ეს პრიორიტეტული დარგები ძირითადად უკვე შევსებულია და აღარ სჭირდება სპეციალისტების დიდი რაოდენობა. მაგალითად, წინა წლებში საბანკო საქმის სპეციალისტებს ბანკები იღებდნენ სამკვირიანი ტრენინგების შედეგად. დღეს უკვე შეივსო ბაკნები ამ კადრებით და ამდენი საბანკო საქმის სპეციალისტი აღარ სჭირდებათ. განა საჭირო არ არის, მაგრამ უკვე შეივსო. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მთელი რიგი დარგები, რომლებიც მნიშვნელოვანია, არ არის ზედმეტად დეფიციტური, დეფიციტურია ის დარგები, რომლებზეც მოთხოვნაა.

> **მე რომ მკითხოთ, დღეს, რაზეც მოთხოვნაა, გადაჭარბებით ჩანს მოთხოვნადად. ეს, როგორც წესი, ყოველთვის ასეა: როდესაც ადამიანები გაიგებენ, რომ ბიზნესის მართვის სპეციალისტი ყველგან სჭირდებათ, ყველა მასობრივად იქ აბარებს**

**– მოლარეზეა მოთხოვნა. ესე იგი, ბევრი დაწესებულება თუ საწარმოა?**

– კონსულტანტზე, მოლარეზე, განვადების მენეჯერზე მოთხოვნა არის იმიტომ, რომ წვრილი და საშუალო ბიზნესის რაოდენობა შედარებით გაიზარდა. ნებისმიერი დიდი სავაჭრო ცენტრი შედგება მრავალი წვრილი შპს-სა და ინდმეწარმისგან. შესაბამისად, თითოეულს სჭირდება მოლარე, დამლაგებელი, განვადების მენეჯერი. რომ შეაბიჯებთ „კიდობანში", ნახავთ, რომ თითოეულ მაღაზიაში სხედან ბანკის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან უმუშევრობის დონე მაღალია, ორგანიზაციების რაოდენობა გაიზარდა. აქ ერთი მომენტიცაა: ადამიანები ჩვენთან თავს არ მიიჩნევენ დასაქმებულად, თუკი მუშაობენ წვრილ ბიზნესში, ვაჭრობაში. დასაქმებულად საქართველოს მოქალაქე თავს მიიჩნევს, როდესაც მას სახელმწიფ ო ასაქმებს. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია, მე მაინც მგონია, რომ ადამიანები ზოგჯერ უფრო მეტად აღიქვამენ საკუთარ თავს უმუშევრად, ვიდრე ეს რეალობაშია.

**– როგორ გამოიყურება განვითარებულ ქვეყნებში იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომლებზეც ყველაზე დიდი მოთხოვნაა?**

– რამდენადაც გამოკითხვები დასავლეთის ქვეყნებშიც ჩატარდება, ვიცით, რომ იქაც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მმართველ სპეციალისტებზე. ავტომობილების წარმოების კუთხით თურქეთმა ბაზარი არ დაუტოვა სხვებს, მაშინ, როდესაც ბუნებით ის არ არის ტექნიკის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვში. თანამედროვე დარგები არ ცნობს მსოფლიო საზღვრებს. შეიძლება, ოფისი გქონდეთ ჩინეთში, ქარხანა – თურქეთში და ამარაგებდეთ კავკასიას. ასეთია გლობალური ბიზნესი, რომელიც არ აღიარებს გეოგრაფიულ საზღვრებს.

**– და ამ გლობალური ბიზნესის პერიოდსა და სამყაროში სპეციალობების ტოპ-ხუთეულში ჩვენთან მეხუთე ადგილზე მოთხოვნა დამლაგებელზეა.**

– სამკაციან ოფისშიც კი, სადაც თავის დროზე თვითონ ალაგებდნენ, დღეს ელემენტარულ ნორმად ითვლება, რომ სჯობს დაიქირავო დამლაგებელი, რომელსაც გადაუხდი თანხას, ვიდრე შენი მუშაკი მოაცდინო თავის საქმეს.

**ნინო ხაჩიძე**

# საქართველოს მოქალაქეთათვის უვიზო რეჟიმის ქვეყნები 2014 წლის აპრილის თვის მონაცემებით:

აზერბაიჯანი
ბელორუსი
კოსოვო
მოლდოვა
მონღოლეთი
სომხეთი
ტაჯიკეთი
უკრაინა
უზბეკეთი
ყაზახეთი
ყირგიზეთი
ანტიგუა და ბარბუდა – უვიზოდ 1 თვე.
ბაჰამის კუნძულები – უვიზოდ 3 თვე.
ბარბადოსი – უვიზოდ 28 დღე.
გრენადა – უვიზოდ 3 თვე.
დომინიკა – უვიზოდ 21 დღე.
ეკვადორი – უვიზოდ 90 დღე.
თურქეთი – უვიზოდ 3 თვე.
კუკის კუნძულები – უვიზოდ 31 დღე.
კუბა – უვიზოდ 30 დღე.
მალაიზია – უვიზოდ 30 დღე.
მიკრონეზია – უვიზოდ 30 დღე.
ნამიბია – უვიზოდ 3 თვე.
ნიუე – უვიზოდ 30 დღე.
სამხრეთ კორეა – უვიზოდ 30 დღე.
სენტ ლუსია – უვიზოდ 6 კვირა.

სენტ ვინსენტი და გრენადა – უვიზოდ 1 თვე.

ჰაიტი – უვიზოდ 3 თვე.

ბანგლადეში – ვიზა ჩასვლისას, ფასი 50 ამერიკული დოლარი.

ბოლივია – ვიზა ჩასვლისას, ფასი 50 ამერიკული დოლარი.

ბურუნდი – ვიზა ჩასვლისას.

გამბია – ვიზა ჩასვლისას.

ეგვიპტე – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას, ფასი 15 ამერიკული დოლარი.

ზამბია – ვიზა ჩასვლისას, ფასი 50 ამერიკული დოლარი.

ირანი – 15-დღიანი ვიზა ჩასვლისას (ჩასვლამდე საჭიროა, ინტერნეტით მოიპოვოთ ავტორიზაციის კოდი).

იამაიკა – ვიზა ჩასვლისას, ფასი 20 დოლარი.

იორადნია – ვიზა ჩასვლისას.

კამბოჯა – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას, ფასი 20 დოლარი.

კაპო ვერდე – ვიზა ჩასვლისას.

კენია – 3-თვიანი ვიზა ჩასვლისას.

ლიბანი – 3-თვიანი ვიზა ჩასვლისას.

ლაოსი – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას, მიწვევა აუცილებელია, ფასი 30 ამერიკული დოლარი.

მაკაო – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

მადაგასკარი – 90-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

მალდივის კუნძული – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

მავრიკია – 60-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

მოზამბიკი – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას, ფასი 25 ამერიკული დოლარი.

ნეპალი – 90-დღიანი ვიზა ჩასვლისას, ფასი 100 ამერიკული დოლარი.

ნიკარაგუა – ვიზა ჩასვლისას.

პალაუ – ვიზა ჩასვლისას (მაქსიმუმ 90 დღე).

რუანდა – ვიზა ჩასვლისას.

სამოა – 60-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

სირია – ვიზა ჩასვლისას.

ტანზანია – ვიზა ჩასვლისას, ფასი 50 ამერიკული დოლარი.

აღმოსავლეთ ტიმორის კუნძულები – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას, ფასი 30 ამერიკული დოლარი.

ტოგო – 7 დღიდან-6 თვემდე, ვიზა ჩასვლისას.

უგანდა – ვიზა ჩასვლისას, ფასი 50 ამერიკული დოლარი.

ქუვეითი – 3-თვიანი ვიზა ჩასვლისას.

შრი-ლანკა – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

ჯიბუტი – 30-დღიანი ვიზა ჩასვლისას.

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მოახლოება ჯერჯერობით იმით ეტყობა, რომ სატელევიზიო ეთერში თითო-ოროლა სარეკლამო კლიპი გამოჩნდა და მერობის კანდიდატებიც თითქმის ყველა ფლანგიდანაა შერჩეული. ბუნებრივია, მათ ბედს არჩევნების დღეს საარჩევნო ყუთებში ჩაყრილი ხმების რაოდენობა გადაწყვეტს, თუმცა მანამდე, ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს მერობის ჩვენებური კანდიდატების კოსმოსის მხრიდან მხარდაჭერაზე გავესაუბრეთ.**

# როგორია თევზ დავით ნარმანიას, მშვილდოსან ნიკა მელიასა და სასწორ დიმიტრი ლორთქიფანიძის შანსები თბილისის მერის არჩევნებზე

**– როგორი წელია 2014 თბილისის მერობის კანდიდატ დავით ნარმანიასთვის, რომელიც 1979 წლის 7 მარტსაა დაბადებული?**

– ნარმანიას ეს წელიწადი ცუდი არ აქვს, ხუთქულიანი სისტემით შეიძლება, შევაფასოთ ოთხიანზე. აქვს საერთო კარგი შესაძლებლობები, ოღონდ გავითვალისწინოთ, რომ მისი მთავარი შანსი არის ის, რომ მხარს უჭერს „ქართული ოცნება“. ეს მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ოთხიანი ან ეყოფოდა, ან არა გამარჯვებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში, იმდენად დიდი ბერკეტი აქვს, რომ წარმატების შანსი ძალიან მაღალია. ნარმანიას ცოტა უშლის ხელს დაბადების წელიწადი – თხის წელიწადში დაბადებულისთვის წლევანდელი წელი საშუალოა; ვეფხვის წელიწადში რომ ყოფილიყო დაბადებული, მაშინ ყველაფერი ხუთიანზე ექნებოდა.

**– ასევე, თხის წელიწადში, 1979 წელსაა დაბადებული მისი კონკურენტი ნიკა მელია.**

– რაც შეეხება მელიას: ის 21 დეკემბერსაა დაბადებული. ამ დღეს დაიბადნენ: ირაკლი ალასანია, მიხეილ სააკაშვილი, სტალინი და ასე შემდეგ. ის მშვილდოსანია, მშვილდოსანს კი ახლა საკმაოდ კარგი პერიოდი აქვს. მისი მფარველი ანგელოზი გადის ამ ზოდიაქოს ნიშანს, ამიტომ წარმატების შანსი საკმაოდ მაღალი აქვს, მაგრამ ხელს უშლის „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის რეიტინგი საზოგადოებაში ძალიან დაბალია. „ქართული ოცნებიდან“ ორი კანდიდატი რომ ყოფილიყო – მელია და ნარმანია, მეტი შანსი ექნებოდა მელიას, მაგრამ, რადგან მელია „ნაციონალური მოძრაობიდანაა“, პერსონალურად შანსი, მართალია მაღალი აქვს, მაგრამ არა იმდენად, რომ მოერიოს ნარმანიას. ნარმანიას ეს წელი სამიანზე რომ ჰქონოდა, მელიას შანსები ნარმანიაზე მაღალი იქნებოდა.

**– პოლიტიკასთან როგორ არიან ზოდიაქოს ის ნიშნები, რომლებსაც მიეკუთვნებიან დაბადების თვის მიხედვით ნარმანია და მელია?**

– პოლიტიკის ზონა უფრო მშვილდოსანს უკავშირდება. მშვილდოსნები პოლიტიკის ზონასთან უფრო ახლოს არიან. თევზები უფრო აქტიურები არიან ხელოვნების, ლიტერატურის, ქველმოქმედების სფეროში, პოლიტიკაში – ნაკლებად. თევზები, როგორც წესი, კარგი შემსრულებლები არიან, ლიდერი უფრო მშვილდოსანია.

**– დიმიტრი ლორთქიფანიძისთვის როგორი წელია? ის 1967 წლის 10 ოქტომბერსაა დაბადებული.**

– დიმიტრი ლორთქიფანიძე სასწორია. სასწორისთვის ეს წელიწადი კარგია, ამიტომ მთლიანობაში, მას აქვს შესაძლებლობა, საკმაოდ მაღალი რეიტინგი და ხმები დააგროვოს, ამას ვერ დავუწუნებდი, მაგრამ ცოტა სუსტი ზურგი აქვს: როდესაც არ აქვს ისეთი ბერკეტები, როგორც „ქართულ ოცნებას“. ამდენად, უფრო მეტად გაუჭირდება, თუმცა შესაძლოა, გარკვეულწილად, გაგვაოცოს, იმიტომ რომ, უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე ახლა ველოდებით მისგან.

**– ვის უფრო მეტი შანსი აქვს: მელიას თუ ლორთქიფანიძეს?**

– ინდივიდუალური შანსები თანაბარი აქვთ. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადათამაშება მოხდება პარტიებს შორის: აუცილებლად იქნება რაღაც მოლაპარაკება „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის. პოლიტიკა ყოველთვის თამაშია და პროცესები მიდის კულისებს მიღმა: ვიღაც რაღაცას თმობს, ვიღაც რაღაცას იღებს და ასე შემდეგ. აი, ამაზეა ბევრი რამ დამოკიდებული. თუმცა დღეს რეალურად ლორთქიფანიძეს მეტი შანსი უნდა ჰქონდეს, მათ შორის, იმავე მელიასთან მიმართებაში, მაგრამ, რადგან ბერკეტები, „რუსთავი-2-ისა“ და სხვა მედია-საშუალებების სახით, ჯერ კიდევ აქვს „ნაციონალურ მოძრაობას“, ცხადია, ეს ათანაბრებს მელიასა და ლორთქიფანიძის შანსებს და წარმატების ცოტა მეტ შანსსაც კი აძლევს მელიას. თუმცა აბსოლუტურად თანაბარი პირობები რომ ყოფილიყო, ლორთქიფანიძე აჯობებდა.

**– ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური მომავალი როგორი იქნება 2014 წელს?**

– ის მორიელია და ამიტომ ვურჩევ, როგორც ყველა მორიელს, რომ წელს მნიშვნელოვანი არაფერი მოიმოქმედოს. სატურნი – მუხრუჭი პლანეტა – იმყოფება მორიელის ზოდიაქოში



**ხშირად არ არის გამარჯვების პლანეტა ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანში. ახლა, რადგან გამარჯვების პლანეტა კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანშია, კირჩხიბებს წარმატების მიღწევის საკმაოდ დიდი შანსი აქვთ, მათ შორის, ნინო ბურჯანაძეს**

და მათ ბევრ პრობლემას შეუქმნის, ამდენად, მორიელებს წელს ძალიან უჭირთ.

**– მართალია, გიგი უგულავა არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ მისი ფოტო გამოჩნდა ნიკა მელიას სარეკლამო ბანერებზე. მისთვის როგორი წელი იქნება? დაბადებულია 1975 წლის 15 აგვისტოს.**

– არჩევნები წლის მეორე ნახევარში რომ ჩატარებულიყო, უგულავას მეტი შანსი ექნებოდა. მაგრამ ახლა ნაკლებია შანსი, იმიტომ რომ, ეგრეთ წოდებული მაცდუნებელი ძალა – შავი მთვარე მის ზოდიაქოშია. ამიტომ ფარული მტრები, ჭორები, ინტრიგები, პრობლემები ახლაც ბევრი ექნება, ამდენად, შანსები რადიკალურად უმცირდება. ლომისთვის ეს პერიოდი მაინცდამაინც წარმატებული არ იქნება და იმდენი არ ქნას, რომ ხელი შეუშალოს ნიკა მელიას წარმატებაში თავისი იმ მუხრუჭი ელემენტებით, რასაც სამყარო უქმნის წლის ამ პერიოდში.

**– თუმცა წლის მეორე ნახევარი უფრო წარმატებული ექნება?**

– დიახ, წლის მეორე ნახევარში უფრო მეტი შანსი აქვს, რადგან გამარჯვების პლანეტა – იუპიტერი მის ზოდიაქოში გადავა.

**– მართალია, ნინო ბურჯანაძე უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ მას, როგორც პოლიტიკოსს, როგორი წელი აქვს? დაბადებულია 1964 წლის 16 ივლისს.**

– ბურჯანაძეს, სხვათა შორის, კარგი წელიწადი აქვს, იმიტომ რომ, გამარჯვების მმართველი პლანეტა – იუპიტერი სწორედ კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანშია. ყოველ შემთხვევაში, ივლისის ბოლომდე მან ძალიან უნდა იაქტიუროს, იმიტომ რომ, ხშირად არ არის გამარჯვების პლანეტა ზოდიაქოს ამა თუ იმ ნიშანში. ახლა, რადგან კირჩხიბის ზოდიაქოს ნიშანშია, კირჩხიბებს წარმატების მიღწევის საკმაოდ დიდი შანსი აქვთ, მათ შორის, ბურჯანაძეს. ახლა ის ნაკლებად ჩანს, პიარი საკმაოდ სუსტი აქვს. მე კი პირიქით, მიმაჩნია, რომ მარტიდან ძალიან აქტიური უნდა ყოფილიყო, რადგან გამარჯვების პლანეტა ივლისის ბოლომდე მის ზოდიაქოშია. ამდენად, აქვს წარმატების არნახული შესაძლებლობები, თუნდაც, პიარის კუთხით. რაც შემდეგ, აგვისტოდან, ნაკლებად ექნება, ამიტომ მას ძალიან უნდა ეაქტიურა, რომ შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოეყენებინა.

**– პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი?**

– მარგველაშვილი ზოდიაქოს ნიშნით ქალწულია, მამლის წელიწადში დაბადებული, ამიტომ, როდესაც მის პლასტელინობაზე იყო საუბარი, ყველას ვეუბნებოდი: არ დაიჯეროთ, არანაირი პლასტელინი! ჯერ ერთი, მამლის წელიწადშია დაბადებული, მამალი კი პლასტელინი ვერასდროს იქნება. ის არის მეომარი, მებრძოლი, ძალიან შემტევი და შეუპოვარი, უკან არასდროს იხევს და თავის პრინციპებს კბილებით იცავს. ქალწულიც მიზანსწრაფული ნიშანია, ყოველთვის იცის, რა უნდა და თან, პრაგმატულად აზროვნებს. მის ხასიათში ამ ნიშნების ერთობლიობა ვერანაირ პლასტელინს ვერ მოგვცემს, პირიქით, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე შეიძლება, ჩანდეს. ასე რომ, ასე ადვილად ის არაფერს დათმობს. თუმცა მისთვის შარშანდელი წელი გაცილებით უკეთესი და მეტად წარმატებული იყო. წლევანდელი წელი ნაკლებად წარმატებულია, ვთქვათ ასე, სამიანზეა, თუმცა წლის მეორე ნახევარი ცოტა უფრო გამოუკეთებს ხასიათს, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ კარგი წელიწადი აქვს.

**– ირაკლი ღარიბაშვილზე შარშანვე თქვით, რომ 2014 წლის პირველი ნახევარი გაცილებით წარმატებული ექნებოდა, ვიდრე მეორე.**

– რადგან ირაკლიც კირჩხიბია ბურჯანაძესავით, ამიტომ ივლისის ბოლომდე მაქსიმალურად უნდა შეეცადოს ყველა პრობლემის მოგვარებას, იმიტომ რომ, ამ პერიოდში გამარჯვების პლანეტა მის მხარესაა და წარმატების შანსი ძალიან მაღალი აქვს. ამდენად, ძირითადი შეხვედრები, მოლაპარაკებები უმჯობესია, ივლისის ბოლომდე დასახოს და შეასრულოს, რადგან წლის მეორე ნახევარი, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი აქვს, მაგრამ ცოტა უფრო ნაკლებად პერსპექტიული უჩანს, ვიდრე პირველი ნახევარი. უფრო ზუსტად, წლის მეორე ნახევარი უფრო საშუალო, უფრო ნეიტრალური აქვს.

**– წლის პირველი ნახევრის ოთხი თვე გავიდა. იყენებს ირაკლი ღარიბაშვილი ამ შესაძლებლობას?**

– მიმაჩნია, რომ, როდესაც გამარჯვების

# რატომ არჩია მაღალხელფასიან სექტორს ელგუჯა ხოკრიშვილმა მინისტრის დაბალხელფასიანი პოსტი

საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი, ელგუჯა ხოკრიშვილი 1973 წლის 24 მაისსაა დაბადებული თბილისში. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არ არის მითითებული, სწავლობდა თუ არა ის საქართველოს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: 2002 წელი – ეკონომიკის ბაკალავრი, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია; 2004 წელი – ბიზნესის და ეკონომიკის მაგისტრი, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია; 2008 წელი – ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტი, გერმანია.

მისი სამუშაო გამოცდილება 1999 წელს იწყება პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსების კათედრაზე, სადაც ის 2003 წლამდე მუშაობდა მკვლევარ-მეცნიერად. 2006 წელს გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის ფედერალურ სამინისტროში დაიწყო მუშაობა ექსპერტად. თუმცა 2004 წლიდან პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსების კათედრას დაუბრუნდა, სადაც 2010 წლამდე პროექტის მმართველად იმუშავა. 2010-2011 წლებში ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროექტის მმართველი იყო. 2010-2011 წლებში, ასევე, გახლდათ პროგრამებისა და განათლების განვითარების პროფესიონალთა ჯგუფის კონსულტანტი, ამჯერად ვანკუვერში (კანადა). 2011 წელს „GOPA კონსალტინგის“ ექსპერტადაც იმუშავა (გერმანიაში) და ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ექსპერტიც იყო. 2012 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორობას მიჰყო ხელი, იმას გარდა, რომ, იმავდროულად, 2012 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSF) ექსპერტიც იყო. იმავე 2012-ში კავკასიის ეკონომიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის (CIESR) გამგეობის თავმჯდომარე გახდა. 2012 წელს კი მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა, საიდანაც 2014 წლის 15 აპრილს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის სავარძელშიც მოხვდა.



ბ-ნმა ხოკრიშვილმა თავისი, ჯერჯერობით ერთადერთი საფინანსო და ქონებრივი დეკლარაცია, 2013 წლის ოქტომბერში შეავსო, როგორც მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა. ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, 1972 წელს დაბადებული ეკატერინე შარაშიძე, შვილი – 2007 წელს ბერლინში დაბადებული დანიელი და 1935 წელს დაბადებული მამა – ბატონი ჩერმენი.

ოჯახის უძრავ ქონებას მხოლოდ ბატონი ჩერმენი ფლობს: საცხოვრებელ სახლს თბილისში, ლეჩხუმის ქუჩაზე (85 კვ. მ. ფართობის) და იმავე მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთს (120 კვ. მ. ფართობის).

დეკლარაციის მიხედვით, დასაქმებული მხოლოდ ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილია და მან 2012 წლის განმავლობაში, როგორც კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტმა 95 000 ლარი აიღო. თუმცა იმ წელს შემოსავალი ჰქონდა მის მეუღლეს – ქ-ნ შარაშიძეს, მას ჰონორარის სახით 80 000 ლარი მიუღია.

ჩვენ არ ვიცით, რა სახელფასო ანაზღაურება ჰქონდა ბ-ნ ხოკრიშვილს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობისას, თუმცა შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რა ოდენობის ხელფასს აიღებს, როგორც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრი, რაშიც დავით ნარმანიას ქონებრივი დეკლარაცია დაგვეხმარება. 2012 წლის 2 თვის განმავლობაში მან, როგორც ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრმა, ხელფასის სახით, 11 424 ლარი მიიღო, რაც წლიურად, დაახლოებით, 70 000 ლარამდეა, რაც იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას მაინც გვაძლევს, რომ შესაძლოა, ბ-ნი ხოკრიშვილის სამინისტრო ხელფასმა ვერ გაუწიოს კონკურენცია მის სახელფასო შემოსავალს კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის ექსპერტობისას.

**ნინო ხაჩიძე**

---

პლანეტა იუპიტერი შენზე მუშაობს, ადამიანი გაცილებით აქტიური და ენერგიული უნდა იყო და ეს მაქსიმალურად გამოიყენო. რაც შეიძლება, მეტი უნდა იყოს შეხვედრები, მოგზაურობები, კონტაქტები. ასეთ დროს ადამიანი შეძლებისდაგვარად არ უნდა გაჩერდეს, იმიტომ რომ, ხშირად არ ხდება ისე, როდესაც იუპიტერი გადის შენს ზოდიაქოს ნიშანში. ასე რომ, მე მოვუწოდებდი, კიდევ უფრო მეტად გააქტიურებისკენ და კიდევ ერთ რამეს აღვნიშნავდი: მაინცდამაინც არ მომწონს ივნისი არჩევნების პერიოდად, რადგან იმ დროს მზე გადის ტყუპების ზოდიაქოში. ტყუპებს კი საერთო არაფერი აქვს არც იდეოლოგიასთან, არც პოლიტიკასთან და თვითონ თვე, პოლიტიკური კუთხით, მაინცდამინც არ არის სასიკეთო და სასარგებლო. მაისის შუა რიცხვებში რომ ყოფილიყო არჩევნები, უფრო მეტ სტაბილურობას მოგვცემდა ურთიერთობებისა და პროცესების განვითარების კუთხით. ტყუპები გაორებული ნიშანია, ხან ერთ მხარეს იხრება, ხან – მეორე მხარეს და არ მგონია, სასურველი იყოს ასეთ არასტაბილურ პერიოდში ასეთი სერიოზული პროცესი – არჩევნები.

**– იმას ამბობთ, რომ არჩევნების ჩატარების დღე პოლიტიკურ პროცესებზე მოახდენს გავლენას?**

– რასაკვირველია, იმიტომ რომ ივნისში ტყუპების ენერგიაა მომძლავრებული. ეს ენერგია კი გასცემს ტყუპებისთვის დამახასიათებელ თვისებებს. მათ შორის, ტყუპები ყველაზე მეტად ქმნის პიარს. ეს პიარი კი შეიძლება, ტყუილზეც იყოს აგებული.

**– არჩევნებისთვის მისწრება ყოფილა ივნისი, რადგან, როგორც ამბობენ, არასდროს იტყუებიან ისე მწარედ, როგორც, მათ შორის, არჩევნების წინო.**

– ვისაც ტყუილი უყვარს, მათთვის მისწრებაა, ალბათ.

**– ეთავსებიან პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ზოდიაქოს ნიშნები ერთმანეთს?**

– პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის შეთავსება ხუთქულიანი სისტემით შეიძლება, შევაფასოთ ოთხიანზე. თუმცა ქალწული და კირჩხიბი არ არიან ანტაგონისტი ნიშნები. ბევრი საერთო თვისება აქვთ, ამიტომ მათი შეთავსება შესაძლებელია. თუმცა, ეს შეთავსება, მაქსიმუმ, შეიძლება, ავიდეს ოთხიანზე, მაგრამ არა – ხუთიანზე. ოღონდ მათ ურთიერთობაში ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა დეტალია: ჩარეულია ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც უარყოფითად ილაპარაკა მარგველაშვილზე და ეს უკვე მუხრუჭია პრემიერ-მინისტრისთვის, რომ უფრო დაუახლოვდეს პრეზიდენტს. ის პრეზიდენტს არ დაუახლოვდება ზედმეტად, თუნდაც, ბიძინა ივანიშვილის გამო.

**– თვითონ ბიძინა ივანიშვილისთვის, როგორც ბიზნესმენისთვის, როგორი წელია?**

– ნორმალური წელიწადია მისთვის. ვერ ვიტყვი, რომ ხუთიანზე, მაგრამ ეს წელიწადი მისთვის ოთხიანზე შეიძლება, იყოს. ყოველ შემთხვევაში, ის მშვიდად და წყნარად უყურებს რა ხდება, სადაც საჭიროა, მონაწილეობას იღებ. ზოგადად, ცუდი წელიწადი არ არის მისთვის.

**– გარდა არჩევნებისა, ივნისში მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიებაა დაგეგმილი: ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა, ტყუპების ნეგატიური თვისებები ამაზეც იმოქმედებს?**

– გარკვეულწილად, იმოქმედებს, მაგრამ ისე არა, როგორც არჩევნებზე, რადგან არჩევნები თავისთავად მეტ დაძაბულობას გულისხმობს, თუმცა აქ ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთთან ურთიერთობა. მე ვურჩევდი ჩვენს მთავრობას რუსეთთან უფრო აქტიურ ურთიერთობას დიპლომატიური ხაზით, რათა კარგად ავუხსნათ, რომ ასოცირების შეთანხმება მისთვის სახიფათო არ არის. საინტერესოა, რომ თანდათან მფარველი ანგელოზი ამერიკიდან გადმოდის ევროპა, რუსეთი, საქართველოს მხარეს და ეს რეგიონები უფრო მეტად და მეტად წარმატებულები გახდებიან. მათ შორის – რუსეთიც. ჩვენ უნდა გავაგებინოთ მათ, რომ გვინდა მეგობრული, კულტურული ურთიერთობა ევროპასთან. თავის დროზე, ელცინმა ასტროლოგ ლევინს დაავალა, შეერჩია რუსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის კარგი დრო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ლევინმა შეარჩია ისეთი პერიოდი, როდესაც პლანეტებს შორის ურთიერთობა არ იყო აქტიური, ჩვენ ამას ვუწოდებთ ვირტუალური უსამართლობის პერიოდს და სწორედ ამ დროს გამოცხადდა რუსეთის დამოუკიდებლობა. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს კოსმოსიდან მიეცა სრული უფლება, აკეთოს, რაც უნდა და ვერავინ ვერაფერს მოჰკითხავს 2016 წლამდე. მაგრამ 2016 წლიდან რუსეთი პირველად დაიწყებს გამოსვლას ამ ვირტუალური უსამართლობის ენერგეტიკული ზონიდან. შესაბამისად, რუსეთი პირველად დასვამს კითხვას: იქნებ რაღაცას არასამართლიანად ვაკეთებთ?! ამიტომ იქნება გაცილებით მეტი შანსი, რომ ურთიერთობები დალაგდეს.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 20 0 200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**მართალია, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ცალკე კანონის სახით არ არსებობს და ტერმინი „კარტელური გარიგებებიც“ „დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით“ ჩანაცვლდა, თუმცა რამდენიმე კანონში ცვლილება შევიდა, რამაც კონკურენციის ჯანსაღი წესები უნდა დაამკვიდროს ჩვენს ქვეყანაში, რასაც კონკურენციის სააგენტომ უნდა გაუწიოს კოორდინაცია (რომელიც 15 აპრილიდან ამოქმედდა). შეძლებს თუ არა ახლად შექმნილი სამსახური ამ ფუნქციის შესრულებას, ვის ეწოდება ქართულ ბაზარზე მონოპოლისტი (თუმცა კანონმდებლობა ასეთებს, მოფერებით, „დომინირებულ მდგომარეობაში მყოფებს“ უწოდებს) და რა შემთხვევაში აამოქმედებს კანონი მათ წინააღმდეგ საჯარიმო სანქციებს? – თემას ფარმაცევტული ბაზრის ჭრილში აფბას პრეზიდენტი ნოდარ ჭიჭინაძე განგვიმარტავს.**

# რის საფუძველზე აძვირებენ მოულოდნელად და ერთდროულად ფარმაცევტული კომპანიები ამა თუ იმ მედიკამენტს 150 პროცენტით და რა სანქციები ელოდებათ არასამართლიანი ფასების დაწესებისთვის კონკურენციის სააგენტოსგან

**– ახალი კანონმდებლობა არ კრძალავს მონოპოლიებს, თუმცა კრძალავს მონოპოლისტობის ბოროტად გამოყენებას, ბოროტად, ანუ?**

– კანონი არ კრძალავს ბაზარზე ამა თუ იმ კომპანიის დომინირებულ მდგომარეობას, უბრალოდ მან ბოროტად არ უნდა გამოიყენოს ეს მდგომარეობა. დომინირებულ მდგომარეობაში მყოფად მიიჩნევა კომპანია, თუ ფლობს ბაზრის 40 პროცენტზე მეტს, რაც არ ისჯება, მაგრამ, თუ ბოროტად გამოიყენებს თავის მდგომარეობას, მის წინააღმდეგ ამოქმედდება კანონით განსაზღვრული სანქციები. პირველ ჯერზე, თუ არ ვცდები, წინა წლის ბრუნვის 5 პროცენტი, განმეორების შემთხვევაში კი – 10 პროცენტი. დეფინიცია აგებულია დომინირებულ მდგომარეობაზე.

**– თუ 35 პროცენტი მიჭირავს ბაზრის, გინდა, ბოროტად გამომიყენებია ჩემი მდგომარეობა და გინდა – კეთილად?**

– ბაზრის წილზე არ არის დამოკიდებული სანქციები. ეს კანონი ეხება ყველას, ვინც გავლენას ახდენს კონკურენციაზე. რთულია ზღვრის გავლება და ვერ იტყვი ზუსტად, რომ, თუ 39 პროცენტი გაქვს, ვერ ახდენ გავლენას და, თუ 41 პროცენტი გაქვს – ახდენ. მთავარია, როგორ ახდენ გავლენას კონკურენციაზე. ამასთან, თუკი ერთი კომპანიის შემთხვევაში ბაზრის 40-პროცენტიან წილზეა საუბარი, თუ სამ კომპანიას უჭირავს ბაზრის 50 პროცენტზე მეტი და თითოეულის წილი არ არის 15 პროცენტზე ნაკლები, ესეც დომინირებულ მდგომარეობად ითვლება. 5 კომპანიის შემთხვევაში, თუ ისინი, ერთობლივად, ბაზრის 80 პროცენტს ფლობენ და თითოეული – არანაკლებ 15 პროცენტისა, ისინიც ამ კანონის გავლენის ქვეშ ექცევიან.



არ ვფიქრობ, რომ კომპანიებს უნდა შერჩეთ, თუნდაც, ერთი წამლის გაძვირება. მთავარია, დადგინდეს მიზეზი, რამ გამოიწვია ეს გაძვირება

**– ჯარიმას სამივე ან ხუთივე გაინაწილებს თუ თითოეული ცალ-ცალკე გადაიხდის წინა წლის წლიური ბრუნვის 5-5 ან 10-10 პროცენტს?**

– თუ სამი ფლობს ბაზრის ნახევარზე მეტს ან ხუთი ბაზრის 80 პროცენტს, დომინირებულად ითვლება თითეული მათგანი და რამდენიც დაარღვევს, იმდენი გადაიხდის ჯარიმას.

**– ჩვენი საუბრის მთავარი თემა ფარმაცევტული ბაზარია, თუ არ ვცდები, ამ ბაზარზე იკვეთება სამი კომპანია, რომლებსაც დომინირებული მდგომარეობა აქვთ, ანუ ფლობენ ამ სეგმენტის ნახევარზე მეტს.**

– ბოლო მონაცემები არ მაქვს, როგორი წილობრივი გადანაწილებაა, მაგრამ, ძირითადად, სამ კომპანიას: „ავერსს“, „პე ეს პესა“ და „ჯი პი სის“, უჭირავს ბაზრის მთლიანი მოცულობის ნახევარზე მეტი.

**– ფარმაცევტულ კომპანიებზე აქცენტს იმიტომ ვაკეთებ, რომ ჯანდაცვის საერთო ხარჯის 60 პროცენტი მოდის წამლებზე. მთლად ფარმაცევტულ კომპანიებსაც ვერ დავაბრალებთ, ექიმები იმაზე მეტ წამალს უწერენ პაციენტებს, ვიდრე სჭირდებათ. როგორ უნდა დადგინდეს ფასწარმოქმნაში ამ სამი კომპანიის შეთანხმებული მოქმედება? თუმცა ფაქტია, რომ წამალი ყველგან ერთი და იგივე ღირს და ფასდაკლებების დღეებიც კი დაინაწილეს.**

– ძალიან რთულია იმის თქმა, რამდენად არის ან არ არის შეთანხმებული მედიკამენტების ფასი, იმიტომ რომ ამ წლების განმავლობაში არ გვქონდა შესაბამისი სამსახური, რომელიც ამას დაადგენდა და იმიტომაც იყო ეს გაურკვევლობა. მუდმივად იყო საუბარი, რომ ფასები მაღალი და შეთანხმებულია, თუმცა ამის ოფიციალურად დადასტურება ვერ ხერხდებოდა. შესაბამისად, მეც მხოლოდ ეჭვები და ვარაუდები შემიძლია, გამოვთქვა, რაც არ იქნება დამყარებული ფაქტებზე. თუმცა შემიძლია, ვილაპარაკო იმ მეთოდზე, რითაც ჩვენ რამდენიმე წლის წინათ გამოვიკვლიეთ ფასწარმოქმნის მექანიზმები. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი შემდეგნაირი იყო: შემოსავლების სამსახურს გავუგზავნეთ წამლების ჩამონათვალი, რომლებიც შევარჩიეთ ფარმაცევტებთან კონსულტაციის შედეგად: ასი წამალი, რომელსაც ყველაზე მეტად მოიხმარდნენ საქართველოში და ვთხოვეთ, მოეწოდებინათ ინფორმაცია, რა ფასად დაფიქსირდა ეს წამლები საბაჟოზე, ასივე წამალზე არ იყო ინფორმაცია, მაგრამ დაახლოებით, 70-ზე მოგვაწოდეს და იყო შემთხვევები, როდესაც ფასნამატი ძალიან მაღალი გამოდიოდა. მაგალითად, წამლის ფასად საბაჟოზე ფიქსირდებოდა, პირობითად, ერთი ლარი, მაგრამ საცალო ქსელში ის გაცილებით ძვირად იყიდებოდა. მაშინ ფარმაცევტულ კომპანიებს ინტერნეტში ედოთ საცალო ქსელის ფრაის-ლისტები, თუმცა ახლა არც ერთს აღარ აქვს, თუ არ ვცდები.

**– არ ცდებით, აღარ აქვთ. მე შევამოწმე.**

– ვერ დავაკავშირებ პირდაპირ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევასთან, მაგრამ ფაქტია, რომ საცალო ქსელში მედიკამენტების ფრაის-ლისტი ინტერნეტში აღარ იძებნება. როდესაც საბაჟოდან მიღებული მონაცემები შევადარეთ ფრაის-ლისტებს, აღმოჩნდა, რომ ხშირად 10-ჯერ ძვირი ღირდა წამალი, ხშირად ნორმალური ფასნამატი იყო, მაგრამ, ძირითადად, ფასნამატის საშუალო მაჩვენებელი 150-დან 200 პროცენტამდე იყო, ანუ ერთ-ნახევარჯერ და ორჯერ ძვირად იყიდებოდა საქართველოში შემოტანილი წამალი. არ ვიცი, რა დანახარჯები ჰქონდათ ამ ფარმაცევტულ კომპანიებს ისეთი, რომ პროდუქტი მის ძირითად ფასზე ორჯერ ძვირად იყიდებოდა საცალო ქსელში.

**– თუმცა ჩვენთან ენერგეტიკაშიც ასეთი მდგომარეობაა: ელექტროენერგიის შეწონილი ფასი 4,5 თეთრია და განაწილების კომპონენტი მასზე მეტია.**

– განაწილების პროცენტი მთლიან ტარიფში, თუ არ ვცდები 70 პროცენტია, მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 20-დან 40 პროცენტამდე მერყეობს, მთავარი წონა მოდის გენერაციაზე, ჩვენთან კი, პირიქითაა, თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

რაც შეეხება მედიკამენტების ფასს: სულ ბოლო კვლევა ჩაატარა „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველომ“, რომელშიც მათაც, საშუალოდ, 150-პროცენტიანი ფასნამატი დაადგინეს, მას შემდეგ კვლევა არ ჩატარებულა და გართულდა კიდეც ამის შემოწმება. ერთადერთი საშუალება დარჩა, რომ შემოსავლების სამსახური მოგვაწვდის ინფორმაციას, რა ფასად დაფიქსირდა წამალი საბაჟოზე და შემდეგ აფთიაქები უნდა ჩამოვიაროთ და გავიგოთ, სად რა ღირს ესა თუ ის წამალი.

**– როგორია ფასნამატი განვითარებულ ქვეყნებში? იქნებ, მართლაც, აქვთ ფარმაცევტულ კომპანიებს ისეთი ხარჯი, რომ უფრო მეტი ფასნამატიც კი უნდა დაედოს მედიკამენტს?**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

– წამალს რომ თავი დავანებოთ, განვითარებულ ქვეყნებში, საშუალოდ, 40-პროცენტიანი ფასნამატი ზემოგებად ითვლება. თავისუფალი კონკურენციის პირობებში, მეტნაკლებად თავისუფალ კონკურენციას ვგულისხმობ. 40 პროცენტზე მეტი ფასნამატი წარმოუდგენელია. თუ კონკურენტული უპირატესობა გაქვს, შესაძლოა, 15-20-პროცენტიანი ფასნამატი დააწესო. როდესაც კონკურენტული ბრძოლაა, კონკურენტი ცდილობს, ნახევარი პროცენტით ნაკლები ფასნამატიც კი გააკეთოს, რომ უფრო მეტი მომხმარებელი მოიზიდოს. 150-პროცენტიანი ფასნამატის დროს, ჩემი აზრით, კონკურენციაზე ლაპარაკი ზედმეტია.

**– „ფარმადეპოსა“ და „ფარმაცენტრის“ შემოსვლამ რაღაც მცირე კონკურენციის ელემენტი მაინც არ შემოიტანა ბაზარზე?**

– სამწუხაროდ, ერთმანეთში მერევა ხოლმე, მაგრამ, თუ არ ვცდები, „ფარმაცენტრი“ თავად „პე ეს პემ“ შექმნა, რომ კონკურენცია გაეწია იაფიანი სეგმენტისთვის.

**– „ქოლგეითისა“ და „ბლენდამედის“ არ იყოს, რომლებსაც ერით და იგივე მწარმოებელი ჰყავთ და ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, როდესაც, ნებისმიერ შემთხვევაში, ის ერთადერთი მწარმოებელი რჩება მოგებული?**

– კონკურენციაში შევიდა საერთოდ ახალი ქსელით, იმიტომ რომ წამალი ისეთი პროდუქტია, რომელსაც სიამოვნებისთვის არავინ ყიდულობს, მისი შეძენა უბრალოდ აუცილებელია. ეს დიდ შანსს აძლევს ფარმაცევტულ კომპანიებს. „ფარმადეპოს“ შემოსვლის შემდეგ ერთ-ერთმა კომპანიამ მისი კონკურენტი შექმნა დაბალფასიან სეგმენტში, თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, საკმაოდ არაკეთილსინდისიერი ბრძოლის მეთოდებს იყენებდნენ „ფარმადეპოს“ წინააღმდეგ. მაგრამ დღეს უკვე ყველას თითქმის ერთნაირი ფასი აქვს. ფაქტია, რომ წაგებაზე არც ერთი კომპანია არ არის ორიენტირებული და „ფარმადეპოსთვის“ ხელსაყრელი იყო ის დაბალი ფასები, რომლებითაც ბაზარზე შემოვიდა. ეს, თავისთავად, გვიქმნის წარმოდგენას, თუ რა ოდენობის ფასნამატები ჰქონდათ დანარჩენებს. თუ „ფარმადეპოს“ ის დაბალი ფასები უტოვებდა მოგებას, ამით ფარდა აეხადა იმას, რომ ის კომპანიები, რომელიც მანამდე იყვნენ ფეხმოკიდებულები ბაზარზე, ზემოგებას იღებდნენ.

**– კონკურენციის სააგენტოს ევალება კომპანიის მიერ თავისივე კონკურენტის შექმნის გამოვლენა თუ ეს დასაშვებია?**

– ნებისმიერი ურთიერთობა ორ კომპანიას შორის, რომელიც აისახება კონკურენციაზე, ის იქნება კომპანიების შერწყმა, შვილობილი კომპანიის შექმნა, ერთი და იმავე პარტნიორის მიერ სხვადასხვა კომპანიაში მოღვაწეობა, ექცევა ამ კანონის მოქმედების ქვეშ და განისაზღვრება სანქციები მათ წინააღმდეგ, თუ მათი საქმიანობა გასცდება კანონს და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შემცველი იქნება.

**– ერთ-ერთი არცთუ მნიშვნელოვანი წამალი რომელსაც მუდმივად ვიღებ, უცებ 100 პროცენტით გაძვირდა. კონკურენციის სააგენტოს ეხება ფასების საკითხი: ის ჩაერევა ფასწარმოქმნის მექანიზმში? ცნობილია, რომ ზოგიერთ მედიკამენტზე ფასტნამატი 700-800 პროცენტს შეადგენს. წამლის ფასებზე როგორ აისახება კონკურენციის სააგენტოს შექმნის ფაქტი?**

– კონკურენციის სააგენტოს გაუჭირდება ყველა ასეთი ფაქტის მონიტორინგი, რომ გადაცდომა, როგორც კი მოხდება, მაშინვე შეისწავლოს. ანუ ზემოდან ამის კონტროლი ძალიან რთული იქნება და ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი, თუნდაც, მომხმარებლის აქტიურობაა, რომ მსგავსი ფაქტები მიაწოდოს კონკურენციის სააგენტოს, იმიტომ რომ მას უკვე აქვს უფლება განახორციელოს ბაზრების მონიტორინგი, მიმართოს კომპანიებს, მოითხოვოს მათგან ნებისმიერი ტიპის დოკუმენტაცია; აქვს უფლება, თუ ჩათვლის, რომ ირღვევა კონკურენცია, მიმართოს სასამართლოს, რათა დროებით შეაჩეროს კიდეც კომპანიის საქმიანობა. ისეთი ბერკეტები აქვს, რომ, ვფიქრობ, თავად კომპანიებს ცოტა არ იყოს შეეშინდებათ, წავიდნენ რამე ტიპის გადაცდომაზე, თუ, რა თქმა უნდა, კორუფციულმა ფაქტორმა არ იმუშავა და სააგენტომ დამოუკიდებლად იმოქმედა. როდესაც საკმაოდ მძიმე სასჯელი ელით, კომპანიებიც უფრო შეიკავებენ თავს. რაც შეეხება ცალკეული წამლის ფასის გაორმაგებას, რაც თქვენ თქვით, თუ ეს ერთ კონკრეტულ წამალს ეხება, შეიძლება, თვითონ მწარმოებელმა გააძვირა ან სხვა მიზეზია. თუმცა არ ვფიქრობ, რომ კომპანიებს უნდა შერჩეთ, თუნდაც, ერთი წამლის გაძვირება. მთავარია, დადგინდეს მიზეზი, რამ გამოიწვია ეს გაძვირება.

**– რამდენად ეფექტიანი და მოქნილია კონკურენციის სააგენტოს სტრუქტურა, რომ უზრუნველყოს მის ხელთ არსებული საშუალებებით მეტ-ნაკლებად ნორმალური კონკურენციის პირობების შექმნა? 150-პროცენტიანი ფასნამატი უკვე ნიშნავს, რომ კონკურენცია მახინჯია. კერძო კომპანიები უნდა გამდიდრდნენ, მაგრამ, ალბათ, არა მომხმარებლის გალატაკების ხარჯზე.**

– საბოლოო ჯამში, ხომ კონკრეტულ მექანიზმებამდე უნდა მივიდეთ? გასაგებია, თუ რა არის ეს დომინირებული მდგომარეობა, მაგრამ რა ითვლება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად?! როდესაც კომპანიას ბაზრის 50-პროცენტიანი წილი უჭირავს, როგორც ეს კანონში წერია, არ შეიძლება დისკრიმინაციულად დააწესოს ფასი და მთელი რიგი შესყიდვისა და გასყიდვისას იხელმძღვანელოს არასამართლიანი ფასებით, მაგრამ რა არის ეს არასამართლიანი ფასი?! ეს არსად არ არის განსაზღვრული. 100-პროცენტიანი ფასნამატი ითვლება უსამართლოდ თუ უფრო მეტი ან ნაკლები?! საბოლოოდ, რაზე უნდა შევედავოთ კომპანიას, რატომ აქვს 50-პროცენტიანი ფასნამატი თუ რატომ აქვს 100-პროცენტიანი ფასნამატი?! კანონი არ განსაზღვრავს ზღვარს და, აქედან გამომდინარე, გაუგებარია, როგორ უნდა გამოიკვეთოს კომპანიის დანაშაული. მსგავს მექანიზმს ვერ ვხედავ ვერც კანონში და ვერც დებულებაში, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა. ის სხვადასხვა კანონიდანაა გადმოწერილი და კონკრეტული თემები განხილული არ არის. შეიძლება, შემდგომში შეიქმნას რაღაც დებულებები და კანონქვემდებარე აქტები, თუმცა ჯერჯერობით ეს არ არსებობს და არც ის მექანიზმი, რითაც უნდა გამოავლინონ, კონკრეტულად რა გადაცდომა აქვს ამა თუ იმ კომპანიას. სააგენტო გვაქვს, კანონი გვაქვს, მაგრამ აღსრულების მექანიზმი არ არის, ამიტომ წელს რაიმე უმნიშვნელო სიახლეც კი არ იქნება. ანუ წლევანდელი წელი დაკარგულია და მომავალი წლებიც დაკარგული აღმოჩნდება, თუ არ შეიქმნება პირობები საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად შეისწავლოს სხვადასხვა ბაზარი. აქ დაფინანსების საკითხსაც უნდა შევეხოთ: წელს 680 000 ლარია გათვალისწინებული სააგენტოს მუშაობისთვის. ეს დაფინანსება ხელფასებზეც არ ეყოფათ. ყველა ამ მიმართულებით უფრო მეტი ყურადღებაა გასამახვილებელი, რომ მომავალი წლიდან მაინც ამოქმედდეს მექანიზმები, რათა კომპანიებმა რეალურად დაინახონ, რომ მუშაობს სააგენტო და მათი შიში იყოს რეალური, რომ, თუ დაარღვევენ კანონს, მიიღებენ სათანადო სასჯელს.

**ნინო ხაჩიძე**

# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

*კითხვებს პასუხობს „ჰეალაინის“ პლასტიკური ქირურგი, მედიცინის დოქტორი დეა პაპასკირი.*



**კითხვა: მაქსიმუმ რა რაოდენობის თმის გადანერგვა შეიძლება ერთი ოპერაციით და რამდენ ხანს ნარჩუნდება ეფექტი?**

**პასუხი:** კლინიკის ექიმებისა და სამედიცინო დების მაღალი კვალიფიკაცია, უახლესი ატრავმატული ტექნოლოგიები თმის გადანერგვაში და თანამედროვე აპარატურის გამოყენება საშუალებას გვაძლევს, გადავნერგოთ თმა დიდი მოცულობის სიმელოტის დასაფარად – ერთ სესიაზევე (5 000 გრაფტი = 11 500 ფოლიკულსა და მეტს). პროცედურის ხანგრძლივობა მოიცავს 2-5 საათს. ეფექტი ნარჩუნდება სამუდამოდ – გადანერგილი თმა არასოდეს ცვივა.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, თმის გადანერგვას მოჰყვეს რამე გართულება, ან, თუ აქვს აკრძალვა რაიმე დაავადების შემთხვევაში, მაგალითად, შაქრიანი დიაბეტის დროს?**

**პასუხი:** თმის გადანრგვის უკუჩვენებად შეიძლება მივიჩნიოთ: ადგილობრივი ანესთეზიის მიმართ ალერგია; სისხლის შედედების დარღვევები (ჰემოფილია); მემკვიდრეობითი შაქრიანი დიაბეტი (ინსულინდამოკიდებული); კანის დაავადებები თმიანი საფარველის არეში, გამწვავების ფაზაში (მწვავე ჩირქოვანი ანთებითი პროცესი).

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**საუკუნის დასაწყისში, ჩვენი თანამემამულე ილია მჭედლიანი ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან დაახლოებულ და ნათესაურ კავშირში მყოფ საგვარეულოს მომხიბვლელ წევრზე, აიონა მაკლარენზე დაქორწინდა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც აიონას მამა, დონალდ მაკლარენი, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გახლდათ საქართველოში.**

**მაკლარენების ოჯახს ძალიან საინტერესო ისტორია აქვს: შოტლანდიის ხაზით ისინი ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან არიან დაკავშირებულნი. ცნობილია, რომ შოტლანდიის მეფეს ოთხი შთამომავალი ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანისგან, მეფე ლორნ მორისგან (მეექვსე საუკუნე) მომდინარეობს მაკლარენების შტო. დღესდღეობით მაკლარენები დაიქსაქსნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ერთმანეთთან კავშირს არ წყვეტენ. გვარის უფროსობა მაკლარენებში მამიდან შვილზე გადადის. ამჟამად მაკლარენების გვარის კლანის მეთაური ილიას სიმამრი, დონალდ მაკლარენი გახლავთ. თუ როგორ მიდის მაკლარენებისა და მჭედლიანების თანაცხოვრება ერთ ჭერქვეშ, რა ღირებულებებით ზრდიან ისინი შვილებს, სად ცხოვრობენ ამჟამად და საბოლოოდ სად აპირებენ დამკვიდრებას, ამის შესახებ ჩვენს ინტერვიუში ილია მჭედლიანი გვესაუბრება.**

# რატომ არის მაკლარენების საგვარეულო გერბზე გამოსახული ქალთევზა და რას გვიამბობს ამის შესახებ მათი ქართველი სიძე ილია მჭედლიანი

**– ილია, როგორ ხართ, როგორ ცხოვრობთ ერთ ჭერქვეშ სამი მჭედლიანი და ერთი მაკლარენი?**

– ბრიტანეთში ვცხოვრობთ, ქალაქ სტერლინგის მახლობლად, გარეუბანში. მოგეხსენებათ, ბრიტანული ჰავისთვის დამახასიათებელი მთავარი ნეგატიური ფაქტორი ხშირი წვიმაა. მიუხედავად ამისა, აქაური ბუნება მაინც ძალიან ლამაზია. ჩვენი სახლი ლოხჰ ვოილთან ახლოსაა, სადაც ხშირად ვაწყობთ პიკნიკებს ბავშვებთან ერთად. ბუნებასთან სიახლოვე და სუფთა ჰაერი აუცილებელია, მით უმეტეს, პატარებისთვის. ოჯახში ძალიან დიდ დროს ვატარებ. ძიძა არ გვყავს, ვინაიდან, არ ვემხრობი ამ ბოლო დროს „პრესტიჟულად" მიჩნეულ ტრენდს. მშობელი უნდა ეცადოს, ოჯახს დაუთმოს მეტი დრო და უშუალოდ თავად იზრუნოს შვილებზე, თუ, რა თქმა უნდა, გარემოებები ამის საშუალებას იძლევა. პირადად მე, თუ მათთან ერთად არ ვარ, ან ვმუშაობ, ან ვხატავ.

**– გავიგე, რომ ხატვა თქვენს უფროს შვილსაც ჰყვარებია. ანა, ალბათ, უკვე დიდი გოგონაა.**

– ანა უკვე 6 წლისაა. ძალიან დამჯერი და ბეჯითი გოგოა, პატარა ძმისგან განსხვავებით. უკვე წელიწადია, რაც ადგილობრივ სკოლაში დადის. ძალიან უყვარს კითხვა და ხატვა. როგორც წესი, ამ ასაკში ყველა ბავშვს აქვს განსაკუთრებული ინტერესების სფერო. ანას შემთხვევაში ეს დინოზავრები და დროში მოგზაურობის კონსეფტია. ასევე, ძალიან ხიბლავს ზღაპრები სირინოზებზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ, დედამისის გვარის – მაკლარენის წარმოშობა სირინოზებთანაა დაკავშირებული.

**– რა კავშირი აქვს მაკლარენების საგვარეულოს სირინოზებთან?**

– ამ ლეგენდის თანახმად, ძალიან დიდი ხნის წინ, ლოხჰ ვოილში (ტბა) ცხოვრობდა მისტიკური არსება – ქალთევზა. ეს ტბა მდებარეობდა მიწაზე, სახელად „ალბა". ამ ქალთევზას მოკვდავი კაცი შეუყვარდა და სწორედ მათი სიყვარულის ნაყოფი იყო პირველი მაკლარენი. ეს მოსაზრება დღემდეა შენარჩუნებული და მაკლარენების საგვარეულო გერბზეც ნათლად არის ასახული. ძალიან ლამაზი ლეგენდაა. ანას სჯერა, ახარებს და ეამაყება ის ფაქტი, რომ ქალთევზა წინაპარი ჰყავს.

**– მეორე შვილის შესახებ რას მიამბობთ, როგორც ვიცი, ის მამათქვენის მოსახელეა?**

– ჰო, ასეა. ქართულად რომ ვთქვათ, გია არის კაცური კაცი ***(იცინის)*** თუმცა, ცელქი და თავნებაა. ის 2 წლისაა, სამის აგვისტოში ხდება. გიას უყვარს წესრიგი, რაც სათამაშოებთან მისეული „ურთიერთობით" გამოიხატება.

**– რას გულისხმობთ?**

– დილას, როგორც კი გაიღვიძებს, მაშინვე გადის სათამაშო ოთახში და ზომისა და ფერების მიხედვით ალაგებს თავის მანქანებს, მათ შორის იცავს სიმეტრიას და, თუ შემთხვევით ვინმე (რა თქმა უნდა, ეს „ვინმე" ანაა), არევს მის მიერ შექმნილ „ჰარმონიულ" წყობას, იმ დღეს კონფლიქტი ოჯახში გარდაუვალია ***(იცინის).*** გია ცოტა ბრაზიანიც არის და ბუტიაც.

**– მართლა? მერე როგორ ირიგებთ ხოლმე?**

– მანქანებზე ლაპარაკი და ის წიგნები უყვარს, რომლებშიც მანქანები ხატია. გადმოვიღებთ თუ არა წიგნს, მაშინვე ხასიათი ეცვლება და ჩვენ გვერდით მოკალათდება, თუმცა, მაინც არ არის ხოლმე ბოლომდე კმაყოფილი. ასეთი საინტერესო ხასიათი აქვს. მეუღლეს ცოტა ეშინია, სიმკაცრისკენ მომიწოდებს, მაგრამ, არ შემიძლია, ვათამამებ.

**– ქართულ ენას თუ ფლობენ თქვენი ოჯახის წევრები?**

– ვინაიდან უკვე მეორე წელია, რაც აქ ვცხოვრობთ, ბავშვები ძირითადად ინგლისურად მეტყველებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ვცდილობთ, ქართულადაც ვესაუბროთ. ამ მიზნით თამაშებიც მოვიფიქრეთ, რადგან, წამიკითხავს, რომ ამ ასაკში ბავშვები თამაშით უკეთ ითვისებენ. სხვათა შორის, ამაში უკვე თავადაც დავრწმუნდი. აიონას რაც შეეხება, ის რამდენიმე ენას ფლობს და მათ შორის, სრულყოფილად იცის ქართული წერა-კითხვა, მხოლოდ ზოგიერთი თანხმოვნის წარმოთქმისას აქვს პრობლემები.

**– თქვენი და აიონას საქმიანობაზეც მიამბობთ?**

– სიამოვნებით. ჩემს საქმიანობას რაც შეეხება, მე, როგორც საქართველოში, ასევე აქაც,



**ქართულად რომ ვთქვათ, გია არის კაცური კაცი, თუმცა, ცელქია და თავნება**

ფინანსურ სფეროში ვმოღვაწეობ. ბოლო პერიოდში კერძო საქმის დაწყებას ვფიქრობ რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად. ჩემი მეუღლე კი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სწავლობს სტერლინგის უნივერსიტეტში. მინდა გიამბოთ, რომ, სულ ცოტა ხნის წინ, ამ უნივერსიტეტში ჩატარდა ლექცია – „უახლეს ისტორიაში არაეთიკური/სამარცხვინო ჟურნალისტიკის მაგალითები" და პირველ მაგალითად მოყვანილი და განხილული იქნა საქართველოში, 2008 წელს, მაშინდელი ხელისუფლების დაკვეთით, ჟურნალისტების მიერ უსიტყვოდ შესრულებული იმიტირებული გადაცემა. ალბათ, ხვდებით, რომელი შემთხვევაც იგულისხმება ამ მაგალითში. ეს ძალიან არასასიამოვნო ფაქტია. იმედია, მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდება არც საქართველოს და არც ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში და ამის შემდეგ მხოლოდ დადებითი მაგალითებით წარმოჩინდება ქართული ჟურნალისტიკა და, საერთოდ, საქართველო.

**– ბოლოს როდის იყავით ჩამოსული საქართველოში?**

– გული მწყდება, ვერ ვახერხებ საქართველოში ხშირად ჩამოსვლას, მაგრამ, ვცდილობ მედიისა და ინტერნეტსივრცის საშუალებით ვადევნო თვალყური ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს

**– და მანდედან, რა გეჩვენებათ ყველაზე თვალშისაცემად?**

– სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს შეინიშნება ტრადიციებისა და ტრადიციულობის ნეგატიური კუთხით წარმოჩენა. მე ვფიქრობ, რომ ტრადიცია არის მორალური და ზნეობრივი ნორმების დროის განმავლობაში ჩამოყალიბება, რაც ქართული კულტურისა და თვითმყოფადობის განუყრელი ნაწილია. ხშირად ადარებენ საქართველოს მუხის ხეს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და კვლავ ამაყად დგას. მავნებლური შეხედულებების პროპაგანდისტები ამ მუხის ხეზე მომართულ ნაჯახს მინდა შევადარო. რაოდენ სამწუხაროა, რომ ეს ნაჯახი ქართულია, მაგრამ, მკლავი, რომელიც ამ ნაჯახს იქნევს, არაა ქართული!

მეც ტრადიციების დამცველი ადამიანი ვარ, ჩემი მეუღლეც და ჩვენი შვილებიც ტრადიციულად იზრდებიან. ჩემი სიმამრი, რომელიც მაკლარენების ბელადი, ეგრეთ წოდებული, გვარის მეთაურია, დროსა და ენერგიას არ იშურებს, რომ დღემდე მოტანილი ტრადიციები, თავისი ისტორიით, შენარჩუნებულ იქნეს და მომავალ თაობებს გადაეცეს. ამ მიზნით გამუდმებით დადის ღონისძიებებზე, სადაც ხვდება მაკლარენების კლანის სხვადასხვა საზოგადოებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**– უამბეთ ჩვენს მკითხველებს თქვენს სიმამრზე, ბატონ დონალდ მაკლარენზე.**

– დონალდი ძალიან ერთგული პიროვნებაა, როგორც პირად ურთიერთობებში, ისე საქმეში და, მიუხედავად იმისა, რომ ის დღეს საქართველოში ელჩი აღარაა, მაინც აქტიურად გულშემატკივრობს ჩვენს ქვეყანას. მაგალითად, ამ ბოლო დროს, უკრაინაში განვითარებული მოვლენების პერიოდში, დონალდი არაერთხელ იყო მიწვეული ბრიტანულ ტელევიზიებში და, მან, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეახსენა საზოგადოებას საქართველოში არსებული, ამ დრომდე, უცვლელი ოკუპაციური მდგომარეობა და პარალელები გაავლო უკრაინაში არსებულ დღევანდელ სიტუაციასთან.

**– ამჟამად რას საქმიანობს ბატონი დონალდი?**

– ამ პერიოდში რამდენიმე პროექტზე მუშაობს, რის გამოც ხშრად უწევს უცხოეთში სიარული. აგრეთვე, მას აქვს კომპანია, სადაც მასტერკლასებს უტარებს წარმატებულ პოლიტიკოსებს, ასწავლის მათ სწორად საუბარსა და მიმართვას გამოსვლების დროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკაში, ისე ბიზნესის სფეროში. უნდა იცოდე, როგორ მოიქცე, როდესაც გამოდიხარ სიტყვით ან მიდიხარ მოლაპარაკებაზე; რაზე მოახდინო კონცენტრაცია, როგორ გამოხატო ის, რისი თქმაც გინდა.

**– ხშირად ხვდებით ხოლმე?**

– საკმაოდ, ძირითადად, ოჯახურ ვახშმებზე. ვაწყობთ ხოლმე ქართულ საღამოებს თავისი სადღეგრძელოებით, პურმარილებითა და ღვინით, სადაც ვპატიჟებთ დონალდს, მის მეუღლეს –

**ბოლო დროს, ქართველი მომღერლები აქტიურად გამოდიან უცხოურ შოუ-კონკურსებში და წარმატებებსაც აღწევენ. ეს რასაკვირველია, ყველა ჩვენგანისთვის საამაყო და დასაფასებელია. კომპოზიტორი, პროდიუსერი და მომღერალი ბრენდონ სტოუნი, უკვე წლებია, გერმანიაში ცხოვრობს. თუმცა, ხშირად დადის უცხოეთის ბევრ ქვეყანაში და კონცერტებს მართავს, სადაც ამაყად ამბობს, რომ თბილისელია და მისი ფესვები საქართველოშია. ის, კონკურს „ახალი ტალღის" საუნდ-პროდიუსერია და როგორც თავად ამბობს, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს, როცა სცენაზე ქართველი კონკურსანტი დგას. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს, ამ კონკურსზე ბრენდონის აღმოჩენილმა ორმა უცხოელმა მომღერალმა საპრიზო ორი ადგილი მოიპოვა. თუმცა, რატომ არ ეძებს ის კონკურსანტებს თავის სამშობლოში, რას გეგმავს ბათუმში და როგორია მისი აზრი წლევანდელი „ახალი ტალღის" ქართველ კონკურსანტებზე, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რა შანსები აქვთ „ახალი ტალღის" კონკურსზე ნოდარ რევიას, ნუცა ბუზალაძესა და ბრენდონ სტოუნის ლიტველ აღმოჩენას, მონიკას

**ბრენდონ სტოუნი**: ყოველთვის მიხარია ჩემს სამშობლოში კონცერტის გამართვა. ამ დროს განსხვავებულად ძგერს გული, სულ სხვა ემოცია მოდის დარბაზიდან და ხვდები, რომ ეს ის ადგილია, სადაც განსაკუთრებულად, მშვიდად გრძნობ თავს. ახლაც, 11 მაისს ბათუმში ჩავატარებ საქველმოქმედო კონცერტს, სადაც ჩემს გვერდით იქნება, გასული წლის „ახალი ტალღის" კონკურსის გამარჯვებული, ჩემი აღმოჩენილი კუბელი მომღერალი, რობერტო დელტორესი. ძალიან მიხარია, რომ ჩემს სამშობლოში ჩამოვალ და ამისთვის განსაკუთრებით ვემზადები. ერთი წელია, აღარ ვყოფილვარ და ძალიან მომენატრეთ. სხვათა შორის, გამოვიდა ჩემი პირველი სინგლი რუსეთში, რომელსაც ჰქვია, „მხოლოდ შენ ერთს". ძალიან მოსწონთ ეს სიმღერა და უკვე გაჰიტებული, ყველა რუსეთის არხზე ტრიალებს.

**– ბოლო დროს, ხშირად მართავ კონცერტებს მოსკოვში. ხომ არ აპირებ გერმანიიდან რუსეთში საცხოვრებლად გადასვლას?**

– რუსეთში ძალიან ბევრ ცნობილ მომღერალს ვუწერ სიმღერას, თან, კონცერტებიც ხშირად იმართება და ამის გამო, ხშირად მიწევს იქ ჩასვლა. თორემ საცხოვრებლად საქართველოში მირჩევნია ჩამოსვლა და რუსეთში ნამდვილად არ ვაპირებ გადასვლას. გერმანიაში სტაბილურად ვარ. ჩემი ბარი მაქვს, ხმის ჩამწერი სტუდიაც და ოჯახიც აქეთაა. ასე რომ, გერმანიაში კარგად მოვეწყვე, საქმეც აწყობილი მაქვს და ოჯახიც. რუსეთშიც ხშირად მიწვევენ და სხვა ქვეყნებშიც. ბედს არ ვუჩივი, გამიმართლა.

**– იურმალის კონკურს „ახალი ტალღის" საუნდ-პროდიუსერი ხარ და ამ კონკურსზე, ყოველ წელს სიურპრიზებს სთავაზობ მსმენელსა და ჟიურის წევრებს, სხვადასხვა ქვეყანაში შენი აღმოჩენილი ახალი მომღერლებით, რომლებიც წარმატებებს ყოველთვის აღწევენ და საპრიზო ადგილებს იყოფენ. წელს თუ გყავს შერჩეული ახალი კონკურსანტები?**

– წელს ვისვენებ *(იცინის).* შარშან პირველი და მესამე ადგილი აიღო ჩემმა ორმა აღმოჩენილმა მომღერალმა. წელს კი ფორას ვილებ, პატარა ტაიმაუტს. თუმცა, არაჩვეულებრივი გოგონა, მონიკა, რომელიც ამ კონკურსზე გამოდის ლიტვის სახელით, ჩემს სიმღერას მღერის. ლიტველი მომღერლების პროდიუსერებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. რაც „ევროვიზიაზე" ჩემი სიმღერა მოისმინეს, მას შემდეგ მიგზავნიან სიმღერებს და ჩემი შეფასების შემდეგ გააქვთ ის ფართო, ლიტველი აუდიტორიის წინაშე. მონიკას „ახალ ტალღაზე" გასვლაც ჩემი ინიციატივა იყო და ვნახოთ, რას იზამს. მე დიდი იმედი მაქვს.

**– თითქმის ყველა ქვეყანაში ეძებ ტალანტ მომღერლებს – კუბაში, ლიტვაში, რუსეთში, გერმანიაში და ასე შემდეგ. ცოტა არ იყოს, მიკვირს, საქართველოში რატომ არ აკეთებ ამას და არ გაგყავს ქართველი მომღერლების ახალი თაობა კონკურსებზე?**

– ვიცოდი, ამ კითხვას რომ დამისვამდით. გეტყვით რომ, საქართველოში, საკმაოდ მაღალი დონის ტურები ტარდება, სადაც ყველა მომღერალს შეუძლია, გააგზავნოს მონაცემები, სცადოს ბედი და გაიაროს შესარჩევი ეტაპები. მაგალითად, წელს, ალექსანდრ რევზინი, ნასტია მუხინა და ვალერი მელაძე იყვნენ ჩამოსული, რომ ქართველი კონკურსანტი აერჩიათ „ახალი ტალღის" კონკურსისთვის. მე კონცერტი მქონდა და ამის გამო, ვერ მოვახერხე ჩამოსვლა. თუ მკითხავთ, საქართველოში მოძებნაც არ უნდა მომღერალს, რომელიც ნებისმიერ საერთაშორისო კონკურსზე გვასახელებს, თანაც ეს ყველაფერი ლეგალურად და კომპეტენტურად ხდება. თან, ვიცი, რომ ყველა მომღერალს თავისი პროდიუსერი ჰყავს. თუმცა, თუ დახმარებას მთხოვენ, დიდი სიამოვნებით დავეხმარები. მაგრამ, ჯერჯერობით, არავის მოუმართავს დახმარებისთვის. მგონი, არც სჭირდებათ, რადგან არ ყოფილა შემთხვევა, ქართველი კონკურსანტი უცხო ქვეყანაში ნახევარფინალში მაინც არ გასულიყო.




**შარშან პირველი და მესამე ადგილი აიღო ჩემმა ორმა აღმოჩენილმა მომღერალმა „ახალ ტალღაზე". წელს კი ფორას ვილებ, პატარა ტაიმაუტს**

**– ბრენდონ, წელს „ახალი ტალღის" კონკურსზე, რუსეთის სახელით ქართველი მომღერალი წარდგება ჟიურის წინაშე – ნოდარ რევია. მას თუ იცნობ პირადად და რა შანსებს უწინასწარმეტყველებ გამარჯვების თვალსაზრისით?**

– პირადად არ ვიცნობ ნოდარს, თუმცა რუსეთის „ახალი ხმის" კონკურსზე ვნახე და მოვუსმინე. საკმაოდ კარგი გარეგნობა აქვს და ძლიერი ტემბრი. უხდება სცენას, როგორც ვიზუალურად, ასევე ვოკალური თვალსაზრისით და მიმაჩნია, რომ კარგი შანსი აქვს „ახალი ტალღის" კონკურსზე მაღალი ქულები აიღოს. ტალანტიც აქვს, ხმაც და გარეგნობაც. ანუ, ერთობლიობაში, საკმაოდ ძლიერი ბიჭია. უბრალოდ, მე თუ მკითხავს, ვურჩევ, როგორც პროდიუსერი და უბრალოდ, მაყურებელი, ნუ იქნება ზედმეტად თავდაჯერებული. სცენაზე რომ დგას, ხვდები, რომ საკუთარი თავი ძალიან უყვარს და რასაც აკეთებს, დარწმუნებულია, უნაკლოდ გამოსდის. ძალიან ამაყია. ასეთი უნდა იყოს მომღერალი, მაგრამ ნოდარს ეს ძალიან დიდი დოზით აქვს. თუ უნდა, უფრო მეტად დაიპყროს პუბლიკა, ვურჩევ, ცოტა სიამაყეს დაუკლოს *(იცინის).*

**– როგორ ფიქრობ, ქართველი რომ გამოდის რუსეთის სახელით იურმალაში, ეს ხელს ხომ არ შეუშლის გამარჯვებაში?**

– სიმართლე გითხრათ, ვფიქრობდი, რომ რუსეთის სახელით არ გაიყვანდნენ სცენაზე და საქართველოს სახელით იბრძოლებდა, მაგრამ რადგან ნოდარი აირჩიეს, ესე იგი, მას ენდობიან და სჯერათ მისი გამარჯვების. თუ კარგად იმღერა და მაქსიმალურად გამოავლინა თავისი მონაცემები სცენაზე, ჟიური ამას დაუფასებს და წარმომავლობა ხელს არ შეუშლის, ქართველი გახდეს რუსეთის სახელით გამარჯვებული. ასე რომ, მზადება დაწყებულია და ვნახოთ, რა იქნება, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. აი, ქართველი მომღერალი, ნუცა ბუზალაძე, რომელიც საქართველოს სახელით გამოდის, ძალიან მომეწონა, ნიჭიერი, სენსაცია გოგოა და საკმაოდ კარგი მონაცემები აქვს. ძალიან მაგარი გოგოა და ვფიქრობ, ზუსტად ჯდება „ახალი ტალღის" კონკურსის ჩარჩოებში. იმედი მაქვს, ნუცაც იგივე შთაბეჭდილებას მოახდენს იურმალის ჟიურის წევრებზე, რასაც სხვა ქართველი კონკურსანტები ახერხებდნენ. მე მას ვგულშემატკივრობ და თუ ჩემი დახმარება დასჭირდება, მზად ვარ. მინდა, იცოდეს, რომ გვერდით ვუდგევარ. ბოლოს და ბოლოს, ორივე ქართველები ვართ.

**– სიმართლე მითხარი, ვის უფრო უგულშემატკივრებ, შენს ახალ აღმოჩენას, ლიტველ მონიკას, ქართველ ნუცას თუ რუსეთის სახელით გამოსულ, ასევე, ქართველ ნოდარს?**

– მე ყოველთვის იმის გულშემატკივარი ვარ, ვინც კარგად მღერის და ტალანტი აქვს. მონიკა, ნუცა და ნოდარიც, სამივე ჩემია და ეროვნებას არ აქვს მნიშვნელობა. სამივეს გამარჯვება გამიხარდება. ისე კი, გამოგიტყდებით და, გული მაინც ქართველებისკენ მიმიწევს *(იცინის).*

**ნონა დათეშიძე**

---

მეიდას და მათ შვილებს. ძალიან მოგვწონს ასეთი თავშეყრები. მოსწონთ საქართველო და ქართული ტრადიციები, რომლის მსგავსიც არ არის აქ.

**– საბოლოოდ, სად ფიქრობთ მუდმივად დამკვიდრებას?**

– მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს მოვიაზრებთ ყოველთვის და, მინდა გითხრათ, რომ ჩემი მეუღლე, ჩემზე მეტად აქტიურობს ამ გადაწყვეტილების სრულყოფაში მოსაყვანად. აიონას აზრით, ქართული სული და აზროვნება რეალობას სწორად აღიქვამს და, საერთოდაც, საქართველო სულიერად მდიდარი ქვეყანაა.

**– ბრიტანეთის სამეფო ოჯახისა და მაკლარენებს შორის ურთიერთობაზეც მიამბეთ ორიოდ სიტყვით. იქნებ, მათთან შეხვედრის პატივიც გქონდათ?**

– პირადად მე არ მქონია ასეთი პატივი, მაგრამ, დონალდი, რა თქმა უნდა, სარგებლობს ამ პრივილეგიით, რაც, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია მისი, როგორც დიპლომატის, საკმაოდ დიდი დამსახურებებით სამშობლოს წინაშე – ის წლების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა უამრავ დიპლომატიურ მისიას, გარდა ამისა, მოღვაწეობდა ქვეყნებში: გერმანია, რუსეთი, კუბა, ვენესუელა, უკრაინა და, ბოლოს, როგორც ვიცით – საქართველო.

იმედი მაქვს, დონალდი ახლო მომავალში ისევ დაუკავშირებს თავის პროფესიულ საქმიანობას საქართველოს, რაც, დარწმუნებული ვარ, ძალიან წაადგება ჩვენს ქვეყანას.

**ეკა სალაღაია**

**არ მიყვარს ინტერვიუს შესავალ ნაწილში რესპონდენტების ან მათ მიერ გაკეთებული საქმეების ქება-დიდება, აღფრთოვანებული ეპითეტების მოშველიება, მაგრამ არის შემთხვევები, როცა საკუთარი პოზიცია, სიმპათია ან ანთიპათია, უნდა დააფიქსირო. განახლებული „მაესტრო“ – შეფუთვით, კონტენტით, წამყვანებით, დამოკიდებულებით, პოლიტიკით, ხასიათით, სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ ტელეინდუსტრიაში. აქ ამბებს ისტერიკის გარეშე ისმენ და უყურებ. ერთადერთი პრეტენზია, რაც არხის მიმართ მაქვს, ეს ისაა, გადახვევის საშუალება არ მაქვს. ბაია გადაბაძე განახლებული არხის დირექტორია. ის წლებია, ტელევიზიაში მუშაობს, მათ შორის – „მაესტროზე“ მის ყველაზე რთულ პერიოდში და იყო გადაცემა „საკნის“ პროდიუსერი. საკუთარი სიცოცხლის ფასად აკეთებდა იმას, რაც სწორად მიაჩნდა. როგორ ხედავს დღეს არხის მომავალს, ამაზე თავად საუბრობს.**

# როგორ იქცა მურად ილდირიმი ქართველი ქალების ხორცშესხმულ ოცნებად და რას უყურებენ ჰარამხანაზე მეოცნებე მამაკაცები

**– მურად ილდირიმის თბილისში ვიზიტით მინდა დავიწყო საუბარი. როგორ ფიქრობ, რატომ მოჰყვა სოციალურ ქსელებში მის მიმართ ქალბატონების განწყობას ასეთი კრიტიკა და ლანძღვა? რა არის საჭირო იმისთვის, რომ არხმა მსგავსი ვარსკვლავები შექმნას?**

**ბაია გადაბაძე**: ჯერჯერობით არც ერთი ვარსკვლავი არ შემიქმნია და იმედი მაქვს, სატელევიზიო მენეჯმენტში ჩემს მუშაობას ისე დავასრულებ, ბევრი ვარსკვლავი მეყოლება შექმნილი და ალბათ, იმ დროისთვის მზა რეცეპტიც მექნება. რაც შეეხება სავაშს, ადამიანების დიდი მასის გულებს ეხება ის, რაც მათ აკლია. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც სერიალ „სიყვარულსა და სასჯელს“ მოჰყვა, რომელიც „მაესტროსთვის“ საეტაპო აღმოჩნდა, ფაქტია, ამ სერიალმა შეავსო ის, რაც ადამიანებს აკლიათ. რა არის ამ ფილმში? ამ ფილმში არის სიყვარული, როდესაც მამაკაცი განსაკუთრებული მზრუნველობითა და პატივისცემით ექცევა ქალს. აქედან დასკვნა: ქალებს გვინდა, ხელის გულზე გვატარებდნენ. ეს აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ახლა უკვე დავინახეთ ამ ოცნების ხორცშესხმული ობიექტი, რომელიც აქვე ცხოვრობს, ძალიან ახლოს. ბრედ პიტს ან ჯორჯ კლუნის რომ ვახსენებ, მგონია, რომ სხვა პლანეტელებზე ვლაპარაკობ, იმდენად შორს არიან ჩემგან. მაგრამ, ამ დროს გამოჩნდა ძალიან ახლობელი ტიპი, რომელიც საუბრობს იმაზე, რაც შენ კარგად იცი, რაც შენ ტრადიციებშიცაა, სიტუაციებია, რომელიც გეცნობა. ის ჭიქა, რომლითაც ის ყავას სვამს, შენც გაქვს სახლში, ის სვიტერი გაცვია და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, მათთან იდენტიფიკაცია იოლად მოხდა. ამას წინათ, ვკითხულობდი სტატიას, თუ რა შემთხვევაში ხდება ფილმები საკულტო, ანუ ფილმები, რომელსაც ოცი-ოცდაათი წელია, ერთნაირი სიხარულით უყურებს მაყურებელი. მაგალითად, „ლამაზმანი“. მარკეტოლოგებმა დაასკვნეს, რომ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს შური, შური ან სურვილი, რომ მის ადგილას იყო. თუ მისი ცხოვრების განვითარება მოგწონს, შენ ამის ყურება შეგიძლია დაუსრულებლად.

**– „ლამაზმანი“ მილიონ ოთხასი ათასჯერ მაინც მაქვს ნანახი.**

– მეც. მართალია, არც ერთი ჩვენგანი მეძავი არ ყოფილა, რომელიც პრინცესობაზე ოცნებობს, მაგრამ კონკიას ისტორიის განმეორება ცხოვრებაში, ალბათ, ყველა ქალს უნდა. ჩვენ ძალიან ხშირად გვაკრიტიკებენ სავაშისთვის, ზოგადად, თურქული სერიალებისთვის. მაგრამ, ჩვენ შევქმენით სრულიად ახალი ზოლი, როგორც ყურების, ისე გაყიდვის თვალსაზრისით. ამაში აგვყვნენ სხვა არხებიც, რაც ასევე, სასიამოვნოა, როდესაც რაღაცაში გბაძავენ. ხალხი ამას უყურებს, თან ძალიან ბევრი. უბრალოდ, ყველა ამას არ აღიარებს. მეც თავიდან ვმალავდი, რომ ვუყურებდი. მეგობრები რომ მირეკავდნენ, სადმე წავიდეთო, ვამბობდი, ავად ვარ, რაღაც ასოციალური ვარ, ცოტა დეპრესია მაქვს-მეთქი. სინამდვილეში, სამი კვირა სახლიდან არ გამოვსულვარ სერიალის გამო. მაგრამ, ჰო, კარგ „ტიპობად“ ითვლება, ვინც უფრო გესლიანად იხუმრებს და უფრო კარგად გაგლანძღავს. ამ სერიალებმა არხს ძალიან დიდი წარმატება მოუტანა და ვაპირებთ, „პრაიმ კლასის“ ძალიან მაგარი სერიალების შეძენას. გუშინდელ ვახშამზე ელჩმაც აღნიშნა, რომ რეალურად, თურქეთის ელჩი საქართველოში მურად ილდირიმიაო. „მაესტროს“ მაგიდასთან მოვიდა და მადლობა გადაგვიხადა, რომ თურქეთს ასეთი პოპულარიზაცია გავუწიეთ.

**– იმდენი ტურისტი ჩადის უკვე სტამბულში საქართველოდან.**

– კი და იმედია, აქეთაც ივლიან.

**– დავუბრუნდეთ, შენ დირექტორობას. მიუხედავად იმისა, რომ, რაც გიცნობ, მხოლოდ ტელევიზიასთან ასოცირდება შენი სახელი, მაინც მოულოდნელობა იყო ეს პოზიცია...**



ბომბის შემოგდებიდან მეორე დღეს სამსახურში არ წახვალ, იქ თუ მხოლოდ ხელფასისთვის დადიხარ

– ეს ძალიან დიდი მოულოდნელობა იყო ჩემთვისაც. იმ პერიოდში, არხზე ორი კვირის მისული ვიყავი გენერალური პროდიუსერის თანამდებობაზე.

**– „მაესტროსთან” წლები გაკავშირებს, იყავი გადაცემა „საკნის“ პროდიუსერი.**

– კი და ეს არ იყო მხოლოდ ჟურნალისტური საქმიანობა. ჩვენ გამოვიარეთ ურთულესი პერიოდი. ასპროცენტიან სიკვდილს გადავურჩი „მაესტროში,” რადგან იქ მაშინ ვმუშაობდით არა ხელფასის ან რეიტინგისთვის, არამედ იდეისთვის – ჩვენი პრინციპული მოსაზრებების გამო. ალბათ, ყველას ახსოვს ბომბი „ერგედე 5“ რომ შემოგვიგდეს ტელევიზიაში, რომელიც სამ მეტრში აგვიფეთქდა. დღემდე არ ვიცი, როგორ გადავრჩი. ასეთი ამბიდან მეორე დღეს, სამსახურში არ წახვალ, იქ თუ მხოლოდ ხელფასისთვის დადიხარ. ყველას ერთი იდეა გვაერთიანებდა. იმის მერე, სადაც წავსულვარ და ახლაც რომ წავიდე ისე, რომ აღარასდროს მოვბრუნდე ამ არხზე, ეს ჩემთვის მაინც სხვა ადგილია – სხვა მნიშვნელობის ხალხი, პრინციპულები, რომლებიც, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს მეგობრებად დარჩებიან.

**– არჩევნების შემდეგ იყო იმის ცდუნება, რომ არხი ხიბლში ჩავარდნილიყო და ამჯერად, მას მოერგო გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის იმიჯი. მაგრამ, თქვენ შეძელით, რომ ამაზე უარი გეთქვათ.**

– ძალიან დიდი მადლობა ამისთვის და მიხარია, თუ ამას შენ და საზოგადოება ხედავს. „მაესტრო“ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწევს მაშინ, როცა ყველასგან იქნება მსგავსი შეფასება: მან ობიექტურობა არ დაკარგა არავის მმართველობის პერიოდში. გამარჯვება, უპირველესად, საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს, როდესაც ახერხებ ობიექტურობა შეინარჩუნო იმ ადამიანების მიმართ, ვინც ბოლომდე გწირავდა და სრულიად არასამართლიანად გექცეოდა შენც და ხალხსაც. ამავდროულად კი, იგივე ტიპის ობიექტურობა და კრიტიკა მოახერხო მათ მიმართ, ვინც რეალური კატასტროფისგან გიხსნა. დარწმუნებული ვარ, რომ არა 2012 წლის ოქტომბერი, კაცმა არ იცის, სად და როგორ იქნებოდა თითოეული ჩვენი თანამშრომელი. დანარჩენი არხების ჟურნალისტები, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბედნიერად გააგრძელებდნენ ცხოვრებას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ რთულია, იყო კორექტული და დელიკატური შენი კოლეგების მიმართ, რომლებიც წლების განმავლობაში იქცეოდნენ ისე, რომ სასიკვდილოდ გვიმეტებდნენ და ისინი ხმას არ იღებდნენ და არც ამოიღებდნენ. პირველ რიგში გვინდა, რომ ამას გადავაბიჯოთ, რადგან სიძულვილი არაფერ კარგს არ მოგვიტანს. ამ კატასტროფული მდგომარეობისგან 2012 წლის არჩევნებმა გვიხსნა და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რთულია, კრიტიკული იყო მათ მიმართ, ვინც რეალურად გადაგარჩინა. საბოლოო ჯამში, შეიძლება, ვიღაცას ეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილი მათ კრედიტებს გადაუხდიდა. მაგრამ, ერთიანობაში, ხალხს სამართლიანობის განცდა სჭირდებოდა, რაც მედიის თავისუფლებასაც გულისხმობს. რამდენი გექნება ხელფასი, ეს მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

**– თემას გადავუხვიეთ. კონკრეტულად ვისგან მიიღე შემოთავაზება?**

– მაკა ასათიანისგან, კოტე გოგელიასა და მამუკა ღლონტისგან. დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და სურვილით, დირექტორის თანამდებობა უნდა დამეკავებინა და პროდიუსინგიდან გადავსულიყავი მენეჯმენტში. თან, როდის?! როდესაც „მაესტროში“ ვმუშაობდი სულ 40-50 თანამშრომელი იყო და როდესაც შემოთავაზება მივიღე – 295. ეს ჩემთვის იყო შოკი. ვერ ვიტყვი, რომ არ მიფიქრია მედიამენეჯმენტზე, მაგრამ ეს უფრო წლების შემდეგ წარმომედგინა. მოკლედ, ცივი შხაპივით იყო. ერთი კვირა მიმდინარეობდა სერიოზული ჩხუბი და დავიდარაბა ***(იცინის).*** რომ არ მეგრძნო რამხელა მხარდაჭერას მივიღებდი დამფუძნებლებისგან, ამას ვერ დავთანხმდებოდი. რატომ შემარჩიეს, არ ვიცი, ალბათ კარგი გოგო ვარ და იმიტომ ***(იცინის)***. ალბათ, იციან, რომ არასდროს, არც ერთ ვითარებაში, საკუთარ თავთან და არაფერთან, რაც არასწორად მიმაჩნია, კომპრომისზე არ წავალ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტელევიზიაში და მადლობა მათ, ამ სტანდარტებისთვის.

**– ალბათ, ძალიან რთულია, ამხელა შტატის მართვა, მით უმეტეს, ტელევიზიაში, სადაც ბევრს აქვს იმის ამბიცია, რომ საუკეთესოა და რაღაც სხვებზე კარგად იცის.**

– სამართლიანობა ამომავალი წერტილია. სამართლიანი გადაწყვეტილების შემთხვევაში, აღარ დარდობ იმაზე, რომ ვინმეს მიმართ მკაცრი იყავი. თან, ვფიქრობ, შემიძლია, ადამიანებთან კომუნიკაცია. მილიონი ნიუანსი იყო, რომელიც რბილად, დიპლომატიით მოგვარდა. ონასისის ციტატა წავიკითხე სადღაც: არსებობს ნახატების, გემების, სახლების კოლექციები და მე ადამიანების კოლექცია მაქვსო. მინდა, დავეთანხმო, რომ ადამიანები, მათთან ურთიერთობა ჩემთვის ყველაზე ძვირფასია. მოკლედ, სიყვარული და სურვილი ურთიერთობისა 290 და 1290 კაცსაც იოლად გამართვინებს. „მაესტრო“ ეს ჩემი სამსახური

არ არის, ღირსების საკითხია, რომლის მიმართაც სულ სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს.

**– ვის ეკუთვნის შეფუთვა და რა არის ის გადაცემები, რომელზეც მთავარ ფსონს დებთ?**

– შეფუთვა თავიდან ბოლომდე მაკა ასათიანს და ნიკა მაჩაიძეს ეკუთვნით, ორივე არტ-დირექტორია. დიზაინერები იყვნენ თაყა და საბა ჩხაიძეები. ვინაიდან, მაკა საქართველოში არ ცხოვრობს, ის და ნიკა იყოფენ საქმეს. ფერიდან დაწყებული, ყველაფერი რაც შეფუთვაშია, ფილოსოფიის დონეზე გაირჩა. თავიდანვე გადაწყდა ცისფერი, მაგრამ ვინაიდან მაკა მხატვარია, ის ფერის გრადაციებს ძალიან სენსიტიურად აღიქვამს. ჩემთვის მაგალითად, არსებობს ორი – მუქი და ღია ცისფერი, მაკასთვის კი მილიონნაირი ცისფერი არსებობს. არ უყურებს შინაარსს, წარწერას, არაფერი აინტერესებს, მთავარია, ერთიანობაში დაინახოს კარგად. აი, ქაოსია, უცებ იტყვის. გავხედავ და არანაირი ქაოსი, ყველა თავის საქმეს აკეთებს სტუდიაში. მაგრამ, ის აღიქვამს ფერების, რაღაც დეტალების ქაოსს და ყველაფერს უყურებს როგორც მხატვარი.

**– გადაცემები?**

– გადაცემებზე ნამუშევარი გვაქვს: მე, როგორც პროდიუსერს, ნათია გამცემლიძეს, როგორც გენერალურ პროდიუსერს და ნინო ჟიჟილაშვილს, რომელიც საინფორმაციოს ხელმძღვანელია და საკუთარ თავზე აქვს აღებული საინფორმაციო ნაწილი. გადაცემებს ვამზადებდით მე და ნათია, შემდეგ ის გაგვქონდა ბორდზე და განვიხილავდით. რაღაც არის მომგებიანი, რაღაც არის კარგი საიმიჯოდ, ზოგიერთი – შერეული და ასე შემდეგ.

**– „ოთხ ელემენტზეც“ მინდა გკითხო. სრულიად განსხვავებული ფორმატი აიღეთ. აქვს ამ ფორმატს ანალოგი თუ თქვენი მოფიქრებულია?**

– ძალიან ძნელია, დღეს იმის თქმა, რაღაცას აქვს თუ არა ანალოგი. შეიძლება, არის ანალოგი, მაგრამ ის ჩვენ არ გვინახავს. უბრალოდ, ვმსჯელობდით და ვთქვი, რომ ვინ უყურებს ძირითადად, ამ დროს ტელევიზორს?! ქალები. მათ კი აინტერესებთ, რას ფიქრობენ და რაზე საუბრობენ მამაკაცები. მანამდე, მილიო-



ნი ვერსია განვიხილეთ, ათობით უძილო ღამე და ჩხუბი გადავიტანეთ ***(იცინის).*** შუადღე რომ დიასახლისების სეგმენტია, ამას ცოტა ვეწინააღმდეგები, მაგრამ ასეთია ფორმულირება. იმედია, მამაკაცებიც შემოგვიერთდებიან ამ შოუს მაყურებლებად. ჩვენ სერიალებს მამაკაცებიც შემოუერთდნენ და მათზე სარეკლამო წვდომა უკვე გვაქვს. ისინი აქტიურად უყურებენ მაგალითად „დიდებულ საუკუნეს“, სადაც საუბარია იმაზე, როგორ მართავდა უკრაინელი ქალი ოსმალეთის იმპერიას. თუ უკრაინელი ქალები ჩვენი ტკივილი და მამაკაცების სუსტი წერტილია, სულთან სულეიმანისა და მისი ჰარამხანის მათ ნამდვილად შურთ. შევარჩიეთ ოთხი გადასარევი ბიჭი, რომლებიც ახლა ნელ-ნელა ერგებიან ერთად მუშაობას.

**– რა მზადდება კიდევ?**

– გადაცემა კულინარიაზე, სადაც საჭმლის მომზადების გარდა, ბევრ საინტერესო ამბავსაც გაიგებთ. ნინო დარასელი ამზადებს ორ გადაცემას, ორივე იქნება ტეტ-ა-ტეტ ინტერვიუ, ოღონდ სხვადასხვა ფორმით. ნინო ძალიან დიდი შენაძენია, რომელსაც უამრავი კრეატიული იდეა აქვს.

**– პოლიტიკური თოქ-შოუ?**

– პოლიტიკური თოქ-შოუ, ვფიქრობდით, საარჩევნოდ გაგვეკეთებინა. ასევე, ვფიქრობთ, დიდი და მასშტაბური თოქ-შოუს გაკეთებას. მაგრამ, არ ვიცი, პოლიტიკურ თოქ-შოუებს ველარ ვუყურებ, აღარ შემიძლია, დებატები და ეს ყაყანი, რომელიც ეთერშია. მაგრამ, პოლიტიკა აქტუალურია და გადაცემა საჭიროა. შეიძლება, საარჩევნოდ მოკლე ვარიანტი გაკეთდეს და შემოდგომიდან – უფრო მასშტაბური. თუ ჩვენ ბორდში გადაწონა იმ აზრმა, რომ საჭიროა ყაყანი და ეს ძალიან მასშტაბური თოქ-შოუ – ასეც იქნება. მე ვატყობ, რომ სუბიექტური ვარ, ამ შემთხვევაში.

**– შენი პირადი რეჟიმი, ალბათ, ძალიან გიჟურია.**

– კი, „მაესტროში“ ვცხოვრობ. რა უცნაურია, რომ წამების რეჟიმში ხარ და ეს წამება სასიამოვნოა. სტოკჰოლმის სინდრომი მჭირს, ტყვეს რომ მოძალადე უყვარდება ***(იცინის).*** სინამდვილეში, საკუთარ თავზე ვძალადობთ იმ ერთი მიზნისთვის, რასაც რაღაც ღირებულის შექმნა ჰქვია. რა მაგარია, როდესაც განვლილ ცხოვრებას გადახედავ და მიხვდები, რომ უამრავი ნიჭიერი ადამიანი გყავს აღმოჩენილი და ისინი შენი მადლიერები არიან, გიფასებენ შრომას. იმედი მაქვს, ჩემი დაუღალავი შრომა, რომელიც სრულიად გულწრფელია და არავის არაფერს ვამადლი, ნაყოფს გამოიღებს. რაც აქ ვარ, გულწრფელად გეტყვით, განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, მაგრამ, როდესაც გავაკეთებ, არც ამას დავმალავ.

**სალომე გველესიანი**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**საქალაქო სასამართლომ ემზარ კვიციანს პატიმრობის ვადა გაუგრძელა. დეპუტატთა, გენერალთა და საზოგადოების ცნობილ სახეთა შუამდგომლობის მიუხედავად, ემზარ კვიციანი, რომელიც საკუთარი ფეხით ჩამოვიდა თბილისში სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. კოდორის დამცველებს კვლავ მძიმე დრო დაუდგათ. რაში ადანაშაულებს ნორა კვიციანი არასამთავრობო ორგანიზაციებს და რით ურთულებდა მას ციხეში პატიმრობის წლებს ნაბოლარა ძმა, ამის შესახებ თავად ნორა კვიციანისგან შეიტყობთ, რომელმაც კოდორის და ძმის გამო, ექვსი წელი და ოთხი თვე თავადაც ციხეში გაატარა.**

# როგორ ჩააბარეს სიკვდილის წინ ანდერძით ნორა კვიციანს ნაბოლარა ძმა და რა „დაუთმო" მან ციხეში ვანო მერაბიშვილს

**ნორა კვიციანი**: წითელ პარასკევს, რომელიც ჩვენთვის, მართლმადიდებლებისთვის ყველაზე მძიმე დღეა, ემზარს საქალაქო სასამართლომ პატიმრობის ვადა გაუგრძელა. ძალიან იჩქარეს და მაინცდამაინც იმ დღეს ჩანიშნეს სასამართლო პროცესი. 2007 წელს, ასევე აღდგომის წინა კვირაში, ვნების ხუთშაბათს იყო ჩემი სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამომიტანა. 2008 წელს ვნების კვირაში, შაბათს შემოვიდა ციხეში სპეცნაზი ვითომდა ბუნტის ჩასახშობად. ჩვენ ზიარებისთვის ვიყავით მომზადებული, მაგრამ აღმოვჩნდით „კრიტში", წითელი კვერცხები და პასკები ქუჩაში ეყარა. ეს შემთხვევითი ნამდვილად არ არის, მე მჯერა, რომ ამ განსაცდელსაც ისე გადაიტანს ჩვენი ოჯახი, როგორც არაერთი განსაცდელი გადავიტანეთ ამ ბოლო წლებში.

**– თქვენი ძმა, ემზარ კვიციანი პატიმარია. მის ჩამოსვლამდე ვრცელდებოდა ხმები, რომ ეს შეთანხმებული იყო ახალ ხელისუფლებასთან და გქონდათ გარანტია, მას არ დააკავებდნენ. როგორი იყო თქვენი მოლოდინი?**



**ციხეში ექვსი წელი და ოთხი თვე ისე გავატარე, ერთი არ დამიჩივლია, ერთხელაც არ შემიმჩნევია, როგორ მიჭირდა**

– ეს ჭორი იყო. ამ ხმებს ნაციონალები ავრცელებდნენ. ამბობდნენ, შეთანხმებულები არიან, გარანტია აქვსო. რა გარანტია უნდა ჰქონოდა ემზარს? ყველაზე დიდი გარანტია სიმართლეა, რომლის პოვნა ამ ქვეყანაში თითქოს ძნელია, მაგრამ ღმერთი ხედავს ამ სიმართლეს. გამოაცხადა პროკურორმა, ჩამოვა ემზარ კვიციანი და დავაკავებთო. რომელ გარანტიაზე იყო საუბარი? ემზარმა იცოდა, რომ ასე მოხდებოდა. აეროპორტში ისე აიყვანეს, რომ დარბაზამდე არც გამოუშვიათ. იმდენი ხალხი იყო აეროპორტში, ეტყობა, შეეშინდათ, რაიმე ინციდენტი არ მომხდარიყო. ემზარს ჩვენი მამიდაშვილი მოჰყვებოდა. სულ ვაფრთხილებდი: თამარ, იცოდე, ემზარს აეროპორტშივე დააკავებენ და ამას წინასწარ შეეგუე-მეთქი. მის თვალწინ დააკავეს, ერთი კვირა განიცდიდა ამ ამბავს. ემზარი შარშანაც აპირებდა ჩამოსვლას, რამდენჯერმე გააკეთა განცხადება: შემომიშვით ქვეყანაშიო. ჩემი ძმა ძებნილად იყო გამოცხადებული. გინახავთ, ერთი ძებნილი მაინც, ხმამაღლა აცხადებდეს, მოვდივარ და შემომიშვითო? თვითონ ყველაფერი გააკეთა, რომ რუსებს დეპორტი გაეკეთებინათ მისთვის. უცნაურ მდგომარეობაში იყო, იქიდან რუსები არ უშვებდნენ, აქეთ ესენი არ აძლევდნენ ჩამოსვლის უფლებას. ჩვენი ამბავი დღემდე გაურკვეველია. ახლა, ემზარის დაკავებამ უფრო მეტად დაადასტურა, რომ ამ მთავრობას არ აინტერესებს კოდორის ხეობის დაკარგვა. ამ მხრივ კი არ აქვთ შეკითხვები, ემზარზე მიდის ზეწოლა. იმდენი მუხლები ჩამოუთვალა პროკურორმა სასამართლო პროცესზე, ემზარმა კი თქვა: კიდევ კარგი, ამაზე მეტი მუხლი რომ არ მომიყენეს. ეს რომ მცოდნოდა, უფრო ადრე ჩამოვიდოდიო. იმ რვა წლის განმავლობაში ჩემმა ძმამ და მთელმა ოჯახმა ბევრი მძიმე დღე და ტანჯვა გამოვიარეთ. ძალიან მეცოდება ჩემი ძმა ციხეში, ჯერ ჩემი პატიმრობით დაიტანჯა და დაიჩაგრა. იქ ჩემი ყველაზე დიდი საფიქრებელი და სადარდებელი იყო ჩემი შვილი და ძმები. ექვსი წელი და ოთხი თვე ისე გავატარე, ერთი არ დამიჩივლია, ერთხელაც არ შემიმჩნევია, როგორ მიჭირდა. პირიქით, პატიმარიც კი მათ გამხნევებას ვცდილობდი. იქიდან ცოცხალი თუნდაც მათ გამო უნდა გამოვსულიყავი. ვიცოდი, რა დღეში იყო ჩემ გამო ემზარი. მან ხომ იცოდა, რომ მე იმიტომ ჩამსვეს ციხეში, რომ მას გასწორებოდნენ. მე ყველაფერი ავიტანე, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი ძმა მაინც ციხეში მოხვდა.

**– საზოგადოების ცნობილმა სახეებმა გამოთქვეს თავდებობა ემზარ კვიციანის პატიმრობიდან გათავისუფლებაზე, ამის მიუხედავად, ის მაინც პატიმრობაში დატოვეს.**

– 34 დეპუტატი, 33 გენერალი, პროფესორთა ლიგა დაუდგა ემზარს თავდებში, მაგრამ ესეც არ გაითვალისწინეს. რას ნიშნავს ეს ყველაფერი, თუ არა ინტერესი, რომ ემზარი პატიმრობაში იყოს? მე არ ვიცი, თუ იმ ადამიანებისთვის შეიძლება თავისუფლებაზე ყოფნა, რომლებმაც ამდენი უბედურება ჩაიდინეს ხალხის წინაშე, რატომ არ შეიძლება ჩატარდეს გამოძიება ისე, რომ ემზარი გარეთ იყოს? რა დააშავა: თავისი ფეხით რომ ჩამოვიდა, ჩაბარდა და იძახის: ვითანამშრომლებ თქვენთანო? ძალიან ბევრი ხალხი დაკითხა გამოძიებამ ემზარის საქმეზე. ერთი კაცი ვერ იპოვეს, ვინც მასზე ცუდს იტყვის და რამეში ამხელს. 2006 წლის შემდეგ ჩვენთან საგზაო სამსახურის უფროსი ნოდარ გულბანი დააპატიმრეს. აიძულებდნენ, თქვი, რომ ემზარს ფულს უხდიდიო. ნოდარი ამბობდა: ასეთი რამ არ ყოფილა და სირცხვილით ეს როგორ ვთქვაო. კაცი უმძიმესი ავადმყოფია, ლოგინადაა ჩავარდნილი. ჩემს ძმას უთქვამს: თუ ეგ გადარჩება, რაც უნდა ის თქვასო. ამ ისტორიას მალე ნუგზარის ცოლი გაახმაურებს. ემზარს რომ ედავებიან მთავარ საკითხზე, კოდორის დაკარგვაზე რატომ არ იწყება გამოძიება? სანამ იგივე პროკურატურა და იგივე სასამართლო იქნება, აზრი არ აქვს სარჩელის შეტანას. აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება. იქ უამრავი ადამიანი დაიღუპა. ჩვენ ამდენი წლის განმავლობაში ვუძლებდით შიდა თუ გარე პროვოკაციებს. ჩვენ ხომ მუდმივად თავდასხმის მოლოდინში ვიყავით, მაგრამ მაინც ყველაფერს ვაკეთებდით, რომ კოდორი შეგვენარჩუნებინა. მე ვერ ვხედავ, რომ ამ ხელისუფლებას ჰქონდეს ინტერესი გამოიძიოს ეს საქმე. ემზარისგან რატომ იწყებენ? დაიწყონ კოდორიდან. ძალიან მტკივა გული და გაოცებული ვარ არასამთავრობო ორგანიზაციების პასიურობით. სად არის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია? ან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები? რატომ არავინ იცავს ემზარ კვიციანის უფლებებს? ყველა ტელევიზია ბლოკავს ამ თემას. ხომ შეიძლება, ერთი ტელეგადაცემა მიეძღვნას იმ შეკითხვებს, რაც კოდორის ხეობასთან დაკავშირებით არსებობს. იმას რატომ არ ფიქრობენ, რომ ჩვენ დევნილის სტატუსი კი გვაქვს, მაგრამ ბინა არ გვინდა საცხოვრებლად? კომპენსაცია არც მე ამიღია და არც ჩემს შვილებს. ჩემს ძმას რაც წაართვეს, იქიდან, ერთადერთი ბინის გარდა, არაფერი არ დაუბრუნეს. იმ ბინაშიც ცარიელი კედლები დახვდათ. 14 წელი შევალიეთ კოდორს, რამდენჯერ გავწირეთ თავი. ეს დავიმსახურეთ სანაცვლოდ?

**– სასამართლო პროცესებს შორის არ გინახავთ ძმა? არ გასაუბრებიხართ?**

– ვინ მიგვიშვებს მასთან ახლოს სასამართლოზე? ჩვენ კი არა, პატარა გოგონას არ მიაკარეს ახლოს. ერთი წუთით ჩამახუტეთო, ითხოვა უმცროს შვილზე, მაგრამ უარი უთხრეს. გაბრიელას დანახვა თურმე ძალიან გაუჭირდა, – ასე უთქვავს ადვოკატისთვის. გაბრიელა მაშინ დაიბადა, როცა ჩვენი ოჯახი ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო. ემზარს მორალურად ისე უჭირდა, სამჯერ სცადა თვითმკვლელობა, როცა აქედან წავიდა. ცოლმა გადაარჩინა სამჯერვე. იოლი ხომ არაა დევნილობა? ადვოკატმა მითხრა, რაც დაჭერილია, უფრო მეტად განიცდის შენს ამბავსო. ახლა ხომ საკუთარი თვალით ნახა, რა არის ციხე, რომელიც ჩემი პატიმრობის დროს უფრო ძნელი გასაძლები იყო. იცით, რა ძნელია სასამართლო პროცესზე ოჯახის წევრებს რომ ხედავ და მერე ისევ საკანში უნდა დაბრუნდე? ამაზე რთული არაფერია. მე ხომ კარგად ვიცი, რა არის ციხე. ახლა ემზარი მარტოა საკანში, მამაოები და მეუფეები მიდიან მასთან – მეუფე იობი იყო, მეუფე გიორგი. ფიზიკურად სუსტადააო, გვითხრეს, მაგრამ თურმე მაინც ვარჯიშობს. ის ისეთი ძლიერია პიროვნულად, ამასაც როგორმე გადაიტანს. ხომ ასე ძნელია ძმის პატიმრობა, მაგრამ რაც ჩამოვიდა და საქართველოს მიწაზე ფეხი დაადგა, მას შემდეგ ისე აღარ ვნერვიულობ, როგორც მაშინ, როცა აქედან იყო გადახვეწილი.

**– ნაბოლარა ძმის მიმართ განსაკუთრებული ემოციები გაქვთ.**

– რვა დედმამიშვილში ემზარი ყველაზე პატარაა, ალბათ, ამიტომაც მის მიმართ ყველას განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს. ისე გაგვზარდეს, რომ და-ძმას ერთმანეთის მიმართ ერთი შებრუნებული სიტყვა არ გვითქვამს. სახლში მორიგეობა გვქონდა დაწესებული, ყველა საქმეს მორიგეობით ვაკეთებდით, გაკვეთილებს ვიბარებდით. ისე ვუვლიდით ყველა ერთმანეთს, სიტყვით ვერ გადმოვცემ. როცა მამაჩემი სიკვდილის პირას იყო, ანდერძად ყველას ემზარის მოვლა დაგვიბარა. იცოდეთ, თავის ნებაზე გაზარდეთ, არაფერი დაუშალოთ, მისგან მაგარი ვაჟკაცი დადგებაო, – დაგვიბარა. ჩვენ შევუსრულეთ მამას დანაბარები. ემზარი ჩემი გაზრდილია. დედაჩემი სკოლის მასწავლებელი იყო. როცა ის დაიბადა, მე ვზრდიდი, რის გამოც ერთი წელი სკოლაში არ წავედი. ჩემზე ისე იყო მოწებებული, დედა მე ვეგონე. პატარაობიდანვე ძალიან გულადი და გაბედული იყო. მეშვიდეკლასელი იყო, გაკვეთილზე იჯდა და ფანჯრიდან დაინახა, რომ

# ინტიმური საუბრები

### დავიჯერებ, რომ სასწაული არსებობს

თავის ქებად ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, სკოლის ასაკიდან ძალიან პოპულარული გოგო ვიყავი. მეშვიდე-მერვე კლასამდე ჩემი კლასიდან თითქმის ყველა ბიჭს ვუყვარდი. მას მერე კი, როცა წამოვიზარდე, მთელი სკოლის ყველაზე ცნობილი ბიჭები დამდევდნენ და სიყვარულს მიხსნიდნენ. გამოგიტყდებით, რომ ეს ძალიან მსიამოვნებდა (რომელ გოგოს არ მოსწონს ყურადღება), მაგრამ, ერთი ცუდი თვისება მქონდა: საკმარისი იყო, რომელიმე ბიჭით მეც დავინტერესებულიყავი და შეხვედრებზე დავთანხმებოდი, რომ დაახლოებით ორი-სამი პაემნის შემდეგ, ინტერესი მიქრებოდა და ყველანაირ ურთიერთობას ვწყვეტდი მასთან. ჩემი დაქალები მეუბნებოდნენ, მძიმე ხასიათი გაქვს და ზედმეტად პრეტენზიული ხარ. ასეთ ბიჭებთან უბრალო დალაპარაკებაზეც კი ოცნებობენ შენზე უკეთესი გოგოები, შენ კი ყველას იწუნებო. ვერც ერთ დაქალს ვერაფრით გავაგებინე, სინამდვილეში რა იყო ჩემი ასეთი საქციელის მიზეზი. არანაირი განსაკუთრებული მოთხოვნა და პრეტენზია არ მქონია არც ერთი თაყვანისმცემლის მიმართ. უბრალოდ, მათ შორის ვეძებდი ნამდვილ ბიჭს, გულწრფელს, გოგოსთან ელემენტარული ქცევის წესების დაცვა რომ შეეძლებოდა. თან, ყოველთვის მომწონდა ცოტა მორაინდო, დახვეწილი ბიჭები, ასეთი კი, არც ერთი არ აღმოჩნდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ, აგერ უკვე 30 წელს მივაღწიე და ჩემს ცხოვრებაში იგივე მეორდება: სანამ ჩემს ყურადღებას დაიმსახურებენ, თავს მევლებიან, არაფერი ეშლებათ, არაფერი ავიწყდებათ – არც ყვავილების მორთმევა, არც კომპლიმენტი, არც ყურადღების გამოჩენა, მაგრამ საკმარისია, ერთი-ორჯერ კაფეში ან კონცერტზე გავყვე, რომ ჩვენი ურთიერთობა მაშინვე რაღაცნაირი მდორე და ულიმღამო ხდება – არანაირი ყვავილი, არანაირი ზეიმის მოწყობა... უფრო მეტსაც გეტყვით: საკმაოდ სწრაფი ტემპით იწყება მათი მხრიდან სხვადასხვაგვარი მოთხოვნისა თუ პრეტენზიის წამოყენება, თანაც ისეთ საკითხებზე, მათ არანაირი უფლება რომ არ აქვთ, კორექტივი შეიტანონ, თუნდაც ელემენტარული ზრდილობის გამო. მაგალითად, ერთს ჩემი ორი დაქალი არ მოეწონა და მეორე პაემანზევე მითხრა, კარგი იქნება, თუ მათთან ურთიერთობას შეწყვეტო. მეორემ მითხრა, თმა აუცილებლად გაიზარდე, ვერ ვიტან მოკლეთმიან გოგოებსო (არადა, როცა გამიცნო, მაშინაც და მერეც, სულ მოკლედ მქონდა თმა შეჭრილი). მესამემ პირდაპირ დამისვა საკითხი: ამ დღეებში დედაჩემი მინდა, გაგაცნო და თუ გინდა, ჩვენს ქორწინებას დათანხმდეს, რასაც მე გეტყვი, ის უნდა ჩაიცვა, როგორც მე გეტყვი, ისე უნდა მოიქცე და ილაპარაკოო.

ამ ყველაფრის შემდეგ ერთ დასკვნამდე მივედი: ქართველი მამაკაცები, ბიჭობის ასაკიდან მოყოლებული ვერ „ქაჩავენ“ კაცობაში. ძალიან კი ცდილობენ, ყველას დაუმტკიცონ თავიანთი მაგარი ბიჭობა, ინდივიდუალურობა და დამოუკიდებლობა, მაგრამ, სინამდვილეში, თითქმის ყველა ერთ თარგზეა მოჭრილი, ერთნაირად დაკომპლექსებულები არიან. სწორედ ეს არასრულფასოვნების კომპლექსია იმის მიზეზი, რომ ლამის 40 წელს მიღწეულმა ქართველმა კაცმა ჯერაც არ იცის, რა მოსწონს, რა არ მოსწონს, რა უნდა ან რა არ უნდა პირადად თვითონ, სმას ან უსაქმურობას გადაყოლილი თავისი ძმაკაცების, დედიკოს ან შინაბერა დის აზრის გათვალისწინების გარეშე. თითქმის ყველა-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ, ალბათ, სადმე არიან შემორჩენილი ნამდვილი მამაკაცები, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არც ერთი არ შემხვედრია. არ ვიცი, შეიძლება, მეც მეტისმეტს მოვითხოვ, მაგრამ, ვერ ვიტან ცარიელ, ჟარგონებით მოლაპარაკე, უწიგნურ კაცებს, რომლებსაც მხოლოდ იმით მოაქვთ თავი, რამდენი დალიეს და რამდენი „ნაშა“ ჰყავდათ. მათი უმრავლესობა კაცებისთვის ყველაზე „შინაურულ“ თემებზე – პოლიტიკასა და სპორტზეც კი ვერ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას (რადგან ამისთვის, ელემენტარულად, გაზეთის წაკითხვაა საჭირო, რომ აღარაფერი ვთქვა წიგნებზე, რაც მათთვის ძალიან უცხო ხილია) და სადღაც, ვილაცისგან ყურმოკრულ აზრებს აფრქვევს, იმასაც გამაღიზიანებლად პრიმიტიულ დონეზე.



მოკლედ, ძალიან პესიმისტურად ვარ განწყობილი მათ მიმართ და ერთადერთ იმედს ვიტოვებ: იქნებ, ბოლოს და ბოლოს, შემხვდეს იმის მსგავსი მამაკაცი მაინც, როგორზეც მთელი ცხოვრებაა, ვოცნებობ. თუ ეს ოდესმე მოხდა, დავიჯერებ, რომ ამქვეყნად მართლაც არსებობს სასწაული.

**მაკა, 30 წლის.**

### ჩემი ქმარი ჩემი ყოფილი შეყვარებულის ბიძაშვილი აღმოჩნდა

ბავშვობისას, უფრო სწორად, სკოლის პერიოდში, ერთი ბიჭი შემიყვარდა. ჩემზე ორი წლით იყო უფროსი. ინგლისურის მასწავლებელთან დავდიოდით და კვირაში ორჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე იმასაც შევუყვარდი, ყოველდღე მაკითხავდა სკოლაში გაკვეთილების შემდეგ და სახლამდე მაცილებდა. ძალიან რომანტიკული ურთიერთობა გვქონდა და, ასე მეგონა, მთელი ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა, მაგრამ, სკოლის დამთავრების შემდეგ (მე რომ სკოლა დავამთავრე, ის უკვე მეორე კურსზე იყო), ჩემთვისვე მოულოდნელად, მივხვდი, რომ მომბეზრდა ეს ე:რთფეროვანი პაემნებიც და სულელურ თემაბზე საუბარიც. როგორც ჩანს, თვითონაც იგივე დაემართა, რადგან, მე რომ აღარ დავურეკე რამდენიმე დღის განმავლობაში, აღარც თვითონ შემომეხმიანა. ასე ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ დავშორდით, თუმცა, ზოგჯერ მაინც მიყვარდა იმ ლამაზი დღეების გახსენება.

სტუდენტი რომ გავხდი, ბევრი თაყვანისმცემელი გამომიჩნდა, მათ შორის იყო ჩვენი ახალგაზრდა ლექტორი, რომელმაც გაცნობიდან ერთ თვეში ამიხსნა სიყვარული. ძალიან კარგი ბიჭი აღმოჩნდა და მალე მეც შემიყვარდა. ჩვენი ურთიერთობა რომ გასერიოზულდა, ერთმანეთს მშობლები გავაცანით და ნიშნობის დღეც დავთქვით.

დათქმულ დროს ჩემი საქმრო დედ-მამასთან, ბიძა-ბიცოლასთან და ბიძაშვილთან ერთად მოვიდა და სწორედ მაშინ მოხდა საშინელება: ის ბიძაშვილი ჩემი ყოფილი შეყვარებული აღმოჩნდა. მანაც ძალიან იუხერხულა, მე რომ დამინახა და აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს ისევ მე მოვიფიქრე და ვუთხარი: შენ ის ბიჭი არ ხარ, საბურთალოზე, ინგლისურზე რომ დადიოდა რამდენიმე წლის წინ-მეთქი? მაშინვე მიხვდა ჩემს ტაქტიკას და თვითონაც „გამიხსენა“ – თუ სწორად მახსოვს, თამთა გქვია და ერთ ჯგუფში ვიყავითო. მოკლედ, ნიშნობაზე მშვიდობიანად „გამოვძვერით“. მართალია, ერთმანეთის მიმართ არანაირი გრძნობა აღარ გვაქვს, მაგრამ, მაინც უხერხულად ვგრძნობ თავს მის საზოგადოებაში. თან, სინდისი მქენჯნის, რომ ქმარს ასეთი რამ დავუმალე, მაგრამ, რომ მეთქვა, ზუსტად ვიცი, ვერ გამიგებდა და დავშორდებოდით, მე კი მის დაკარგვას ვერ გადავიტან.

**თამთა, 19 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

მდინარეში ქალი გადახტა. ფანჯრიდანვე გადახტა ქვემოთ, გაიქცა, ის ქალი გამოიყვანა მდინარიდან და გადაარჩინა. როცა გავთხოვდი, ხუთი წლის იყო. იქვე, ახლოს ვცხოვრობდი, ემზარი სულ ჩემთან იყო მაინც. ემზარი და ჩემი ბიჭი ბაჩო, ერთად არიან გაზრდილები. ახლა ძალიან განიცდის ემზარის ამბავს, ბრაზობს: რატომ ჩამოვიოდაო. მაგრამ, ემზარი ამბობს, ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ვარ, თუნდაც ციხეში ვიყოო. იმ წლებში, როცა საომარ სიტუაციებში გვიწევდა ცხოვრება და ემზარმა თავის თავზე აიღო ყველაფერი, გვერდიდან ვერ მოვცილდი. ვერ დავტოვეთ დებმა იქ მარტო. მისთვის ჩვენი იქ ყოფნა, დიდი სტიმული იყო. ძალიან ბევრი ჩვენ გამოჩერდებოდა მაშინ კოდორში. პროცესებზე რომ ვზივარ, ან ვტირი, ან ვლოცულობ. სულ ვცდილობ, ემზარმა არ შემამჩნიოს, მაგრამ არ გამომდის. ვიცი, რომ ჩემზე ბევრს დარდობს, წუთი არ გავა, მეც მასზე არ ვიფიქრო. მაგრამ, ჩვენ იმდენ რამეს გადავურჩით, მჯერა, ამასაც გადავიტანთ. ამას დიდი გული და ძალა უნდა. მთელი ცხოვრება ჩვენი ოჯახი დენთის კასრზე დაგვსვა, მაგრამ არაფერს ვნანობ. მე, მით უმეტეს, არ მომასვენა, შეკლული ვყავდი ხელში ***(იცინის).*** როცა ციხეში ვიყავი, გამოვიდოდა, გააკეთებდა განცხადებას და უცებ ატყდებოდა ციხეში ამბავი, დაცვას გააძლიერებდნენ, გისოსებს და რკინის კარს დაამატებდნენ. ერთხელ ადვოკატს ვუთხარი: კაცო, რას მერჩის, ხეობაში მოვეკალი ბარემ. რამდენი განცხადებას გააკეთებს, იმდენი სპეცნაზი შემოდის და გისოსებს მიმატებენ-მეთქი. სულ სპეცნაზით გადავყავდი სასამართლოზე, ქურდებთან ერთად, გაძლიერებული დაცვით. ამ ბოლო დროს ხშირად ვფიქრობ ხოლმე, მე მატროსოვზე, მეოთხე საკანში ვიყავი. სწორედ ამ საკანთან დაამატა კარი ვანო მერაბიშვილმა, დაცვის გაძლიერების მიზნით, ემზარის ერთ-ერთი განცხადების შემდეგ. რა საოცარია ეს ცხოვრება. დღეს იმ საკნის გვერდით, სადაც მე ვიჯექი, ვანო მერაბიშვილი ზის. ის რკინის კარი ახლა მას იცავს. მაშინ ამას რას წარმოვიდგენდი?!

**თამუნა სამადაშვილი**

# სად გაიცნო თამთა გოგუაძემ მომავალი მეუღლე და ვისი აზრი იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი

*27 აპრილს, მომღერალმა **თამთა გოგუაძემ**, საკუთარი ბედი გიორგი აბულაშვილს დაუკავშირა. წყვილმა ჯვარი სვეტიცხოველში დაიწერა, ხელი კი რესტორან „შობის" ეზოში მოაწერეს. ცერემონიალი ძალიან ლამაზად იყო გაფორმებული, რომელსაც მიწვეული სტუმრები აღფრთოვანებით შეჰყურებდნენ. ხელისმოწერის შემდეგ თამთამ და გიორგიმ, სტუმრებთან ერთად, დარბაზში გადაინაცვლეს და საღამოც დაიწყო. წყვილის გადაწყვეტილებით, ქორწილი ვიწრო წრეში გაკეთდა, რომელსაც მათთვის ყველა ძვირფასი ადამიანი ესწრებოდა. როგორც თამთამ აღნიშნა, მას და გიორგის ერთმანეთი მათმა პროფესიამ აპოვნინა. ორივე „ქართული ლეგენდა – სამაიას" წევრები არიან.*





**თამთა გოგუაძე**: მე და გიომ ერთმანეთი გავიცანით ანსამბლში. მე უკვე მეშვიდე წელია, „ქართული ლეგენდა – სამაიას" წევრი ვარ, გიო კი 2010 წელს შემოგვიერთდა. თავიდან მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, შემდეგ კი მეგობრობა სხვა გრძნობაში გადაიზარდა. კარგად მახსოვს, ეს იყო 2011 წლის 22 ნოემბერს პეტერბურგში. ხუმრობით ვამბობ კიდეც, ფრთიანი ფრაზა რომაა „ქეთო და



კოტედან:" „ეს იყო პეტერბურგში," ნამდვილად შეესაბამება ჩვენი სიყვარულის ისტორიას. გასტროლი გვქონდა მაშინ რუსეთში. მას მერე დიდი დრო გავიდა და უფრო გაღრმავდა ჩვენი ურთიერთობა. საბოლოოდ მივხვდით, რომ ჩვენი ურთიერთობა ნამდვილად სიყვარული იყო და გადავწყვიტეთ, ცხოვრება ერთმანეთისთვის დაგვეკავშირებინა და შევქმენით ოჯახი. ეს უცებ მიღებული გადაწყვეტილება ნამდვილად არ იყო. ეს გადაწყვეტილება დრომ და ურთიერთობამ მოიტანა, დაგვანახვა, რომ ერთად ყოფნა ნამდვილად გვინდოდა. „სამაიამ" გვაპოვნინა მე და გიოს ერთმანეთი.

**– ოჯახმა როდის გაიცნო მომავალი სასიძო?**

– ჩემს დაბადების დღეზე, 25 თებერვალს, ჩემს ოჯახს გავაცანი გიო. 15 მარტს კი ნიშნობა გვქონდა და იმ დღესვე წავედით ერთთვიან გასტროლზე რუსეთში. ჩამოვედით და ქორწილიც უცებ დავგეგმეთ, რომელიც 27 აპრილს აღვნიშნეთ. გვინდოდა, ეს დღე ჩვენთვის ყველაზე ახლობლებთან ერთად აგვეღნიშნა და ყველა ის ადამიანი ყოფილიყო ჩვენ გვერდით, ვინც ჩვენთვის ძვირფასია. გვინდოდა, მათ გაეზიარებინათ ჩვენი ბედნიერი და ტკბილი ოჯახის შექმნის სიხარული. ვფიქრობ გამოგვივიდა და ჩვენთვის ეს დღე იყო, ჩვენი ოჯახის ლამაზი ფურცლის ტკბილი დასაწყისი.



მადლობა ჩემს ოჯახს, რომ ყოველთვის მხარში მიდგას, მილამაზებს და მიხარებს ცხოვრებას. ჩემი ლუკა ყველაზე ბედნიერი იყო ამ დღეს, მე კი ამის გამო, ორმაგად – გახარებული.

**– ჯვარი სად დაიწერეთ?**

– ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ, ხელი კი რესტორან „შობაში," ღია ცის ქვეშ მოვაწერეთ, სადაც სტუმრებთან ერთად აღვნიშნეთ ჩვენი ქორწილი.



**– მეჯვარეები ვინ იყვნენ?**

– მეჯვარეები იყვნენ ჩვენი მეგობრები, ორივე მოცეკვავეა – ეკა გელაშვილი და ვასო გაგუნაშვილი.







**– ძალიან ლამაზი კაბა გეცვა, სად შეიძინე?**

– ჩემს კაბაზე იზრუნა მაღაზია „ელდორადომ." დიდი მადლობა მათ, ასე რომ გამილამაზეს ჩემი ლამაზი დღე.

**– ლუკამ როგორ მიიღო შენი გათხოვების ამბავი? ხომ არ გააპროტესტა?**

– ლუკას თავიდან გიო გავაცანი, როგორც ჩემი მეგობარი. ძალიან მოეწონა და დამეგობრდნენ. გიოს უყვარს ბავშვები და კარგად გაუგეს ერთმანეთს. მოგვიანებით, ლუკას ყველაფერი ავუხსენი, მან კი მომიწონა გადაწყვეტილება და არჩევანი. მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩემი შვილი, ჩემთვის ყველაფერია. ლუკა და გიო მეგობრები არიან და გიოს ნახვა ყოველთვის ძალიან ახარებს. გიო სკოლაში აკითხავს ხოლმე, ერთად ვსეირნობთ და ლუკა ბედნიერია. ლუკას ყოველთვის აკლდა ნამდვილი ოჯახური გარემო. ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებენ, ლუკა რომ იყოს ბედნიერი, მაგრამ მას ყოველთვის უნდოდა და ან ძმა ჰყოლოდა. იცოდა, რომ ამ ყველაფერისთვის, ჩემი გათხოვება იყო საჭირო. ახლა კმაყოფილია და მოლოდინის რეჟიმშია, როდის დადგება ის დღე, როცა და-ძმა ეყოლება. ღმერთის წყალობით, იმედია, ლუკას მალე ავუსრულებთ ოცნებას.

**მარიკა ხიდურელი**

**დამავალეს მომემზადებინა მასალა ორფოუდერებზე. წინასწარ ვიცი, რომ ამ კლუბში, სამი ქალბატონია გაწევრიანებული, მათ შორის დედა-შვილი – მაია გოშაძე და მარიამ ნანობაშვილი. მინდოდა, მათთან შეხვედრამდე, ორიოდ სიტყვით შემეტყო, თუ რა არის ოფროუდი. რამდენიმე ციტატას მოვიყვან იქიდან, თუ რას წერენ ინტერნეტში სპორტის ამ სახეობის შესახებ: „ოფროუდი არის... ფულის ჰაერზე გაშვების ერთგავი ფორმა... აი, ზოგი კოკაინში რომ იხდის, ზოგი მოსაწევში, ზოგი... „მსოფლიოს ნახულობს", ზოგი კლდეზე დაცოცავს... ვიღაც ველოსიპედით ეშვება და კარგი მანქანის ფასად ორბორბლიანი ალუმინის საოცრება ჰყავს... ჰოდა, ზოგი კიდევ ტალახში დავძვრებით კისრამდე... ფიზიკური შედეგი ყველგან ერთი და იგივეა... ბოლოს „არაფერი" გრჩება. რაღაც მოგონებები, სურათები, ნაცნობები და „ლომკა".**

**ამის წაკითხვის შემდეგ, უფრო მეტი კითხვა გაჩნდა.**

# ვინ არიან ოფროუდერები და რატომ არიან ისინი ეკომეგობრული ტიპები

**– გამაგებინეთ, რა არის ოფროუდი?**

**მარიამი**: ოფროუდი ინგლისურად ნიშნავს – „გზის იქით". იქ, სადაც მთავრდება გზა, იწყება ჩვენი სამყარო, თავის ტალახებით, ტლაპოებით...

**მაია**: ცოტა ექსტრემის, ადრენალინის, ბუნებისა და ბევრი ურთიერთობის მოყვარულები ვართ.

**– ამჟამად რა ვალდებულება გაკისრიათ კლუბში?**

– უმთავრესად, მსაჯის ფუნქცია მაკისრია.

**მარიამი**: მე, ამ ეტაპზე, კლუბის ყველა აქტივობაზე ვწერ მიმოხილვებს და სტატიებს.

**– როგორი მოსწრება გაქვთ?**

**მაია**: ჯერჯერობით, კავკასიაში ჩვენზე ძლიერი არავინაა. სულ ჩვენ გამოვდივართ მოგებულები, მაგრამ მაპატიე, ამ სიტყვაზე, სულ ფეხზე ჰკიდია ყველას ყველაფერი *(იცინის).*

**მარიამი**: მხოლოდ ოფროუდს კი არა, ზოგადად, ავტოსპორტს არ აქცევს ყურადღებას სახელმწიფო, მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდნენ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებიც მართლა კარგები არიან. მეტ-ნაკლებად, მათ წარმოაჩინეს კიდეც უკვე თავი, მაგრამ რაღაც ინტერესს არ იწვევს ეს ყველაფერი.

**მაია**: ეს პირადად ჩემთვის, ცოტა გულსადაწყვეტია. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ახალგაზრდები მივიზიდოთ, დავაინტერესოთ. მოშორდნენ ქუჩას, წამალს... და რაღაცა მოტივაცია ხომ უნდა ჰქონდეს ამას?!

**– მაინც, რას პოულობთ გულის დასამშვიდებლად, რომ მიუხედავად ყველაფრისა ხელი არ ჩაგიქნევიათ, დღემდე ასე აქტიურად, ასეთი შემართებით მოქმედებთ ოფროუდში, მაშინ, როდესაც თქვენივე წევრები აღნიშნავენ, რომ შეჯიბრების ბოლოს „არაფერი" გრჩება, გარდა მოგონებებისა და ფოტოებისაო?**

– ხელის ჩაქნევა ცოტა რთულია, რადგან ჩემთვის ოფროუდი არის სიამოვნება და ჰობი. მე კი, ჩემს სიამოვნებაზე ვერასდროს ვიტყვი უარს. ამას გარდა, ძალიან ბევრი მხიარული, თავქარიანი და ამყოლი მეგობარი აღმოვაჩინეთ, რომლებიც ზუსტად იცი, პირველი თოვლის მოსვლისთანავე გამოგივლიან და მათთან ერთად სადღაც გადაკარგულში წახვალ. თან, ძალიან მაგარ დროს გაატარებ.

**მარიამი**: ან, მოწვიმს თუ არა, შეგიძლია, „ჰაით" აკრიფო ყველა და ძალიან საინტერესო თავგადასავალი გქონდეს ყველაზე წარმოუდგენელ დროს. მაშინ, როცა სხვები კარგ ამინდზე ოცნებობენ, შენ ამ დროს ტალახშიც მშვენივრად ერთობი. გვერდით გყავს ადამიანები, რომლებთან ერთადაც, ათასი თავზეხელარებული ისტორია გადაგხდენია.

**– მაია, ქალი მსაჯი ამდენ მამაკაცებში როგორ აღიქმება?**

**მაია:** ძალიან ვხალისობ ამაზე. განსაკუთრებით, მუსლიმანურ ქვეყანაში, ჩემი, როგორც მსაჯის წარდგენა რომ ხდება, ალბათ, ვიდეო, ან ფოტო უნდა გადაიღოს ვინმემ იმ მამაკაცების სახეების დასაფიქსირებლად, ამ ინფორმაციას რომ ისმენენ. ზოგი ხელსაც არ მართმევს, სხვადასხვა მიზეზით.

**– სუფრასთან თქვენთან ერთად სხდებიან?**

– უწევთ *(იცინის).*

როცა შეჯიბრებებია, იმ პერიოდში ოფროუდის ნაწილების მაღაზიაში ვმუშაობ დილის 10 საათიდან 6 საათამდე. ეს კიდევ ცალკე, სასაცილო თემაა. უმრავლესობა შემოსვლისთანავე მეკითხება: კაცი არავინ არის აქ? გისმენთ, რით დაგეხმაროთ – ვეკითხები. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ასეთ მაღაზიაში შეიძლება, ქალმა გაუწიოს სრულყოფილი კონსულტაცია. თუ ლაპარაკში ავყევი – ეს, ასე კი არა, ასე იქნება, თქვენს სიტუაციაში მე ამას გირჩევთ-მეთქი. გაჩუმდებიან. ცოტა ხანს მიყურებენ და მერე მეკითხებიან: უკაცრავად, მაგრამ რატომ იცით ეს ყველაფერი თქვენო *(იცინის).*



**მარიამი: „ჩვენ, თუ ასე გავაგრძელეთ, ყარაბახსაც მშვიდობიანად გაიყოფენ"**

**– შეჯიბრების მომენტში „ქალი მაიას" როლზე მესაუბრე.**

**მარიამი**: შეჯიბრების დროს „ქალი მაია" არ არსებობს *(იცინის).*

**– რამდენი წელია, რაც ოფროუდერების ცხოვრება გაქვთ და როგორ დაიწყო თქვენი ოფროუდერობა?**

**მაია:** ცხოვრება ოფროუდერებთან ერთად დავიწყე 2008 წელს. ჩემი და მარიამის მეგობარი იყო ამ კლუბის წევრი, რომელთან ერთადაც, ხშირად დავდიოდით ხოლმე ჩვენი მანქანებით ტყე-ღრეში. ერთხელაც, კლუბის არსებობა შემატყობინა და შემომთავაზა, ჩვენი კლუბის წევრი ხომ არ გახდებიო. ასე მოვხვდი ოფროუდერთა სამყაროში. სადაც მე ვხვდები, მარიამიც ხშირ შემთხვევაში, იქ არის.

**მარიამი**: თავიდან დამაინტერესა იმან, რომ ოფროუდერებზე საუბრისას, დედა უცნაურ ზედმეტსახელებს ახსენებდა – რიკო, ბერკეტი, ძოხო, დიფლოკი და ძალიან რთულია, წარმოიდგინო ტიპები, რომლებსაც ასე ეძახიან. ერთხელ წავედი მათ სანახავად შეჯიბრებაზე და ეს ყველაფერი იმდენად აზარტული აღმოჩნდა, შევყევი და შევყევი. აღმოვაჩინე, რომ ეს სპორტი ჩემთვის ძალიან აზარტულია, როგორც საყურებლად ასევე მონაწილეობის მისაღებადაც.

**– ახლა, ალბათ, უკვე, უფრო მაღალი დონის მძღოლი ქალბატონები ხართ ყოველდღიურობაშიც.**

**მაია**: საკმაოდ ფრთხილები, წესრიგიანი და კანონმორჩილნი...

**მაირამი**: მე პირადად, მხოლოდ გინებით შემოვიფარგლები. მაია, ვერ იტანს ჩემთან ერთად მანქანაში ჯდომას. „საპოჟნიკს" მეძახის.

**– სად ვარჯიშობთ ოფროუდერები?**

**მაია**: დიდი დიღმის თავზე და ასევე, ჭილის ტბაზე. ბაქოელები და აზერბაიჯანლებიც ამ ადგილს მისტირიან, რადგან ძალიან ახლოსაა ქალაქთან და ყველანაირი გზაა ამ ტერიტორიაზე: ადვილი, ცოტა უფრო რთული, კიდევ უფრო რთული, ძალიან რთული... თან, აქვე, მუხათგვერდის ზემოთ მდებარეობს. აზერბაიჯანელები 300 კილომეტრს გადიან, რომ მოხვდნენ სავარჯიშოდ ვარგის ადგილას.

**– დაკარგულხართ როდესმე შეჯიბრების დროს?**

**მარიამი**: შეჯიბრების დროს – არა, გასვლების დროს – კი. ტოპორუკები, რომლითაც ვმოძრაობთ, საკმაოდ მოძველებულია და ძალიან ბევრი გზა, რომელიც მასზეა დატანილი, აღარ არსებობს. კახეთში ერთ-ერთი გასვლის დროს, რუკის მიხედვით, ყველაფერი აჩვენებდა, რომ იქ გზაა და უკვე სოფელში უნდა გავიდეთ. ამ დროს აღმოვჩნდით მდინარის კალაპოტთან, რომელსაც ჩამოტანილი ჰქონდა ალბათ, 2-3 მანქანის ხელა ლოდები. ვერ ჩავდივართ და თუ ჩავალთ, ველარ ამოვალთ. გამოვბრუნდით უკან და იმედი გვქონდა, პარალელური გზით მაინც გავიდოდით სამშვიდობოს, მაგრამ ამ გზამ უფრო დიდ ხრამთან მიგვიყვანა. დაგვიღამდა. ტელეფონებიც არ იჭერდა, რომ ვინმესთვის დაგვეძახა.

**– რამდენს ვიტირებდი თქვენს ადგილას...**

– სატირლად დრო არ გვქონდა. მანქანებით რომ გვემოძრავა, საწვავი აღარ გვეყოფოდა, ამიტომ ბიჭები მანქანებიდან გადმოვიდნენ და დაახლოებით 40 წუთი ფეხით ეძებდნენ გასასვლელს. 40 წუთის შემდეგ, აღმოვაჩინეთ, რომ შანსი მოგვეცა დაუზიანებლად გავცლოდით ამ ადგილებს. ასე, ტყე-ტყე, მაგრამ ბუნების დაუზიანებლად გავიარეთ საკმაოდ რთული მონაკვეთი და გამოვედით სამშვიდობოს. ეკომეგობრული ტიპები ვართ *(იცინის).*

**– რა თვისებებს უნდა ჰქონდეს ოფროუდერს?**

**მაია**: კარგი ოფროუდერი... ჩემი გამოცდილებით, როგორც წესი, ყველა დიდ სპორტსმენს აქვს ძალიან ცუდი ხასიათი. თუმცა, გამონაკლისებიც არიან. ოფროუდი ზედმეტად გუნდური სპორტია.

**მარიამი**: იმიტომ რომ, ამ სპორტში აბსოლუტურად ყველა რესურსი გჭირდება.

**მაია**: შეიძლება, თანაგუნდელი ხრამში ვარდება და წამის მეათედებში უნდა მოიფიქრო, თუ რა მოიმოქმედო. მისი გადარჩენის მომენტში, შენც საკმაოდ რისკავ. ასეთ დროს ძალიან ადვილად და ბუნებრივად ხდება გაცხრილვა. თუ რომელიმე მიხვდება, რომ ასეთი საქციელის ჩადენა არ შეუძლია, თვითონ, თავისით მიდის.

**– საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი. ძირითადად, ეს ქვეყნები მეზობლობთ და ურთიერთობთ ამ სპორტში?**

– იშვიათად, მაგრამ ხანდახან ორჯონიკიძიდანაც ჩამოდიან. ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაში არა, მაგრამ ერთი-ორჯერ იყო მომენტები, როცა უცნაური სიტუაცია წარმოიშვა აზერბაიჯანლებსა და სომხებს შორის, მათი გლობალური კონფლიქტიდან გამომდინარე.

**– რა მოხდა?**

– სომხეთის ეკიპაჟი ტყეში, ორიენტირებაზე ჩამოდიოდა მთიდან, აზერბაიჯანლების ეკიპაჟი კი ქვემოდან ადიოდა. აზერბაიჯანელებმა ჰკითხეს: მთავარი წერტილი ზემოთ არისო? სომხებმა – არა, იქ ჩვენ ვიყავით და არაფერი არ არისო. გამოტრიალდნენ უკან აზერბაიჯანელები. სამწუხაროდ, მოტყუვდნენ და წააგეს კიდეც. სომხებმა ის წერტილი აიღეს, ძალიან კარგად იცოდნენ, რაც იყო და სადაც იყო. მიუხედავად ამისა, გამარჯვებას ყოველთვის გულწრფელად ულოცავენ ერთმანეთს და ხელსაც ართმევენ. მე მომწონს ეს ამბავი.

**მარიამი**: ჩვენ, თუ ასე გავაგრძელეთ, ყარაბახსაც მშვიდობიანად გაიყოფენ (იცინის).

**ეკა სალაღაია**



# როდის ეთანხმება კაცი ქალის არჩევანს ბრმად და რას ნანობს მერე ის

**მამაკაცები ხშირად იღებენ იმპულსურ, გაუაზრებელ გადაწყვეტილებებს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ქალს ეხება. ყველას არ შეუძლია, გონებით შეაფასოს მეორე სქესის წარმომადგენელი, თუკი ის ვნებიანი, სექსუალური და თამამია. დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და ახერხებს მამაკაცებით მანიპულირებას. ფაქტია, რომ კაცები ამ ტიპის ქალებს უფრო ამჩნევენ, ვიდრე მოკრძალებულებსა და მორიდებულებს. მათ გამო კი ხშირად, ერთი შეხედვით სტაბილური ოჯახებიც ინგრევა.**

**მამაკაცი ბევრ შეცდომას თავისი სუსტი ხასიათის, უნებისყოფობის გამო უშვებს და უმრავლესობა ნანობს კიდეც, თუმცა, მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღიარებს, რომ ცხოვრება შეგნებულად გაირთულა.**

**ვახო** ***(34 წლის):*** ყმაწვილობისას არასდროს ვყოფილვარ „მოსეირნე“, როგორც ჩემი რამდენიმე მეგობარი. ისინი არც ერთ აფრიალებულ „იუბკას” არ გაუშვებდნენ ხელიდან, თუკი გამოუვიდოდათ რამე. ამას „გამარჯვებებს” ეძახდნენ და ქულებს იწერდნენ, რაზეც ძალიან მაგრად მეცინებოდა. არც არაფრად მიმაჩნდა მათი წარმატებები. არ მაინტერესებდა. ერთხელ ვთქვი, სიყვარულს ველოდები-მეთქი და მაგრად იხალისეს. ამის მერე ვდუმდი ხოლმე ამ თემაზე.

**– რატომ? შეგრცხვათ?**

– არა. სირცხვილი საერთოდ რა შუაშია. რა მჭირდა სამარცხვინო? უბრალოდ, ვერიდებოდი ისეთ კამათს მეგობრებთან, რომელიც აუცილებლად ჩხუბში გადაიზრდებოდა.

**– მაშინ, გკითხავთ: მოგწონდათ თამამი, ძალიან აქტიური და გამომწვევი ქალები?**

– მგონი, არ არსებობს მამაკაცი, რომელსაც ამ ტიპის ქალები არ მოსწონდეს. სხვა საქმეა, როგორია მათ გვერდით ცხოვრება. ბუნებრივია, რთული იქნება და პრობლემური. წყნარი, მორიდებული ქალი ნაკლებად გიჩენს თავსატეხს, თუმცა, ვერ გხიბლავს და „დრაივი“ არ მოაქვს.

**– მერე, ღირს ჩიტი ბდღვნად? ანუ, ღირს „დრაივისთვის“ პრობლემების „აკიდება“?**

– სწორედ მაგაზე ვლაპარაკობ. თავიდანვე უნდა იცოდე, რაზე მიდიხარ. კარგად უნდა გქონდეს გააზრებული, თორემ, შეიძლება, ცხოვრება დაინგრიოო. გართულებები რა სალაპარაკოა ჩემს შემთხვევაში, საქმე ლამის უბედურებამდე მივიდა. მარტივია, ფეხი დაგიცურდეს და ყველაფერი უკუღმა ამოტრიალდეს – ბევრი არაფერი სჭირდება ამას. კაცებზე რომ ამბობენ, თავით არ ფიქრობენო, ზოგჯერ ეს მართალია.

როგორც გითხარით, კაბებზე გამოკიდებულ-ჩამოკიდებული არასდროს ვყოფილვარ. სულ მეგონა, რომ ქალის გამო არ ავმჩატდებოდი და ჩემს პრინციპებს არ ვუღალატებდი. ვიფიქრე, ქალების გამოცვლით საკუთარ თავს ვერაფერს დავუმტკიცებ, ჯობია, ერთი მიყვარდეს და მასთან ვიპოვო ბედნიერება-მეთქი. რატომ მქონდა იმის ამბიცია, რომ მე განსაკუთრებული ვიყავი, თვითონაც არ ვიცი.

**– კაცებს არ ახასიათებთ ასეთი ლირიკული გადახვევები, გაცილებით პრაგმატულები არიან.**

– იმიტომ, რომ გამოცდილმა კაცმა ზუსტად იცის, რითაც მთავრდება ეს „ლირიკული გადახვევები.” ამიტომ, თავდაცვის მექანიზმი ერთვებათ და ემოციებს ახლოს არ უშვებენ. როცა პირველად შემიყვარდა, სულ სხვანაირად ვიქცეოდი – ყველაფერს ვითმენდი და ვპატიობდი, მას კი არანაირ კომპრომისზე არ უნდოდა წასვლა. საბოლოოდ, ისე დავშორდით, რომ საქმე ლოგინამდე არც მისულა, რასაც, ცხადია, აუცილებლად ქორწილი მოჰყვებოდა.

**– რატომ გგონიათ ასე?**

– ტიპაჟი იყო ასეთი, სხვანაირად არ დამთავრდებოდა ჩვენი ინტიმური სიახლოვე.

**– მაგის გაცნობიერებამ ხომ არ გიბიძგათ დაშორებისკენ?**

– არა. მიყვარდა და ოჯახის შესაქმნელადაც მზად ვიყავი, მაგრამ დამღალა მუდმივმა კინკლაობამ, ცალმხრივმა კომპრომისებმა ჩემი მხრიდან. ან შეიძლება, გრძნობა არ იყო ისეთი ძლიერი, რომ ბრმად გადამედგა ნაბიჯი...

**– ნაბიჯის ბრმად გადადგმა არ არის შემდგომში სინანულის, იმედგაცრუების მიზეზი?**

– როგორ არ არის. მაგისი თქმა მინდა

**კაცებზე რომ ამბობენ, თავით არ ფიქრობენო, ზოგჯერ ეს მართალია**

სწორედ, რომ იმპულსურობა, ქალზე „აცუნცრუკება-ამჩატება“ კაცებისთვის ცუდი შედეგებით მთავრდება.

**– თქვენ როგორ გგონიათ, კაცი აკეთებს არჩევანს თუ ქალი?**

– რა თქმა უნდა, ქალი და ნებისმიერ მამაკაცს დავენაძლევები ამაზე. ჩვენ მხოლოდ ილუზიას ვიქმნით, რომ ეს ჩვენი არჩევანია და ამით თითქოს თავს ვიმშვიდებთ, რეალურად კი ქალის არჩევნის მონები ვართ. ნებისმიერ მამაკაცს გაუჭირდება ამის აღიარება და, პრაქტიკულად, არც არავინ აღიარებს.

**– თქვენ გამონაკლისი ხართ?**

– ასე გამოდის, მაგრამ, განსაკუთრებულობაზე პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს. თუ ვინმე რამეს ისწავლის ჩემი მაგალითით, კარგია. თუმცა, მიმაჩნია, რომ საკუთარ მაგალითზეც ვერაფერს ვსწავლობთ. მოკლედ, გავიცანი ჩემი ბედისწერა – ლიკო. ასეთი ენერგიული ქალი არასოდეს მინახავს, ოღონდ მართლა. ქარიშხალი იყო, არაპროგნოზირებადი, უმართავი, გიჟი და გადარეული. თან, საოცრად სექსუალური და ვნებიანი. ეს ყველაფერი მის თვალებში ჩანდა და მაგნიტივით მიმიზიდა. თავი დავკარგე. არ მიკვირს, რაც მერე მოხდა. თქვენ მკითხეთ, უყვართ თუ არა კაცებს ვნებიანი, მაცდური ქალებიო – როგორ შეიძლება, ნორმალური, ჯანმრთელი კაცი გულგრილი დარჩეს ზევნებიანი ქალის მიმართ, რომელსაც პირველყოფილი ევას სილამაზე აქვს?!

**– მე გკითხეთ, გარყვნილი ქალი თუ უყვარს-მეთქი კაცს.**

– გააჩნია, რას ეძახით თქვენ გარყვნილებას. ცოტათი აღვირახსნილობა, დიახ, მომწონს, მაგრამ, მხოლოდ ჩემთან უნდა იყოს აღვირახსნილი. გესმით, ხომ?

**– ცოტა გაუგებარია, რას ითხოვთ. თუ ქალს ხასიათში აქვს აღვირახსნილობა, ის სხვაგანაც ასე მოიქცევა, ხომ ასეა?**

– სამწუხაროდ, უნდა დაგეთანხმოთ. შეუძლებელია, ადამიანი არ მიიღო ისეთი, როგორიც არის და სცადო მისი მორგება საკუთარ კომფორტსა და სურვილზე. მეც ეს შემეშალა. ისე კი, თავიდანვე უნდა დადო სასწორზე – რისი გაკეთება გიღირს და რისი – არა. უნდა გადააფასო ღირებულებები და, იქნებ, სხვისთვის მიუღებელი შენთვის მისაღები აღმოჩნდეს. ბოდიში, ამას რომ ვამბობ, მაგრამ, ზოგს ბოზი ცოლი ჰყავს და იტანს ამას, უფრო მეტიც – ბედნიერადაც კი გრძნობს თავს. ყველას თავისი შეხედულება და პრინციპები აქვს ცხოვრებაში. მე პრობლემა შემექმნა და ძალიან ბევრიც ვინერვიულე. ლიკო არ იყო ჩაციკლული საკუთარ გარეგნობაზე და საკმაოდ კარგადაც მიგებდა. თბილიც იყო, მოსიყვარულეც, მაგრამ პირდაპირ გამომიცხადა – ჰაერივით მჭირდება სხვა კაცების ყურადღება და მათთან ფლირტი. ვერც სახლში დავჯდები დიასახლისადო. თუმცა, ცოლად გამოყოლაზე უარს არ მეუბნებოდა.

**– თუ ამ პირობებს დაუკმაყოფილებდით, ალბათ, იმ შემთხვევაში.**

– დიახ, რა თქმა უნდა. ისე ვიყავი მისით მოხიბლული, ვიფიქრე, იფლირტავოს, რა უნდა დააშავოს, ფლირტი ხომ ღალატი არ არის-მეთქი და მანდ შევცდი. მხიარული, ცოცხალი, კომუნიკაბელური და ნებისმიერი საზოგადოების სული და გული, მაშინვე ექცეოდა მამაკაცების ყურადღებ-

# რატომ დაკარგეს ერთმანეთი ნათლიამ და ნათლულმა და ვის ეძებენ ზესტაფონის რაიონის კვალითის დასახლებაში

***54 წლის მაია აკაკის ასული მიროტაძე ეძებს დაახლოებით 65-70 წლის მერი ბუაძეს (მეუღლის გვარი – ლომსაძე).***

**ისტორია**: ვეძებ ნათლიაჩემს – მერი ბუაძეს (მეუღლის გვარი – ლომსაძე), ის დაახლოებით 65-70 წლამდე უნდა იყოს. სამწუხაროდ, მერის ზუსტი ასაკი არ მახსოვს. უკვე 20 წელია, რაც მასთან კავშირი აღარ მაქვს. ძალიან მინდა მისი მოძებნა და ნახვა. როგორც მახსოვს, ბოლოს მერი ბუაძე ზესტაფონში, კვალითის დასახლებაში ცხოვრობდა. ამჟამად მე ჭიათურაში ვიმყოფები და აქედან გიკავშირდებით.

**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი ნათლულმა და ნათლიამ?**

– მერი ბუაძემ 1978 წელს მომნათლა. ის ჩვენი ოჯახის მეგობარი იყო. მოხდა ისე, რომ 20 წელია, ნათლიასთან კავშირი არ მაქვს და ეს ძალიან მადარდებს. მინდა ვიცოდე, როგორ არის. მისი ბოლო საცხოვრებელი მისამართი ზესტაფონის რაიონის კვალითის დასახლება იყო. როგორც მახსოვს, ის საცხოვრებლად კორპუსის ბინაში გადავიდა. ზუსტი მისამართი არ ვიცი და ამის გამო ვერ ვუკავშირდები. წლებია უკვე, რაც ჩვენ ერთმანეთის შესახებ არაფერი ვიცით. მერის ორი ვაჟიშვილი ჰყავს: ზაზა და ბაჩუკი. ვიცი, რომ მერის რძალს ქეთინო ჰქვია. ქეთინო ბაჩუკის მეუღლეა. არ არის გამორიცხული, რომ ნათლიაჩემი დღემდე ზესტაფონში ცხოვრობს. იმედი მაქვს, ვინმე წაიკითხავს თქვენს სტატიას და ნათლიას ვიპოვი. მისი ფოტო არ გამაჩნია, ჩემს ფოტოს კი ვერ გიგზავნით, რადგან აქედან ამის საშუალება არ მაქვს. თავად მე თბილისში ვარ გათხოვილი და იქ ვცხოვრობ, მაგრამ ამჟამად დედაჩემთან, ჭიათურაში ვიმყოფები.

**– აგვიწერეთ თქვენი ნათლია.**

– ახალგაზრდობაში ის იყო ძალიან ლამაზი ქალი, მრგვალი პირისახის, ხორბლისფერი კანით, ფერხორციანი, საშუალო სიმაღლის. ამჟამად ის ასაკშია და, ალბათ, ცოტა შეიცვლებოდა. ვფიქრობ, მას ჩემი სურათიც რომ ენახა, უცებ ვერ მიცნობდა, რადგან მთელი ოცი წელი ჩვენ ერთმანეთი არ გვინახავს.

**– აქამდე თუ ეძებდით ნათლიას? მისი მოძებნა რამ გადაგაწყვეტინათ?**

– თითქმის ყველა საეკლესიო დღესასწაულზე მახსენდება მერი. მინდა, მასთან კავშირი მქონდეს. ნათლია ქრისტიანი ადამიანისთვის ბევრს ნიშნავს. მარტომ მერის მოძებნა ვერ მოვახერხე და, როდესაც სრულიად შემთხვევით გადავაწყდი თქვენს რუბრიკას, მისი პოვნის იმედი გამიჩნდა. გადავწყვიტე, დაგკავშირებოდით. ვიცი, რომ უკვე ბევრ ადამიანს აპოვნინეთ ერთმანეთი და მათ შორის ნათლიები და ნათლულებიც იქნებიან. იმედია, ამ ადამიანების რიცხვს მალე მეც შევემატები.

**– თქვენი აზრით, მერი რა მიზეზით არ გიკავშირდებათ, მისამართი ხომ არ შეგიცვლიათ?**

– არ ვიცი, ამის მიზეზი რა უნდა იყოს. შეიძლება, მას, უბრალოდ, დაავიწყდა ჩვენი მისამართი. თბილისში ჩემი მისამართი მისთვის უცნობი იყო, ჭიათურაში კი დედა ისევ იმ მისამართზე ცხოვრობს, რომელიც მერისთვის იყო ცნობილი. მისი პოვნის შემთხვევაში, გავარკვევ, რატომ არ დაგვკავშირებია ამდენი წლის განმავლობაში. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ამის სერიოზული მიზეზი ექნებოდა. ყურადღებიანი და თბილი ადამიანია და ნათლულს ასე ადვილად არ დაივიწყებდა. შეიძლება, რაღაც პრობლემებმა გადაავიწყა მას ჩემი თავი.

**– ნათლიის პოვნის შემთხვევაში, ერთმანეთთან შეხვედრას თუ აპირებთ?**

– ძალიან მინდა მისი ნახვა და, თუკი ერთმანეთს ვიპოვით, აუცილებლად შევხვდები კიდეც. ნეტავი კარგად და ჯანმრთელად იყოს. დედა მგულშემატკივრობს, მასაც ძალიან უნდა მერიკოს პოვნა. ისღა დაგვრჩენია, ამის იმედი ვიქონიოთ და თქვენს ზარს დაველოდოთ.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

ის ცენტრში. თვითონ მიდიოდა ფლირტზე პირველი და ისე კეკლუცობდა, ეჭვიანობით ვკვდებოდი. არ ადარდებდა, ამ ყველაფერს რომ ვხედავდი. ჩემი ქალი იყო და სხვას ულიმოდა. არ შემეძლო მის გარეშე, მაგრამ, მაინც ვეჩხუბებოდი და ვნერვიულობდი. ველაპარაკებოდი დაშორებაზე და, თითქმის მაშინვე, რამდენიმე წუთის შემდეგ, ვემუდარებოდი, არ წასულიყო ჩემგან. ეს რაღაც კოშმარს ჰგავდა, მოჯადოებულ წრეს, რომელსაც თავს ვერ ვაღწევდი. სამი წელი გრძელდებოდა ეს ამბავი და თითქმის ყოველდღე მეორდებოდა ერთი და იგივე. ჩემი ცხოვრება მართლა თავდაყირა დადგა. საქმესაც ველარ ვაკეთებდი ნორმალურად. სულ იმას ვფიქრობდი, ნეტავი, ჩემი ცოლი ახლა ვის უცინის და ვის ეფლირტავება-მეთქი. გაგიჟებას აღარაფერი მაკლდა. სათვალავი ამერია, იმდენჯერ დააპირა ჩემგან წასვლა და მე არ გავუშვი. ისიც ვცადე, მეც გამება მსუბუქი რომანი სხვა ქალთან. გავაკეთე ის, რაც არ მინდოდა – ვუღალატე ცოლს, მაგრამ ამან არ მიშველა. ეჭვიანობას სინდისის ქენჯნაც დაემატა და უფრო დავამძიმე სიტუაცია. მივხვდი, რომ ცუდად მოვიქეცი, ძალიან ცუდად. მინდოდა, ცოლისთვის მომეყოლა და პატიება მეთხოვა, მაგრამ, შემეშინდა, რომ ისიც მიღალატებდა. თითქმის ზღვრამდე მივედი და ამ დროს, მოულოდნელად, ლიკომ მითხრა, შენ ჩემი ერთადერთი მამაკაცი ხარ, მიყვარხარ და, რადგან ჩემი ქცევა განერვიულებს, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შევიცვალოო. ახლა უკვე ვდარდობ იმაზე, რაც ჩავიდინე. უნდა მცოდნოდა, ვის ვირჩევდი ცოლად. თან, ლიკომ ისიც თქვა, თუ გავიგებ, რომ ერთხელ მაინც მიღალატე, საშინელებას ჩავიდენ და ძალიან გაგამწარებ; ღალატს არ დაგჯერდები, თავს მოგჭრიო. იცით, როგორ ცუდად ვარ? ხომ შეიძლება, შემთხვევით გაიგოს, რომ ვღალატობდი. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მიყვარს და მის დაკარგვას ვერ შევეგუები. რატომ არ შევეცადე, სხვანაირად მომეგვარებინა ჩვენი პრობლემა; რატომ ვიმოქმედე ბანალურად და სულელურად?!

**ჭკვიანმა კაცმა ზუსტად იცის, რით მთავრდება ლირიკული გადახვევები. ამიტომ, თავდაცვის მექანიზმს რთავს და ემოციებს ახლოს არ უშვებს**

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**მიყვარს ქმარი და ვაფასებ, მაგრამ მასთან ცხოვრება საკმაოდ რთულია. მთელი დღე გასულია და წარმოდგენა არ მაქვს, სახლში როდის დაბრუნდება. ყოველთვის მოულოდნელად მოდის და თითქოს მამოწმებს, სახლში ვარ თუ არა. მე არ ვმუშაობ – არ მოსწონს, ქალი სახლიდან რომ არის გასული. თვითონ ძალიან დაკავებულია, მაგრამ მეც ხომ მინდა ცხოვრება?**

**როგორ გავაგებინო, რომ მარტო მისი მოცემული ფულით ბედნიერი არ ვარ. საზოგადოება მჭირდება, ხალხი და ჩემი საქმე, თუნდაც ნაკლებად შემოსავლიანი.**

**გამოხმაურება:** ზოგადად, იმ ტიპის მამაკაცები, როგორიც თქვენი მეუღლეა, ცოლებს ნაკლებად აძლევენ დამოუკიდებლად მოქმედებისა და აქტიურობის უფლებას. ნამდვილად რთულ სიტუაციაში ხართ. შეეცადეთ, ჰობი მაინც გაიჩინოთ, ისეთი, თვითრეალიზაციის საშუალებას რომ მოგცემთ. შეიქმენით საკუთარი, საინტერესო სამყარო.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**პაროდისტი და მომღერალი ვლად არამოვი რომ ნიჭიერია, ამაში ეჭვი არავის ეპარება. თუმცა, ის რომ სუპერ იღბლიანიცაა, ამაზე თავად საუბრობს. მართალია, არ არის ადვილი, მოხვდე შორს, ამერიკაში და იქაც იგივე საქმიანობით გახდე პოპულარული, რასაც საქართველოში აკეთებდი, მაგრამ, ვლადი საკმაოდ შრომისმოყვარეა და ის, რომ, ნიუ-იორკში, დროს კი არ დაეწია, გაუსწრო კიდეც, ამაზე თავად ხალისობს. სულ რამდენიმე დღეა, რაც ამერიკის სხვადასხვა შტატში ჰქონდა გამოსვლები, სოლო პროგრამები და როგორც იქ მცხოვრები ემიგრანტების, ასევე „კარენოი" ამერიკელების საკუთარი შემოქმედებით მოხიბვლა შეძლო.**

# რატომ ეგონა თავი პაპუასი კოვბოების გვერდით ვლად არამოვს და როგორ აღმოჩნდა ის ამერიკაში რიკოთის ულელტეხილზე

**ვლად არამოვი**: ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ოცნებები ნამდვილად ხდება. თუმცა, ამისთვის ძალიან ბევრი უნდა იშრომო და დროს არ ჩამორჩე. აქ ჩამოსულს, მართლაც ბევრი შრომა მომიწია, რომ უცხო მხარეშიც იგივე მეთქვა, რასაც საქართველოში ჩემი საქმით ვამბობდი და რითაც ხალხმა გამიცნო და შემიყვარა. ამერიკულ შოუ-ბიზნესში, ახლა ვიდგამ ფეხს და ვფიქრობ, არცთუ ისე უიღბლოდ. ყოველ შემთხვევაში, მე კმაყოფილი ვარ. ახლახან მქონდა ოთხ შტატში – არიზონაში, ლას-ვეგასში, კოლორადოსა და ოჰაიოში გამოსვლები და ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. ნელ-ნელა ვერგები აქაურ შოუ-ბიზნესს, თუმცა ამისთვის, მართლა თავს არ ვზოგავ. დამერწმუნეთ, აქ ისეთი ცხოვრების რიტმია, თუ ჩამორჩი, ველარასოდეს დაეწევი. ამიტომ, სულ ფორმაში უნდა იყო და საჭირო დროს, საჭირო ადგილას აღმოჩნდე.

**– ლას-ვეგასში ჩასულმა, არ გარისკე და შენი იღბალი „რულეტკაზე" არ დადე?**

– როგორ არა ***(იცინის).*** იქ ჩასული კაცი, კაზინოში რომ არ შეხვალ სირცხვილია. თუმცა, თუ „სტოპი" არ იცი, „დაგერხა" ***(იცინის).*** ამ ტურნეში, ჩემს პარტნიორთან, ლეონიდ ილიაბაევთან ერთად გახლდით. ჩვენი სოლო გამოსვლები გვაქვს და ძირითადად, რუსულენოვანი რეპერტუარი, რაც კორპორატიულ საღამოებზეა მორგებული. მოკლედ, არიზონას აეროპორტში ვიქირავეთ მანქანა და ასე გადავწყვიტე ლას-ვეგასში წასვლა. სულ ხუთი საათია სავალი. თან მინდოდა, აქაური გზები გამომეცადა, ველური ბუნება შემეგრძნო. სხვათა შორის, არიზონადან ნევადაში რომ მიდიხარ, ირგვლივ ისეთი მთებია, თავი საქართველოში გეგონება. ძალიან ჰგავს აქაური გარემო ჩვენი ქვეყნის ბუნებას. ასე მეგონა, ამ „შიკარნი" ამერიკული მანქანით, რიკოთის ურელტეხილზე მივქროდი ***(იცინის).*** წარწერებს რომ არ შეხედო და მთების სილამაზით დატკბე, მართლა საქართველოს დასავლეთში გეგონება თავი. რაც შეეხება კაზინოს, რასაკვირველია, ცდუნებას ვერც მე გავუძელი და ვერც ლეონიდმა. დიდი ფსონების დადება ვერ „გავქაჩე" და კი წავაგე პატარა თანხა. პირველად ჩემს ცხოვრებაში, „რულეტკა" ვითამაშე, მაგრამ მივხვდი, იმდენად აზარტულია და ისეთი ჩათრევა იცის, ჯობია, დროულად „დაასტოპო" ***(იცინის).*** მე კი მეყო ნებისყოფა კაზინოში, მაგრამ ჩემს მეგობარს არა, და უნდა გენახათ, როგორ ავაგლიჯე მაგიდას ***(იცინის).*** ვეუბნებოდი, ადექი, ბიჭო, მთელი ჩემი ნამუშევარი, ლას-ვეგასში თუ დავტოვე, ოჯახს რაღა ვაჭამო-მეთქი ***(იცინის).*** მოგებით არაფერი მოვიგე, მაგრამ კარგი დრო კი ვატარე კაზინოში. იქ უნდა გაერთო და მაქსიმუმ 200 დოლარი დახარჯო, თორემ თუ აზარტში შეხვედი, ჩათვალე, იქიდან გატლეკილი გამოხვალ. რომ გითხრათ, აზარტული ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. ჯიბესაც „ვუჭერ", რადგან ფულის შოვნა რთულია, ხარჯვა კი ძალიან ადვილი. ასე რომ, გაფრთხილებთ, თუ ლას-ვეგასში ჩახვალთ, ტვინი აამუშავეთ და არა აზარტული ბუნება. ახლა, მთლად ჯიბეს ნუ ამოიკერავთ, მაგრამ თუ თავის იმედი არ გაქვთ, ჯობია, სწორად გათვალოთ ფინანსების ლიმიტი.



**ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შეიძლება, დაიძინო და სულ სხვა ადამიანმა გაიღვიძო**

**– გამიგია, რომ ამერიკული ველური ბუნება, მართლაც სასწაულია. თუ არ ვცდები, დღესაც შემორჩენილია, ისეთი კოვბოური ბარები, სადაც შესვლა ცოტა არ იყოს, უცხოელისთვის საშიშია. მსგავს ადგილებშიც ხომ არ მოხვდი, ეს კავკასიური გარეგნობის ადამიანი?**

– ***(იცინის).*** მოვხვდი კი არა, ისეთი შიში ვჭამე, უნდა გენახათ! ველურ დასავლეთში რომ ბარებია ხომ იცით? ჰოდა, ჩვენც გზაში დავინახეთ მსგავსი ბარი. ყავა გვინდოდა, დაგველია. გავაჩერეთ მანქანა, შევედით და გავშტერდით. ასე მეგონა, კოვბოურ ფილმში მოვხვდი. უცნაურად ჩაცმული ხალხი იჯდა, ზოგს ფეხი არ ჰქონდა, ზოგს თვალი, ზოგს ხელის მტევანი და ყველა ჩვენ გვიყურებდა. ვიფიქრე, ერთი მუსიკალა აკლია და ვიღაცა ჯიბიდან ისვრის-მეთქი ***(იცინის).*** ბარმენი უცნაური „მასტი" იყო, გრძელთმიანი, წვერებში და იარაღგარჭობილი. არადა, ამერიკაში, მხოლოდ პოლიციელს თუ ნახავ იარაღით, თორემ რიგითი მოქალაქე მას არ ატარებს. ეტყობოდა ისეთ ადგილას მოვხვდით – უდაბნოში, სადაც ჩვენი ადგილი ნამდვილად არ იყო. ასე მეგონა, მეთვრამეტე საუკუნეში აღმოვჩნდი. მოკლედ, ამ ორ, კავკასიური გარეგნობის მამაკაცს ისე გვიყურებდნენ, როგორც პაპუასებს. ბარმენს მოწიწებით ვუთხარი, ყავა გვინდა-მეთქი და ისე დავლიეთ, პირი გამოვიფუფქეთ ***(იცინის).*** თან ვსვამდით და თან, აქეთ-იქეთ ვიყურებოდით, ვაიდა, არ მოუვედით თვალში ამ ხალხსო. მადლობა ღმერთს, გამოვასწარით.

**– მოკლედ, სულ გზაში ხარ. თავგადასავლებიც არ გაკლია. არ არის რთული, ფეხი აუწყო ამერიკულ დროს?**

– მართალია, სულ გზაში ვარ. ასე მოითხოვს ჩემი პროფესია და, მადლობა ღმერთს, პროფესიულადაც გამიმართლა. შესაბამისად, არც თავგადასავლები მაკლია. მეგობრები მირეკავენ, თბილისში გზები ისე გაფუჭდა, ავარია ავარიაზე ხდებაო. თქვენ აქ უნდა ნახოთ, ნიუ-იორკში. მარილიანი წყალი, წვიმა და ოკეანიდან წამოსული შხეფები შლის ასფალტს და ისე გააფუჭა, სიარული ჭირს. თუმცა, აქ ერთ ადგილას ჯდომა არ ღირს. როგორც გითხარით, დროს უნდა დაეწიო და უნდა გაუსწრო კიდეც. ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც შეიძლება, დაიძინო და სულ სხვა ადამიანმა გაიღვიძო. ეს ქვეყანა დიდი ლატარია, „რულეტკაა" და თუ სწორად გათვლი შენს სვლებს, არ არის გამორიცხული, ადვილად გახდე მილიონერი.

**– ვლად, დამეთანხმე, სწორ სვლას ხომ იღბალიც სჭირდება?**

– რასაკვირველია, იღბალიც საჭიროა, თორემ უიღბლო ადამიანი აქაც ვერ მოხვდება ***(იცინის)***. სულ ვფიქრობ, რა მაგარი იქნება, რომ დავიძინო და მილიონერმა გავიღვიძო-მეთქი. იმდენ რამეს შევცვლიდი ჩემ გარშემო, ვერ გეტყვით. თუმცა, ისიც მიფიქრია, მილიონერი თუ ხარ, ძლიერიც უნდა იყო. ცდუნებებმა არ უნდა გძლიოს და არ უნდა „გაიბერო". დიდი ფული დიდ პრობლემებს ქმნის. ამიტომ, მგონი ჯობია, იმდენი მქონდეს, რამდენიც მეყოფა. ამდენი კი ჯერჯერობით მაქვს. თუმცა, უფრო მეტზეც უარს არ ვიტყოდი. ამ ეტაპზე იმითაც კმაყოფილი ვარ, ამერიკაში რომ ვცხოვრობ და, თუ ორმაგ მოქალაქეობას მივიღებ, საქართველოშიც უფრო ხშირად ჩამოვალ. მე ჩემი ქვეყნის გარეშე, ძალიან მიჭირს. აქ ბევრი ქართველია და მათთან ურთიერთობით ვივსებ იმ მონატრებას, რაც ჩემი ქვეყნიდან გამომყვა.

**ნონა დათეშიძე**

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

**„კომედი შოუს" მსახიობი ბექა ონიანი ისეთ კომედიურ როლებს ასრულებს, რომლებიც ადვილად გამახსოვრდება, გაცინებს და გახალისებს. მართალია, ხან ყოფილი ცოლის ქმრის ქონებას ყიდის, ხან უზარმაზარი სათვალით ჩანს ეკრანზე და ხანაც მუშის ფორმაში გამოწყობილი უშლის ნერვებს უფროსს, მაგრამ, რეალ-ურ ცხოვრებაში არც სხვის ქონებაზე უჭირავს თვალი, არც მხედველობას უჩივის და არც ნერვებს უშლის გარშემო მყოფებს. თუ როგორი ადამიანია ის, რატომ ჰგონიათ ქუჩაში მოსიარულეებს გონებაშეზღუდული და როგორ მოხვდა ის „კომ-ედი შოუს" ბიჭების გვერდით, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# ვის „უღუნავს" ტვინს ბექა ონიანი და რა დოზით ზის მასში სვანური ხასიათი

**ბექა ონიანი**: ძალიან უცნაური ბავშვი ვიყავი – მიყვარდა ჩხირკედელაობა და ხან ურიკას გადავაკეთებდი მოტოციკლეტად და ხან ისეთ აპარატს ვიგონებდი, რომელიც ად-ვილად დაჭრიდა შეშას. მთლად კარგი გამო-მგონებელიც ვერ ვიყავი, მაგრამ, მიყვარდა რაღაცეების დაშლა და ახლის აწყობა. არ დამავიწყდება, ერთხელ, გავაკეთე ავტომა-ტი, რომელსაც ისეთი საოცარი ხმა ჰქონდა, „ბახ-ბახის" ყვირილი აღარ მიწევდა და საკუ-თარი ხმის ეკონომიას ვაკეთებდი ***(იცინის).*** სხვათა შორის, მაგარი მიზანიც მქონდა – ერთ-ერთ მეგობარს, ვალერის, ისეთი სიშო-რიდან ვესროლე პატარა ქვა, რომ შუბლი გავუტეხე და სისხლი ვადინე.

**– ესე იგი, საშიში მეგობარი ყოფილ-ხარ.**

– საშიში არა, უფრო ცელქი ბავშვი ვიყა-ვი, თორემ, ახლაც არ ვისვრი ქვებს ***(იცინ-ის).***

**– რა პროფესიის ხარ?**

– ენერგეტიკოსი ვარ, ანუ ინკასატორი ***(იცინის),*** თუმცა, ერთი დღე არ მიმუშავია ამ პროფესიით. სახლში კი ყველაფერს ვაკე-თებ, მაგრამ, ინკასატორობა არასდროს მიზ-იდავდა. არა, ბრაზიანი და ისეთი, კარი ჩამ-ომელო ბრახუნით – აბა, ჩქარა, გამიღეთ-მეთქი, ასეთიც არ ვიქნებოდი. მადლობა ღმერთს, მთავრობამ ამაზეც იმუშავა, გარეთ გამოიტანა მრიცხველები და გაგვიიოლა ცხო-ვრება ინკასატორებს ***(იცინის).***

**– მიზანდასახული ადამიანი თუ ხარ და გიმართლებს თუ არა ცხოვრებაში ად-ვილად?**

– მეუღლე მეუბნება, მიზანდასახული ად-ამიანი ხარ – რასაც დაისახავ მიზნად, აუც-ილებლად აღწევო. ვეთანხმები, მიზანდასახ-ული ნამდვილად ვარ და მუდამში ვვარდები, თუკი მინდა, რომ რამეს მივაღწიო, მაგრამ, იღბალი დიდი შრომის შემდეგ მოდის. დაკვ-ირვებული ვარ – დიდი წვალების შედეგად ვაღწევ იმას, რისი მიღწევაც მინდა. თუმცა, მებრძოლი ადამიანიც ვარ და ესეც მშველის. იღბლიანობის არ მჯერა. რასაკვირველია, ცხო-ვრებაში ხდება გამართლებებიც, მაგრამ, მე ჩემს თავზე იღბლიანობა არ მიგრძნია.

**– „კომედი შოუს" ბიჭებს საკმაოდ გვი-ან შეუერთდი, თუმცა, შენი სახასიათო რო-ლებით ადვილად შეაყვარე თავი მაყურებ-ელს. როგორ მოხვდი ამ გაუგებრობაში?**

– ახლავე გეტყვით. მოკლედ, მივდიოდი სადღაც, დამიცდა ფეხი, დავგორდი და, შემ-თხვევით, სტუდიაში არ ავღმოვჩნდი?! – აი, ასე მოვხვდი „კომედი შოუში" ***(იცინის).*** ეს ხუმრობით, თორემ, ბავშვობიდან ვთამაშობ-დი „მხიარულთა და საზრიანთა კლუბში." სკო-ლიდან დავიწყე და სტუდენტობის პერიოდშიც განვაგრძე. „კომედი შოუს" ბიჭებს „კავეენიდ-ან" ვიცნობდი. სულ მეუბნებოდნენ, მოდი ჩვე-ნთანო, მაგრამ, მაინც გვიან შემოვუერთდი.

**– რატომ? იყო რაიმე მიზეზი, რის გამოც თავს იკავებდი?**

– ტექნიკური უნივე-რსიტეტის „კავეენში", მა-პატიონ და, სამწუხაროდ, დაბალი დონე იყო – ხუ-მრობდნენ „პახაბნურ" რა-ღაცეებზე, მაგალითად პრეზერვატივზე, ცირკის ქალებზე და ასე შემდეგ. ეს არ მომწონდა. აი, უნ-ივერსიტეტის „კავეენი" კი სულ სხვა დონე იყო. ბო-ლოს, რომ დამირეკეს, მო-დიხარ თუ არაო, დავთა-ნხმდი.



მაგარი მიზანი მქონდა – ერთ-ერთ მეგობარს ისეთი სიშორიდან ვესროლე პატარა ქვა, რომ შუბლი გავუტეხე და სისხლი ვადინე

**– საკმაოდ სახასია-თო როლები გაქვს. აი, იმ სათვალეს რომ გაი-კეთებ, ლამის მინუს ოც-დაათი ნომერი რომ არ-ის, როგორ ხედავ სამყ-აროს?**

– მართლა არაფერი ჩანს და თვალებიც გავიფუჭე. თავბრუ მეხვე-ვა და თავი მტკივდება. ქვემოთ ვიყურები, რომ რამეს არ დავეჯახო. ზუსტად ისე ვხედავ იმ სათვალიდან სამყაროს, როგორც სკეტჩში ვი-ქცევი ***(იცინის).*** ტიპაჟი კი მაგარი ვარ – გოგა ონიშენკო, საქართველოში გაზრდილი უკრაინ-ელი, თუმცა, ცოტა გამოთაყვანებული ***(იცინ-ის).***

**ისეთი დაღლილი მივდივარ სახლში, ჩემი რომანტიკა ცოლთან, სამზარეულოში ჭამა-ჭამით და მოკითხვით, დაახლოებით 30 წუთი გრძელდება**

**– უკრაინელობისა რა მოგახსენო, მაგრამ, რეალურად სვანი ხარ და სვანური ხასიათი თუ „ზის" შენში დიდი დოზით?**

– სვანური ხასიათი ნამდვილად ზის ჩემში და თავისას შვრება. სვანური მესმის, მაგრამ, ვერ ვლაპარაკობ და არც სვანური კილო მაქვს, თუმცა, დამახასიათებელი სვანური წიკები კი გამაჩნია. ყველა ამბობს, სვანები ჯიუტები ხა-რთო და ეს მცდარი აზრია. ჯიუტები კი არ ვართ, იუმორი გვაქვს დიდი დოზით. არც სვა-ნებზე ანეკდოტების მოყოლა მიყვარს. გამოგ-იტყდებით და, არც მარაოს ქნევისას ვიყინები ***(იცინის).***

**– ახლა რაღაც გავიფიქრე, ვთქვა?**

– აა, ის გაინტერესებს, მეც ხომ არ გავი-ფიქრე იგივე? ***(იცინის)*** ჩემი ეს ტიპაჟი უფრ-ოსის თანაშემწეა, სულ ტვინს „ღუნავს", თუ-მცა, სახელი და გვარი არ გააჩნია. ეს ტიპაჟი ჩემი მოფიქრებულია და მიხარია, ხალხს რომ მოსწონს. მე კი „ვუღუნავ" ტვინს უფროსს, მაგრამ, აი, ის როდემდე მომითმენს, ესაა სა-კითხავი ***(იცინის).*** სხვათა შორის, ჩემს შვილ-ებს უყვართ ჩემი ტიპაჟები და ჩემს პაროდი-ებსაც აკეთებენ ხოლმე, მეუღლე კი ცოტა კრიტიკულად იყო განწყობილი გონერისა და გოგას მიმართ. კი იცინოდა, მაგრამ, აღიზია-ნებდა მისი საქციელი, ახლა ცოტა შეეჩვია.

**– კი მაგრამ, გონერი აღიზიანებს და „ტვინის მღუნავი" მოსწონს?**

– „ტვინის მღუნავი" მაინც სასიამოვნო ადამი-ანია, რადგან, ვიღაცას კი არ „აღუნინებს", თავად „ღუნავს," გონერი კი ყო-ფილი ცოლის ქმრის ქონ-ებას მოაჯდა და ბლატა-ობს; გოგაში კი რაინდს ვერ ხედავდა. გონერი მე-ძახეთ თქვენ და, მშვენივრად ვგრძნობ თავს: ჩამოვედი შიდა ქართლი-დან, კი დავმკვიდრდი თბი-ლისში და სხვის ქონებას რომ „ვაზივარ", ეგეც მაგ-რად მსიამოვნებს, იფ, იფ! ***(იცინის).***

**– რეალურ ცხოვრებ-აში როგორი ტიპაჟი ხარ?**

– რეალურ ცხოვრებაში არც გონერი ვარ, არც „ტვინის მღუნავი" და არც გოგა. რეალ-ურ ცხოვრებაში ცოტ-ცოტა დოზით ყველაფ-ერი მიყვარს – რომანტიკაც და სევდაც; ცო-ლისთვის ლექსიც დამიწერია. თუმცა, ისეთი დაღლილი მივდივარ სახლში გვიან, ჩემი რო-მანტიკა ცოლთან სამზარეულოში ჭამა-ჭამ-ითა და მოკითხვით, დაახლოებით 30 წუთი გრძელდება ***(იცინის).*** შაბათ-კვირას კი ოჯახ-თან ერთად ვატარებ და ეს ორი დღე სრული რომანტიკაა ჩემ ირგვლივ.

**– ქუჩაში რომ გცნობენ უცხო ადამიან-ები, რას გეუბნებიან?**

– თავიდან, ეკრანზე რომ გამოვჩნდი, თან მცნობდნენ, თან – ვერა, მაკვირდებოდნენ გა-შტერებულები, ახლა კი ზოგი გოგას ენით მესალმება, ზოგიც „უფროსოსი" ***(იცინის).*** არ დამავიწყდება, მაღაზიაში შევედი და, ერთმა ქალმა რომ დამინახა, იყვირა: ხალხნო, შეხედ-ეთ, ეს ის არ არის, დებილი, დებილიო ***(იცინ-ის).*** სხვებმაც ააყოლეს – კი, კი, ეგ არის. რა საყვარელია! გოგა, აბა, აქეთ გამოიხედეო ***(იც-ინის).*** ხან გონერის მეძახიან. მთავარია, ცუ-დი აურა არ მოდის უცხო ადამიანებისგან და მათგან მხოლოდ სიყვარულს ვგრძნობ.

**ნონა დათეშიძე**

**ჯვრისწერის საიდუმლო საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. შესაბამისად, როდესაც ორი ადამიანი იწერს ჯვარს, მათ უნდა იცოდნენ, რამხელა საიდუმლოში უწევთ მონაწილეობის მიღება. გავრცელებული ტრადიციის თანახმად, ქრისტიანები მაისში უარს ამბობენ ჯვრისწერასა და ქორწილის გადახდაზე, რაც არ შეესაბამება ეკლესიურ სწავლებას. ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რა უნდა გაითვალისწინონ დასაქორწინებელმა წყვილებმა ოჯახის შექმნისას და შეიძლება თუ არა მაისში ჯვრისწერა

– ქორწინება შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთია და მას, შეიძლება, პირდაპირ ეწოდოს სიყვარულის საიდუმლო. ჯვრისწერის დროს ნეფე-პატარძალს თავზე ედგმება გვირგვინი, რაც ნიშნავს გარკვეულ მეუფებას, გამარჯვებას ცოდვაზე. ამიტომ, ყველა ოჯახი, რომელიც იკურთხა და რომელზეც აღესრულა ქორწინების საიდუმლო, პატარა სამეფოა, რომელშიც მთავარი სიყვარული და უფლის მყოფობაა. სამწუხაროდ, თანამედროვე ახალგაზრდებს ეს ნაკლებად ესმით და სწამთ. მათთვის ჯვრისწერა ერთგვარი რიტუალია, სანახაობაა, რომელსაც მათი ახლობლები ესწრებიან ან უნდა ესწრებოდნენ. ყველა ოჯახი პატარა სამეფოა და პატარა სამეფოს შექმნას, ბუნებრივია, უნდა ესწრებოდეს უამრავი ახლობელი, მეგობარი. ეს სიხარული იმდენად დიდია, რომ მხოლოდ მეუღლეებს არ შეუძლიათ მისი აღქმა და დატევა. მეათე საუკუნემდე ქორწინების საიდუმლო ევქარისტიის საიდუმლოებასთან ერთად სრულდებოდა, ანუ, ჯერ ხდებოდა ზიარება და წირვა-ლოცვის შემდეგ აღესრულებოდა ჯვრისწერის საიდუმლო. დღეს ასე აღარ ხდება, ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს ნეფე-პატარძალს ღვინოს ასმევენ და ეს არის სიმბოლო ზიარებისა, მათი ბოლომდე ერთად ცხოვრებისა.

**– დღემდე ქრისტიანები თავს იკავებენ მაისში დაქორწინებისგან. საიდან მოდის ეს ცრურწმენა და როგორ უყურებს მას მართლმადიდებლური ეკლესია?**

– თანამედროვე კაცობრიობის ცნობიერებაში მრავალმა ცრუ სწავლებამ და აზროვნებამ მოიკიდა ფეხი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მაისში ჯვრისწერის აკრძალვა. ძალიან ბევრი მართლმადიდებელი შეწუხებული მოდის ეკლესიაში და აცხადებს, ჯვრისწერას ვაპირებ და, არ მინდა, ეს მაინცდამაინც მაისში მოხდესო. ჯვრისწერის საიდუმლოების აღსრულება არ შეიძლება მხოლოდ მარხვის პერიოდში. როდესაც ეკლესია იდღესასწაულებს სხვადასხვა დღესასწაულებს, აღასრულებს მარხვას, შემდეგში უკვე ეკლესიის განჩინებით შესაძლებელია ჯვრისწერის, ანუ, იგივე ქორწინების საიდუმლოს აღსრულება. რაც შეეხება ცრურწმენას, თუ რატომ არ შეიძლება მაისში ჯვრისწერა, ეს, მოდის ერთ-ერთი რუსული ანდაზიდან, რომელიც გამოითქმის ასე: „კტო ბუდეტ ვ მაე ვენჩატსა, ვსიუ ჟიზნ, ბუდეტ მაეტსია”. ეს ანდაზა ქართულად ასე გამოითქმის: „ვინც მაისში დაქორწინდება, მთელ ცხოვრებას ურვასა და მწუხარებაში გაატარებს”. ეს არასწორი და მიუღებელია, ამას კი იმ შემთხვევაში გავიგებთ, თუ გვეცოდინება, რა არის ქორწინების, ჯვრისწერის საიდუმლო. თუ ადამიანი ასეთი ცრუ აზროვნებით შექმნის ოჯახს, მაისის შეეშინდება და არა მოუწესრიგებლობისა და უსიყვარულობის, ბუნებრივია, მისი ცხოვრება თავიდანვე არასწორად წარიმართება და ასეთი ცრურწმენებით, მოქმედებებით იქნება სავსე. ამიტომ, რომ დავამხოთ ეს ცრუსწავლება, სასურველია, კიდევ ერთხელ კარგად გადავავლოთ თვალი საეკლესიო სწავლებას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს ადამიანმა ჯვრისწერის საიდუმლოში მონაწილეობის წინ, რასაც კარგად გვასწავლიან მოციქულები, განსაკუთრებით კი საინტერესოა პავლე მოციქულის შეგონებები.

**– რომელიც ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულებისას იკითხება და საკმაოდ საინტერესოა.**

– ეს სამოციქულო იკითხება ჯვრისწერის საიდუმლოს აღსრულების ჟამს – ისე გიყვარდეთ მეუღლე, როგორც ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი გაწირა მისთვისო. ანუ, თუ შენ აპირებ დაქორწინებას, გინდა, გყავდეს მეორე ნახევარი, უკვე თავგანწირვაზე მიდიხარ. იცით, რომ ქრისტემ თავი გაწირა ჩვენთვის და ჩვენი ცხონებისთვის. ანუ, შენ უნდა იყო თავგანწირული პიროვნება შენი მეორე ნახევრისთვის ლხინშიც და ჭირშიც. თუ თავიდანვე გეცოდინება, რომ უნდა იყო თავგანწირული შენი მეორე ნახევრისთვის, მაშინ არც ჭირი იქნება შენთვის უცხო და მით უმეტეს, არც ლხინი. ასევე, მამაკაცმა მოქმედებით, ადამიანური ქმედებით, სიყვარულით, ალერსით, სითბოთი უნდა მოიყვანოს მეუღლე და უნდა ჰქონდეს მასთან ურთიერთობა და არა ისე, როგორც დღეს ხდება – ჩხუბით, აყალმაყალით, ბილწსიტყვაობით. პავლე მოციქულის სამოციქულო მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „ხოლო დედაკაცს ეშინოდეს ქმრისა.” ამ სიტყვებს რომ წაიკითხავს თანამედროვე მანდილოსანი, გაეცინება, რადგან, სამწუხაროდ, არ იცის ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. მას ჰგონია, რომ მონობაში იგულისხმება დაბეჩავებული და მეუღლეზე მთლიანად დამოკიდებული მდგომარეობა. სულაც არა. თუ მეუღლე, ანუ დედაკაცი დაინახავს, რომ მისი მეორე ნახევარი მისთვის თავგანწირული პიროვნებაა, ყველაფერს შეძლებისდაგვარად აკეთებს, უყვარს ისე, როგორც საკუთარი სხეული, ბუნებრივია, გაუჩნდება სურვილი, რომ მისი ერთგული, თავმდაბალი და მოსიყვარულე იყოს. როცა ჩვენ ამ სწავლებას მოვისმენთ და აქედან გამომდინარე, შევქმნით ოჯახს, ბუნებრივია, არც მაისის შეგვეშინდება, არც განსაცდელის, არც გაჭირვების და ნაკლები იქნება მეუღლეთა შორის უსიამოვნებაც. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს ყველაფერი ასე არ არის. ოჯახები ხშირად მატერიალური გარიგებით იქმნება: ვაჟი ან გოგონა კითხულობს, როგორი შემოსავალი აქვს მის მომავალ მეუღლეს, ვინ არიან მისი მშობლები, რამდენსართულიან სახლში ცხოვრობს და ასე შემდეგ. ვინც ასეთი აზროვნებით იწყებს ოჯახის შექმნას, მათი იდილია ძალიან მალე მთავრდება, რადგან, ისინი სულიერებით კი არ არჩევენ მეორე ნახევარს, არამედ, ჯიბის სისქით, რომელიც მალე პატარავდება, მცირდება და საბოლოოდ მეუღლეებს შორის ისადგურებს უთანხმოება, იმიტომ, რომ მათ არასწორი აზროვნებითა და შეხედულებებით შექმნეს ოჯახი და ფაქტი სახეზეა. თუ ჩვენი ოჯახი შეიქმნება მტკიცე კლდეზე, იესო ქრისტეს სარწმუნოებაზე, ურთიერთსიყვარულზე, ურთიერთთავგანწირვაზე, ურთიერთმიმტევებლობაზე, ბუნებრივია, მაშინ ყველაფერი ძალიან კარგად იქნება.



**შენ თუ აპირებ დაქორწინებას, თუ გინდა, რომ გყავდეს მეორე ნახევარი, უკვე თავგანწირვაზე მიდიხარ**

**– დასაქორწინებელი ადამიანი მეორე ნახევრის შერჩევისას ხშირად ითვალისწინებს მის ზოდიაქოს ნიშანს, დაბადების თარიღს. როგორია ეკლესიის დამოკიდებულება ამ ყველაფრის მიმართ?**

– ჩვენ არ უნდა მივიდეთ მაშვლებთან და არ უნდა გავითვალისწინოთ ზოდიაქოს ნიშნები, არ ვიმკითხაოთ, მათი რჩევის მიხედვით არ უნდა შევარჩიოთ მეორე ნახევარი. იგავების სახით გარკვევით ბრძანებს სოლომონ ბრძენი: სახლი და კარი მამის დანატოვარია, ხოლო კარგი ცოლი უფლისგან არისო, – ესაა ჩვენი ბედნიერების ის ფორმულა, რაც ხორციელმა მშობლებმა მოგვცეს, ეს მოგვეცა დაუმსახურებლად, მაგრამ, კარგი მეუღლე თუ გვინდა, ეს უნდა ვითხოვოთ უფლისგან. ანუ, თუ გვეცოდინება უფლის სწავლება, მოციქულების მიერ გადმოცემული შეხედულება, მივხვდებით, რომ უფალი არ დაუშვებს ჩვენზე ისეთ განსაცდელს, რომელსაც ვერ ავიტანთ. ანუ, შეგვიძლია, უფლისგან ვითხოვოთ კეთილსინდისიერი, უბრალო და თავმდაბალი ადამიანი, ვისთანაც შევძლებთ ხორციელ იდილიას, ნეტარებას. რა თქმა უნდა, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, სულიერებით უნდა შევხედოთ მეორე ნახევარს, ვისთან ვგრძნობთ თავს კარგად და ვისთან ერთად შეიძლება, რომ გადავიტანოთ ამსოფლის ჭირ-ვარამი. ქორწინება არის, ასევე, მოწამეობა და გვირგვინის დადგმაც ნიშნავს უკვე გარკვეულ მზადებას მოწამეობისთვის. წინასწარ უნდა იცოდე, რომ ყველაფერი კარგად არ იქნება; შეიძლება, გარკვეული მწუხარება, სნეულებაც იყოს შენს ცხოვრებაში. გვირგვინის დადგმაც გარკვეული სიმბოლოა იმისა, რომ შენს წყვილთან ერთად მზად ხარ ტანჯვისთვის, განსაცდელებისა და ყოველგვარი მწუხარებისთვის. სამწუხაროდ, ამაზე არავინ ფიქრობს, ყველას ჰგონია, რომ მათი ქორწინება იქნება ბედნიერი, კონტრაქტი შედგება, მატერიალურ დოვლათს მიიღებენ ერთმანეთისგან. თუმცა, მალევე იგებენ, რომ ეს ასე არ არის და მათი თაფლობის თვე შემდეგ სიმწრის წელიწადებად და საუკუნეებად გადაიქცევა, რაც სამარცხვინოა. ადრე ქორწინების დღე იმდენად წმინდა და უბიწო იყო, იმ დღეს ცოლ-ქმარს ურთიერთობაც არ ჰქონდა, რადგან ამ დროს წყვილზე სულიწმიდა იყო, მათ გვირგვინები ედგათ თავზე. მათ შეჰფიცეს, რომ ერთმანეთს არ უღალატებდნენ: მამაკაცს ისე ეყვარება ცოლი, როგორც საკუთარი თავი, ცოლი კი იქნება მეუღლის ერთგული, მორჩილი და მოშიში. დღევანდელი დედოფლები ამ სიტყვებს რომ იგებენ, პირზე ღიმილი დასთამაშებთ: რა მოშიშობაზეა ლაპარაკი, ერთი სული აქვთ, ქორწინების ხანგრძლივი რიტუალი მალე დამთავრდეს და თავიანთი პრეტენზიები განუცხადონ ქმარს: მე სახლში არ დავჯდები, სამსახურს არ მივატოვებ, შენზე არაფრით ნაკლები არ ვარო. ერთ სიტყვას არ აპატიებენ ერთმანეთს. ეს კი ნიშნავს, რომ მათი შეუღლება ფიქტიური, მომავალი კი ბუნდოვანია. მათი ოჯახი ქვიშაზეა აგებული, პირველივე ქარიშხალი გამოაცლის საძირკველს და მივიღებთ მრავალ დანგრეულ ოჯახსა და გაუბედურებულ ბავშვებს.

**ნათია უტიაშვილი**

# ნეტარი მატრონას ცხოვრება და წინასწარმეტყველებანი

უფალმა მატრონა უხვად დააჯილდოვა სიბრძნითა და წინასწარჭვრეტის უნარით. ერთხელ სებინოში ასეთი შემთხვევაც მოხდა: ერთმა დიდებულმა იყიდა სახლი და იქ დაფუძნება გადაწყვიტა. თავისი ქონების ნაწილით მას სურდა, ახალი სამრეკლო აეშენებინა, მაგრამ, სანამ ამ დიდ საქმეს წამოიწყებდა, მატრონასთან აზრის გასაგებად მივიდა. მატრონამ უპასუხა, რომ მისი ეს ჩანაფიქრი არ განხორციელდებოდა. დიდებულმა არ დაიჯერა. ყველაფერი მზად იყო, ფულიც ჰქონდა და, ვერ წარმოედგინა, რას უნდა შეეშალა მისთვის ხელი. მაგრამ, მალე ომი დაიწყო, შემდეგ რევოლუცია და დიდებულის ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ერთხელ მატრონა ეუბნება დედამისს: „მე ახლა გავემგზავრები, ხვალ დილით კი ხანძარი იქნება, მაგრამ, შენ არ დაიწვები“. მართლაც, მეორე დილით ხანძარი გაჩნდა. თითქმის მთელი სოფელი გადაიწვა, მატრონას დედის სახლს კი ცეცხლი არ შეხებია.

სებინოდან ოთხი კილომეტრის დაშორებით ერთი კაცი ცხოვრობდა, რომელსაც ფეხები ჰქონდა წართმეული. მატრონამ თქვა: „დაე წამოვიდეს დილიდან ჩემთან ხოხვით. სამი საათისთვის მოხოხდება.” მან მართლაც ხოხვით განვლო ეს ოთხი კილომეტრი, მატრონასგან კი თავისი ფეხით წავიდა.

ანტონინა მალახოვა იხსენებდა, თუ როგორ მოიტეხა მისმა ბებიამ თითი. ის მატრონასთან წავიდა, გზაში კი ფიქრობდა, რომ ის მატრონასთან კი არა, ბერიოზოვკაში უნდა წასულიყო ქალთან, რომელიც მოტეხილობებს მკურნალობდა. „კარგი, ჯერ მატრონასთან შევივლი“, – იფიქრა მან. როდესაც მატრონასთან მივიდა, მატრონამ დაიძახა: „დედა, ვინ მოვიდა? ანა! შენ ხომ ბერიოზოვკაში გინდოდა წასვლა თითის გასასწორებლად, მაშ, წადი, წადი“. ანას ბერიოზოვკამდე შვიდი კილომეტრი უნდა ევლო. როდესაც მივიდა, აღმოჩნდა, რომ მისი თითი უკვე განკურნებული იყო – ის მატრონამ გზაში განკურნა.

იყო ასეთი შემთხვევა: მატრონას მშობლებს, დიმიტრისა და ნატალიას ერთად უყვარდათ ტაძარში წასვლა. ერთხელ დღესასწაულზე დედამ ჩაიცვა და სთხოვა დიმიტრის, ტაძარში წაჰყოლოდა. მან უარი უთხრა და არ გაჰყვა. სახლში იგი ლოცულობდა და გალობდა. მატრონაც სახლში იყო. დედა მართლაც ტაძარში იყო, მაგრამ ქმრის საქციელზე ფიქრობდა და ღელავდა. წირვა დამთავრდა და დედა სახლში დაბრუნდა. მატრონა კი ეუბნება: „დედა, შენ ტაძარში არ იყავი“. „როგორ თუ არ ვიყავი? მე ახლახან დავბრუნდი და ტანსაცმელს ვიცვლი!“ ეს კი ეუბნება: „მამა იყო ტაძარში, შენ კი არ იყავი!“

მატრონას თავისუფლად შეეძლო, ამოეცნო, თუ რა განზრახვითა და როგორი გულით მიდიოდნენ მასთან. ერთხელ, ვინმე ანისია თავის დეიდა ტატიანასთან ერთად მატრონასთან წავიდა. ტატიანა გულღიად მიდის, ანისია კი ამბობს: „რა იცის მაგან, რა შეუძლია, გვითხრას?“ როდესაც მივიდნენ, მატრონა ეუბნება: „ტატიანა შემოვიდეს, ეგ კი წავიდეს იმასთან, ვინც იცის“, – და არ მიიღო.

ამდაგვარი შემთხვევა მრავლად იყო ნეტარი მატრონას ცხოვრებაში. მისი წინასწარმეტყველებანი, როგორც წესი, ყოველთვის ახდებოდა ხოლმე. ნეტარი მატრონა თავის ნიჭს ხშირად ადამიანთა ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად იყენებდა. ერთხელ მატრონას სოფელ ორლოვკიდან ესტუმრნენ ქალები. ისინი მასთან აღდგომის კვირაში მივიდნენ. მატრონამ ერთს სეფისკვერი მისცა, მეორეს – წყალი, მესამეს კი – წითელი კვერცხი და ამ უკანასკნელს უთხრა, რომ მას ეს კვერცხი შეეჭამა, როგორც კი ბოსტნებს გასცდებოდნენ. როდესაც კალოზე გავიდნენ, ქალმა, როგორც მატრონამ დაავალა, გატეხა კვერცხი – კვერცხში კი თაგვი აღმოჩნდა. მათ შეეშინდათ და გადაწყვიტეს, დაბრუნებულიყვნენ.

ის იყო, ქალები ფანჯარას მიუახლოვდნენ, რომ მატრონა ეუბნება:

– რა, საძაგელია თაგვის ჭამა?

– მატრონუშკა, აბა, როგორ უნდა შევჭამო თაგვი?

– აბა, როგორ აძლევდი ხალხს რძეს, მით უფრო, ობლებს, ქვრივებს, ღატაკებს, რომელთაც ძროხა არა ჰყავთ? თაგვი რძეში ეგდო, შენ კი იღებდი მას და რძეს ხალხს აძლევდი.

ქალმა უპასუხა:

– მატრონუშკა, ისინი ხომ ვერ ხედავდნენ მას და არ იცოდნენ, მე ხომ მას ვაგდებდი!

– ღმერთმა ხომ იცის, რომ შენ თაგვიან რძეს აძლევდი!

ნეტარი მატრონა სებინოდან დაახლოებით 1925 წელს წავიდა, რადგან, მისი ძმები, მიხეილი და ივანე, დაუდევრად ექცეოდნენ და მის მიერ ხალხის მიღების წინააღმდეგნი იყვნენ. ორივე ძმა კომუნისტი იყო, მორწმუნე მატრონა კი მათ კარიერას ხელს უშლიდა და მშობლების სიცოცხლესაც საფრთხეს უქმნიდა.

ნეტარი დედის ცხოვრება – ეს იყო ცხოვრება მწირისა, რომელიც მუდამ ადგილიდან ადგილზე ინაცვლებს და მუდმივი თავშესაფარი არ გააჩნია. საცხოვრებელს აძლევდნენ, მაგრამ, არავის უნდოდა, თავისთან ჩაეწერა ნეტარი მატრონა, რადგან, კომუნისტებისა ეშინოდათ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რა ვუყოთ გარდაცვლილი ახლობლების დანატოვარ ტანსაცმელს, რომელიც არც ისეთი ვარგისია, რომ მოწყალების სახით გავცეთ?**

**პასუხი**: ასეთი ტანსაცმელი შეგიძლიათ, სადმე მიწაში დაფლათ ან შესაფერის ადგილზე დაწვათ. ამით თქვენი მიცვალებულის ხსოვნას არანაირი ზიანი არ მიადგება.

**კითხვა: ბოლო დროს ხშირად მინახავს ისეთი საფლავები, სადაც ქვაზე მიცვალებულის სურათი არ არის გაკეთებული. ქრისტიანობას ეწინააღმდეგება თუ არა საფლავის ქვაზე სურათის დახატვა?**



**პასუხი**: უძველესი ქრისტიანები საფლავებზე სურათებს არ აკეთებდნენ. მათი რწმენის გამოხატვა საფლავის ჯვრით შემკობა გახლდათ. სურათები მოგვაიანებით გაჩნდა საფლავებზე და მას ეკლესიურ კანონიკასთან არაფერი აქვს საერთო. თუმცა ეკლესია ამას არ კრძალავს და თუ გსურთ, გააკეთეთ სურათი საფლავზე.

**კითხვა: ცნობილია, რომ იერუსალიმსა და თბილისში ერთი და იმავე დასახელების წმინდა ადგილები არსებობს. ეს რამ განაპირობა?**

**პასუხი**: დიახ, თბილისში მართლაც არის იმ დასახელების წმინდა ადგილები, რაც იერუსალიმში: ელიას მთა, ბეთლემი, სიონი და სხვა. როდესაც საქართველოში ქრისტიანობა დამკვიდრდა და ქართველმა კაცმა ქრისტე მიიღო, ასეთი სახელწოდებებიც თანდათან ჩამოყალიბდა. ქართველ კაცს უნდოდა, ქრისტეს ფეხნადგამი მიწის მადლი თბილისშიც განმეორებულიყო, მისი საყვარელი ქალაქი დამსგავსებოდა წმიდა ადგილს. ეს იმაზე მიუთითებს, თუ როგორი სათნოებით, სიყვარულით მიიღო ქართველმა ქრისტე და მასთან დაკავშირებული მოვლენები, რაც ღრმად აღიბეჭდა ერის ცნობიერებაში და გამოხატვა ამ სახით ჰპოვა. ეს უფლის დიდი სიყვარულის ნიშანია და არა ამპარტავნების.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## როგორ განდევნა უწმინდური სული მედიოლანელმა ეპისკოპოსმა – დაციუსმა

იუსტინიანეს იმპერატორობის დროს მედიოლანელ ეპისკოპოსს, დაციუსს, ეკლესიის საჭიროების გამო კონსტანტინეპოლში მოუხდა წასვლა. კორინთოში ის დიდ სახლს ეძებდა, სადაც მთელი მისი ამალა უნდა დაბინავებულიყო. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ მან შენიშნა შესაფერისი ნაგებობა და ბრძანა, მოემზადებინათ მისთვის და მისი თანხმლები პირებისთვის. ქალაქის მცხოვრებლები ამბობდნენ, რომ იქ უწმინდური სული ბუდობდა და შიგ არავინ სახლდებოდა. „სწორედ ამიტომ უნდა შევიდეთ იქ, რაკი უწმინდური სული არავის აძლევს იქ ცხოვრების უფლებას“, – თქვა მან და ბოროტთან საბრძოლველად მოემზადა. ღამით, როდესაც ყველას ეძინა, უწმინდურმა სხვადასხვა მხეცის ხმაზე დაიწყო ღრიალი: ხან ლომს ბაძავდა, ხან თხასავით კიკინებდა, ხან ვირივით ყროყინებდა, დროდადრო ღორივით ღრუტუნებდა ან თაგვივით აფხაკუნებდა. ამ ხმებმა გამოაღვიძა დაციუსი, რომელმაც მრისხანე ხმით მიმართა ეშმაკს: „წყეულო, შენი საქმეებისამებრ დაგემართა! შენ ამბობდი, ჩრდილოეთში დავიდგამ ჩემთვის ტახტს და უზენაესს დავემსგავსებიო. ამპარტავნების გამო კი ღორსა და თაგვს დაემგვანე და, ღვთის მსგავსების უწმინდურად მსურველი ახლა ღირსეულად ბაძავ ცხოველებს...” ამის გაგონებისას უწმინდურ სულს თითქოს შერცხვა თავისი ულირსების, რადგან, რომ არ შერცხვენოდა, არ მიატოვებდა სახლს, სადაც სხვადასხვა შიშისმომგვრელ სანახაობას წარმოადგენდა. ასე რომ, ამ სახლში ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანის დასახლების შემდეგ, უწმინდურმა და მაცდურმა სულმა მაშინვე დატოვა იქაურობა და ადგილი ქრისტიანებს დაუთმო.

## გლახაკთა მოწყალეს ღმერთი ასწილად უზღავს

წმიდა ტიხონი, რომელიც შემდგომ შეიქნა ემათუნტელ ეპისკოპოსად და მართლმადიდებლობის დიდ შემწედ, სიყმაწვილეში ყიდდა პურს, რადგან მამა მეპურე ჰყავდა. კეთილმსახური ჭაბუკი გულშემატკივარი იყო: ის გლახებს ხშირად უფულოდ აძლევდა პურს, რის გამოც, გაჯავრებულმა მამამ ერთხელ სასტიკად დასაჯა. მაშინ წმიდა ტიხონმა უთხრა მამას: „ჩემო მშობელო! შენ ტყუილად ცხარობ, მე შენს პურს ღმერთს ვაძლევ ვალად და მაქვს მისგან ხელწერილი საღვთო წერილის წიგნებში, სადაც სახელდობრ თქმულია: „რომელი სწყალობს გლახაკსა, ავასხებს ღმერთსა“. თუ არ გჯერა, ჩავხედოთ ბეღელში: იქ დაინახავ, როგორ უბრუნებს ღმერთი მავასხებელს თავისას ვალს“. – რაკი ეს უთხრა, მოჰკიდა ხელი მამას და წაიყვანა ბეღლისკენ. გააღეს ბეღლის კარი და ნახეს, რომ ის სავსეა წმიდა და საუკეთესო ხორბლით, თუმცა წინათ მასში თითქმის არა იყო რა. მამა გაკვირდა და შეშინდა: ის დაეცა მიწაზე, მადლობა შესწირა ღმერთს და მერმე არ უშლიდა შვილს თავის ნებაზე მოწყალების გაცემას.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ყველაზე ლამაზი ევროპელი ჩოგბურთელი ქალები

*1874 წელს ინგლისელმა მაიორმა უოლტერ უინგფილდმა ახალი თამაში დააპატენტა, რომელსაც ჩვენ ჩოგბურთს ვუწოდებთ. ამ დღიდან ზუსტად 140 წელი გავიდა და ჩოგბურთი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და ძვირად ღირებულ სპორტის სახეობად იქცა, რომელსაც მსოფლიოს ულამაზესი ქალბატონებიც კი თამაშობენ.*



### მარია შარაპოვა (რუსეთი)

26 წლის მარია შარაპოვას ტიტულებისა და გამარჯვებების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მარია მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენი ქალია, გარდა ამისა, იგი ელეგანტურად ჩაცმის მოყვარულია და ბევრისთვის ქალური სილამაზის ეტალონად ითვლება.

### საბინა ლისიცკი (გერმანია)



პოლონური წარმოშობის 24 წლის გერმანელი ორჯერ იყო უიმბლდონის ფინალისტი, თუმცა ტიტულის მოგება ვერ მოახერხა. სპორტულ წარმატებასთან ერთად, საბინა ბუნებრივი სილამაზითაც გამოირჩევა, რასაც ის დახვეწილ ჩაცმულობას უთავსებს.

### მარია კირილენკო (რუსეთი)



ხანგრძლივი დროის განმავლობაში მაშა კირილენკოს „მეორე კურნიკოვას“ უწოდებდნენ, თუმცა, მარია თავის წინამორბედზე გაცილებით წარმატებული სპორტსმენი გამოდგა. ამასთან, კირილენკო არც სილამაზით ჩამოუვარდება ანა კურნიკოვას და ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ სპორტსმენ ქალად ითვლება რუსეთში.

### დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი)

180 სანტიმეტრი სიმაღლის დანიელა ჰანტუხოვა ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და მაღალ ჩოგბურთელ ქალად ითვლება. ამბობენ, რომ არა ჩოგბურთი, შესაძლოა, დანიელა არანაკლებ ცნობილი მოდელი ყოფილიყო, თუმცა, მოდელობასა და პოზირებას დანიელა აქტიურ სპორტს სავსებით წარმატებით უთავსებს, რასაც მისი არაერთი პიკანტური ფოტოსესია მოწმობს.

### კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)

დანიელი ლამაზმანი კაროლინ ვოზნიაცკი, გარდა იმისა, რომ წარმატებული სპორტსმენია, ასევე, წარმატებული მოდელიც გახლავთ. კაროლინი არაერთი ბრენდის სარეკლამო სახეა და სარეკლამო ბანერებზე მშვენივრად გამოიყურება.

### ანა ივანოვიჩი (სერბეთი)

26 წლის სერბი ანა ივანოვიჩი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სპორტსმენ ქალად ითვლება. ანა მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალების ათეულში შედის და, ამასთან ერთად, სპორტის ამ სახეობის თანამედროვე სექს-სიმბოლოდაც მიიჩნევა.



# ალკოჰოლი – პაკეტებით

ალკოჰოლისა და თამბაქოს დაბეგვრისა და გაყიდვის ამერიკულმა ბიურომ გასაყიდი საქონლის სიაში შეიტანა ალკოჰოლის ფხვნილი. გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო თავად მწარმოებლისთვისაც კი, რომელმაც ამ სიახლის პრეზენტაცია და მასზე საიტის მომზადებაც კი ვერ მოასწრო.

კომპანია Lipsmark-ის მიერ გამოშვებული არაყი, რომი, ასევე, კოქტეილები: „მოჰიტი“, „მარგარიტა“, „კოსმოპოლიტენი“ და „ლიმონის ყინული“ 100-გრამიან პაკეტებში იქნება დაფასოებული. Palcohol-ის (powdered alcohol – ფხვნილი ალკოჰოლი) გახსნა შეიძლება როგორც წყალში, ასევე, უალკოჰოლო სასმელებსა და საკვებში, თუმცა, კატეგორიულად იკრძალება მისი შესუნთქვა. რეკომენდებულია მისი წაღება ღონისძიებებზე, სადაც ალკოჰოლი არ იყიდება ან ძალიან ძვირია, მაგრამ შეტანა არ იკრძალება.

Palcohol გასაყიდად შემოდგომაზე გამოვა, მანამდე კი პროდუქცია დაპატენტების პროცესს გადის და შემადგენლობაც მკაცრად გასაიდუმლოებულია ჟურნალისტებისა და პოტენციური მომხმარებლებისთვისაც კი. გამომგონებლად ენთუზიასტი მარკ ფილიპსი სახელდება. აღსანიშნავია, რომ ის არ არის პირველი, რომელსაც ეს აზრი მოუვიდა თავში. ჯერ კიდევ 2007 წელს ანალოგიურ იდეას ნიდერლანდების ერთ-ერთ ინსტიტუტში შეასხეს ხორცი, რომლის 20-გრამიანი პაკეტები 1-1,5 ევროდ იყიდებოდა და ძირითადად ახალგაზრდულ ბაზარზე იყო გათვლილი. მწარმოებლები მის მოზარდებზე გაყიდვაზე ამყარებდნენ იმედს, რადგან კანონში საუბარია მხოლოდ ალკოჰოლურ სასმელზე...

## ლუის ჰემილტონი - ყველაზე მდიდარი სპორტსმენი ბრიტანეთში

„ფორმულა 1-ის“ გუნდ „მერსედესის“ პილოტი ლუის ჰემილტონი დიდ ბრიტანეთში ყველაზე მდიდარ სპორტსმენად დასახელდა. 2008 წლის მსოფლიოს ჩემპიონის პირადი კაპიტალი 68 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენს; მეორე პოზიციას რეიტინგში კიდევ ერთი პილოტი, ჯენსონ ბატონი იკავებს 63 მილიონი გირვანქა სტერლინგით, ხოლო მესამეა ფეხბურთელი უეინ რუნი 60 მილიონით. რეიტინგში ასევე ფიგურირებენ: სტივ ნეში – 56 მილიონი, რიო ფერდინანდი – 44 მილიონი, ენდი მარეი – 40 მილიონი, სტივ ჯერარდი – 37 მილიონი, ფრენკ ლამპარდი – 37 მილიონი, ლუოლ დენგი – 36 მილიონი და რაიან გიგზი – 36 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

## ნეიმარის ახალი სატრფო

„ბარსელონის“ ბრაზილიელ ვარსკვლავს – ნეიმარს, ახალი გატაცება აქვს – 20 წლის ბრაზილიელი მოდელი გაბრიელა ლენზი. ლამაზმანი უკვე შეამჩნიეს ბარსელონაში და, ესპანური მედიის ცნობით, ის ნეიმარს ესტუმრა კატალონიის დედაქალაქში. ცნობილია, რომ გაბრიელამდე ნეიმარს რომანი ჰქონდა ბრაზილიური ტელესერიალების ვარსკვლავთან, ბრუნა მარკეზინისთან, თუმცა, იმის გამო, რომ ნეიმარი ევროპაში ცხოვრობს, ხოლო ბრუნა – ბრაზილიაში მათ დაშორება მოუწიათ.



## პარაგვაელების სამუნდიალო კალენდარი

მიუხედავად იმისა, რომ პარაგვაის ეროვნული ნაკრები ბრაზილიის მუნდიალის საგზურის გარეშე დარჩა, ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში მაინც მოუთმენლად ელიან მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას და ამ მოვლენას ეროტიკული კალენდრის გამოცემა მიუძღვნეს. პარაგვაელი ლამაზმანები მუნდიალის მონაწილე ქვეყნების ფერებში პოზირებენ და კალენდრის მყიდველებს მატჩების დაწყების დროს ამცნობენ.

## იანუზაი – სკანდალის ეპიცენტრში

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი ადნან იანუზაი სკანდალის ეპიცენტრში მოექცა. ინგლისურმა ბულვარულმა პრესამ დაადგინა, რომ იანუზაისა და ცნობილ ბრიტანელ მოდელ შარლოტა სპრინგერს რომანი აქვთ. საგულისხმოა, რომ შარლოტა ორი წელი მავან ინგლისელთან ცხოვრობს და, როგორც თავად ამბობს, იანუზაის საერთოდ არ იცნობს, თუმცა, მედია ირწმუნება, რომ ინფორმაცია სანდო წყაროდან მიიღო. ცნობისთვის, იანუზაი მეორედ ხდება მედიის ყურადღების ცენტრში – რამდენიმე კვირით ადრე მან მელისა მაკენზი, 25 წლის სტუდენტი გოგო პაემანზე დაპატიჟა, სადაც სპორტულ კოსტუმში გამოწყობილი მივიდა და ძვირიანი რესტორნის ნაცვლად გოგო იაფიან სასადილოში წაიყვანა.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# რომელი მილიარდერები არიან დაკავშირებულნი საინფორმაციო ტექნოლოგიებთან და რატომ უწოდებენ მათ „მაღალტექნოლოგიურ მილიარდერებს"

*ჟურნალ „ფორბსის" მიერ 2014 წლის მილიარდერების რეიტინგის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მილიარდერების უმეტესობა გარკვეულწილად დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინდუსტრიასთან – პროგრამული უზრუნველყოფა, მედია, ინტერნეტი, სოციალური ქსელები. დღევანდელ ნომერში ეგრეთ წოდებული „მაღალტექნოლოგიური მილიარდერების" ჩამონათვალს შემოგთავაზებთ.*

**ბილ გეითსი** – „ის, შეიძლება, გიყვარდეთ ან გძულდეთ, მაგრამ, მისი იგნორირება შეუძლებელია," – ასეთი სათაური ჰქონდა ერთ-ერთ სტატიას ჟურნალ „ფორჩუნში", რომელიც პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს, ბილ გეითსს მიეძღვნა. ბილ გეითსი სწორედ იმ მილიარდერების კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა მთლიანი კაპიტალი მაღალ ტექნოლოგიებს და, კერძოდ, კომპიუტერებს უკავშირდება.



**კარლოს სლიმ ელუ** – მექსიკელი მედია-მეფე, სატელეკომუნიკაციო გიგანტის „ტელმექსის" მფლობელი, ერთ-ერთ ყველაზე მოკრძალებულ მილიარდერად ითვლება. კარლოს სლიმი თვეში მხოლოდ 24 ათასს დოლარს ხარჯავს საკუთარ თავზე, გადაადგილდება ჩვეულებრივი ავტომობილით, იმოსება იაფიან მაღაზიებში, ხოლო პროდუქტებს საკუთარ სუპერმარკეტებში იძენს ჩვეულებრივი საკრედიტო ბარათით.

**აზიმ პრემჯი** – მას „ინდოელ ბილ გეითსს" უწოდებენ. ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მუსლიმანია მსოფლიოში, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ნავთობთან. ინდოელმა აზიმ პრემჯიმ საკუთარი მილიარდები პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერების გაყიდვით მოიპოვა. მის საკუთრებას წარმოადგენს უდიდესი ინდური კომპიუტერული ტექნოლოგიის კონცერნი „ვიპრო ტექნოლოჯის".

**ლარი ელისონი** – ის არის მსოფლიოში სიდიდით მეორე კომპიუტერული უზრუნველყოფის კომპანიის მფლობელი. კომპანია „ორაკლის" მმართველი ლარი ელისონი ერთ-ერთ ყველაზე ექსტრავაგანტურ მილიარდერად ითვლება მსოფლიოში. გარდა კომპიუტერული ბიზნესისა, იგი დაინტერესებულია იახტებითა და ბომბდამშენებით. ის პირადად მართავს იტალიურ ბომბდამშენ „მარკეტის", ხოლო წლების წინ ცეცხლსასროლი იარაღის, ალკოჰოლისა და თამბაქოს პროდუქციის კონტროლის მსოფლიო ბიურომ აღკვეთა ელისონის მიერ რუსული „მიგის" ყიდვის შესაძლებლობა.

**სერგეი ბრინი** და **ლარი პეიჯი** – ეს დუეტი ყველაზე გავრცელებული საძიებო სისტემის „გუგლის" ავტორია. პეიჯმა და ბრინმა ერთმანეთი სტენფორდის უნივერსიტეტში გაიცნეს 1995 წელს, ხოლო 1998 წელს მათი ერთობლივი პროექტი „გუგლი" ამომქედდა, რომელმაც დღესდღეობით მათ ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმატებული ადამიანების სტატუსი მიაკუთვნა. სხვათა შორის, ბრენდი „გუგლი" გაცილებით ცნობილია თავის ავტორებზე და ამის თაობაზე ბრინი და პეიჯი სულაც არ წუხან, ისინი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ და იშვიათად ჩნდებიან ტელევიზიით.

# ინდონეზიის დაბალხელფასიანი პრეზიდენტი – სუსილო ბამბანგ იუდოიონე

*ინდონეზიის პრეზიდენტი სუსილო ბამბანგ იუდოიონე „ფორბსის" მიერ მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის სახელდება. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდეს კუნძულოვან სახელმწიფოს უდგას სათავეში და სამშობლოში ქარიზმატული ლიდერის სახელით არის ცნობილი. წელს ინდონეზიის პრეზიდენტს 65 წელი უსრულდება და საინტერესო იქნება მის შესახებ გავრცელებული ფაქტების გაცნობა.*

* სუსილო ბამბანგ იუდოიონე სოფელ არჯოსარიში, კუნძულ იავას აღმოსავლეთში, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახში დაიბადა. მისი სახელი კუნძულ იავაზე ძალზე პოპულარული და ტრადიციულია და მას სანსკრიტული ფუძე აქვს. „სუ" – კარგს ნიშნავს, ხოლო „სილო" – მორალს. „ბამბანგი" იავაზე გავრცელებული სახელია და „რაინდს" ნიშნავს. „იუდო" სანსკრიტულ დიალექტზე ბრძოლაში მტრის დამარცხებას, ხოლო „იონი" – მოგზაურობის მართებულობას ნიშნავს. ამდენად, სანსკრიტულ ენაზე ინდონეზიის პრეზიდენტის სახელი და გვარი ბრძოლაში მტრის დამმარცხებელ და მოგზაურობის მოყვარულ კარგ რაინდს ნიშნავს. ბავშვობაში სუსილო არმიაში მსახურობაზე ოცნებობდა. ის იყო საუკეთესო მოსწავლე უნივერსიტეტში და თითქმის ყველა სფეროში ნიჭიერებით გამოირჩეოდა: სუსილო წერდა ლექსებს, მუსიკას; გარდა ამისა, მას წარმატებები ჰქონდა სპორტში, კერძოდ – ფრენბურთში. მეგობრებთან ერთად მას დაარსებული ჰქონდა ფრენბურთის კლუბი „რაჯავალი".



* სუსილო ბამბანგ იუდოიონე 1976 წელს დაქორწინდა კრისტინა ჰერავატიზე, რომელიც იმ დროისთვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. ინდონეზიის პრეზიდენტს ორი ვაჟიშვილი ჰყავს: 1978 წელს დაბადებული აგუს ჰარიმურტი იუდოიონე (რომელიც, მამის მსგავსად, სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულია და ამჟამად სამშვიდობო ძალების მისიით ლიბანში, ბეირუთში იმყოფება) და 1980 წელს დაბადებული ედჰი ბასკორო იუდოიონე – ინდონეზიის მმართველი პარტიის წევრი და სოციალურ ქსელ „ფეისბუქის" აქტიური მომხმარებელი. აღსანიშნავია, რომ სუსილოს მეუღლის, კრისტინა ჰერავატის პატივსაცემად, პაპუა-ახალ გვინეაში აღმოჩენილ უიშვიათესი ჯიშის პეპელას „დელიას კრისტიანია" უწოდეს.

* 2010 წლის იანვარში ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდოიონემ რიგით მესამე სტუდიური პოპ-ალბომი გამოუშვა. აღსანიშნავია, რომ, ისევე, როგორც წინა ორ ალბომში, იუდოიონე თვითონ არ მღერის, თუმცა, ყველა კომპოზიცია მისი დაწერილია და მათ ინდონეზიელი პოპ-ვარსკვლავები ასრულებენ. პრეზიდენტი ძირითადად სასიყვარულო და პატრიოტულ ბალადებს წერს და თითო კომპოზიციის შექმნაზე დღე ან დღე-ნახევარი ესაჭიროება.

* ინდონეზიის პრეზიდენტს ერთ-ერთი ყველაზე პატარა ხელფასი აქვს მსოფლიო პრეზიდენტებს შორის – თვეში სულ რაღაც 450 დოლარი.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

# მხოლოდ ფაქტები

* ჰავაურ ენაში სულ 12 ბგერაა, მათ შორის 7 თანხმოვანი – H, K, L, M, N, P, W.

* სანამ ეგეოსის ზღვას ამ მითოლოგიური გმირის, მინოტავრის დამმარცხებლის სახელს დაარქმევდნენ, „არქიპელაგი" ერქვა.

* ელისეის მინდვრები იწყება ტრიუმფალური არკით და მთავრდება თანხმობის მოედნით, ან – პირიქით.

* ნატურალური ლოგარითმების ფუძე აღინიშნება e ასოთი, რადგან ის მათემატიკოსმა ეილერმა შემოიტანა.

* ციმბირულ ხალხში, კერძოდ, ხანტებში, ზღაპრები გასულ საუკუნეშიც იქმნებოდა და, თანაც, ისტორიულ პიროვნებებზე. მაგალითად, ერთ-ერთ ზღაპარში რევოლუციის მამა – ვლადიმირ ულიანოვი-ლენინი მთვარის ციკლივით განიცდიდა ცვლილებას: ახალგაზრდას ნამგალა მთვარედ გამოსახავდნენ, მოხუცს – სავსე მთვარედ.

* არც ისე ბევრ არქიტექტურულ ნაგებობას შეუძლია თავი მოიწონოს იმით, რომ მისი სახელი გეოგრაფიულ ობიექტს დაერქვა. ერთ-ერთი მათგანია სევილიის წმიდა მარიამ ქალწულის, იგივე ძველი, ანუ ანტიგუას ეკლესია, რომლის სახელი კოლუმბმა ვესტ-ინდოეთში აღმოჩენილ ერთ-ერთ კუნძულს უწოდა.

* პენტამინო სულ თორმეტია და ყოველ მათგანს ერთნაირი ფართობი და სხვადასხვა ფორმა აქვს. ის ამერიკელმა მათემატიკოსმა სოლომონ გოლომბმა გამოიგონა.

* რომაელები ჩრდილოეთის ზღვას „გერმანიის ზღვას" უწოდებდნენ.

* მანქანის ველოსიპედთან შედარება არც შეიძლება, თუმცა, ველოსიპედს მანქანაზე 4-5-ჯერ გრძელი აქვს... გადამცემი („პერედაჩა").

* „დისნეი ლენდში" შექმნილია სპეციალური ლაბორატორია მავნე მწერების წინააღმდეგ საბრძოლველად.

* 1993 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაიღეს მხატვრული ფილმი „უძილობის მკურნალობა", რომელიც მაშინვე შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე გრძელი ერთსერიანი ფილმი, რომლის ყურებისას შეუძლებელია, ადამიანმა არ დაიძინოს.



## ალერგიის დროს და დაბალი ჰემოგლობინის ასამაღლებლად საუკეთესოა მჟაუნა

მჟაუნას ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით კაროტინს და ასკორბინის მჟავას, $B_1$, $B_2$, C და PP ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებებს, კერძოდ კი, რკინას, მაგნიუმს, ფოსფორს, გოგირდს, სილიციუმს. ასევე, ცილებს, შაქარს, ორგანულ მჟავებს და მთრიმლავ ნივთიერებებს. სამკურნალოდ გამოიყენება მჟაუნას როგორც ფოთოლი, ასევე ფესვი, ღერო და თესლი. მჟაუნას აქვს ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, ჭრილობების შემახორცებელი და სისხლის დენის შემაჩერებელი თვისებები.

* მჟაუნა არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც აწუხებს წყლული, გასტრიტი ან ნიკრისის ქარი.

* ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად და მოსაწესრიგებლად, 1 სადილის კოვზ მჟაუნას გამხმარ ფესვებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ დაახლოებით 20 წუთი. გააცივეთ, გაწურეთ და დალიეთ 2/3 ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, ჭამის შემდეგ.

* ქოლეცისტიტის დროს 1 ჩაის კოვზ ახალგამოწურულ მჟაუნას ფოთლების წვენს დაუმატეთ ერთი ჩაის ჭიქა შაქრიანი წყალი და დალიეთ დღეში ორჯერ, უმჯობესია ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ. ის, ასევე, კარგი ნაღველმდენი საშუალებაა.

* ეგზემის დროს 6 სადილის კოვზ დაქუცმაცებულ მჟაუნას ფესვებს დაასხით 1 ლიტრი წყალი, გააჩერეთ ნახევარი საათით ნელ ცეცხლზე, შემდეგ გააგრილეთ და გაწურეთ. დაასველეთ ამ ნაყენში მარლა და დაიდეთ მტკივან ადგილზე.

* მჟაუნას ფოთლები დიდი რაოდენობით შეიცავს რკინას. ამიტომ, ის აუცილებლად უნდა მიიღოთ დაბალი ჰემოგლობინის დროს.

* თუ კბილი გტკივათ, დაღეჭეთ მჟაუნას ფოთლები და ტკივილი აუცილებლად გაგივლით.

* ალერგიის დროს კი, 1 სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ მჟაუნას ფოთლებს დაასხით ორი ჭიქა წყალი, ადუღეთ დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ნელ ცეცხლზე და დადგით ნახევარი საათით ოთახის ტემპერატურაზე. დალიეთ 1/4 ჭიქა, ჭამამდე დაახლოებით 20 წუთით ადრე. სვით მცირე ყლუპებით და ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით.

## როგორ დავამარცხოთ ადვილად გაზაფხულზე დეპრესია, მოვიხსნათ დაძაბულობა და სტრესი

ძალიან აქტიური ადამიანებიც კი გაზაფხულზე მოთენთილობას გრძნობენ, მუდმივად ძილის შეგრძნება და აპათია აწუხებთ, სწრაფად იღლებიან. ეს ყოველივე ორგანიზმში ჰორმონ სეროტონინის ნაკლებობის გამო ხდება, რომლის გამოსამუშავებლად აუცილებელია: სწორი დღის რეჟიმი, მზის სინათლე და ჯანსაღი ცხოვრების წესი. ორგანიზმი ამ მდგომარეობის კომპენსაციას ცდილობს და დიდი რაოდენობით წვავს კალორიებს. ამის გამო კი, ხშირად გინდებათ ტკბილეული – შოკოლადი, ნამცხვარი, კანფეტი, ათასგვარი სასუსნავი. ეს კი თავის მხრივ, გასუქებას იწვევს.

გაზაფხულის დეპრესიის დასაძლევად, პირველი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ესაა ძილის სწორი რეჟიმი. დასაძინებლად ერთსა და იმავე დროს დაწექით და ძილის ხანგრძლივობა წელიწადის სხვა დროსთან შედარებით ერთი საათით შეამცირეთ. თუ გარკვეული მიზეზების გამო, უძილობა გაწუხებთ, ძილის წინ ეთერზეთებიანი თბილი აბაზანა მიიღეთ, საწოლ ოთახში კი ვარდის სურნელოვანი სანთელი აანთეთ.

მნიშვნელოვანია სუფთა ჰაერზე სეირნობაც. ფიზიკური ვარჯიში კი გამოფხიზლებასა და სხეულის წონის შენარჩუნებაში დაგეხმარებათ. ამ მეთოდით მოთენთილობას ადვილად დაამარცხებთ.

ეცადეთ, რაც შეიძლება, დიდი რაოდენობით ხილ-ბოსტნეული ჭამოთ და ერიდოთ მძიმე და კალორიული კერძების მიღებას. ერთადერთი გამონაკლისი, ამ დროს შოკოლადია, რომელიც იმუნურ სისტემას აძლიერებს და გუნება-განწყობასაც საგრძნობლად აუმჯობესებს. უმჯობესია, ჭამოთ შავი შოკოლადი, რადგან თეთრი შოკოლადი ამ თვისებას მოკლებულია. აგრეთვე, ეცადეთ ხშირად გამონახოთ დრო დასვენებისა და ისეთ ხალხთან ურთიერთობისთვის, ვისთანაც თავს კარგად გრძნობთ. ეს დეპრესიის დაძლევაში დაგეხმარებათ.

## კიტრი სასარგებლოა მაღალი და დაბალი არტერიული წნევის დროს

კიტრი შეიცავს დაახლოებით 40 პროცენტამდე კალიუმს, 10 პროცენტამდე ნატრიუმს, 7 პროცენტამდე ქლორს. ის კარგი შარდმდენი საშუალებაა. კიტრი საუკეთესო სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა. კერძოდ, აძლიერებს გულსა და სისხლძარღვებს, აუმჯობესებს კანისა და თმის ხარისხს.

კიტრისა და სტაფილოს წვენის ნარევი კარგად მოქმედებს რევმატიულ დაავადებაზე, რომელიც ვითარდება ორგანიზმში შარდის მჟავის არსებობის დროს. კიტრისა და სტაფილოს წვენს დაუმატეთ მცირე რაოდენობით ჭარხლის წვენი და ამით გააძლიერეთ მისი ეფექტი.

კალციუმის მაღალი შემცველობის გამო, კიტრი სასარგებლოა მაღალი და დაბალი არტერიული წნევის დროს. კიტრის წვენს ხალხურ მედიცინაში იყენებენ კბილებისა და ფრჩხილების დაზიანების დროსაც. თმაზე მისი გადავლება კი თმის ცვენას აჩერებს.

მიოკარდიუმის დროს კიტრის წვენის სმა შეუცვლელია. ის ასევე, ამშვიდებს ნერვებს, აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას, აუმჯობესებს მეხსიერებას. დალიეთ ყოველდღე 100 მილილიტრი კიტრის წვენი. შეგიძლიათ, მას თანაბარი რაოდენობით შეურიოთ ვაშლის, პომიდვრის ან მოცხარის წვენი, რომ მისი სამკურნალო თვისებები კიდევ უფრო გააძლიეროთ.

## მოიწესრიგეთ ძილის ხარისხი და აკონტროლეთ დაძინების დრო

მოზრდილ ადამიანს დღე-ღამეში 8 საათი უნდა ეძინოს, მაგრამ ძილის ნორმა მაინც ინდივიდუალურია. ზოგ ადამიანს ნაკლები სძინავს, ზოგს მეტი. თუ იმაზე მეტი გძინავთ, ვიდრე საჭიროა, მაშინ ძილისთვის განკუთვნილი დრო უნდა შეამციროთ. ძილი არაერთგვაროვანია და რამდენიმე ფაზისგან შედგება. გარდამავალ პერიოდში, ანუ პირველ სტადიაში უჯრედების ერთ ნაწილს სძინავს, მეორეს ჯერ კიდევ არა. ზედაპირული ძილი მეორე სტადიას განეკუთვნება. მესამე სტადიას ღრმა ძილი, ანუ დელტა-ძილი ეწოდება. ამ დროს ხედავს ადამიანი სიზმრებს. ძილის ხარისხი დამოკიდებულია აღნიშნული ფაზების სწორ თანაფარდობაზე. თავის მხრივ, რაც უფრო კარგია ძილი, მით უფრო ხანმოკლეა.

იმისთვის, რომ გაიუმჯობესოთ ძილის ხარისხი, ქვემოთ მოყვანილი რჩევები უნდა გაითვალისწინოთ:

* სისხლში ნახშირწყლებისა და ცხიმების მომატებული რაოდენობა არღვევს დელტა-ძილის ფაზის თანაფარდობას. ამიტომ, ვახშამი, ძირითადად, ცილების შემცველი საკვებისგან უნდა შედგებოდეს. მაგალითად, ასეთია: უცხიმო ხაჭო, პური, შემწვარი თევზი, ბოსტნეული, კანგაცლილი შემწვარი წიწილა, ბრინჯი და ასე შემდეგ. ცილების გადამუშავება დიდ დროს მოითხოვს. ასე რომ, დაძინებამდე არ მოგშივდებათ. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. შიმშილის გრძნობა ჩაძინების პროცესს აფერხებს და ძილი ზედაპირული ხდება.

* კალციუმის დეფიციტი იწვევს კუნთების დაჭიმულობას, რასაც შედეგად „ცუდი ძილი“ მოჰყვება. ორგანიზმში მაგნიუმის ნაკლებობა ზრდის ძილის ხანგრძლივობას.

* რკინის ნაკლებობა ახანგრძლივებს ძილის პროცესს და ასევე, ხელს უწყობს ხშირ გამოღვიძებას.

* B ჯგუფის ვიტამინების ნაკლებობა, რომელიც ჩვეულებრივ, აღენიშნებათ მუდმივად სტრესულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, მწეველებს და მათ, ვინც ჩასახვის საწინააღმდეგო აბებს იღებს, არღვევს ძილის ნორმალურ რიტმს. გამოსავალი კი მხოლოდ ვიტამინების მიღებაა.

* რეგულარული ფიზიკური დატვირთვის შედეგად მცირდება ძილის საერთო ხანგრძლივობა და ძილისადმი მოთხოვნა.

# ექიმის რჩევები

* თუ ოთახის ტემპერატურა 24 გრადუსზე მაღალია, ძილი უარესდება და დელტა-ძილის თანაფარდობის დარღვევის გამო, ხანგრძლივდება. ნორმალური ძილისთვის ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა 18 გრადუსია.

* თუ ცოლ-ქმარს ერთად სძინავს, მათი დელტა-ძილის ხარისხის პერიოდი მცირდება. საქმე ისაა, რომ ყოველ ასეთ პერიოდს წინ უნდა უძღოდეს ათწუთიანი მშვიდი ძილის პერიოდი. თუ ამ პერიოდში ერთი პარტნიორი მოძრაობას იწყებს და მეორეს აღვიძებს, მაშინ ათვლა თავიდან იწყება.

* ღამით თბილი და არა ცხელი აბაზანა ნერვულ სისტემაზე არა მხოლოდ დამამშვიდებელ ეფექტს ახდენს, რაც დაძინების პროცესს უწყობს ხელს, არამედ ძილის სტრუქტურასაც აუმჯობესებს. განსაკუთრებით კარგია, თუ აბაზანაში წიწვოვანთა ექსტრაქტის რამდენიმე წვეთს ჩაამატებთ.

ნორმალურია, რომ დაწოლიდან ათ წუთში დაიძინოთ. თუ ასე არ ხდება, ესე იგი, ორგანიზმს ძილი არ უნდა, ან რაღაც უშლის ხელს. ყველა შემთხვევაში, საუკეთესო საშუალებაა, ადგეთ და რამე საქმე წამოიწყოთ, ვიდრე ფიქრებში წახვიდეთ და ნერვული სისტემა დაიზიანოთ.

### გაიჯანსაღეთ ორგანიზმი რაციონში ხორბალის და მცირე დოზით არყის შეტანით

მარცვლოვანი კულტურები ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, ვიტამინებს, ფერმენტებს, ბუნებრივ სტიმულატორებს შეიცავს, რომლებიც ააქტიურებს უჯრედების ზრდას. ისინი მდიდარია მცენარეული ცილებით, ნახშირწყლებით, ცხიმებითა და უჯრედისით.

კარგად გარეცხილი და გარჩეული 50 გრამი ხორბალი ჩაყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით წყალი ისე, რომ დაიფაროს. დახურეთ თავსახური და დადგით თბილ ადგილას 24 საათის განმავლობაში. მარცვალი რომ გაღვივდება, წყალი გადაღვარეთ, მარცვლები გააშრეთ, დაფქვით და გადაწურეთ. დაამატეთ შაქარი ან მარილი გემოვნებით, ასევე, შეგიძლიათ, გემოვნების მიხედვით დაუმატოთ დაჭრილი ვაშლი, ბანანი, მსხალი, გარგარი, ქიშმიში და ისე მიირთვათ. ასეთი სახით მიღებული საკვები დანამატი ადამიანის ორგანიზმს გაჯანსაღებაში უწყობს ხელს.

აგრეთვე, სასარგებლოა გარკვეული ალკოჰოლიანი სასმლის მცირე დოზით მიღება. სამკურნალო თვისებები აქვს ღვინოს, ლუდსა და არაყს. მცირე დოზით მიღებული არაყი ააქტიურებს ორგანიზმს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, განაპირობებს ორგანიზმის ყველა ორგანოს სისხლით მომარაგებას, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, ხსნის ორგანიზმში ნერვულ დაძაბულობას, ამაღლებს გუნება-განწყობას. ასევე, დაბლა სწევს ქოლესტერინის დონეს.

**კითხვა: ვიხეხავ კბილებს დილას და ღამით, მაგრამ, დილით რომ ვდგები, პირში მაინც მაქვს არასასიამოვნო გემო და ცოტა სუნიც. რას მირჩევთ, რა უნდა გავაკეთო?**

პასუხი: დილით პირში ოდნავ საგრძნობი სუნის არსებობა არ არის უჩვეულო და დაკავშირებულია ღამის განმავლობაში პირის ღრუს მიკრობების აქტივობასთან. ჩვეულებრივ, ასეთი სუნი კბილების გახეხვის შემდეგ გაივლის. საერთოდ კი, პირში ცუდი სუნის მიზეზი შეიძლება იყოს კბილების, ღრძილების, ყელის, კუჭ-ნაწლავის და ორგანიზმის ზოგადი დაავადებები.

**კითხვა: მყავს 11 წლის ვაჟი, სახეზე გამოაჩნდა თეთრი წვრილი ლაქები. ხომ ვერ მეტყვით ვის უნდა მივმართო და რისი ბრალი უნდა იყოს ეს?**

პასუხი: აუცილებელია ნახოს დერმატოლოგმა და გაუკეთეთ ანალიზი ჭიის კვერცხებზე.

**კითხვა: რამდენიმე კვირაა, სიარულის დროს ვგრძნობ მსუბუქ ბარბაცს. წნევა ნორმალური მაქვს, არც ულონობას ვუჩივი, არც უძილობას, მაგრამ, შუბლისა და საფეთქლების მიდამოში ვგრძნობ სიმძიმესა და დაჭიმულობას. ექიმთან ვიზიტამდე მაინტერესებს, საგანგაშოა თუ არა ეს სიმპტომები?**

პასუხი: მოძრაობის კოორდინაციის დარღვევის მიზეზის დადგენა აუცილებლად საჭიროებს ნევროპათოლოგის კონსულტაციას, ექიმთან მისვლამდე კი სისხლის საერთო ანალიზი გადაამოწმეთ – ხომ არ არის ჩივილის მიზეზი ანემია.

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, ლოყების სიწითლის მიზეზი მაღალი ჰემოგლობინი იყოს?**

პასუხი: დიახ, მაღალი ჰემოგლობინის სიმპტომებს შორის არის სახის სიწითლეც.

**კითხვა: ბავშვობაში დამიზიანდა და მომძვრა ფეხზე ფრჩხილი, შემდეგ კი ამომივიდა მოღუნული, სქელი და ფერშეცვლილი, რაც გადამედო სხვა ფრჩხილზეც. ვიმკურნალე, მაგრამ, უშედეგოდ. მითხრეს, ბოლომდე უნდა აიძრო ფრჩხილი და ისე იმკურნალოო. ახლა რომ ავიძრო ფეხსაცმელს თუ ვიხმარ? ან, იქნებ, ზაფხულში ჯობია ამის გაკეთება?**

პასუხი: რადგან პრობლემა მხოლოდ ერთ ფრჩხილს არ ეხება, სავარაუდოდ, სოკოვან ინფექციასთან გვაქვს საქმე და საფუძვლიანი მკურნალობის ჩატარებაა აუცილებელი. ფრჩხილის მოშორების შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველანაირ ფეხსაცმელს ვერ იხმართ.

**კითხვა: ჩემს 5 წლის ბიჭს ხელის თითში შეერჭო ზღარბის ეკალი, საშიშია თუ არა ცოფის მხრივ? ანუ, ავცრა თუ არა?**

პასუხი: ზღარბი შეიძლება იყოს ცოფის გადამტანი კბენის შემთხვევაში – ნერწყვიდან ვირუსი ხვდება ჭრილობაში და საჭიროა აცრა; მაგრამ, ჩხვლეტის შემთხვევაში, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ნერწყვი მოხვდეს ჭრილობაში, ამიტომ, ნაჩხვლეტი, ზოგადად, უსაფრთხოდ ითვლება.

**კითხვა: მაქვს ასტიგმატიზმი და ვხმარობ სათვალეებს. ხანდახან მინდა, რომ მოვიხსნა. შეიძლება თუ არა ამის გაკეთება და რამდენი ხნით?**

პასუხი: სათვალის მოხსნა და თვალების დასვენება, რა თქმა უნდა, შეიძლება. მოიხსენით სათვალე იმდენ ხანს, სანამდეც კომფორტულად იგრძნობთ თავს უსათვალოდ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი მაია ნუცუბიძე**

### როდის არის აუცილებელი ჭარხლის წვენის სმა

ჭარხლის წვენი ძალიან მარგებელია. ის უზრუნველყოფს ერითროციტების, ანუ, სისხლის წითელი ბურთულების წარმოქმნას და აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას.



კლიმაქსურ პერიოდში ქალებისთვის ჭარხლის წვენი აუცილებელია. გირჩევთ, ამ დროს, ჰორმონული პრეპარატების ნაცვლად, ახალგამოწურული ჭარხლის წვენი სვათ.

ჭარხლის წვენი ორგანიზმს, ასევე, ეხმარება კალციუმის ათვისებაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვისაც გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ან პათოლოგიები აღენიშნება.

წითელი ჭარხლის წვენი შეიცავს იმდენ კალიუმს, რაც ორგანიზმისა და მისი ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის სრულიად საკმარისია; ასევე, შეიცავს ქლორს, რომელიც ღვიძლს, თირკმელებსა და ნაღვლის ბუშტს წმენდს, ორგანიზმის ლიმფურ სისტემას ასტიმულირებს.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ვინ უძახებდა ყოველდღე სასწრაფოს და სახანძროს რეზო ჩხიკვიშვილისთვის და რას ეძებდნენ მასთან სახლში გოგონები

*ბოლო სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე „კალიგულა" იყო, რომელმაც მაშინ მთელი თბილისი აალაპარაკა. ამის შემდეგ ის გერმანიის, კულტურის დედაქალაქად წოდებულ, ქალაქ ესენის თეატრში გასტროლებზე მიემგზავრება და რჩება. მალე საქართველოში მისი უდიდესი წარმატებების შესახებ ვიგებთ. ყველაფერი კი „ოიდიპოს მეფით" დაიწყო, სპექტაკლით, რომლითაც მსახიობები 1992 წელს, აფხაზეთის ომის გამო, გერმანიის წამყვან თეატრს ესტუმრნენ. მაყურებელი და თეატრის ხელმძღვანელობა მისით აღფრთოვანებულია. ესენის თეატრი მას ერთწლიან, მერე კი გრძელვადიან კონტრაქტს უდებს. ასე შემორჩა ის გერმანიას ოცი წელი. ეს, თბილისელი ქალბატონების ყველაზე სიმპათიური, საყვარელი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილია. მოდი, ერთად გავიგოთ როგორია რეზო ჩხიკვიშვილის „დარაბებს მიღმა გაზაფხული" გერმანიაში.*





### სად ვარ, ვინ ვარ...

„გერმანელებმა მნახეს ქართულ-გერმანულ პროექტში – „ოიდიპოს მეფე" და მაშინ გადაწყვიტეს, მოვეწვიე. ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც იყო ჩემთვის, გეტყვით: „ოიდიპოს მეფეში" რომ უნდა მეთამაშა, პრემიერამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი და ამ დროს თბილისიდან მირეკავს ჩემი და – მამა დაეცა და ფეხი იტკინაო. ვიფიქრე, თუ მამაჩემი დაეცა და ფეხი იტკინა, ამის გამო არ დამირეკავდნენ-მეთქი. ავტეხე რეკვა – რაღაც არ მასვენებდა შინაგანად. ჩემს სიმამრთან დავრეკე – მეუბნება, არაფერიაო. ჩემს დასთან დავრეკე, დედაჩემთან... – მათაც იგივე მითხრეს – ისეთი არაფერიაო. რომ წამოვედი, კაცი საღ-სალამათი დავტოვე, ვიფიქრე, რა ხდება-მეთქი. მოკლედ, ჩემს აფორიაქებას საზღვარი არ აქვს. პრემიერა ვითამაშეთ. ფაქტობრივად, ამან გადაწყვიტა ჩემი ბედი. ჩამოვდივარ თბილისში, მოვდივარ სახლში და რომ შევედი, კედელზე ვხედავ სურათს. მამაჩემი უკვე დაკრძალული იყო. ეს ტკივილი, რომ სიმართლე დამიმალეს, მთელი ცხოვრება გამყვება. გამოვაღე კარადა, გამოვიღე მისი პერანგი და ცხარე ცრემლით ავტირდი. ესეც ბედი იყო, ალბათ – რომ ჩამოვსულიყავი, ის პროექტი აღარ შედგებოდა და დღეს აქ არ ვიქნებოდი. როცა ჩამოვედი, პირველი პერიოდი რთულად დაიწყო, გამომდინარე იქიდან, რომ ენა არ ვიცოდი. ამას ყველაფერს რაღაცნაირად დაძლევს ადამიანი, მაგრამ, ყველაზე რთული საქართველოდან წასვლა იყო. ამდენი ხნით არ დამიტოვებია თბილისი. გავიდა ერთი თვე, ორი თვე და ვხედავ, შემოვრჩი სხვა გარემოს, სხვა კულტურას და ამას ძალიან განვიცდიდი. საოცარი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მქონდა. ნელ-ნელა დავიწყე გერმანული კულტურის შესწავლა, მაგრამ, ჩემს თავს ვერ ვხედავდი ისე, როგორც ქართველი ქართულ ხელოვნებაში. სად ვარ, ვინ ვარ, ვის ვაინტერესებ აქ? ამას მოჰყვა შინაგანი დეპრესია, უძილობა, მიუხედავად იმისა, რომ შვილებიც აქ მყავდა. წესით, უნდა გიხაროდეს ადამიანს, როცა შენი შვილები გერმანულ ბაღში და სკოლაში დადიან. ბავშვებმა მალე ისწავლეს ენა, მაგრამ, მე აღარ მინდოდა აქ. არ ვიცოდი, როგორ მომეშორებინა დეპრესია. ერთი კარგი გერმანელი მეგობარი მყავს, მოვიდა და მეუბნება – ახლა მე შენ დეპრესიიდან უნდა გამოგიყვანო, დავლიოთ და ყველაფერი დაგავიწყდებაო. ეგ რომ საქმეს შველოდეს-მეთქი...



შვილის – ალექსანდრეს ქორწილი

### ჩხიკვიშვილის გალაკტიონი ბარათაშვილის სტრიქონებით გერმანიაში

წასვლისას მირჩიეს, გერმანულის სწავლა დაიწყეო. ორი თვე ვსწავლობდი. თავიდან, მასწავლებელმა რომ მკითხა, რა ვისწავლოთო, ლექსები-მეთქი. ვიფიქრე, ჩემი გამოთქმა აინტერესებდათ და რამდენიმე ლექსი ვისწავლე. რომ ჩავედი, აეროპორტში მკითხეს, გერმანულის სწავლა დაიწყეო? კი-მეთქი და დავიწყე გოეთეს ცნობილი ლექსის კითხვა, მაგრამ, ამ ყველაფერს არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმასთან, რასაც მეკითხებოდნენ. ეს, იცით, დაახლოებით როგორ გამოვიდა? რომ ადგე და გალაკტიონი წაიკითხო, ოღონდ ბარათაშვილის სტრიქონებით, მირბის მიმაფრენს... გაუკვირდათ, ლექსს რატომ ამბობსო. ალბათ, იფიქრეს, ეს ვერ არის კარგადო. პირველ წელს



პატარ-პატარა როლები მქონდა, მეორე წელს უკვე მთავარი როლები მომცეს. ორი საათის განმავლობაში მაყურებლის ყურადღება უნდა მიმეპყრო და, მოხდა ისე, რომ, არც ენის უცოდინრობას, არც ჩემს გაუმართავ აქცენტს, პრობლემა არ შეუქმნია. ჩამოსვლისთანავე შემიყვარა მაყურებელმა. ალბათ, დაინახეს, რომ, იმას, რასაც ვაკეთებდი, დიდი სიყვარულითა და მონდომებით ვაკეთებდი.



შვილი

### როგორ გავუმწაროთ რეზო ჩხიკვიშვილს სიცოცხლე

ჩემს თავზე მეცინებოდა – რა მოსწონთ ჩემში, ერთი გამხდარი, გაჩხიკინებული ბიჭი ვარ-მეთქი. რა თქმა უნდა, ვხვდებოდი, რომ ეს გამოიწვია სპექტაკლმა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია," მაგრამ მაინც... ყველა მირეკავდა. თავიდან მიხაროდა, მაგრამ, მერე აუტანელი გახდა ეს ყველაფერი. ერთს შევხვდი, მეორეს შევხვდი და, რა, ამას რა უნდა მოჰყოლოდა? შენ ერთი ხარ და ისინი – ათასნი. ამდენი ყურადღების გაცემა სად შემეძლო? მივხვდი, რომ უფრო მეტი უნდათ ჩემგან და ამის ძალიან მეშინოდა. მაშინ არ იყო ასეთი გახსნილი ურთიერთობები, როგორიც დღეს არის – ხელმოუწერლად რომ ცხოვრობენ ერთად. ერთხელ, ბათუმში ვიყავი გასტროლებზე და ბიჭებმა ჩვენს გოგონებს გავუარეთ პლაჟზე. იქვე, სხვა ბიჭებიც ისხდნენ და დაცინვის ტონით თქვეს ჩემზე: აუ, ამის მუშტი ჩემს მტერს მოხვდესო. ვიფიქრე, ვაიმე, რა დღეში ვარ-მეთქი. ამიტომ, გახდა აღარ მინდოდა და სულ ჩაცმული დავდიოდი. მახსოვს, მირზა გელოვანი რომ ვითამაშე ფილმში, ჯარისკაცის ფორმა მეცვა და შიგნიდან



# რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია ქვედა კიდურების არტერიების ათეროსკლეროზის დროს

*ოზონოთერაპიის მეშვეობით დღეს ბევრი პრობლემის მოგვარებაა შესაძლებელი. ჯანმრთელობა ყოველთვის უმთავრესია ადამიანისთვის და, ამიტომ, ყველა პრობლემას დროულად უნდა ყურადღების მიქცევა და მკურნალობა. დღეს საკმაოდ გახშირებულია ქვედა კიდურების არტერიების ათეროსკლეროზი, რომლის დროსაც საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ოზონოთერაპია. ამ თემასთან დაკავშირებით კი თბილისში, მცხეთის ქუჩა №8/90-ში მდებარე აინო-ოზონოთერაპიის პირველ ქართულ კლინიკას ვესტუმრეთ. ჩვენი რესპონდენტია კლინიკის ექიმი, ქალბატონი* ***ადა მჭედლიძე.***



**ადა მჭედლიძე**: პერიფერიული არტერიული სისხლის მიმოქცევის მოშლა, განსაკუთრებით ქვედა კიდურებში, ოზონოთერაპიის გამოყენების ძირითადი ჩვენებაა. ოზონი ერთდროულად მოქმედებს პათოლოგიური პროცესის რამდენიმე რგოლზე. ოზონი აძლიერებს ერითროციტების დრეკადობას, რაც დადებითად აისახება სისხლის დენადობაზე და ძლიერდება სისხლის სატრანსპორტო ფუნქცია.

სისხლთან კონტაქტისას ოზონი მაშინვე იშლება ჟანგბადის მოლეკულად და ჟანგბადის ატომად. ჟანგბადის ატომები ანეიტრალებენ ნებისმიერ პათოგენურ მიკროფლორას სისხლში (სოკოებს, ვირუსებს, ბაქტერიებს). ოზონი ჟანგავს არტერიების კედლებზე არსებულ ლიპიდურ წარმონაქმნებს, სისხლძარღვების დიამეტრი მოჰყავს ნორმაში და აღადგენს დაზიანებულ უბნებთან სისხლის უწყვეტ მიწოდებას.

**– რა განაპირობებს ოზონოთერაპიის წარმატებას?**

– ოზონოთერაპიის წარმატებას მნიშვნელოვნად განაპირობებს სწორად შერჩეული დოზირება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ოზონის დაბალ დოზას აქვს ანტიკოაგულაციური, ანუ, შედედების საწინააღმდეგო მოქმედება, მაღალი დოზები კი გამოიყენება სისხლდენების საშიშროების დროს, როცა სისხლის შედედების ფაქტორები შესუსტებულია.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ქირურგიული, ანგიოლოგიური და ოზონოთერაპიული მეთოდები იდეალურად ავსებს ერთმანეთს სისხძარღვებთან დაკავშირებული ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობისას.

**უკვე მეოთხე-მეხუთე პროცედურის შემდეგ პაციენტები სიარულის დროს გრძნობენ ტკივილის შესუსტებას ფეხებში. სისხლში მცირდება საერთო ქოლესტერინის, ლიპოპროტეიდების, ტრიგლიცერიდებისა და ლიპიდური ცვლის პროდუქტების დონე**

ოზონოთერაპიის გამოყენების ძირითადი ჩვენებებია: ღრმა ვენების ობლიტერაცია, როდესაც დაზიანების კერა რთულად მისაწვდომია ქირურგიისთვის. პოსტოპერაციულ პერიოდში, როცა არსებობს სტენოზის ხელახალი განვითარების საშიშროება. ობლიტერაციის მეოთხე სტადიის დროს ოზონოთერაპია აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ კიდურის ამპუტაციის აუცილებლობა, ან მინიმუმამდე შემცირდეს ამპუტაციის საზღვრები.

**– რამდენი პროცედურის ჩატარებაა საჭირო?**

– უკვე მეოთხე-მეხუთე პროცედურის შემდეგ პაციენტები სიარულის დროს უკვე გრძნობენ ტკივილის შესუსტებას ფეხებში. სისხლში მცირდება საერთო ქოლესტერინის, ლიპოპროტეიდების, ტრიგლიცერიდებისა და ლიპიდური ცვლის პროდუქტების დონე. სამედიცინო ოზონი აუმჯობესებს სისხლის მიკროცირკულაციას, ანუ, კაპილარული სისხლის მიმოქცევას. კაპილარული სისხლის მიმოქცევის ნაწილობრივ აღდეგენის შემთხვევაშიც კი, ავტომატურად აღდგება ყველა ორგანოსა და ქსოვილის სისხლით მომარაგება, მათთან ჟანგბადის მიტანა. დაზიანებულ უჯრედებში აღდგება ნივთიერებათა ცვლა, აქტიურდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები და ორგანოების ფუნქციონირება.

**აინო - ოზონოთერაპიის კლინიკის ტელეფონები: 225-31-39; 571 25-55-33.**

**მარიკა ხიდურელი**

---

რაღაცეებს ვტენიდი, რომ ცოტა, ამომევსო. ზამთრის ტანსაცმელში როცა ვიყავი ჩაცმული, კიდევ არა უშავდა, მაგრამ, როცა ზაფხულის გადაღებები იყო, მაშინ რაღაცეების გაკეთება მიწევდა. ეს იყო როგორც ბედნიერი პერიოდი, ისე დამთრგუნველიც, რადგან, გოგონების ერთმა ჯგუფმა, რომლებმაც ჩემგან სათანადო ყურადღება ვერ მიიღეს, ჩემი დატერორება გადაწყვიტეს – როგორ გავუმწაროთ რეზო ჩხიკვიშვილს სიცოცხლეო: ღამით ჩემს სახლთან მოდიოდნენ მანქანით და მეძახდნენ: რეზო, შე იმპოტენტო, გამოიხედე!!! ყველანაირად მამცირებდნენ. ერთხელ, დარეკეს ჩემთან სახლში და დედაჩემს უთხრეს: თქვენს შვილს მანქანა დაეჯახა და აღარ არისო. ამ დროს შემთხვევით სახლში შემოვედი... ვიღაც გოგო გაიპარა სახლიდან, მისი



მშობლები კი ჩემთან მოცვივდნენ სახლში და საწოლის ქვეშ, კარადაში, ყველგან ეძებდნენ – სად დამალეო. ჩვენს ეზოში თითქმის ყოველდღე სასწრაფო, ან სახანძრო მოდიოდა... ყველანაირად ცდილობდნენ, მართლა გავმწარებულიყავი. უნდოდათ, შური ეძიათ ჩემზე. დიდხანს ვერ გამოვედი ამ მდგომარეობიდან. სხვათა შორის, ეს ჯგუფი იზრდებოდა: ის იმედგაცრუებული გოგონები რაღაცნაირად ერთმანეთს პოულობდნენ. მერე რა დღეში ვიყავი, ეს უნდა გავთქვა: წინა კარიდან ვერ გავდიოდი, უკანა კარიდან ვერ გავდიოდი, აივანზე ვერ გავდიოდი... დურბინდებით იყვნენ ჩასაფრებულები. ალყაშემორტყმული ვიყავი და რომ რეკავდნენ, ვიღაც ხომ უნდა მისულიყო ტელეფონთან, როცა ოჯახის წევრები შინ არ იყვნენ. ხან ტელევიზიიდან მირეკავდნენ, ხან გახმოვანებიდან, აღარ ვიცოდი რა მექნა. ვიღაცეებს მიგზავნიდნენ, სახლს მინგრევდნენ, საშინელება იყო... საინტერესოც იყო, მაგრამ, კარგისა და ცუდის გარჩევა არ შეიძლებოდა. ტელეფონი რომ რეკავდა, უკვე ნევროზი მქონდა და ვყვიროდი: „არ დარეკო, შენი“!.. მერე როგორ ვიქცეოდი, იცი? გოგოს ხმით ველაპარაკებოდი: „რეზო ჩემი შეყვარებულია და, ძალიან გთხოვთ, თავი დაანებოთ“; ხან – ბაბუაჩემის ხმით: „ალიო, რომელი ხარ, შვილო, რეზო სოფელშია“... თქვენ ვინ ხართ – მეკითხებოდნენ. ბაბუამისი ვარ-მეთქი, ვპასუხობდი. ქუჩაში რომ მივდიოდი და მოპირდაპირე მხრიდან გოგონები მოდიოდნენ, შანსი არ იყო, სადღაც უნდა გამეხვია. ტრანსპორტში ხომ, საერთოდ ვერ ავდიოდი. მე საცოდავს, 120 მანეთი მქონდა და მთელ ხელფასს ტაქსებში ვხარჯავდი.





**გაზიანი ქორწილი**

ხათუნა რომ გავიცანი, ძალიან მომეწონა და შემიყვარდა, მაგრამ, ისეთი დაკავებული ვიყავი, ვუთხარი კიდეც, ჯერ არ მინდა, სერიოზულ ურთიერთობაზე ვიფიქრო, სათანადო ყურადღებას ვერ მოგაქცევ-მეთქი ***(ხათუნა ჩაგელიშვილი მთავარ როლს ასრულებს ფილმში „ჩიორა,“ – ავტორი).*** მერე, ცოლი რომ მოგყავს, ცალკე სახლი უნდა გქონდეს. ეს ყველაფერი მაინც ახალი იყო ჩემთვის – ახლად დაწყებული კარიერა, დღედაღამ გარეთ ხარ გასული... განვიცდიდი თვითონ ქორწილზეც – როგორი იქნება, როგორ ჩაივლის... ხომ იცი, ამ დროს ცოტა დაბნეული ხარ. თან, იმ პერიოდს დაემთხვა, საქართველოში ღვინო რომ აიკრძალა. ეს, იცით, რამხელა პრობლემა იყო? გაზიანი სასმელებით როგორ უნდა გადაიხადო ქორწილი? მით უმეტეს, ამდენ მსახიობს უნდა დაუძახო... დაძაბული ვიყავი – როგორ განვითარდება, როგორ აეწყობა ყველაფერი-მეთქი.”

**ეკა პატარაია**

**ამბობენ, რომ ნიჭიერება გენეტიკურია და ის წინაპრიდან შთამომავალზე გადადის. ყოველ შემთხვევაში, გენეტიკოსები ასე ფიქრობენ. თუმცა, ამ აზრს არ ეთანხმებიან ეზოთერიკოსები და ამბობენ, რომ ეს გენეტიკის კი არა, ადამიანის რეინკარნაციის ბრალია. ანუ, თუ ადამიანი წინა ცხოვრებაში იყო მათემატიკოსი ან მუსიკოსი, ეს ნიჭი სულის განმეორებით, ახალ სხეულში გადადის და იბუდებს. სწორედ, ამ თემასთან დაკავშირებით ვთხოვეთ კომენტარი ეზოთერიკოს ბატონ დავითს, რომელმაც საკმაოდ დასაფიქრებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.**

# გადადის თუ არა ნიჭი წინაპრებიდან შთამომავლებზე და რისი საფუძველი ხდება ადამიანის სულში დაგროვილი და დალექილი გამოცდილება

**– ბატონო დავით, დღეს ბევრს აინტერესებს პასუხი კითხვებზე: გადადის თუ არა ნიჭი წინაპრებიდან შთამომავლებზე, ანუ, არის თუ არა ის გენეტიკური?**

– ამ კითხვებით ბევრი მომმართავს, განსაკუთრებით ხშირ შემთხვევაში კი, ის ადამიანები, ვისაც გარკვეული მიდრეკილება და ნიჭი აქვთ *(იცინის)*. უნდა გაგანბილოთ და გითხრათ, რომ ეს წინაპრების გენეტიკასთან არანაირ კავშირში არ არის. შესაძლოა, ამაში გენეტიკოსები არ დამეთანხმონ, მაგრამ ვეცდები, მათ ეს დავუმტკიცო. წლების წინ აღმოსავლური სიბრძნით დავინტერესდი. მერე ამ ქვეყნებში ვიმოგზაურე, გარკვეული დროით ვცხოვრობდი კიდეც იქ და ამგვარი საკითხების შესახებ ჩემეული, აღმოსავლურ-ეზოთერიკული ხედვა ჩამოვიყალიბე. აღმოსავლური ეზოთერიკის მიხედვით, სულში დაგროვილი და დალექილი გამოცდილება თანდაყოლილი ნიჭის საფუძველია. თუ განსაკუთრებულ ნიჭს ავლენთ მუსიკაში, ხელოვნების სხვადასხვა დარგში, მათემატიკაში, სპორტში და ასე შემდეგ, ესე იგი, თქვენმა სულმა საკმაო ცოდნა და გამოცდილება წინა ცხოვრებაში დააგროვა და აითვისა.



**– თუ ადამიანი ადვილად ითვისებს უცხო ენებს და რამდენიმე ენაზე გამართულად საუბრობს?**

– თუ უცხო ენების ათვისება გიადვილდებათ და ერთდროულად რამდენიმე ენას ფლობთ, სავარაუდოდ, თქვენ კი არ სწავლობთ, უბრალოდ, ამ ცხოვრებაში აღიდგენთ და იხსენებთ იმ ენას, რომელზეც წარსულში, ანუ, სხვა ცხოვრებაში ლაპარაკობდით – როცა თქვენი სული სხვა ადამიანის სხეულში იყო. მოკლედ, ადამიანის სული დედამიწაზე რამდენჯერმე ახერხებს დაბრუნებას და სიცოცხლეს სხვადასხვა სხეულში ჩასახლებული განაგრძობს. სულსა და ხორცს შორის ბრძოლა დედამიწაზე მიმდინარეობს. მიწიერი ცდუნებების დათრგუნვისა და წინააღმდეგობებთან ბრძოლის დროს იწრთობა და განიწმინდება ჩვენი სული, ამისთვის კი ერთი სიცოცხლე არ კმარა. ადამიანის სული რამდენჯერმე იბადება და კვდება, ის რამდენიმე სხეულს იცვლის და თითოეულ სხეულში ჩასახლებული, უშვებს შეცდომებს, აგროვებს გამოცდილებას, იძენს ახალ შეგრძნებებს, ემატება იმის გაცნობიერების უნარი, ვინ არის კეთილად განწყობილი მის მიმართ და პირიქით – ვინ ბოროტად. ასევე, ადამიანების დიდი ნაწილი განსაკუთრებული, გამძაფრებული ინტუიციით გამოირჩევა, ზოგი ცუდი ჩვევებისკენაა მიდრეკილი, ზოგიც ცხოვრებაში ბევრ შეცდომას უშვებს. ეს ყოველივე კი წინა ცხოვრებაში სულის მიერ დაგროვილ გამოცდილებასთანაა კავშირში.

**– თუ ადამიანს გამოკვეთილად გამძაფრებული ინტუიცია აქვს, ან ხშირად უშვებს შეცდომებს როგორც პირად, ასევე კარიერაში, ეს რისი ბრალია?**

– საერთოდ, ადამიანის სული იყოფა კატეგორიებად ანუ ტიპებად. ერთი ტიპის წარმომადგენლები გამოირჩევიან მეტი სიბრძნით. ასეთ ადამიანებს გამძაფრებული ინტუიცია, სწორი ცხოვრებისეული ხედვა და ნებისყოფა აქვთ. სხვა კატეგორია გამოირჩევა ცხოვრებისეული გამოცდილებით. ზოგი კი ახლა დადგა ცხოვრებისეული გამოცდების წინაშე, განვითარების ადრეულ საფეხურებს გადის და ჯერ კიდევ ბევრი აქვს სასწავლი, ასათვისებელი. ამ უკანასკნელი კატეგორიის წარმომადგენლები ცხოვრებაში ბევრ შეცდომას უშვებენ, აქვთ მიდრეკილებები ცუდისკენ და არიან ფეთქებადი ხასიათის, აგრესიული ტიპები. ახალ სხეულში ჩასახლებული სული კი გვაძლევს არა კონკრეტულ ინფორმაციას, არამედ, წარსულ ცხოვრებაში შეჯამებულ შედეგებს, რაც მიდრეკილებებსა და ნიჭიერებაში გამოვლინდება.

**– აღმოსავლური სიბრძნის მიხედვით, ადამიანი ისეთ სულს ატარებს, როგორსაც იმსახურებს. იქნებ დაგვიკონკრეტოთ, ეს რას ნიშნავს?**

– დიახ, აღმოსავლეთში სჯერათ სულის რეინკარნაციის და მიაჩნიათ, რომ ყველა ადამიანი ისეთ სულის ჩასახლებას იმსახურებს დაბადების მომენტში, როგორითაც აჯილდოებს მას განგება. ამის გაგება ცოტა რთულია და ბევრისთვის დაუჯერებელი, მაგრამ, მე სავსებით მჯერა. თუმცა, თუ მსგავს საკითხებში ვერ ერკვევი და მით უმეტეს, სათანადო ცოდნა არ გაქვს მიღებული, არარეალურად გეჩვენება სულის განმეორებითი მოვლენა დედამიწაზე. უფრო მეტსაც გეტყვით: არის შემთხვევები, როცა წინაპრები განსაკუთრებულად ნიჭიერები და ცნობილი ადამიანები იყვნენ,

**მიწიერი ცდუნებების დათრგუნვისა და წინააღმდეგობებთან ბრძოლის დროს, იწრთობა და განიწმინდება ჩვენი სული, ამისთვის კი ერთი სიცოცხლე არ კმარა**

მაგრამ, მათი შთამომავლები საკმაოდ ცუდი ჩვევების მქონე და უნიჭოები გამოვიდნენ. ალბათ, ასეთი ადამიანები თქვენ გარშემოც არსებობენ. თუ ვამბობთ, რომ ნიჭი მხოლოდ გენეტიკურად გადადის, მაშინ, ასე რატომ ხდება? ან, პირიქით, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი თავადაც გაოცებულია, საიდან დაჰყვა მსგავსი ნიჭიერება, როცა მისი მშობლები უბრალო და გაუნათლებლები არიან. ამაზე დაფიქრდით და თავად მიხვდებით, რომ ზემოთ ნათქვამში ჭეშმარიტება ნამდვილად დევს.

**– ბატონო დავით, თუ აქვს ნიჭიერებას დოზა? მაშინ რა ხდება, თუ ადამიანი რამდენიმე დარგში ავლენს განსაკუთრებულ ნიჭიერებას?**

– ნიჭიერებას თავისი დოზა აქვს. თუ სული მეოთხედ მოხვდა დედამიწაზე, კონკრეტული ადამიანის სხეულში და ის პირველი სიცოცხლის დროს მხატვარი იყო, მეორედ დაბრუნებისას – მუსიკოსი, მესამედ კი – მწერალი, რა გასაკვირია, თუ ეს სამივე ნიჭი ერთ ადამიანში მოიყრის თავს?! ეს ბუნებრივია და ასეთი უამრავია. მათმა სულმა რამდენიმე სფეროში დააგროვა გამოცდილება წარსულ ცხოვრებაში და ახლა ამ გამოცდილებას მორიგ სხეულში „აფრქვევს". ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენი შვილი კარგად მღერის, ლექსებსაც წერს და თან, სხვა ნიჭითაც გამოირჩევა – მისი ეს მდგომარეობა სულის რეინკარნაციის ბრალია და მასში ყველა ნიჭი ერთდროულად დევს.

**– ასევე, ბოლო დროს საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია ეზოთერიკოსებსა და პარაფსიქოლოგებს შორის საკითხმა, არსებობს თუ არა კავშირი ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის. თქვენი აზრით, მაინც, რა კავშირია ბედისწერასა და გენებს შორის?**

– აი, ადამიანის ბედისწერასა და გენებს შორის უდიდესი კავშირი არსებობს. აბა, დაფიქრდით, თუკი შეიძლება, ადამიანმა გენეტიკურად მიიღოს წინაპრისგან გარეგნობა, ხასიათი, მანერა და ასე შემდეგ, რატომ არ არის შესაძლებელი, რომ ბედისწერაც გენეტიკურად გადავიდეს შთამომავლობაზე?! ზოგს არ სჯერა ბედისწერის და ამაში მწარედ ცდება. გენური კოდის საშუალებით, ჩვენ მართლაც ვიღებთ მემკვიდრეობით გარეგნობას, ხასიათს, ნიჭს და ამასთან ერთად, ბედისწერასაც. შედეგად კი, წინაპართა არასწორი ცხოვრების წესი შთამომავლის ბედისწერაზე აისახება. არც ერთი ჩვენგანი არ დაბადებულა უცოდველი, რადგან, გენებით მიღებული პროგრამა შთამომავლობით დაგვყვება თან. აი, სწორედ ეს არის ბედისწერა, რომელშიც უდიდესი წვლილი ჩვენს წინაპრებს მიუძღვით. მათი კარმული დავალიანება, არასწორი თუ სწორი საქციელი, ცხოვრების წესი და ასე შემდეგ, სწორედ ჩვენს გენებშია ჩაწერილი. თითოეული ჩვენგანი გენური ინფორმაციის მატარებელი და გადამტანია. გენეტიკურ ცოდვაზე დიდი ცოდვა კი დედამიწაზე არ არსებობს და ვისაც ის შთამომავლობით გადაეცა, წარუმატებელი იქნება, უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდება და პირადი ცხოვრებაც გამწარებული ექნება. ამიტომ, უნდა იფიქროთ ამ საკითხზე და კარგად გააანალიზოთ ჩემი ნათქვამი.

**ნონა დათეშიძე**

# როცა ხარ ქალი!

ქალს ბევრი რამ არ ეპატიება და ძალიან ბევრიც მოეთხოვება... მაგალითად, არ ეპატიება ისეთი რამ, რაც კაცს სასაცილოდ არ ჰყოფნის და, ბუნებრივია, პასუხისმგებლობაც არ ეკისრება.

ზოგჯერ ქალს ისეთ რაღაცას სთხოვენ, რისი ტვირთვა მასზე ფიზიკურად გაცილებით ძლიერ მამაკაცსაც კი არ შეუძლია (ან, ეზარება – ესეც რეალობაა). ერთი სიტყვით, რადგან კონკრეტული სქესის არსებად გაჩნდი, ის ტვირთიც უნდა ზიდო, რასაც მერე აგკიდებენ ან საკუთარი ნებასურვილით აიკიდებ (არც ეს ვარიანტია გამორიცხული) – არ გიშველის არც გენდერი და არც არანაირი უფლებათა დამცველი. საკუთარ თავს თავადვე უნდა უშველო და მოუარო... ანუ, იყო ქალი, სულაც არ არის ადვილი. შენგან ერთგულებასაც ორმაგად ითხოვენ, თავდადებასაც და თავგანწირვასაც. მოთმინებაზე საერთოდ აღარ არის ლაპარაკი ბოლოს და ბოლოს, რისი ქალი ხარ, თუ მოთმენა და დათმენა არ იცი?!

ყველაზე მთავარი კი, რაც ქალს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, მხოლოდ საკუთარი თავის რწმენაა. არავის ძალუძს შენი ცხოვრების შეცვლა უკეთესობისკენ, რადგან, მხოლოდ შენ იცი, რა გჭირდება რეალურად ცხოვრებაში.

როცა ხარ ქალი, ხარ ის, ვინც სიცოცხლეს აძლევს საწყისს, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. უფლება არ გაქვს, ხელები ჩამოუშვა და თქვა, რომ რაღაც არ გამოგდის. ევას ჭეშმარიტ შთამომავალს აუცილებლად ყველაფერი გამოუვა!

# ქალური იარაღი...

ენდე – აღიარე ხმამაღლა, რომ ის, რასაც მამაკაცი აკეთებს, სწორია და ასეც უნდა იყოს, მაგრამ, როგორც კი დაარწმუნებთ თქვენს გულწრფელობასა და საკუთარ ყოვლისშემძლეობაში, ყველაფერი მაინც ისე გააკეთეთ, როგორც თავად მიიჩნევთ საჭიროდ, ოღონდ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე. მთავარია, რომ დარწმუნდა თქვენს სრულ ნდობაში...

როდის არის ქალი ძლიერი?! მაშინ, როცა არ მიილტვის მხოლოდ ერთი, უკიდურესი „პოლუსისკენ“, ანუ, არ არის ერთმნიშვნელოვნად ძლიერი, პრინციპული, ვაჟკაცური, მიზანდასახული, ჯიუტი, დამოუკიდებელი, ჭკვიანი... – ეს ყველაფერი საჭიროა, მაგრამ, ასევე აუცილებელია სირბილე – სისუსტე, პასიურობა და სექსუალურობა, ბავშვური მიამიტობა და უსუსურობა, იუმორის გრძნობა, ინტელექტი, რათა უკეთ წარმოაჩინო საკუთარი ღირსებები და მაშინ ვერც ერთი მამაკაცი ვერ დარჩება გულგრილი ასეთი ქალის მიმართ.

ქალს მუდმივად უნდა შეეძლოს სიახლისკენ ლტოლვა – ეს აუცილებელია; განახლდეს თვითონაც და განაახლოს გარემო, რომელშიც ის და მისი საყვარელი ადამიანები იმყოფებიან.

როგორც წესი, ასეთ ქალურობას „უკუჩვენებები“ არ ახასიათებს. ეს ის იარაღია, რომელიც ყოველთვის მიზანში ისვრის და მსხვერპლიც ბედნიერი ჰყავს...

# დაიწყეთ თქვენგან

არ იფიქროთ, რომ მამაკაცების „ბანკაში“ გადაბარგდით, მაგრამ, თუ რეალობას თვალებში ჩახედავთ, უფრო კარგად გაიგებთ, როგორ უნდა მოერგოთ ცხოვრებას, რომელიც არცთუ ადვილად გაძლევთ დამკვიდრების საშუალებას. უპირველესად, უნდა იცოდეთ, რომ პრობლემების არსი ჯერ საკუთარ თავში უნდა მოიძიოთ. რამე არ გამოდის? ნუ შეეგუებით ამას და ნუ იტყვით, რომ ხვალაც იგივე გამეორდება. პირიქით, ერთმა დაცემამ უნდა გაგაძლიეროთ და გამოგაფხიზლოთ კიდეც.

იკისრეთ და იტვირთეთ მხოლოდ თქვენი წილი პასუხისმგებლობა. შეუძლებელია, ყველაფერი გამოგივიდეთ და ყველაფერს გასწვდეთ. მიეცით საკუთარ თავს იმის უფლება, რომ ზოგჯერ სუსტი და დაუცველი იყოთ. ნუ შეაჩვევთ თქვენს ახლობლებსა და ოჯახის წევრებს ისეთ სიტუაციას, რომ იფიქრონ, ეს ძლიერია და ყველაფერს თავადაც მოერევაო. მიეცით მათ საშუალება, იზრუნონ თქვენზე, ოღონდ, ეს პრეტენზიებით კი არ უნდა მოითხოვოთ, არამედ, მიახვედროთ, რომ ძალიან გჭირდებათ მათი თანადგომა.

ურთიერთობაში პირველი და მეორე ნაბიჯი არ არსებობს. როცა ხედავთ, რომ მოქმედება აუცილებელია, უნდა იმოქმედოთ კიდეც. სქესი დაბრკოლებად კი არ უნდა გექცეთ, არამედ, უნდა წაგახალისოთ და ამით პრივილეგიები შეიგრძნოთ. დაიწყეთ თქვენგან და მიჰყევით ბოლომდე – თქვენ ეს შეგიძლიათ!

# სერიოზული განსხვავება

არსებობს მოსაზრება, რომ ქალები მამაკაცებზე ბევრს ლაპარაკობენ, თანაც ხშირად ეს ჭორაობაა და არა აზრიანი, შინაარსიანი საუბარი. რეალურად კი, არც კაცები ლაპარაკობენ ნაკლებს, მაგრამ, განსხვავება ისაა, რომ ქალები საპირისპირო სქესთან შედარებით უფრო სწრაფად მეტყველებენ და იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს უფრო ბევრს ლაპარაკობენ. თუ ქალი წუთში 160 სიტყვას ამბობს, კაცს მხოლოდ 100 სიტყვის თქმის უნარი შესწევს. განსხვავება სერიოზულია და ამიტომაც მიეწებათ ქალებს მოლაყბეების იარლიყი.

კიდევ ერთი სერიოზული განსხვავება არსებობს – ინფორმაციის მიწოდების უნარი. ქალი ამაშიც ბევრად წარმატებულია, შედარებაც არ არის, ისეთი წარმატებული. კაცი სათქმელს პირდაპირ, ზოგჯერ მეტისმეტად მოურიდებლადაც კი ამბობს, ქალს კი უფრო შეცნობითი და ორაზროვანი ლექსიკით უყვარს საუბარი, რაც მამაკაცებისთვის ზოგჯერ გამაღიზიანებელია. კაცს ხან ჰგონია, რომ ქალი მას დასცინის, ხან კი საერთოდ ვერაფერს ხვდება, იბნევა და ბრაზობს. კაცს ურჩევნია, ქალმაც პირდაპირ უთხრას სათქმელი, მაგალითად – „მიყიდე ყვავილები“ და არა „კარგი იქნებოდა, რომ ლარნაკში ყვავილები ყოფილიყო ჩადებული“... ასე სიტყვებიც ნაკლები დაიხარჯებოდაო, – ფიქრობს კაცი და, იქნებ, მართალიც არის. ერთი სიტყვით, თუ ქალი რამეს არ ამბობს, ესე იგი, ძალიან სერიოზულად არის საქმე; ხოლო თუ კაცია ჩუმად – საშიში არაფერია, მას, უბრალოდ, ლაპარაკი ეზარება.

# ქალი და მამაკაცი

ბუნებამ იზრუნა იმისთვის, რომ ქალსა და მამაკაცს ერთმანეთი სჭირდებოდეს – ეს გარდაუვალი და ისევე აუცილებელია, როგორც ადამიანთა მოდგმის გამრავლების გარდაუვალობა... დამოუკიდებლად არსებობას, ალბათ, ორივე შეძლებდა – როგორც ქალი, ისე მამაკაცი. სისულელეა იმაზე ლაპარაკი, რომ ქალი ვერ გააკეთებს მამაკაცის საქმეს, ან, პირიქით – მამაკაცი ვერ ისწავლის კერძის მომზადებას, მით უფრო ახლა, როცა თანამედროვე სამყაროში საყოფაცხოვრებო პირობები ისეა გაუმჯობესებული, რომ მარტივად გადაჭრი ნებისმიერ ყოფით პრობლემას. საქმის არსი ამაში სულაც არ არის. რაც ქალს და მამაკაცს ერთმანეთისკენ იზიდავს, სიყვარულის მოთხოვნილებაა, სურვილი იმისა, რომ ვიღაცამ იზრუნოს მასზე; იყოს გვერდით და თავისი სიახლოვით ის სიცარიელე შეავსოს, რომელიც არც ერთ ადამიანს არ უხალისებს ცხოვრებას.

ამიტომ, შეიძლება, ის ის არ არის, ვისაც ელოდით, მაგრამ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდით, დაფიქრდით – ღირს კი, ეძებოთ სხვა? მარტო ხომ მაინც ვერ იქნებით?! გააანალიზეთ, რა ხარვეზებია ურთიერთობაში და როგორ შეიძლება მათი აღმოფხვრა. ქალსა და მამაკაცს ყოველთვის აქვთ სათქმელი ერთმანეთისთვის, თუნდაც უსიტყვოდ, დუმილით, მაგრამ, სითბოთი და სიყვარულით...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სამსახური და დიეტა

*ჩვენს მკითხველს ისევ და ისევ აინტერესებს, როგორ უთავსებენ ერთმანეთს დიეტასა და გადატვირთულ დღის რეჟიმს მეგავარსკვლავები. გთავაზობთ რამდენიმე უცნობილესი და ულამაზესი ქალბატონის ცხოვრების „ოქროს წესს“.*

### ბრუკ შილდსი: „არანაირი შეღავათი“

მისთვის უცხოა დიეტის დარღვევა მძიმე სამუშაო გრაფიკის მოტივითაც კი. „ჩემი სხეული ჩემი სავიზიტო ბარათია და, უფლება არ მაქვს, მოვდუნდე. გადაღებების დროს არ მაქვს საშუალება, ვიარო სპორტდარბაზში, ამიტომ, ჩემთვის აღნაგობის შენარჩუნების ერთადერთი მეთოდი – სწორი კვებაა: კვების რეჟიმის მკაცრად დაცვა, არაკალორიური პროდუქტები, სასმელი წყალი, ცოცხალი ხილი და ბოსტნეული და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ძილი“, – აცხადებს მსახიობი.



### ანჯელინა ჯოლი: „ჩემი საიდუმლო საკვების რაოდენობაშია“

უკვე მრავალი წელია, ანჯელინა ამ მეთოდს იყენებს – იკვებება ხშირად და პატარ-პატარა ულუფებით. მისი აზრით, ეს არის ერთადერთი მეთოდი, რომელიც ქალს სასურველ წონას სამუდამოდ შეუნარჩუნებს. „ამ წესის შეცვლას მხოლოდ მიწისძვრა ან რამე მსგავსი ექსტრაორდინარული მოვლენა თუ მაიძულებს“, – აღიარა ჯოლიმ.

### კეტი ჰოლმსი: „ნუ ისადილებ მარტო“

„ვერ ვიტან მარტო ჭამას. ამიტომ, გადაღებების დროს საჭმელს ჩემი კოლეგებისთვისაც ვუკვეთ ხოლმე“. მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთილ კერძებს შორის ხშირად არის ნაყინი, პიცა და კექსები, მსახიობის წონას ეს არ ემუქრება. როგორც თავად თქვა, კოლეგებთან ერთად ჭამის დროს მეტს ლაპარაკობს და ნაკლებს მიირთმევს.

### მადონა: „ჩიპსების ნაცვლად – კომბოსტო“

„დაძაბული გრაფიკის დროს მთავარი პრობლემაა სრულყოფილი კვებისთვის არასაკმარისი დრო, – ამბობს პოპ-დივა, – ამის გამო ბევრი ჩემი ნაცნობი განურჩევლად იყრის მუცელში ყველაფერს, შოკოლადით დაწყებული, ჩიპსებით დამთავრებული, რაც შემდეგ ცხიმებად გროვდება მთელ სხეულზე. მე ჩიპსების მაგივრობას ცოცხალი კომბოსტოს ფოთლები მიწევს, ამიტომ, ყოველთვის დამაქვს თან გადაღებებსა და კონცერტებზე“, – ამხელს თავის საიდუმლოს ვარსკვლავი.

### პენელოპა კრუსი: „საკუთარ თავს უარს არაფერზე ვეუბნები“

„გადაღებების დროს მე ბოლომდე ვიხარჯები და, ამიტომ, მუდმივად მჭირდება ენერგიის აღდგენა. შემიძლია, სადილად პიცა მივირთვა, ვახშმად კი – ნოყიერი იტალიური „პასტა“. მაგრამ, ძალიან ბევრს ვმოძრაობ, „ვწვავ“ ყველა კალორიას და ამიტომაც არ ვსუქდები“, – გამოუტყდა ჟურნალისტებს პენელოპა.

# ყურადღება, იწყებთ სირბილს?!

გაზაფხული, მოგეხსენებათ, წლის ულამაზესი დროა, მაგრამ, ამასთან, საკმაოდ ჭირვეულიც. ამიტომ, გამორჩეული სიფრთხილე გვმართებს ყველა თვალსაზრისით (კვება, მზეზე ყოფნა, სითხის მიღება, დღის რეჟიმი და ასე შემდეგ), განსაკუთრებით კი – სირბილის დროს.

ალბათ, ყველას გინახავთ დილაობით ქუჩებში, სკვერებსა თუ პარკებში მორბენალი ადამიანები, რომელთა უმეტესობა საშუალო ასაკს არის გადაცილებული, გულში შურსაც გაუკრავს და გიფიქრიათ: „ჩემზე გაცილებით უფროსია და როგორ დარბის, მე კი, ნაბიჯს ავუჩქარებ თუ არა, ქოშინი მეწყება. არა, ხვალიდან მეც უნდა დავიწყო სირბილი“... რამდენი ხნის შემდეგ გათენდა ეს „ხვალ“, ამას კონკრეტული მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ გათენდა და თქვენ, სპორტულად გამოწყობილი, სურვილითა და ენთუზიაზმით აღსავსე, სადარბაზოს კარიდან იღებთ სტარტს – ჩაფიქრებული გაქვთ, 5-6-ჯერ მაინც შემოურბინოთ კორპუსს, სკვერსა თუ ბაღს, მაგრამ, 50 მეტრის „დაფარვის“ შემდე:გ სუნთქვა გეკვრებათ, ჩერდებით, უმწეოდ აღებთ პირს და ცდილობთ, ჩაისუნთქ-ამოისუნთქოთ, მაგრამ ძალიან გიჭირთ... ბოლოს, როგორც კი ახერხებთ სულის მოთქმას, მაშინვე ბრუნდებით სახლში და სამუდამოდ ანებებთ ფიქრს სირბილზე... – ნაცნობი სურათია?!



ყოველივე ეს რომ არ განმეორდეს, გაითვალისწინეთ ჩვენი რჩევები და თავადაც გაოცებული დარჩებით, მოკლე ხანში ისეთ შედეგს მიიღებთ. არა, რა თქმა უნდა, ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გახდებით, მაგრამ, თქვენს ჭიასაც გაახარებთ და ჯანმრთელობასაც თანდათან გაიუმჯობესებთ.

თუ სირბილის დაწყებას ხვალ დილით აპირებთ, ამ საღამოსვე უნდა შეემზადოთ ამისთვის, კერძოდ: დასაძინებლად არ დაწვეთ ძალიან გვიან; საღამოს 19-20 საათის შემდეგ არ მიიღოთ არანაირი საკვები; ძილის წინ (მინიმუმ 1 საათით ადრე) არ დალიოთ არანაირი სითხე; იძინეთ განიავებულ ოთახში; რომ გაიღვიძებთ, უცებ არ წამოდგეთ, ჯერ მსუბუქად და, რაც მთავარია, ნელ-ნელა გაიზმორეთ ლოგინში, მერე ლოგინშივე (ასევე მსუბუქად და ნელ-ნელა) შეასრულეთ უმარტივესი ვარჯიშები – რამდენჯერმე ასწიეთ ჯერ ხელები, შემდეგ – ფეხები; წამოდექით დინჯად, აჩქარების გარეშე, გაიმართეთ წელში და ისევ გაიზმორეთ (ნუ გეშინიათ, გაზმორებას უზრდელობაში არავინ ჩამოგართმევთ, მით უფრო, რომ, საეჭვოა, დილაადრიან ვინმემ თქვენს საყურებლად გაიღვიძოს); ამის მერე 3-4-ჯერ გააკეთეთ წელის მოძრაობები ორივე მიმართულებით და ამდენჯერვე ჩაბუქნეთ (ყველაფერი კვლავ ნელი ტემპით სრულდება). შემდეგ ჩაიცვით და გადით გარეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყავის ან, თუნდაც, წყლის დალევა (თუ წყურვილისგან გული მიგდით, მხოლოდ ორი-სამი პაწაწინა ყლუპია დასაშვები), მით უფრო – სიგარეტის მოწევა. თქვენი ვარჯიშის საბოლოო პუნქტამდე (ბაღი, სკვერი, ხეივანი...) გზას გაუდექით ჩვეულებრივი ნაბიჯით და ასევე დაბრუნდით უკან, ანუ, არავითარი სირბილი და ასე უნდა გაგრძელდეს ერთი კვირა. მეორე კვირიდან ყველაფერი ძალაში რჩება, იცვლება მხოლოდ ტემპი, ოღონდ ჩვეულებრივი სიარულიდან გადადიხართ სწრაფ სიარულზე, მომდევნო კვირიდან კი – ძუნძულზე, ოღონდ, სტარტი და ფინიში უნდა იყოს კვლავ ჩვეულებრივი სიარული, მხოლოდ „მარშრუტის“ შუა ნაწილშია დასაშვები ტემპის მომატება. თუ ამას შეეჩვევით, სირბილის დაწყება უკვე აღარ გაგიჭირდებათ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა**: **ტონალურ კრემს ვყიდულობ ყოველთვის მაღაზიაში და არა ბაზრობაზე, თან, არცთუ იაფს ვიხდი, მაგრამ, კანზე თანაბრად არ მესმევა და ხანდახან კანს მიღიზიანებს კიდეც. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: ყიდვისას აუცილებლად წაიკითხეთ მისი შემადგენლობა და შეიძინეთ მხოლოდ ის ტონალური კრემი, რომელიც შედგება ნატურალური აქტიური ინგრედიენტებისგან, რომლებზეც ალერგია არ გაქვთ.

**კითხვა**: **რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს კანის ლაზერულ გაწმენდას?**

**პასუხი**: ლაზერული გაწმენდის დადებითი მხარეებია: ა) მკვეთრად გამოხატული ესთეტიკური ეფექტი; ბ) ეს მეთოდი ითვლება ნაოჭებთან ბრძოლის რადიკალურ საშუალებად.

უარყოფითი მხარეები: ა) შესაძლებელია, კანის ზედაპირი გახდეს უსწორმასწორო და გაჩნდეს ნაწიბურები; ბ) ზოგჯერ, ლაზერით დამუშავებულ და დაუმუშავებელ ზონებს შორის, შესაძლოა, გაჩნდეს დემარკაციული ხაზი; გ) შეხორცების პროცესი არის მტკივნეული და ხანგრძლივი – ერთი თვე ან უფრო მეტი პერიოდი.

**კითხვა**: **მინდა ლაზერული ლიპოსაქციის გაკეთება. მაინტერესებს, აქვს თუ არა ამ პროცედურას უკუჩვენებები?**

**პასუხი**: როგორც წესი, ლაზერულ ლიპოსაქციას უკუჩვენებები არ ახასიათებს, თუ დაიცავთ ყველა მითითებას, რასაც ექიმი გეტყვით პროცედურის შემდეგ. არ დაგავიწყდეთ კომპრესული სახვევების გაკეთება და შეეგუეთ იმას, რომ ხანგრძლივია სარეაბილიტაციო პერიოდი – ორი კვირიდან ზემოთ.

**კითხვა**: **როგორ კანს უხდება გარგარის ზეთი?**

**პასუხი**: გარგარის ზეთი ნამდვილი სასიცოცხლო ელექსირია მშრალი, აქერცვლისკენ მიდრეკილი კანისთვის, მაგრამ, განსაკუთრებით ეფექტურია კანის გაუწყლოების სამკურნალოდ; ასევე, კარგად „მუშაობს“ მაკიაჟის მოსახსნელი საშუალებების შემადგენლობაშიც.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ მოინახულა სტალინმა სოხუმში უდედმამო ბავშვთა სანატორიუმი



სტალინს გულჩვილობას ნამდვილად ვერ დავწამებ, დიდი ბელადი საკმაოდ მტკიცე და რა დასამალია, ზოგჯერ ძალიან სასტიკიც იყო. მაგრამ, მან მშვენივრად იცოდა, სად რა დოზით გამოეყენებინა საკუთარი ძალაუფლება, რაც, ჩემი აზრით, მისი დიადი მმართველობის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლო იყო. 1942 წლის ზაფხულისთვის წითელი არმია სწრაფად იკრებდა ძალებს. ფრონტები ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ „სწორდებოდა“ და, შესაბამისად, სტალინს არც მშვიდობიანი ცხოვრება ავიწყდებოდა – შეძლებისდაგვარად, ისე აკეთებდა, რომ ზურგის მშრომელებს ყველანაირი პირობები ჰქონოდათ. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, დიდი ბელადის სპეციალური განკარგულებით, საბჭოთა კავშირის ეგრეთ წოდებულ არაოკუპირებულ ტერიტორიაზე ათეულობით ბავშვთა სახლი გაიხსნა. იქ ფრონტზე დაღუპულთა შვილები მოათავსეს და ყოველმხრივ პატრონობდნენ. „ბავშვები ჩვენი მომავალია“ – სტალინის ეს ლოზუნგი ერთბაშად აიტაცეს ქვეყანაში და ათეულათასობით ობოლს მისცეს თავშესაფარი. ივლისის დასაწყისში სტალინი საქართველოში გაემგზავრა, რათა კავკასიის დაცვის სისტემა საკუთარი თვალით ენახა. დიდ ბელადთან ერთად, ბერია და ვოროშილოვიც იმყოფებოდნენ. სტალინი თბილისში ორი დღე გაჩერდა, გორშიც შეიარა რამდენიმე საათით და შემდეგ შავიზღვისპირეთისკენ ავიღეთ გეზი. სამი დღე გაგრაში, სტალინის აგარაკზე გავჩერდით, სადაც დიდ ბელადს ინტენსიური შეხვედრები ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის ანტიფაშისტური მოძრაობის ლიდერებთან. ერთ დღეს დიდმა ბელადმა სოხუმში ინება გამგზავრება, მაგრამ მკაცრად გაგვაფრთხილა: ყოველგვარი ხმაურისა და ყურადღების მიქცევის გარეშე წავალთო, თან გზების ბლოკირებაც აგვიკრძალა. უთენია დავადექით გაგრა-სოხუმის ტრასას. ქალაქში ცხელოდა. ყოველი ფეხის ნაბიჯზე პატრული მორიგეობდა, მაგრამ ჩვენი „საეჭვო“ მანქანა არავის გაუჩერებია, რადგან ბერიას უკვე მოესწრო „საქმეში ჩართვა“. მისი უწყების ხალხი შორიახლო მოგვდევდა. ერთ-ერთ სანაპიროზე სტალინმა უამრავ ბავშვს მოჰკრა თვალი, რომლებიც რამდენიმე ზედამხედველის მეთვალყურეობით ნებივრობდნენ. მეგზურობას ადგილობრივი პარტორგანიზაციის ერთ-ერთი არამაღალჩინოსანი გვიწევდა (ასე ისურვა სტალინმა). ის მიტკალივით გაფითრებული იჯდა დიდი ბელადის გვერდით და სხაპასხუპით პასუხობდა მის კითხვებს:

„ესენი უდედმამო ბავშვებია, ამხანაგო სტალინ. სტალინმა სურვილი გამოთქვა, პირადად მოენახულებინა ბავშვთა საცხოვრებელი და ჩვენ სწორედ ერთ-ერთი სანატორიუმისკენ ავიღეთ გეზი. სანატორიუმ „საქართველოში“, რა თქმა უნდა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მივედით და დარაჯს, რომელიც ჩვენს მანქანას გადაუდგა წინ, თავდაპირველად, არც კი უნდოდა ჩვენი შეშვება: ვინ ხართ და რა მიზნით გინდათ შემოსვლაო, – მოგვახალა ულვაშა მოხუცმა, რომელიც სურნელოვან აფხაზურ თამბაქოს აბოლებდა. სტალინმა შუშა ჩასწია. სანამ ხმას ამოიღებდა, დარაჯს მანამდე ჩაუვარდა ენა. შესუნთქულმა კვამლმა კინაღამ დაახრჩო, რადგან ბელადის დანახვაზე საშინელი ხველა აუტყდა. მან ელვის სისწრაფით გაგვიღო კარი, თავად სარივით გაიჭიმა და პირველი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, გაკრიალებულ, თეთრად მოკირწყლულ შენობას მივადექით. სულ ათიოდე ადამიანი ვიყავით, მაგრამ შენობაში შევედით თუ არა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბავშვთა სახლის დირექტორი დაგვეტაკა და ბუზღუნ-ბუზღუნით გადაგვიღობა გზა: ამხანაგებო, რა უფლებით მოდიხართ. აქ ჩვენ ბავშვები გვყავს, თქვენ კი ბაცილები შემოგაქვთ და აქედან „აახვიეთო“. მაგრამ, საბრალო ქალს სიტყვა შუაზე გაუწყდა და მონუსხულივით მიაჩერდა დიდ ბელადს, რომელიც ულვაშებში იღიმებოდა. ერთი სიტყვით, თეთრი ხალათები ჩავიცვით, ფეხზე ფლოსტები მოვირგეთ და დიდ ოთახში შევედით, რომელიც ცარიელი იყო.

„ბავშვები ახლა სადილობენ, – მოკრძალებით ჩაილაპარაკა დირექტორმა და დასძინა, – შემდეგ ცოტას წაითამაშებენ და უნდა დავაძინოთ“. სტალინმა ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა მას. თან, ყურადღებით ათვალიერებდა ყველაფერს. ამასობაში, ბავშვების ჟრიამული გაისმა და მაძღარი პატარები ოთახში შემოცვივდნენ. მათ კი ახალგაზრდა ძიძები მოსდევდნენ უკან. სტალინის დანახვისას მათაც იგივე დაემართათ, რაც დარაჯსა და დირექტორს. მხოლოდ ბავშვები იქცეოდნენ უშუალოდ. ცნობისმოყვარეობით გვიყურებდნენ, შემდეგ კი თამაში დაიწყეს და ჩვენც ამ ფერხულში ჩაგვაბეს. სტალინმა გვანიშნა, მიდითო და ჩვენც ბავშვების ნებას დავყევით. თავად კი საბავშვო სახლის დირექტორთან ერთად ადევნებდა ჩვენს მხიარულ თამაშობებს თვალს. ყველაზე ძალიან ბავშვებს ბერია მოეწონათ, რომელსაც თვალები აუხვიეს და კუკუდამალობანას ეთამაშებოდნენ. უშიშროების შეფი თვალახვეული დასდევდა მოჟრიამულე ბავშვებს, მაგრამ მისდა გასაოცრად, ვერც ერთი ვერ მოიხელთა. სტალინს ამაზე გულიანად გაეცინა და გადასძახა: „ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი, შენ ეგენი ფაშისტი ჯაშუშები ხომ არ გგონია, ასე ადვილად მოიხელთო, ხედავ, რა მშვენიერი თაობა გვეზრდება?!“ ბერიას კი სულაც არ ეხუმრებოდა, ხვითქი გასდიოდა ამ ონავარი ბავშვების დევნაში. უეცრად, სტალინმა ერთ პატარა ბიჭუნას მიაპყრო მზერა, რომელიც ოთახის კუთხეში, ფანჯარასთან იჯდა ჩაფიქრებული და მოწყენილი იყურებოდა გარეთ. დიდი ბელადი პატარასთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და გამოელაპარაკა. პატარამ მოწყენილი თვალებით შეხედა სტალინს და კოპებშეკრულმა უპასუხა. დიდმა ბელადმა ბავშვი მუხლებზე დაისვა მოეფერა და ცოტა ხნის შემდეგ ისე აატიტინა, ბავშვის მოწყენილობა მთლად გაქრა. პატარა უკვე ულვაშებს უპრეხდა უცნობ, კეთილ ბაბუას. როგორც გაირკვა, ოთხი წლის კოსტიას მთელი ოჯახი თვალწინ დაეღუპა სტალინგრადში, თვითონ კი სასწაულებრივად იყო გადარჩენილი სიკვდილს. ამხანაგო სტალინ, – უთხრა დირექტორმა დიდ ბელადს, – ბავშვი არავის ეკარებოდა აქამდე და თქვენ პირველი ხართ, ვისაც გამოელაპარაკაო.

ამასობაში ბავშვების ძილის დრო დადგა. ჩვენც უნდა წავსულიყავით და გასამგზავრებლად მოვემზადეთ. სტალინმა ბავშვი აიყვანა, მოეფერა, აკოცა, ძირს დასვა, გამოემშვიდობა და ის-ის იყო, უნდა წამოსულიყო, პატარა ბიჭუნა კალთაზე ჩამოეკიდა და ატირდა: „ბაბუ, ბაბუ, არ წახვიდე, ჩემთან დარჩი, არ მიმატოვო“.

უხერხულობა შეიქმნა, ყველას ენა ჩაუვარდა, მომსახურე პერსონალს კი მკვდრის ფერი დაედო. დირექტორი ბავშვთან მივიდა და ხელში აყვანა სცადა, რომ სტალინისთვის მოეშორებინა, მაგრამ კოსტია ორივე ხელით ჩააფრინდა „ბაბუას“ და უფრო ხმამაღლა ატირდა. სტალინმა ბავშვი ხელში აიყვანა, მოეფერა და როცა პატარა დამშვიდდა, ხელებზე გადაიწვინა, სკამზე ჩამოჯდა და ნამდვილი, მზრუნველი ბაბუასავით დაარწია. თან, რაღაც იავნანასმაგვარ სიმღერას (რუსულად) ღიღინებდა ჩუმად. ყველანი გაშეშებულები ვუმზერდით დიდ ბელადს. ბავშვს კი ამასობაში ჩაეძინა და სტალინმა თავისი ხელით ჩააწვინა საწოლში. მხოლოდ ამის შემდეგ წამოვედით იქიდან. ჩვენი მცირე კორტეჟი უკვე კარგა მანძილით იყო დაშორებული ბავშვთა სახლს, როცა სტალინმა უკან დაბრუნების ბრძანება გასცა. კვლავ ეზოში რომ შევბრუნდით, დიდი ბელადი მარტო გადავიდა მანქანიდან. შენობაში შევიდა და ათი წუთის შემდეგ, მძინარე კოსტია მაკეევით ხელში დაბრუნდა უკან. ბავშვი ფრთხილად მოვათავსეთ დიდი ბელადის მანქანის უკანა სავარძელზე და გეზი სადგურისკენ ავიღეთ, სადაც უკვე სრულ მზადყოფნაში გველოდებოდა სტალინის სპეცმატარებელი. კოსტია მაკეევი კრემლში დასახლდა და დიდი ბელადის პირადი მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. მოსკოვში დაბრუნებისთანავე, სტალინის სპეციალური განკარგულებით, მისი პირადი ფონდიდან ოცდაათი მილიონი მანეთი გამოიყო, რომელიც ობოლი ბავშვების საჭიროებისთვის დაიხარჯა.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რა უნდა ვიცოდეთ წინასწარ, რომ თავი ავარიდოთ უსიამოვნებებსა და სკანდალებს საყვარელ ადამიანებთან

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ზოდიაქოს ნიშნებს ოთხი სტიქია მართავს: ცეცხლი, ჰაერი, მიწა და წყალი. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ყველა სტიქია არ ეწყობა ერთმანეთს. სხვათა შორის, ამას მოწმობს ადამიანების ხასიათსა და ურთიერთდამოკიდებულებაზე ვარსკვლავების ზემოქმედების შესწავლის ორიათასწლიანი გამოცდილება. ასევე, აუცილებელია, მომავალი შვილების ჯანმრთელობაზე, ნიჭსა და თვით სილამაზეზეც კი, ქორწინებამდე ვიზრუნოთ.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: რა უნდა ვიცოდეთ წინასწარ, რომ თავი ავარიდოთ სკანდალებს, განქორწინებებს, ურთიერთგაუგებრობებსა და სიძულვილს საკუთარი შვილებისა და ახლობელი, საყვარელი ადამიანებისგან? უპირველესად, არსებობს ჰარმონიისა და შეთავსებადობის საკმაოდ მარტივი ასტროლოგიური კანონები, მაგალითად: ცეცხლის ნიშნები ყველაზე კარგად ეგუებიან ჰაერის სტიქიით დაბადებულებს; წყლის ნიშნები – მიწის ნიშნით დაბადებულებს. ამის მიხედვით, შეგიძლიათ, ნახოთ, თუ როგორ აისახება ყოველივე ეს ოჯახური თანაცხოვრებაზე.

დავუშვათ, თქვენ ხართ ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული, ანუ ცეცხლის სტიქია გმართავთ, თქვენი მეუღლე კი კუროა, ანუ მას მიწის სტიქია მართავს. თქვენი შვილი კი მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშაა დაბადებული, ანუ, წყლის სტიქიაა მისი მფარველი. ასეთ შემთხვევაში, მშობლებს შორის ურთიერთობა სულ დაძაბული და კონფლიქტურია, შვილს კი დედასთან უფრო კარგი და ჰარმონიული დამოკიდებულება აქვს, ვიდრე მამასთან. ეს იმიტომ, რომ მშობლებმა წინასწარ არ გათვალეს, ან არ იცოდნენ სტიქიათა ჰარმონიის შესახებ, სანამ დაქორწინდებოდნენ და შვილის გაჩენას გადაწყვეტდნენ.

საკმარისია, ჩაიხედოთ ნებისმიერ ასტროლოგიურ წიგნში, რომ, გაიგებთ, როგორ უნდა მოიქცეთ უთანხმოების მინიმუმამდე დასაყვანად და მომავალი უსიამოვნებების თავიდან ასაცილებლად.

თუ შვილი ერთ მშობელს ძნელად ეგუება, მეორესთან კი, პირიქით – კარგად არის, ასეთ შემთხვევაში, გამოსავალი ისევ ვარსკვლავებს უნდა დაეკითხოთ. მალე გააჩინეთ მეორე ბავშვი, რადგან, რაც მეტი წევრია ოჯახში, ჰარმონიის მიღწევის მეტი შანსი არსებობს.

ყველას სურს, ჰქონდეს მშვიდი და მყუდრო ურთიერთობა ოჯახის წევრებთან. მიაღწიოს ურთიერთგაგებას, რათა შვილები ჯანმრთელები, ჭკვიანები, ლამაზები, ლაღები და მზრუნველები იყვნენ დედმამიშვილების, მშობლების, ბებია-ბაბუის, ნათესავებისა და ახლობლების მიმართ. ამაში კი დაგეხმარებათ ადამიანზე მთვარის გავლენის ცოდნა, რადგან, ღამის მნათობი ძლიერ ზეგავლენას ახდენს დედამიწის ყოველ არსებაზე და, ბუნებრივია, ჩვენს შვილებზეც.

ასტროლოგიურად, ბავშვის ჩასახვისთვის ხელსაყრელია მთვარის 30-ე დღე. ასევე, ეცადეთ, შვილის ჩასახვა არ დაემთხვას ახალმთვარეობიდან მე-3, მე-5, მე-9, მე-12, მე-13, მე-15, მე-17, მე-18, მე-20, 23-ე, 25-ე, 27-ე და 29-ე დღეებს. განსაკუთრებით საშიშია 23-ე დღე. ამ დღეს ჩასახული ბავშვები მშობლებისა და, საერთოდ, წინაპრების გენეტიკიდან, მხოლოდ უარყოფითს იღებენ მემკვიდრეობით. ამიტომ, აუცილებელია, სწორად დაგეგმოთ მომავალი შვილის ჩასახვის დღე და, შესაბამისად, მისი დაბადება. იფიქრეთ იმაზე, ვინ იქნება ის: კურო, თევზები, კირჩხიბი, ლომი, მერწყული თუ სხვა.

ასევე, თუ ვერააწყობთ ურთიერთობას ახლობელ ადამიანებთან, აიღეთ ასტროლოგიური წიგნი და ყურადღებით გადაიკითხეთ. გაარკვიეთ, ვინ რომელი ნიშნითაა დაბადებული, რა ხასიათი აქვს, რომელი სტიქია ბატონობს მასზე, ზოდიაქოს ნიშნის რა დადებითი ან უარყოფითი თვისებები აქვს. ამის შემდეგ, მასთან ურთიერთობა გაცილებით გაგიადვილდებათ, ანუ, მიხვდებით, ვის რა კუთხით მიუდგეთ. ასე, კომპრომისების მიღწევაც გაგიადვილდებათ მათთან და საერთო ენის გამონახვაც.

ასევე, ბევრს უყვარს ოჯახში ანტიკვარული ნივთების შეტანა და კედლებზე ძვირად ღირებული ძველი ნახატების ჩამოკიდება. ეს კი ძალიან სახიფათოა. ასეთ ნივთებს აქვს ბიოენერგეტიკული მუხტის „აკრეფის“ უნარი და, არ არსებობს იმის გარანტია, ანტიკვარულ მაღაზიაში შეძენილი ულამაზესი სურათი თუ სხვა ნივთი ადრინდელი პატრონის რაიმე უბედურების მოწმე იყოს. ასეთი აგრესიული ენერგიის მქონე ნივთის დაკიდება სახლში, სადაც ოჯახის წევრები ხშირად ერთად იმყოფებით, ყოვლად დაუშვებელია. იქ, სადაც მსგავსი სურათი ან ნივთია, თანდათანობით საგრძნობი ხდება, თუ როგორ იმუხტებიან ოჯახის წევრები უარყოფითად და როგორ იმატებს მათ შორის კონფლიქტები და აგრესია. ამიტომ, ანტიკვარულ მაღაზიაში ნაყიდი ნივთი თუ სურათი მეტ სიფრთხილეს მოითხოვს. უარყოფითი ენერგოვიბრაციის მქონე სურათის ოთახში დაკიდება ირგვლივ უარყოფით ენერგიას აფრქვევს, რაც უძილობის, ფსიქიკის მოშლის, ჯანმრთელობის შერყევის მიზეზიც კი ხდება.

აგრეთვე, ცოლ-ქმრის საძინებელში, საწოლის ქვეშ არ უნდა ინახებოდეს ზედმეტი, უსარგებლო ნივთები. სასიცოცხლო ენერგიის ნორმალური ცირკულაციისთვის, იქ სისუფთავე და სიცარიელე უნდა იყოს. საძინებელ ოთახში აუცილებლად უნდა იყოს მაგიდა, რომელზეც იდგმება სარკე. სარკე მაგიური ნივთია, რომელსაც შეუძლია ნეგატიური ენერგის როგორც შენელება, ისე გაძლიერება. ამიტომ, ის ისე დადგით, რომ თქვენი საწოლის გამოსახულება სარკის ცენტრში არ მოხვდეს. ასევე, დასვენების დროს, არ უნდა ხედავდეთ სარკეში თქვენს ორეულს.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1997 წლის 13 მაისს, ღამის 3 საათსა და 30 წუთზე. სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი შემეფერება?**

**პასუხი**: სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობებისთვის თქვენთვის მისაღებია კირჩხიბის, ვერძის, ქალწულის ან თევზების ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები.

**კითხვა**: **დავიბადე 1995 წლის 24 აპრილს, დაახლოებით 4 საათზე. რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია და რომელი პროფესიებია ჩემთვის მისაღები?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისიაა ხასიათში გამოავლინოთ დადებითი თვისებები. იყავით აქტიური, აიღეთ საკუთარ თავზე ინიციატივა, გამოავლინეთ ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები, დააბალანსეთ ურთიერთობა სასიყვარულო სფეროში. დაეყრდენით ცოდნის ბაზასა და ოპტიმიზმს. ნუ დაგაკმაყოფილებთ ის, რაც სხვას წარმატებად მიაჩნია. იყავით მაქსიმალისტი. საქმეს მიუდექით მეტი პასუხისმგებლობით. გამოავლინეთ დისციპლინა და შეუპოვრობა. ასევე, იყავით მომთმენი, მიზანსწრაფული, ფულის პრაქტიკულად მხარჯველი. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმე, სამართალდამცავი და სამხედრო სტრუქტურები, პოლიტიკა, მშენებლობა, არქიტექტურა, საინჟინრო საქმიანობა, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, საიუველირო საქმიანობა ან ბიზნესი, იურისპრუდენცია, სამოდელო სფერო, დიზაინი, გასართობი ინდუსტრია; მედიცინიდან – პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სტომატოლოგია.

**კითხვა**: **ჩემი შვილი დაიბადა 2007 წლის 25 აგვისტოს. რა საქმიანობას უნდა მოჰკიდოს ხელი, რომ სამომავლოდ წარმატებას მიაღწიოს?**

**პასუხი**: მისთვის კარგი და წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: კომპიუტერული ტექნოლოგიები, პროგრამული სისტემები, აუდიო-მობილური და ვიდეოსისტემების ბიზნესი, სოციოლოგია, ასტრონომია, ასტროლოგია, ავიაციის ბიზნესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, საინჟინრო სფერო, მედიცინის ფართო სპექტრი, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, პედაგოგიკა.

**კითხვა**: **დავიბადე 1983 წლის 9 სექტემბერს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ პროფესიაში ვცადო ბედი, რომ ცხოვრებაში მეტ წარმატებას მივაღწიო?**

**პასუხი**: თქვენთვის წარმატების მომტანი პროფესიებია: ჟურნალისტიკა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, სპორტის ფართო სპექტრი, მენეჯერული სამუშაო, ავიაცია, პედაგოგიკა და იურისპრუდენცია.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

7 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ.;***

8 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ამერიკა აბანოში"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისურა და მუსიკალური გაფორმება ლინდა ურბონასი. მონაწილეობენ: ანდრია თავბერიძე, ზურა ინგოროყვა, კახა კუპატაძე, მამუკა ლორია, ირაკლი სანაია, ქეთი სვანიძე, ბექა სონღულაშვილი, დარეჯან ხარშილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მალე მოვალ წვიმად..."** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ნიკო გომელაურის ლექსებზე აგებული სპექტაკლი. რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: ნინო თარხან-მოურავი, ნინო მაყაშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, ზაზა ბარათაშვილი, დათუნა გოცირიძე, ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, ნინო კასრაძე, ნიკა ქაცარიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

11 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ვთამაშობთ სტრინდბერგს"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა და ანდრო ენუქიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, ზუკა პაპუაშვილი, ლევან ხურცია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

9 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

9-10 მაისი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია;

10 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

11 მაისი, **კვირა** 20.00 - **„დოდოს მოლოდინში"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ვატო ჯუღელი. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, ლილე ფილფანი, ეკა მჟავანაძე, დავით ხურცილავა, ქეთი ჩხეიძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 მაისი, **კვირა** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

6 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

7 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ქალი ქალლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10-11 მაისი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ეჭვი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

6 მაისი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჟინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

8 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

9 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი.***

## მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

8 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაცეკვე ტანგო"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მამუკა ტყემალაძე. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, ზაზა მიქაშავიძე, გია აბესალაშვილი, ქეთი ასათიანი, ბექა ჯღუმუტია, ჯაბა სულაკაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

9 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„ბერნარდა ალბას სახლი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, ნანა შონია, ნუცა მჭედლიშვილი, ლილი მეტრეველი, ანა ნიკოლაიშვილი, ირინა გიუნაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

10 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

11 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ჰარალეთი, ჰარალეთი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი, ანრი ბიბინეიშვილი, მალხაზ აბულაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

9 მაისი, **პარასკევი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, ვალერი ხარიუტჩენკო, ნანა დარჩიაშვილი, ოლეგ მჭედლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

10 მაისი, **შაბათი** 18.00 - **„გეტო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კიტია, აპოლონ კუბლაშვილი, ირინა კვიჟინაძე, სლავა ნათენაძე, მიხეილ ამბროსოვი, მიხეილ არჯევანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

11 მაისი, **კვირა** 12.00 - **„ჩიპოლინო"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: ჯემალ სიხარულიძე, მიხეილ არჯევანიძე, ვალენტინა ვოინოვა, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

## გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

9 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„სტალინგრადის ბრძოლა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

10 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„რამონა"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

11 მაისი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

10 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

11 მაისი, **კვირა** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## ორშაბათი 5 მაისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.20 "ჩემი წიგნი" 15.25 "ტელებლოგი" 17.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 18.00 ტ/სერ. "სიყვარული შიშით" 19.30 "ქართული ჯარი" 21.00 ტ/სერ. "სიყვარული და შურისძიება" 22.00 სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (ვ/ჩ) 23.30 "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) 01.30 მხ/ფ "მარტოხელა გმირი" (ბ.უილისი) 03.20 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა. 10.05 სერ. "ბედის ანაბარა" 11.20, 12.05 სერ. "შურისმაძიებელი" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 ემ - მარკეტი 14.40, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული ცა და მიწა" 17.50 19.05 სერ. "მინდა გახსოვდე" 3 სერ. 21.00 სერ."შავი ვარდი" 22.00 ორი ვარსკვლავი 00.00 მხ/ფ "გაქცევა შაუშენკიდან" (ტ.რობინსი) 02.35 მხ/ფ "ემპაიერ სთეითი" (დ.ჯონსონი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00 სერ. "ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დამივიწყო" 18.55 სერ. "ტიტების დრო" 20.00 სერ. "ქალბატონი დილა" 22.00 X ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 ქვიშით ნაამბობი 06.45 მხ/ფ "ცისკარა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "ქალაქი ანარა" 13.20 თეთრიდან თეთრამდე 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 სპექტაკლი - "შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" 16.20 დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.45 კონცერტი - ბიძინა კვერნაძე (სიღნაღი) 18.05, 00.35 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "პირველი მერცხალი" 20.40 ძილი ნებისა 21.25 პატერიკი 21.20 სახლი ღვთისა 21.40 დ/ფ "წმინდა გიორგი" 22.25 პორტრეტები ერთულოვნების გალერეიდან 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.02, 1.20, 4.35 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02, 20.05 სერიალი "დაკარგული ქალაქი" 17.45, 2.00, 4.20 "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, 6.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00, 2.50, 6.55 ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30, 5.15 ბრძოლა წესების გარეშე 0.10, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება".

## სამშაბათი 6 მაისი

08.00 "გაზაფხული ვენაში – 2013" 09.00 "გიორგობა" (პ/რ) 14.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 14.20 "რეალური სივრცე" 17.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 18.00 ტ/სერ. "სიყვარული შიშით" 19.15 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 21.00 ტ/სერ. "სიყვარული და შურისძიება" 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" – "პანტანასა ყოველთა დედოფალი" 22.30 "ევროვიზია 2014" დღიური 23.00 "ევროვიზია 2014" I ნახევარფინალი (პ/რ) 01.00 მხ/ფ "ჩემი იმედი გქონდეს" (მ.ფრიმანი) 03.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" (გ/ჩვ) 03.30 დ/ფ "რობი ორლეინი: იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე".

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45 ქრონიკა 10.05 სერ. "ბედის ანაბარა" 11.20, 12.05 "შურისმაძიებელი" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 16.50 TV - მარკეტი 14.50, 15.05, 16.03 სერ. "სიყვარული ცა და მიწა" 17.50 19.05 სერ. "მინდა გახსოვდე" 4 სერ. 21.00 სერ."შავი ვარდი" 22.00 თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო 00.00 მხ/ფ "გამარჯვებისთვის დაბადებული" (ს.სიგალი) 01.55 მხ/ფ "გაქცევა შაუშენკიდან" (მ.ფრიმენი).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00 სერ. "ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. "არ დამივიწყო" 18.55 სერ. "ტიტების დრო" 20.00 სერ. "ქალბატონი დილა" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 არჩევანი 00.00, 03.00 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი.

06.10 დ/ფ "ძველი ქართული საგალობლები" 06.40 დ/ფ "წმინდა მიწა ქართველ პილიგრიმთათვის" 07.30 "ჩვენი ფონდი" მანანა ტაბიძე - სახელი გიორგის ეტიმოლოგიის შესახებ 07.40 "წმინდა გიორგი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00 "გიორგობა" (ტრანსლაცია) 12.10 მხ/ფ "პირველი მერცხალი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05, 18.05 პატრიარქის ქადაგება 15.15 დ/ფ "ჯგრაგ"15.50 მუსიკალური ფილმი "თეიმურაზ წიკლაურის ალსარება" 18.25 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.25 მოკ./ფ."აღდგომის ბატკანი" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "ჩვენი ფონდი" ელენე კავლელაშვილი - ბოჭორმის წმინდა გიორგი 23.40 საქართველო - ჩვენი სამშობლო 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.20 მულტფილმი 8.00, 22.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) 8.20 "უცნობი ისტორიები" (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50, 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.02, 1.20, 4.35 ბიზნეს კონტაქტი პ/ე 13.15 ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე 13.30, 14.02 ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე 16.02, 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი" 17.45, 2.00, 4.20 "ყოველდღიური აბები" 18.25, 2.15, 6.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00, 2.50, 6.55 ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად 20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე 22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30, 5.15 SV 11 მაესტროზე 0.00, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება".

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი“

რუსთაველის გამზირი №5.
ტელ.: 293-22-53, 255-50-00.

**5 – 11 მაისი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.30 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.30, 22.30 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.30 - „სრული სვლით დასავლეთისკენ”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.30 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
14.00, 19.30 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
17.00 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - „დივერჯენთი”, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.10 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
15.00, 20.00 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
17.00 - „დივერჯენთი”, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*
22.30 - „ნოე” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 19.30, 22.30 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
15.00 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
17.30 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი”

კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.

*დარბაზი 1*

12.00, 14.15 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
16.40 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
19.40, 22.30 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
14.45 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
17.45, 20.00 - „რიო 2” 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*
22.30 - „დივერჯენთი”, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 19.30, 22.30 - „წარმოუდგენელი ადამიანი-ობობა 2” 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*
14.50, 17.20 - „სხვა ქალი”, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ლაზანია „გემრიელი“







**საჭირო ინგრედიენტები:** 12 ცალი ლაზანიას მზა ფურცელი (გაყინული), 400 გრამი სოკო (დაკონსერვებული), 300 გრამი ქათმის ლორი (საქონლისაც შეიძლება), 8 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 1 ცალი საშუალო ზომის ხახვი, 100 გრამი მწვანე ხახვი, 1 კბილი ნიორი, მწვანილი, 250 გრამი მაგარი ყველი, ზეთი (ზეითუნის ან სიმინდის), მარილი, შავი პილპილი, ორეგანო, ქონდარი, 1 ლიტრი რძე – სოუსისთვის, 4 სადილის კოვზი ფქვილი, 100 გრამი კარაქი (სოუსისთვის).

**მომზადების წესი:** ცოტაოდენ ზეთში მოშუშეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი და დაქუცმაცებული ნიორი (სანამ ფერს შეიცვლის), დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი 5 ცალი პომიდორი (დანარჩენი შეინახეთ მოსართავად).

ჩაშუშულ ბოსტნეულს დაუმატეთ დაჭრილი მწვანე ხახვი, ცოტა მწვანილი და შუშეთ შესქელებამდე, შემდეგ კი დაუმატეთ სოკო და შუშეთ სრულ მომზადებამდე (ძალიან წვნიანი არ უნდა იყოს). უყავით მარილი, შავი პილპილი, სუნელები და ადროვეთ, ცოტა გაგრილდეს.

ახლა მოამზადეთ სოუსი „ბეშამელი“: გაადნეთ კარაქი, ჩაუმატეთ ფქვილი, ძალიან კარგად აურიეთ და მოშუშეთ. ნელ-ნელა შეურიეთ რძე. სოუსი ადუღეთ დაბალ ცეცხლზე და გადმოდგით (სქელი არაჟნის სისქის უნდა იყოს). ლორი დაჭერით კუბიკებად; პომიდორი – რგოლებად. ძალიან წვრილად დაჭერით მწვანილი. ყველი გახეხეთ მსხვილკბილა სახეხზე.

გამოსაცხობ ფორმაზე დააფინეთ ლაზანიას ფირფიტები, ზედაპირზე გაშალეთ ბოსტნეულის ნახევარი მასა, შეურიეთ ლორის ნახევარი და მოასხით სოუსი. ზემოდან მოაყარეთ ნახევარი ყველი და მწვანილი. გადააფარეთ 4 ცალი ლაზანიას ფირფიტა, შემდეგ ფენებად კი ისევ ბოსტნეული, ლორი, სოუსი და ყველი – გაანაწილეთ. ყველი სულ ბოლოს მოაყარეთ.

გამოაცხვეთ აირღუმელში 20 წუთის განმავლობაში, 180-200 გრადუსზე. გამოიღეთ ღუმელიდან, ზედაპირზე დააწყვეთ პომიდვრის ნაჭრები, დარჩენილი გახეხილი ყველი, დაჭრილი მწვანილი, ისევ შედგით აირღუმელში 20 წუთით და უგემრიელესი კერძი მზადაა.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# ღორის ხორცი უნგრულად





**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ღორის ხორცი, 100 მილილიტრი ოქროსფერი ლუდი, 20 მილილიტრი სოიის სოუსი, 2 ძირი ნიახური, დაფქული წითელი ცხარე წიწაკა – გემოვნებით; 15 ცალი ქამა სოკო, 1 თავი თეთრი ხახვი, რამდენიმე კბილი ნიორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 ცალი წითელი წიწაკა, 1 სადილის კოვზი თაფლი, 30 მილილიტრი ზეთი (სიმინდის ან ზეითუნის), 400 გრამი გაფცქვნილი პომიდორი (თავისივე წვენში), მარილი.

**მომზადების წესი:** უპირველესად, ღორის ხორცი დაჭერით მომცრო კუბიკებად; დაასხით ლუდი და სოიის სოუსი და გააჩერეთ 40 წუთი. ამ მარინადში ხორცი საოცრად ნაზი და არომატული გახდება. ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, ჩაყარეთ ნახევარრგოლებად დაჭრილი ხახვი, წვრილად დაჭრილი ნიახურის ძირები, დანაყილი ნიორი და შუშეთ 3-4 წუთი, სანამ ნიახური კარგად დარბილდება. სოკო გაარჩიეთ და გაჭერით თითოეული ოთხად, ჩაუმატეთ ტაფაში ბოსტნეულს და შუშეთ 6-7 წუთის განმავლობაში. ბოლოს დაუმატეთ კუბიკებად დაჭრილი წითელი ბულგარული წიწაკა და 2-3 წუთში ცეცხლიდან გადმოდგით. ხორცი ამოიღეთ მარინადიდან, დანამეთ ზეთით, მოაყარეთ წითელი ცხარე წიწაკა და ცალკე ტაფაზე დაბრაწეთ 7 წუთის განმავლობაში.

შეურიეთ ხორცს ბოსტნეული, პომიდორი, დაუმატეთ თაფლი, ცოტა მარილი, დაახურეთ თავსახური და შუშეთ დაბალ ცეცხლზე 5 წუთის განმავლობაში. ძალიან გემრიელი და ნოყიერი კერძია. შეგიძლიათ, ბოლოს ცოცხალი მწვანილიც მოაყაროთ და ისე მიირთვათ.

# საგაზაფხულო სალათა „ბუჟენინით“





**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი საშუალო ზომის კიტრი, 2 ცალი საშუალო ზომის პომიდორი, 4 ცალი მოზრდილი ბოლოკი, 2 ძირი ახალი ნიორი, 2 პატარა თავი ხახვი, ნახევარი კონა ქინძი, ნახევარი კონა კამა, ნახევარი კონა მწვანე სალათა (რუკლია ან კრეს-სალათა) 100 გრამი „ბუჟენინი“ (სუნელებიანი, გამოყვანილი ღორის ლორი), 2 ცალი მოხარშული ქათმის კვერცხი, 2-3 ცალი მოხარშული მწყრის კვერცხი, მაიონეზი, მაგარი ყველი (მომცრო ნაჭერი), შავი პილპილი, მარილი.

**მომზადების წესი:** ძალიან წვრილად დაჭერით ხახვი, ნიორი, კამა და ქინძი. სალათა გარეცხეთ, გააშრეთ და ხელით დაანაწევრეთ. „ბუჟენინი“ დაჭერით ჩხირებად ან კუბიკებად. პომიდორს გააცალეთ კანი (ჯერ ცხელი წყალი გადაავლეთ, მერე კი ცივი, რომ კანი ადვილად მოაშოროთ) და დაჭერით მომცრო კუბიკებად. კიტრი გათალეთ და დაჭერით საშუალო ზომის კუბიკებად ან ნახევარმთვარისებურად. ბოლოკი ძალიან თხლად უნდა დაჭრათ, თითქმის გამჭვირვალე ნაჭრებად. მწყრისა და ქათმის კვერცხიც დაჭერით. ერთ ჭურჭელში მოათავსეთ, დაუმატეთ მაიონეზი, მარილი, პილპილი და ფრთხილად ამოურიეთ. ლანგარზე მოათავსეთ პატარა გორაკივით და გარშემო შემოუწყვეთ შუა-შუა გაჭრილი მწყრის კვერცხები. მოაყარეთ დაფხვნილი ყველი და დაჭრილი კამა.

# ვერიკო ტურაშვილის თევზის სალათა






**საჭირო ინგრედიენტები:** 300-400 გრამი თევზის ფილე (სრულიად უფხო), ერთი კონა მწვანე ხახვი, 4-5 ცალი საშუალო ზომის კარტოფილი, 2 ცალი სტაფილო, 3 ცალი მოხარშული კვერცხი, მაიონეზი, 1 კონა ოხრახუში, მარილი, შავი პილპილი, 1 ცალი მოზრდილი ჭარხალი.

**მომზადების წესი:** აიღეთ ფართოპირიანი და ღრმა ლანგარი, რომელზეც პირველ ფენად მოათავსებთ თევზის ფილეს, შემდეგ წვრილად დაჭრილ მწვანე ხახვს. მოაყარეთ ცოტა პილპილი და მარილი. წაუსვით ცოტა მაიონეზი და დაახეხეთ ფენა-ფენად ჯერ კარტოფილი, მერე სტაფილო და ჭარხალი, მოაყარეთ ცოტა მარილი და წაუსვით მაიონეზი. გაიმეორეთ – ისევ თევზის ფილე, მწვანე ხახვი, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ცოტა მარილი და მაიონეზი. ბოლო ფენად მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მოხარშული კვერცხი. წაუსვით მაიონეზი ზემოდანაც, გვერდებზეც და მთლიანად მოაყარეთ დაჭრილი ოხრახუში.

P. S. კარტოფილი, სტაფილო და ჭარხალი მოხარშული უნდა იყოს. ძალიან ნოყიერი და სასარგებლო კერძია.

# ხაჭოსა და კენკრის რულეტი







**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი კვერცხი, 100 გრამი შაქარი, 100 გრამი ფქვილი, 100 გრამი ხაჭო, 100 გრამი ლიმონის ან კენკრის ჯემი, 30 გრამი შოკოლადი – მოსართავად.

**მომზადების წესი:** კარგად ათქვიფეთ კვერცხი და შაქარი. ნელ-ნელა შეურიეთ ფქვილი. გამოსაცხობ ტაფაზე დაფინეთ ქაღალდი და დაასხით მიღებული მასა. გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე 15 წუთის განმავლობაში.

სანამ ბისკვიტი ცხვება, ერთმანეთში შეურიეთ ხაჭო და ჯემი. თუ ჯემი მჟავეა, თქვენ კი ტკბილი გიყვართ, დაუმატეთ ცოტა შაქარი.

მზა ბისკვიტი ფრთხილად ამოიღეთ, და მოაშორეთ ქაღალდი, სწრაფად წაუსვით ხაჭოს კრემი და თბილივე გადაახვიეთ. ზემოდან მოასხით გამდნარი შოკოლადი და კარგად გააცივეთ.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# სალათის ფურცლებისა და ლორის სალათა

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი სალათის ფურცლები, 4 ცალი მოხარშული კვერცხი, 1 ცალი ბროწეული, 150 გრამი ლორი, 3 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 2 სადილის კოვზი ბალზამიკო, მარილი გემოვნებით.

**მომზადების წესი:** მოხარშული კვერცხი გაჭერით შუაზე, ამოაცალეთ კვერცხის გული და ჩანგლით დასრისეთ, ცილა წვრილად დაჭერით. ლორი პატარა კუბებად დაჭერით და ზეითუნის ზეთში მაღალ ცეცხლზე შებრაწეთ. დაუმატეთ ბალზამიკო და 2-3 წუთში ცეცხლიდან გადმოდგით. სასალათეში მოათავსეთ მსხვილად დაქუცმაცებული სალათის ფურცლები, მოაყარეთ კვერცხის ცილა, ლორი, კვერცხის გული და ბროწეული. უყავით მარილი.



# ცხვრის ხორცი მწვანე ლობიოთი

**საჭირო ინგრედიენტები:** 120 გრამი ცხვრის ხორცი, 150 გრამი პომიდორი, 70 გრამი ხახვი, 30 გრამი ტომატპასტა, 30 გრამი მწვანე ლობიო, 30 გრამი ნიახურის ღერები, 50 გრამი ბულგარული წიწაკა, 35 გრამი თალგამი, ცოტა ზეთი, 2 კბილი ნიორი, 3 ღერი ოხრახუში, მარილი და წიწაკა გემოვნებით. ატრიისთვის: 1 ცალი კვერცხი, მწიკვი მარილი, 50 გრამი ფქვილი.



**მომზადების წესი:** სქელძირიან, ღრმა ტაფაზე ზეთში შეწვით დაჭრილი ხორცი, დაუმატეთ ტომატპასტა და შუშეთ. მოაყარეთ დაჭრილი ბოსტნეული და განაგრძეთ შუშვა. მოზილეთ ატრიის ცომი, ცოტა ხანს გააჩერეთ, გააბრტყელეთ და შემდეგ დაჭერით ზოლებად. ატრია მოხარშეთ მარილიან წყალში. თეფშზე დაალაგეთ შემდეგნაირად: პირველ ფენად მოათავსეთ მოხარშული ატრია, შემდეგ ხორცი და ბოსტნეული, ზემოდან კი მოასხით ატრიის ნახარში.

# ღორის ხორცი მაკარონითა და ბროკოლით

**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ღორის ფილე, 1 სადილის კოვზი ზეთი, 500 გრამი ბროკოლი, 300 გრამი სტაფილო, 300 გრამი მაკარონი, 500 მილილიტრი ბოსტნეულის ბულიონი, 2 სადილის კოვზი არაჟანი, პილპილი, მარილი და პიტნა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ტაფაზე გააცხელეთ ზეთი, დააწყვეთ ხორცის ნაჭრები და 15 წუთის განმავლობაში შეწვით დაბალ ცეცხლზე. ბროკოლი დაანაწევრეთ. სტაფილო გაასუფთავეთ და დაჭერით. მაკარონი მარილიან მდუღარე წყალში მოხარშეთ. მოხარშვამდე 5 წუთით ადრე მაკარონს დაუმატეთ ბროკოლი და შემდეგ გადაწურეთ. სტაფილო 500 მილილიტრ მდუღარე ბოსტნეულის ბულიონში ჩაყარეთ და 10 წუთი ხარშეთ. შემდეგ გააკეთეთ სტაფილოს პიურე ან ბლენდერით დააქუცმაცეთ. პიურე ადვილად რომ გაკეთდეს, დაუმატეთ არაჟანი და ცოტა ბულიონი. შეურიეთ მარილი და პილპილი. ხორცს მოაყარეთ მარილი და პილპილი, თხლად დაჭერით. მზა სოუსი მოასხით მაკარონსა და ბროკოლს, შეურიეთ ხორცის ნაჭრები და მოაყარეთ პიტნა.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 7 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "გურმანია" **14.55** "სამოთხის ვაშლები" **17.00** დ/ფ "იაოს თავისუფლება" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით" 19.15** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** "ევროვიზია **2014**" დღიური **23.00** მხ/ფ **"დასაწყისი"** (ლ.დიკაპრიო) **01.40** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **03.40** "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ) **04.10** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (გ/ჩვ.).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.20, 12.05 "შურისმაძიებელი" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.50 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე" 5** სერ. **21.00** სერ.**"შავი ვარდი" 22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ **"მანოლეტე"** (ა.ბროუდი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.45** სპექტაკლი - **"შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ./ფ.**"აღდგომის ბატკანი" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" **16.20** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.45** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"ამაღლება" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** SV **11** მაესტროზე (გამ) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.02, 1.20, 4.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი" 17.45, 2.00, 4.20** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00, 2.50, 6.55** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30, 5.15** ბრძოლა წესების გარეშე **0.15, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 8 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **15.25** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.00** დ/ფ "იაოს თავისუფლება" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით" 19.15** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 22.00** "არენა" **22.30** "ევროვიზია **2014**" დღიური **23.00** "ევროვიზია **2014**" მე-**2** ნახევარფინალი (პ/რ) **01.00** მხ/ფ **"დათქმული დრო"** (რ.დაუნი უმცროსი) **02.40** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) **04.40** "შემოძახილი" (გ/ჩვ) **05.10** "არენა" (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.50 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე" 6** სერ. **21.00** სერ.**"შავი ვარდი" 8** სერ. **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"** (ე.ჯადი) **01.55** მხ/ფ **"მანოლეტე"** (პ.კრუსი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** პროფილი **00.00** თბილისი ლაივ **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.10** ქრისტიანული სწავლება **06.25** დ/ფ " მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი" **07.00** ეთნოგრაფია **07.15** დ/ფ "საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "ჩვენი ფონდი" **11.00** ქართული ალბომი **11.25** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"ამაღლება" 13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "მულტიპლიკაციის თავგადასავალი საქართველოში" **16.00** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **16.35** კონცერტი - ნანა კალანდაძის საღამო **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.05** მოკ./ფ. **"მიხა" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.35** დ/ფ "კაპელანი" **22.25** საქართველოს ისტორია **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები" 12.30, 13.02, 1.20, 4.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02 სერიალი "დაკარგული ქალაქი" 17.45, 2.00, 4.20** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00, 2.50, 6.55** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30, 5.15** ბრძოლა წესების გარეშე **0.00, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 9 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "სპექტაკლის დრო" – "ჩემი პატარა ქალაქი" **17.00** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით" 19.30** დ/ფ "დიდი ხელოვნება" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** ქართ. მხ/ფ **"ჯარისკაცის მამა" 01.10** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი" 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.50, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული ცა და მიწა" 17.50 19.05** სერ. **"მინდა გახსოვდე" 7** სერ. **22.00** თოქ შოუ – რეაქცია **00.00** მხ/ფ **"ბანქო ფული და ორი ლულა"** (ჯ.ფლემინგი) **02.00** მხ/ფ **"მხოლოდ შენნაირი"** (ე.ჯადი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **00.30**

მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დ/ფ "წმინდა გიორგი საქართველოში" **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** საქართველო - ჩვენი სამშობლო **10.50** სახლი ღვთისა **11.05** ისტორიის გაკვეთილი **11.35** დ/ფ "კაპელანი" **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**მიხა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დ/ფ "ქართველი ლეგიონერი" დიმიტრი ამილახვარი **15.30** კონცერტი -პოლიფონია **2014** **17.00** კვირიაკე **18.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" **20.45** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ./ფ. "**მტრედები**" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**1.00, 3.00, 4.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") (გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00,19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03** **სერიალი "ჩემი შვილები"** **12.30, 13.02, 1.20, 4.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02** **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00, 4.20** "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15, 6.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" პ/ე **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00, 2.50, 6.55** ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30, 5.15** ბრძოლა წესების გარეშე **0.15, 3.20 სერიალი**.

## შაბათი 10 მაისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" **09.00** საბ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძაღლი" **10.00** საბ. ან/ფ "სამართლიანობის ლიგა" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "მხიარული სტარტები" **13.30** "მეხსიერება" – ინოლა გურგულია **14.00** კალათბურთი. სუპერლიგა. ნახევარფინალი. (პ/რ) **16.30** "გურმანია" **17.00** დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება" **18.00** ტ/სერ. "**სიყვარული შიშით**" **19.00** "ეტალონი" **21.00** მხ/ფ "**ცხოვრება ისეთი, როგორიც არის**" **23.00** "ევროვიზია **2014**" ფინალი (პ/რ) **02.00** მხ/ფ "**ტეხასური ჟლეტა ხერხით**" **03.30** "გურმანია" (გ/ჩვ) **04.00** "ეტალონი" (გ/ჩვ).

**07.30** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.00** მხ/ფ "**101 დალმატინელი**" **10.15, 16.50** TV - მარკეტი **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "სქიმარქიმანდრიტი საბა" **2** ნაწ. **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.30** ჯამლეტ ხუხაშვილის საიუბილეო საღამო **17.50, 19.05** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **8** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი** **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ადრენალინი **23.40** იდენტიფიკაცია **00.00** მხ/ფ "**დაკარგული**" (ჯ.კარპენტერი) **01.40** მხ/ფ "**ბანქო ფული და ორი ლულა**" (ჯ.ფლემინგი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **09.55** ანიმაცია **10.00** "ნანუკას შოუ" (ოთხშაბათის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **15.30** X ფაქტორი (გ/ჩ) **18.55** სერ. "**ტიტების დრო**"**20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** რა? სად? როდის? **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** დ/ფ "გადადექი ფაშა" **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **11.00** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" **13.45** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** მხ/ფ "**კატინი**" **17.05** კონცერტი - ანდრე რიე **18.10** მოკ./ფ. "**ზღარბი**" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**პიანისტი**" I სერ.

**1.00, 2.00, 4.00, 5.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი")გამ. **8.30** იუმორისტული შოუ -"4X4" (გამ.) **9.30, 11.00, 12.30, 19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55, 1.50, 4.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** მაესტრო **15.30, 19.00 სერიალი "თანაგრძნობა"**(გამ.) **18.30, 21.35, 2.20, 5.20** "უცნობი ისტორიები" **20.00** სერიალი "დაკარგული დრო" **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.20, 4.20** "თქვენი გადახდილია" **23.30, 2.45, 5.45** SV **11** მაესტროზე **0.00, 3.10, 6.10 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## კვირა 11 მაისი

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" **09.00** საბ. ან/სერ. "კრიპტო - სუპერ ძაღლი" **10.00** საბ. ან/ფ "ბეტმენი" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** ქართ. მხ/ფ "**ზღვარზე**" **15.30** ქართ.დ/ფ "მარადიული სტუმრები" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **18.00** მხ/ფ "**ვატელი**" (ჟ.დეპარდიე) **20.30** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** I არხი წარმოგიდგენთ – ირმა სოხაძის ვარსკვლავის გახსნა **00.00** მხ/ფ "**სამეფო სასახლე**" (კ.დენევი) **02.00** "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ) **03.00** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) **03.30** "ტელებლოგი" (გ/ჩვ) **04.00** დ/ფ "ჩაცმის თავისუფლება".

**07.30** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.00** მხ/ფ "**წინ გამარჯვებისკენ**" **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.30** ცეკვავენ ვარსკვლავები (გ/ჩ) **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** მხ/ფ "**მძევალი 2**" **00.00** მხ/ფ "**ლამაზი მეგობარი**" (უ.თურმანი) **01.50** მხ/ფ "**ბრუკლინური კანონი**" (ა.ბოლდუინი) (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.25** ანიმაცია **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**4** მაისის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **00.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10** ისტორიის დღიური **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**მაისის თოვლი**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.10** **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.20** ქვიშით ნაამბობი **19.30** მხ/ფ "**ფესვები**" **21.40** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **00.30** პორტრეტები **01.20** მხ/ფ "**პიანისტი**" II სერ.

**1.00, 3.00, 4.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.10** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.30** "თქვენი გადახდილია "(გამ.) **9.00** SV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 12.30, 15.30, 20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.50, 2.50, 5.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **18.30, 2.20, 5.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00 სერიალი "თანაგრძნობა"**( **21.00** ვახო სანაიას რეპორტაჟი პ/ე **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 4.20** იუმორისტული შოუ -"4X4" **23.45, 5.05** "აბების" კვირის ანეკდოტები (კოლაჟი) **0.00, 3.20 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **1.20, 6.00** ვახო სანაიას რეპორტაჟი (გამ.).

### ვერძი

მოგიწევთ ბევრი მოძრაობა და გადაადგილებები. ახალი გაცნობილი ადამიანებისგან მომავალში კარგ შემოთავაზებებს მიიღებთ და ამით შემოსავალს გაზრდით. გამახვილებული ინტუიციით ადვილად მიაღწევთ მიზანს. საყვარელი ადამიანი კი ყოველთვის გვერდით დაგიდგებათ.

### კურო

მშვიდი და სასიამოვნო პერიოდია. მოაწესრიგეთ ფინანსური საკითხები და ნუ გაფლანგავთ ფულს უმიზნოთ. იყავით ტაქტიანი გარშემო მყოფების მიმართ და ნუ აწყენინებთ საყვარელ ადამიანს გაუაზრებელი საუბრით. დაფიქრდით საკუთარ ცხოვრებაზე და დროულად გამოასწორეთ შეცდომები.

### ტყუპები

აკონტროლეთ სურვილები. ოჯახის წევრები და საყვარელი ადამიანი კი, ყველაფერში დაგეხმარებიან. მოერიდეთ ავანტიურისტებს და მაქინაციებს. შეამცირეთ გადაადგილებები და წინასწარ გათვალეთ ყველა ნაბიჯი.

### კირჩხიბი

მოგინდებათ კომფორტი და მშვიდ, ოჯახურ გარემოში დიდხანს ყოფნა. ცხოვრებისეული წვრილმანები გალიზიანებას გამოიწვევს თქვენში, თუმცა მათ ადვილად მოაგვარებთ. სამსახურის საქმეებს საკმაოდ წარმატებით გაართმევთ თავს. ამაში კი, საყვარელი ადამიანიც დაგეხმარებათ.

### ლომი

დადებითი ემოციები კარგი განწყობის და ჯანმრთელობის საწინდარი გახდება. მოინდომებთ ახალ შეგრძნებებს, მოგზაურობას და სასიყვარულო თავგადასავლებს. გაგიჭირდებათ კრიტიკის ატანა, რის გამოც კონფლიქტებია მოსალოდნელი.

### ქალწული

მოიმატებს სასიცოცხლო პოტენციალი და ხალისით წარმართავთ საქმეებს. იყავით დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. კარგია მკურნალობის დაწყება, ახალი ნივთების შეძენა და სახლის გალამაზება. სასიყვარულო პარტნიორისგან ეჭვიანობა ნუ გაგაბრაზებთ, ეს დროებითია.

### სასწორი

გაიზრდება თქვენი პატივმოყვარეობა და პოპულარობის მოხვეჭის სურვილი. იქნებით უფრო თავდაჯერებული და მიმზიდველი. ბევრ ადამიანს გაუჩნდება სურვილი, გვერდით დაგიდგეთ. ნუ იქნებით ზედმეტად პრინციპული და მოძალადე. ეს დრო კარგია სასიყვარულო ურთიერთობების დასარეგულირებლად.

### მორიელი

დაიცავით საკუთარი პოზიციები, ოღონდ ნუ გამოავლენთ სიჯიუტეს და უხეშობას. მიღებული ინფორმაცია კარგად გადაამოწმეთ, რომ შეცდომაში არ შეხვიდეთ. ახლო მეგობრები დახმარებას გაგიწევენ პროფესიონალურ სფეროში. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში ჩაეყაროს საფუძველი ახალ სასიყვარულო კავშირს.

### მშვილდოსანი

გაიზრდება შეხვედრების რაოდენობა. ეცდებით იყოთ მეტად აქტიური. სასიამოვნო და მხიარული სასიყვარულო თავგადასავლები თქვენს ცხოვრებას საინტერესოს გახდის. მიუდექით საქმეს მეტი სერიოზულობით და იფიქრეთ შემოსავლის გაზრდაზეც. ამაში კი ინტუიცია დაგეხმარებათ.

### თხის რქა

ფინანსური პრობლემების გადაწყვეტის დროს, იყავით მეტად მომთმენი და კარგად გაერკვიეთ, ყველა სადავო საკითხში. მიიზიდავთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს თქვენი მომხიბვლელობით. კარგია დიეტის დაცვა, რადგან წონაში მომატების დიდი შანსია, მოგზაურობა კი წარმატებული აღმოჩნდება.

### მერწყული

გამოიჩინეთ მეტი ყურადღება სასიყვარულო პარტნიორის მიმართ. მოერიდეთ სპონტანურ შეხვედრებს და ახალი კონტაქტების დამყარებას. პრობლემების მოგვარებისას მიმართეთ კომპეტენტურ ადამიანებს რჩევისთვის. მოერიდეთ იმპულსურ მოქმედებებს, რათა გული არ ატკინოთ ახლობლებს.

### თევზები

მოიმატებს თქვენი ენერგიულობა, აქტიურობა და ხალისი. გაუმჯობესდება ჯანმრთელობის მდგომარეობაც. საქმეებს მიუდექით შემოქმედებითად და დაასრულეთ ადრე დაწყებული პროექტები. შეიცვლება ცხოვრებისეული დამოკიდებულებაც. მეტად მომთმენი და მოწესრიგებული იქნებით პირად და სასიყვარულო ურთიერთობებში. ცდუნებები და ეჭვიანობა წარსულს ჩააბარეთ.

**ახალმთვარეობა – 28 მაისი, 18 სთ: 45 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
**გეომაგნიტური დღე**

ეცადეთ, მშვიდად მიიღოთ ამ დღის მოვლენები. მაღალია ილუზიების ალბათობა. აკონტროლეთ აზრები და ემოციები. ატარეთ მწვანე, ზურმუხტისფერი, თეთრი, ვერცხლისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, აქატი, რუხი ტოპაზი, ჰელიოტროპი ან ლაბრადორი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, სახლის მშენებლობის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობაც. სუსტდება კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

### სამშაბათი
**გეომაგნიტური დღე**

კარგია საოჯახო და ნათესაური კავშირების გამყარება. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს. მაღალია ფინანსური შეცდომების დაშვების ალბათობა. არ ვარგა ხელშეკრულების დადება. ატარეთ მწვანე, თეთრი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, იისფერი, წითელი, ლურჯი, ყვითელი, ნარინჯისფერი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ზურმუხტი, რუხი ტოპაზი, ბრილიანტი, სარდიონი, ქარვა ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, გართობა. სუსტდება კუჭი, მკერდი, ხერხემალი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა.

*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

### ოთხშაბათი

ადამიანებში მოიმატებს გაღიზიანება, იმპულსურობა და სულსწრაფობა. დაწყებული საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ოქროსფერი, ჩალისფერი, ლურჯი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა საფინანსო გარიგებები, ადგილსამყოფლის შეცვლა, მცენარეების დარგვა-გადარგვა. კარგია თმის შეჭრა, გართობა, იურიდიული მუშაობა. სუსტდება სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

### ხუთშაბათი

აკონტროლეთ ხასიათში ეგოიზმი, სულსწრაფობა, უყაირათობა და პრეტენზიულობა. სასიყვარულო ურთიერთობაში იყავით უანგარო. არ არის გამორიცხული მოვლენათა ცვალებადობა. არ ვარგა ფინანსური გარიგებები, სასიყვარულო კავშირები, ხელშეკრულებების დადება. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ნაცრისფერი ან შავი სამოსი; ქვებიდან კი – ბრილიანტი, ქარვა ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, გართობა, ახალი სამსახურის დაწყება, შოპინგი, მშენებლობის დაწყება. სუსტდება გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი.

*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

### პარასკევი
**გეომაგნიტური დღე**

ნუ გადადგამთ ისეთ ნაბიჯებს, რასაც შემდგომ ინანებთ. მოიმატებს ილუზიები. ნუ აჰყვებით ცდუნებებს. მიიღეთ მეგობრების რჩევები და დახმარება. ატარეთ ყავისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი ან ვერცხლისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მწვანე ან ყვითელი იასპი, მალაქიტი, ოპალი ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდების ჩაბარება. კარგია საბანკო ოპერაციები, ვაჭრობა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.*

### შაბათი
**გეომაგნიტური დღე**

მოიმატებს რომანტიკულობა და იღბლიანობა. შესაძლებელია ახალი საქმის დაწყება. ატარეთ ყავისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აქატი, ონიქსი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, გამოცდების ჩაბარება. კარგია მიწათმოქმედება, სწავლა, ვაჭრობა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

### კვირა

კარგია შემოქმედებითი მუშაობა. ნუ იქნებით ზარმაცი და ნუ აჰყვებით ცდუნებებს. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებს. სალად მიიღეთ კრიტიკა. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ყვითელი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, იასპი, ფირუზი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, შოპინგი. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმელები.

*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, მორიელებისთვის, ლომებისთვის;*

*ნეგატიური დღეა: თევზებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გორგოშიძე

**გორგოშიძეთა** გვარში ფუძედ გამოყენებულია მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგა.**

**გორგი** უძველესი საკუთარი სახელია, რომელიც ბევრ ისტორიულ წყაროსა თუ ხალხურ პოეზიაში გვხვდება.

ასევე, გვხვდება მამაკაცის საკუთარი სახელი **გორგიშა, გორგოშა.**

სხვათა შორის, **გორგოშა** გვხვდება ყველაზე ძველ ძეგლში – „ტბეთის სულთა მატიანეში".

**გორგა**, აგრეთვე, საფუძვლად უდევს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში დაწერილ ერთ-ერთ ნაწარმოებს გვარს – **გორგაეთს.**

ზოგიერთმა მეცნიერმა საკუთარი სახელი **გორგა გიორგისთან** გააიგივა, რაც დაუშვებელია და მცდარია. ეს სახელი უფრო სპარსული სიტყვიდან – **„გორგადან"** იღებს სათავეს, რაც ქართულად „მგელს" ნიშნავს.

**გორგოშიძე-გორგოშაძე** გვარის ეტიმოლოგიას რამდენიმე მკვლევარი შეეხო. იოსებ ბექირიშვილმა ისინი **გოშუა-გოშაძისა** და **გორგოშიათა** გვარებს დაუკავშირა, რაც მართებული არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ გაცილებით ადრე, დაახლოებით მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, გვხვდება გვარები **გოშუანი** და **გოშვანი**.

**გორგოშაძე** აჭარული გვარია, **გორგოშიძე** კი – მისი განაყოფი გვარი.

**გორგოშაძეები** გურიაშიც ცხოვრობენ, მაგრამ, მათი უმრავლესობა **გორგოშიძედ** არის ჩაწერილი.

ამ გვარის წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ კორნათში, აჭარისწყალში, ერგეთში, სიმონეთსა და ბათუმში. ეს გვარი თურქეთშიც გვხვდება, კერძოდ, მარადიდში, მაგრამ, აქ ისინი ოზგანად იწერებიან. როგორც ჩანს, მათი წინაპრები მღვდლები იყვნენ და მეტსახელად „ფაფაზი" შეურქმევიათ, შვილები კი საბუთებში ფაფაზოღლად ჩაწერეს, ხოლო ზოგიერთი მათგანი – იმამოღლად.

1614 წელს სვიმონ გურიელმა თავისი მამულის მოსახსენიებლად ბაოჭულა **გორგოშიძე** აჭის წმიდა გიორგის შესწირა და გამოსაღები დაუწესა.

საქართველოში 83 **გორგოშიძე** ცხოვრობს: ზუგდიდში – 48, ქუთაისში – 17, თბილისში – 14. არიან სხვაგანაც.

### როსტობაია-უგვარია

**როსტობაიას** ადრინდელი გვარი იყო **უგვარია.**

ვარაუდით, გვარის ფუძე წარმოიშვა ვინმე **უგვარო** კაცისგან, რომელსაც შემდეგ **უგვარია** გაუგვარდა.

ოჩამჩირის რაიონში მცხოვრები **უგვარიების** ნაწილმა გვარი **როსტობაიებად** გადაიკეთა. როგორც ჩანს, გვარის ფუძედ აიღეს საკუთარი სახელი – **როსტომი.**

**უგვარია** 1834 წლის საბუთებში მოიხსენიება.

საქართველოში 383 **როსტობაია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 205, სენაკში – 32, თბილისში – 26. არიან სხვაგანაც.

### მანგოშვილი

გვარის ფუძეა ქალის საკუთარი სახელი **მანგო.** ქართულ საისტორიო წყაროებში გვხვდება, ასევე, მამაკაცის საკუთარი სახელი – **მანგია.**

ამავე ფუძისაა გვარი **მანგიაშვილი.**

**მანგიაშვილები** მთიულები არიან და ქართლის მთიანეთში ცხოვრობენ, **მანგოშვილები** კი კახელები არიან.

საქართველოში 607 **მანგოშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 167, სიღნაღში – 145, რუსთავში – 85. არიან სხვაგანაც.

### გოგაძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **გოგა.**

ამავე ძირისაა გვარები: **გოგაშვილი, გოგიძე, გოგიშვილი, გოგია, გოგილავა, გოგილაშვილი, გოგინაშვილი, გოგისვანიძე, გოგიტაური, გოგიჩაიშვილი, გოგლიჩიძე,**




**გოგლიძე, გოგმაჩიძე, გოგიბერიშვილი, გოგნელაშვილი** და ასე შემდეგ.

ილია მაისურაძის ვარაუდით, **გოგა, გოგი** – გიორგის შემოკლებულ სახელად ითვლება, მაგრამ, ირკვევა, რომ ის უძველეს ხანაში დამოუკიდებელი სახელი უნდა ყოფილიყო. ამაზე მიუთითებს ამ ძირეული სახელის ფართოდ გავრცელება და მისგან წარმოქმნილ ფორმათა სიუხვე. ის ეთნონიმური წარმოშობის ანთროპომად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში 1 025 **გოგაძე** ცხოვრობს: თბილისში – 205, ვანში – 168, ქობულეთში – 83. არიან სხვაგანაც.

### თეიმურაზიშვილი-თეიმურაზოვი

გვარის ფუძეა ირანული საკუთარი სახელი **თეიმურაზი**, რაც „სხეულით ძლიერს" ნიშნავს. მისი უძველესი ფორმაა ინდური სახელი **თაჰმაურუპა**, რაც „ძლიერ მელიას" ნიშნავს.

**თეიმურაზის** კნინობითი ფორმებია: **თემო, თემუკა, თემიკო.**

1791 წელს ვაშლოვანში მოხსენიებულია ეშიკაღაბაშის ყმა – ფარსადან **თეიმურაზიშვილი.**

მოგვიანებით **თეიმურაზიშვილები თეიმურაზოვებად** ჩაუწერიათ რუსული დაბოლოებით.

საქართველოში 35 **თეიმურაზიშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 23, გარდაბანში – 3, დედოფლისწყაროში – 2. არიან სხვაგანაც.

176 **თეიმურაზოვი.**

### მაცაბერიძე

გვარის ფუძეა რთულად შედგენილი საკუთარი სახელი **მაცაბერი**. ასევე, გვხვდება საკუთარი სახელი **მაცი**. ამ სახელისგან ნაწარმოები გვარებია: **მაციშვილი, მაცაკიძე, მაციაშვილი, მაცუკიშვილი.**

„ძლიერ ძველად ჩანან **მაცაბერიძე, მაციშვილი** და მისთანანი, რომელშიც **მაც** ძირია საგულვებელი."

ჭონიხიტების საგვარეულოს წარმომადგენლებს ჰქონიათ დიდი მეჯინიბეთუხუცესის წოდება. ამავე თანამდებობის პირი ყოფილა იმავე დროს მაცეპას ოლქის ჯარის უფროსი.

1941 წელს **მაცაბერიძეები** ამბროლაურის რაიონის სოფელ აგარიდან ასურეთში გადასულან საცხოვრებლად და იქ დაფუძნებულან.

საქართველოში 797 **მაცაბერიძე** ცხოვრობს: თბილისში – 352, ამბროლაურში – 77, ზესტაფონში – 60. არიან სხვაგანაც.

### ბიძინაშვილი

გვარის ფუძეა მამაკაცის საკუთარი სახელი **ბიძინა**. ეს სახელი მომდინარეობს სიტყვიდან **ბიძა**. ადრე ეს გვარი იწერებოდა როგორც **ბიძინასშვილი.**

**„ბიძინასშვილი**, ქალაქს მცხოვრები მეწისქვილე, ერთი კომლი, შაჰნავაზმა მისი წყალობა განუახლა ეინალ მირიმანაშვილს" (1661 წელი).

**„ბიძინაშვილი**, ერთი კომლი, მამულით, კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ უწყალობა არქიმანდრიტ ნიკოლოზ გაბადიძეს" (1698 წელი).

საქართველოში ყველაზე გავრცელებულ ათას გვარს შორის, **ბიძინაშვილებს** რაოდენობით 520-ე ადგილი უჭირავთ.

**ბიძინაშვილები** ცხოვრობენ სამეგრელოშიც. ადგილობრივი ვარიანტია **ბიძნასქუა**. ასევე, გვხვდება **საბიძნასქუო** – დასახლებული უბანი გალენწყაროს ნაპირას (დარჩელი). გვარი დასტურდება მეჩვიდმეტე საუკუნის საბუთებშიც.

**ბიძინაშვილები** ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. არის როგორც დამოუკიდებლად გაჩენილი, ისე ჯანდიერიშვილ-ჯანდიერიდან, ავალიშვილიდან და სხვა გვარებიდან ნაწარმოები შტო-გვარიც.

**„ბიძინაშვილი** ნიკოლა, კარბს მცხოვრები, ჰყავს ძმა ბეჟუა, ავთანდილ ამილახორის მეკოდისპურე ყმა" (1700 წელი).

**„ბიძინაშვილი** თამაზ, ქარელს მცხოვრები, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის დროს, ის და მისი განაყოფი ბერა, მამულებით, წილად ხვდნენ ედიშერს" (1688-1703 წლები).

საქართველოში 1 785 **ბიძინაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 525, გორში – 270, თელავში – 171. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**როგორც კი აზროვნება დავიწყე, იმ დღიდანვე მინდოდა, მსახიობი ვყოფილიყავიო, – წერს ერთ-ერთ ინტერვიუში ნატა ბერეჟიანი, რომელიც ამჟამად არაერთ სატელევიზიო არხზე ჩანს, არაერთ სპექტაკლშია დაკავებული და რომელიც ერთნაირად უყვარს ყველა ასაკის, სქესის თუ სოციალური ფენის წარმომადგენელს. ალბათ, ბევრისთვის იქნება საინტერესო, თუ როგორ ჩაიარა მისი მონაწილეობით პრემიერამ მუსკომედიის თეატრში, როგორ ხვდებიან მას ქუჩაში და როგორ ატარებს თავისუფალ დროს პოპულარული მსახიობი. ამას თვითონ გვიამბობს ნატა ჩვენს ინტერვიუში.**

# ვინ და როდის უყურებს ხოლმე ნატა ბერეჟიანს გულის ფორმის თვალებით

**– მინდა, ჩვენი საუბარი დავიწყოთ ბოლო პრემიერით, რომელიც ახლახან ჩატარდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. რა სპექტაკლი იყო ეს?**

– ეს იყო „ჩიპოლინო”, რომელიც მაია ჩართოლანმა დადგა. მე შემთხვევით მოვხვდი ამ სპექტაკლში. სხვა მსახიობი თამაშობდა, მაგრამ, მოხდა ინციდენტი – სცენა ჩავარდა და მსახიობები ჩაცვივდნენ. საბედნიეროდ, ყველა გადარჩა. მე ვინც შევცვალე, იმ მსახიობს ფეხი მოსტყდა. სწორედ ამის შემდეგ დამიბარეს მე. პრემიერამდე ათი დღით ადრე მივედი, ისინი კი უკვე ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდნენ ამ სპექტაკლზე. ასე შევუერთდი მათ.

**– ვისი როლით?**

– ალუბალას როლით.

**– სცენა როგორ ჩავარდა, ტექნიკური ხარვეზი იყო თუ რა მოხდა?**

– არანაირი ხარვეზი არ ყოფილა, ჩაიხსნა სცენა. ვისაც ევალება, ის გააფრთხილეს, რომ სცენა ჩახსნილია, ანუ, ქვედა ნაწილი მოხსნილია. ამ დროს რეპეტიცია დამთავრებული იყო და აღარ უნდა გასულიყვნენ სცენაზე. ეტყობა, დაავიწყდათ, ავიდნენ, მგონი, ფოტოს გადასაღებად და ჩავარდა სცენის იატაკი. თუ არ ვცდები, „მაკბეტი” იწყებოდა და ამიტომ გაამზადეს სცენა. ამის შემდეგ რამდენიმე ადამიანი რომ დადგა მასზე, ვერ გაუძლო და ჩავარდა, მაგრამ, ბოლომდე არა, – გაიხსნა იატაკი და მსახიობები ჩაცვივდნენ. ვიღაცამ ფეხი გადაიგლიჯა, ვიღაცამ რაღაც... მთავარია, ყველა გადარჩა.

**– პრემიერამ როგორ ჩაიარა?**

– კარგად. რაც მთავარია, ბავშვები კმაყოფილები იყვნენ. საბავშვო სპექტაკლია და, მთავარია, ბავშვებს მოეწონათ. უკმაყოფილო ნამდვილად არც ერთი მაყურებელი არ დარჩება. ბევრი სიმღერაა, ცეკვები და დინამიკური სცენებია.

**– მოკლედ, ამ სეზონზე ბევრ ბავშვს გაახარებთ.**

– დიახ, იმედია, ისიამოვნებენ ბავშვები.

**– პარალელურად რომელ პროექტებში ხარ ჩართული?**

– პარალელურად ანეკდოტების გადაღებები მაქვს, რომელიც „მაესტროს” არხზე გადის, სახელწოდებით – „თქვენი გადახდილია”, ანუ, შეიცვალა სახელწოდება. კიდევ, ამის პარალელურად, ხათუნა მილორავასთან ვმუშაობ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ახალ პიესაზე. ახლაც რეპეტიციიდან დავბრუნდი.

**– რა პიესაა?**

– „ჩემო მეჟოლია”. აგრეთვე, ვარ „TV 11-ზე,” „სადღეგრძელოები” ჰქვია ამ პროექტს.

**– არაჩვეულებრივი სცენარები აქვს ამ „სადღეგრძელოებს”.**

– მეც ძალიან მომწონს „სადღეგრძელოები”, თუმცა, ზოგი ვერ ხვდება და კითხულობს – რატომაა სასაცილო, ვერ გავიგე, მართლა ძალიან მაგარ სადღეგრძელოებს ამბობსო *(იცინის).*

**– ძალიან მომწონს შენი ტექსტები, სადღეგრძელოების დასასრულს კომენტარის სახით რომ აკეთებ.**

– ჰო, მანდ რაღაცეებს მე თვითონ ვიგონებ, რაღაცეებში რეჟისორი მეხმარება, ერთობლიობაში სასაცილო რომ გამოვიდეს და სადღეგრძელოსთან არანაირ კავშირში რომ არ იყოს ფრაზა. ახლა ყველა არ მახსენდება, მაგრამ ბევრი სასაცილო ფრაზაა: „მულის სულს ვფიცავარ”, „ამას ისეთი გოგოები ეძლეოდნენ”, – ეს მომწონს ძალიან.

**– სიცილის გამო ჩაგშლიათ გადაღება?**

– „სადღეგრძელოების” პროექტზე – ნაკლებად, ანეკდოტების მუშაობის დროს კი ძალიან ხშირად გვიფუჭდება ხოლმე დუბლი, რადგან, უცნაური რამ მჭირს – თუ ამიტყდა სიცილი, ველარ ვჩერდები. ამიტომ, შემცვლიან ხოლმე – მე გამომიყვანენ და სხვა მსახიობი შეჰყავთ. მით უმეტეს, ღამის გადაღება თუ გვაქვს, ეტყობა, გადაღლილობის ფონზე, რომ მეძინება, მაშინაც ასე მემართება ხოლმე. თუ ვიწყებ სიცილს, ამბობენ: „დაიწყო ბერეჟიანმა!” – ყველა მიცნობს უკვე ამ მხრივ.



გულწრფელად ვაღიარებ, რომ ვარ მაწანწალა

**– სულ ასეთი გადატვირთული რეჟიმი გაქვს?**

– ეს ბოლო პერიოდი მქონდა ძალიან დატვირთული, ახლა ისეთი საშინელი რეჟიმი აღარ მაქვს: მხოლოდ ერთი რეპეტიცია და კვირაში ორი დღე – გადაღება. ბავშვის მოვლაში, წაყვანა-წამოიყვანაში, ძალიან მეხმარება დედამთილი. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში, ფაქტობრივად, სახლში არ ვყოფილვარ: მოვდიოდი, ვიძინებდი, ვიღვიძებდი და მივდიოდი. ამ ხნის განმავლობაში სულ ხათუნა უვლიდა, ასე იყო დათუნა ბებოსთან.

**– ხომ არ გსაყვედურობს ხოლმე დათუნა ასეთ დღეებში?**

– არა. გვიან თუ მოვდივარ, მივალ საწოლთან და ვეუბნები: „დათუ, მოვედი”, – და ის გულის ფორმის თვალებით მიყურებს ხოლმე. „მოხვედი, დე?” – მაკოცებს და ისევ იძინებს. არ მსაყვედურობს. მიჩვეულია, პრემიერის წინა პერიოდებში ასეთი რეჟიმი რომ მაქვს. რთული ბავშვი არ არის, მარტივად იგებს, რომ ვეტყვი, არ მცალია-მეთქი.

**– რამდენი წლისაა დათუნა?**

– 8 წლის.

**– ნატა, გარეგნობა გაქვს ძალიან დამახასიათებელი და, არ არსებობს, რომ არ გიცნონ, როცა გარეთ გადიხარ. რა რეაქციები აქვთ, ქუჩაში ან მაღაზიაში რომ გხედავენ?**

– დადებითი რეაქციები აქვთ, უარყოფითი მართლა არავისგან არ მიგრძნია. მეფერებიან – გვიყვარხართ, გვაცინებთ, თქვენ გაიხარეთო... რატომღაც, კომედიურ ჟანრში მიწევს მუშაობა. სერიალში „გოგონა გარეუბნიდან” სასაცილო იყო ჩემი პერსონაჟი; ანეკდოტებში – მხიარული; სადღეგრძელოში – სასაცილოა. რადგან ჩემი პერსონაჟები დადებით განწყობას იწვევენ, ამიტომ, ძალიან ბევრ სითბოს ვიღებ ხალხისგან – ხან ადგილს მითბობენ, ხან რაღაცას მჩუქნიან. ზღვაზეც, ზოგი სიმინდებს მჩუქნიდა, ზოგი – თხილს, ზოგი, „შეზლონგს” რომ ვიღებდი, ფულს არ მახდევინებდა. ბევრი-ბევრი კარგი და სასიამოვნო ემოცია მოდის მაყურებელთა მხრიდან.

**– რომელიმე როლზე თუ გიოცნებია?**

– პერიოდულად რაღაცეები სულ არის. პატარაობისას ძალიან მინდოდა, რომ მეთამაშა ჟანა დარკი, მერე – ლედი მაკბეტი... რომ ვიზრდები, შეხედულებები და სურვილებიც მეცვლება და ამ სურვილებთან ერთად იცვლება როლებიც, რომლებსაც დიდი სიამოვნებით შევასრულებდი ამ ეტაპზე სიამოვნებით ვითამაშებდი რამე კარგ დრამატულ როლს.

**– ოჯახის დამოკიდებულებაც მაინტერესებს – როგორ აფასებენ შენს გმირებს?**

– რა ვიცი, დადებითად. მეუღლე ოდნავ უფრო კრიტიკულია. ხან მეუბნება, აი, აქ უკეთესად შეგეძლოო, – რაღაცა შენიშვნებს მაძლევს, რაღაცას მირჩევს.

**– მეუღლე რა პროფესიისაა?**

– სამედიცინოზე სწავლობდა, მაგრამ, მერე სახელმწიფო მართვის ფაკულტეტი დაამთავრა. რაც შეეხება დედის დამოკიდებულებას, ნუ დედა, ხომ იცით...

**– „დედას ნიჭიეროო” – გეუბნება?**

– **(იცინის)** არა, არ მეუბნება, მაგრამ, ყველა დედის დამოკიდებულება შვილის მიმართ მოგეხსენება: „აი, შენ კარგი იყავი,” – მეტყვის ხოლმე.

**– საყვარელი პარტნიორი გყავს სცენაზე?**

– ახლა ვითამაშე „ვაკის სარდაფში.” კარგი პიესაა, არაჩვეულებრივი. „ჟლეტის ღმერთი” ჰქვია. ოთხკაციანი პიესაა, მომწონს და ძალიან სასიამოვნოა თვითონ მუშაობის პროცესი. იქ სამივე კარგი პარტნიორი მყავს: გიორგი ბოჭორიშვილი, გიორგი ბახუტაშვილი და მაიკო ხორნაული.

**– საქმიანი დღის ან კვირის ბოლოს განტვირთვა როგორ ხდება ხოლმე?**

– განტვირთვა უფრო ხშირად მეგობრებთან ხდება. ცოტა მაწანწალა ვარ, მაინცდამაინც არ მიყვარს სახლში ყოფნა. მთელი დღის განმავლობაში, როგორი დაღლილიც არ უნდა ვიყო, ერთი საათიც რომ მქონდეს, გოგოებთან ერთად რომელიმესთან სახლში – აუცილებელი არ არის, კაფეში, ან კლუბში – ვიკრიბებით ხოლმე. გულწრფელად ვაღიარებ, რომ ვარ მაწანწალა ***(იცინის).*** ახლაც დაბადების დღეზე მივდივარ და ჩემს მეგობრებს შევხვდები.

**– „სადღეგრძელოებში” რომ ვისმენთ, იმის მსგავსი სადღეგრძელოებით გაერთობით?**

– არა.

**– ტრადიციების დამცველი თუ ხარ?**

– გააჩნია, რა საკითხში. რაღაცეებში ვარ ტრადიციული, რაღაცეებში – არა, მაგალითად, არ მიყვარს თამადა, მით უმეტეს – დამღლელი თამადა. ვთქვათ, ქორწილში, ახალგაზრდებს ცეკვა-გართობა უნდათ, თამადა კი ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ართვევინებს მუსიკას, რომ საათ-ნახევარი ილაპარაკოს აბსოლუტური აბსურდი. არა, ზოგი თამადა არის სასიამოვნო მოსასმენი, მაგრამ, მე მგონი, ახალგაზრდები სადაც იკრიბებიან, თამადის გარეშეც მშვენივრად ერთობიან.

**ეკა სალაღაია**

# როგორ მოახერხა გაქცევა „კაგებეს“ ჯურღმულიდან მხატვარმა

***2011 წელს რიო-დე-ჟანეიროში, 92 წლის ასაკში გარდაიცვალა გაიოზ მხეიძე, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს გაიქცა საბჭოთა კავშირიდან და თავდაპირველად ურუგვაიში ცხოვრობდა, შემდეგ კი – ბრაზილიაში. ის თბილისელი იყო. უნიჭიერესი ადამიანი და თავის ამ თვისებებს თაღლითობას ახმარდა. გთავაზობთ ექსკლუზიურ მასალებს ცნობილი თაღლითის ცხოვრებიდან, რომლებიც ძველი, საკავშირო არქივებიდანაა მოპოვებული.***

### „მწვანეთვალება“

თავადური წარმოშობის გაიოზ მხეიძე 1919 წლის 1 იანვარს მოევლინა ამ ქვეყანას. ის ბავშვობიდანვე ავლენდა უდიდეს ნიჭს ხელოვნებასა და ლიტერატურაში და ამ ლამაზ, ხუჭუჭთმიან, მწვანეთვალება ბავშვს, ჩვილობიდანვე მეტსახელად „მწვანეთვალება“ შეარქვეს, რაც ცხოვრების ბოლომდე გაჰყვა. სამი წლის ასაკში პატარა გაიოზი გამართულად კითხულობდა ქართულად და რუსულად, აგრეთვე, ბევრი ლექსი და სიმღერა იცოდა ორივე ენაზე. ოთხი წლისამ წერაც ისწავლა, პიანინოზე დაკვრაც, განსაკუთრებით კი, ხატვა იტაცებდა. 8 წლის გაიოზი უკვე ზეთის საღებავებით ხატავდა და სკოლაში ყველაზე წარჩინებული მოსწავლე იყო. 1927 წელს, 8 წლის გაიოზმა ლენინის პორტრეტი დახატა, რომელიც ფოტოსურათიდან გადაიხატა და საყოველთაო აღფრთოვანება დაიმსახურა. თავადური წარმოშობის მიუხედავად, ბავშვი და მისი მშობლები წარჩინების სიგელით დააჯილდოვეს, რაც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში უდიდესი დაფასება იყო.

1937 წელს 18 წლის გაიოზს საქართველოს მაშინდელი „ცეკას“ პირველი მდივნის, ლავრენტი ბერიას პორტრეტის დახატვა დაავალეს, რასაც „მწვანეთვალებამ“ მშვენივრად გაართვა თავი და პირადად ბერიას მადლობაც დაიმსახურა. ეს კი ნიშნავდა, რომ უნიჭიერეს ახალგაზრდას ყველგან გზა ხსნილი ჰქონდა.

### ორდენოსანი მხატვარი

1937-1941 წლებში გაიოზი მოსკოვის სამხატვრო აკადემიის ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა და დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ფრონტზე გაემგზავრა. უნიჭიერესი ყმაწვილი ძალიან გულადი და მამაციც იყო და უშიშრად იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე. 1943 წლის მაისში 24 წლის გაიოზმა წითელი ვარსკვლავის ორდენი მიიღო. მან გერმანელების ფორმა გადაიცვა, მტრის ზურგში შეიპარა და იცოდა რა გერმანული ენა, თანაც გარეგნულადაც „არიელს“ ჰგავდა, ფაშისტები შეცდომაში შეიყვანა. ორი დღის განმავლობაში, გაიოზმა დაწვრილებით შეისწავლა ფაშისტების ყველა სტრატეგიული წერტილი და უკან რომ დაბრუნდა, ხელმძღვანელობას უზუსტესი რუკა დაუხატა. მეორე დღეს, საბჭოთა არტილერიამ გაიოზის დახატული სქემის მიხედვით შეუტია ფაშისტებს, მათი ყველა სტრატეგიული წერტილი გაანადგურა და წითელმა არმიამ წინ წაიწია. წითელი ვარსკვლავის ორდენი 24 წლის გაიოზს პირადად გიორგი ჟუკოვმა გადასცა და ახალგაზრდა ქართველს გადაეხვია... გაიოზმა ბერლინამდე იომა, კიდევ ორი ორდენი მიიღო და 1945 წლის დეკემბერში, მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მას საცოლე ჰყავდა.



### შეუფასებელი კოლექცია

გაიოზი, ალბათ, არასდროს გახდებოდა კრიმინალი, რომ არა მისი პირადი ტრაგედია. ის მოსკოვში რომ დაბრუნდა, შეიტყო, მისი საცოლე – ელენე ნაკაშიძე, მისსავე მეგობარს, რუდოლფ შვეიცერს გაჰყოლია ცოლად. შვეიცერიც მხატვარი იყო, მაგრამ, გაიოზისგან განსხვავებით, ფრონტს თავი აარიდა და მოსკოვში მოახერხა დარჩენა. გაიოზმა ვერ აიტანა ღალატი და ყოფილი მეგობარი წითელ მოედანზე სასტიკად სცემა... დაზარალებული, წითელი არმიის გენშტაბის ტოპოგრაფიული განყოფილების ოფიცერი იყო, ანუ საიდუმლო ნომენკლატურულ აღრიცხვაზე იმყოფებოდა. ამიტომ, სამგზის ორდენოსანი გაიოზ მხეიძე დააპატიმრეს და სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. თუმცა, მხოლოდ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ციხეში გაიოზს ვინმე ბონდო კაჭარავა შეხვდა. ის წვრილმანი თაღლითი იყო და სწორედ მან შესთავაზა ახალგაზრდა, უნიჭიერეს მხატვარს ერთი აფერისტული კომბინაცია, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა ორივეს.

ბონდო კაჭარავას კარნახით, გაიოზმა რამდენიმე ცნობილი მხატვრის ტილოების ზუსტი ასლები დახატა, რომლებიც დრეზდენის გალერეიდან იყო დაკარგული და მხოლოდ მათი რეპროდუქციები არსებობდა. 1951 წელს, ეს სურათები ბონდო კაჭარავამ ერთი საბჭოთა კოლექციონერს მიჰყიდა ძალიან სარფიანად. კოლექციონერი, ალბათ, ვერც შეიტყობდა, რომ ეს „შეუფასებელი კოლექცია“ ყალბი იყო, რომ ჟურნალ „სოვეტსკაია კულტურას“ არ გამოექვეყნებინა ამ სურათების ორიგინალები. ჟურნალში ეწერა, რომ სურათები იპოვეს საბჭოთა მოქალაქეების ბინებში და გერმანელ ხალხს დაუბრუნეს. კოლექციონერმა, რომელიც ძალიან გაამწარა ამ ცნობამ, „ენკავედეში“ აღიარა, რომ უკანონოდ შეიძინა სურათები და ჯერ ბონდო კაჭარავა დააჭერინა, შემდეგ კი გაიოზიც დააპატიმრეს. მათ 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ და გააციმბირეს.

**ყირიმიდან გაქცეულ გაიოზს ჩემოდანში 460 ათასი მანეთი ჰქონდა, რომელიც ნოვოსიბირსკის ბანკიდან გამოიტანა**

### წარმატებული ბიზნესი

ბონდო კაჭარავა ციმბირში ეტაპირების დროს გარდაიცვალა. გაიოზი კი 1953 წელს, დიდი ამნისტიის შემდეგ, დროზე ადრე გაათავისუფლეს ციხიდან და მისი თაღლითური კარიერის გაფურჩქვნაც მაშინ დაიწყო. მან სხვადასხვა საბუთის გაყალბებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთი დააგროვა და უფრო მსხვილ ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ყალბი ზედნადებების გამოყენებით გაიოზ მხეიძე ბანკებიდან მსხვილ თანხებს ხსნიდა, ვითომდა სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებისთვის ნედლეულის შესაძენად. შემდეგ ამ თანხებს ჯიბეში იდებდა და დროსტარებას ახმარდა. თავად გაიოზს რამდენიმე ყალბი პასპორტი ჰქონდა, რომლებშიც გრიმით იყო გადაღებული და მილიცია მის მოხელთებას ვერ ახერხებდა. 1958 წლის მაისში მოქალაქე ანტონ პავლოვის სახელით გაიოზმა ნოვოსიბირსკის სახელმწიფო ბანკიდან 460 ათასი მანეთი გამოიტანა, ვითომდა რკინიგზის შპალების შესაძენად ამიერკავკასიის რკინიგზისთვის. სინამდვილეში კი, ეს ფული მიითვისა და ყირიმში გაემგზავრა. იქ კონსპირაციულად ცხოვრობდა და ერთი გრანდიოზული აფერისთვის ემზადებოდა. იალტაში გაიოზი ყოველგვარი გრიმისა და პარიკის გარეშე, საკუთარი ვინაობით გადაადგილდებოდა და სწორედ ამან იხსნა დაპატიმრებისგან. 1959 წლის იანვარში, მის კონსპირაციულ ბინას მოულოდნელად ორი სამოქალაქოფორმიანი მამაკაცი ესტუმრა. გაიოზს ქალი ჰყავდა და კარი ისე გააღო, მხოლოდ ტრუსები ეცვა.

– მოქალაქე ანტონ პავლოვი აქ ცხოვრობს? – ჰკითხა გაიოზს ერთ-ერთმა ვიზიტორმა, რომელშიც გამოცდილმა თაღლითმა „კაგებეს“ თანამშრომელი ამოიცნო, მაგრამ არ დაიბნა და მშვიდად მიუგო:

– ორი სართულით ზემოთ, ჩემს თავზე.

მამაკაცები წავიდნენ. გაიოზს კი საძინებელში არც კი შეუვლია, სასწრაფოდ ჩაიცვა და ტყავის ჩემოდნიანად ბინიდან გაუჩინარდა. ჩემოდანში მას ნოვოსიბირსკის ბანკიდან გამოტანილი 460 ათასი მანეთი ჰქონდა. ის იმავე ღამეს თბილისს გამოემგზავრა და ორი დღის შემდეგ პლეხანოვზე, ერთ-ერთი ძველი მეგობრის ბინას შეაფარა თავი.

გაიოზი გაიშიფრა და მასზე საკავშირო ძებნა გამოაცხადეს. თუმცა, მას ძალიან ბევრი ფული ჰქონდა. „ფსკერზე დაწვა“ და „ქარიშხლის ჩადგომას“ დაელოდა.

### ფულის რეფორმა

1959-1961 წლებში გაიოზმა ბანკიდან გამოტანილი ფულით ძვირფასეულობა შეიძინა და გადამალა. 1961 წელს კი, როდესაც საბჭოთა კავშირში ფულის რეფორმა ჩატარდა და ძველი კუპიურები ახლებით შეიცვალა, გაიოზმა 2 მილიონი მანეთი იშოვა. ის მოქალაქეებისგან ძველ ფულს ყიდულობდა და მათ ახალს, მაგრამ მის მიერვე დამზადებულ ყალბ ფულს აძლევდა. შემდეგ კი ძველ ფულს თავადვე ახურდავებდა ბანკებში. 1961 წლის მიწურულს, უშიშროებამ მოახერხა თაღლითის კვალზე დადგომა და ის ერევანში, ფულის გაცვლის დროს დააპატიმრეს. გაიოზი მოსკოვში ჩაიყვანეს, მის წინააღმდეგ ერთბაშად სამი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, რომლებსაც პოდპოლკოვნიკი, პავლე ნოვაკი უძღვებოდა. მან გაიოზი მორიგ დაკითხვაზე დაიბარა და უთხრა:

– სამივე თქვენს საქმეზე დახვრეტის მუხლია და ვერაფერი გიხსნით ამ სასჯელისგან. თუმცა, თუკი ჩვენთან თანამშრომლობას დათანხმდებით, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, მაგრამ გამომწყვდეული იქნებით. გაწყობთ?

– რა უნდა ვაკეთო?

– ყალბი ფული ბეჭდოთ და ყალბი სურათები ხატოთ. რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა. ეს ჩემი ჩვეულებრივი საქმიანობაა და თანახმა ვარ, – მიუგო ნოვაკს გაიოზმა და გაეცინა.

### გაქცევა

უშიშროების კლანჭებში მოქცეული გაიოზი წლების განმავლობაში ამზადებდა სხვადასხვა უცხოურ ვალუტას და ქმნიდა სხვადასხვა გენიალური მხატვრის შედევრთა ასლებს, რომლებსაც „კაგებე“ თავისი მიზნებისთვის იყენებდა. 1967 წელს გაიოზმა გაქცევა მოახერხა. ის მოსკოვში, ძერჟინსკის მოედნის მიმდებარე ერთ-ერთ მიწისქვეშა ბუნკერში მუშაობდა და იქვე ცხოვრობდა. მაისის ერთ საღამოს, გაიოზ მხეიძემ ცეხშივე დამზადებული „ატმიჩკებით“, რომლებსაც ის 4 წელი აკეთებდა, სამი კარის გაღება მოახერხა. მეოთხე, დაჯავშნილი კარი კი, ახალგამოცვლილ მორიგეს გააღებინა, რომელსაც გაიოზი „კაგებეს“ ოფიცერი ეგონა და გარეთ გავიდა. მოგვიანებით, ის თავის მემუარებში წერდა, რომ ამ გაქცევას ოთხი წელი საგულდაგულოდ ამზადებდა და ყველა დეტალი ზუსტად გათვალა...

1967 წლის დეკემბერში გაიოზმა ჯერ ფინეთში გააღწია, სადაც შვედი დიპლომატის პასპორტით ჩავიდა. ეს პასპორტი კი, რა თქმა უნდა, თავად დაამზადა. შემდეგ ამერიკის კონტინენტზე გადავიდა. თავდაპირველად, ურუგვაიში დასახლდა, შემდეგ კი – ბრაზილიაში. იქვე შექმნა ოჯახი და ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა.

სამხრეთ ამერიკაში გაიოზ მხეიძე უკვე საკუთარ ნამუშევრებს ქმნიდა და ყიდდა. თუმცა, ოსკარ რამოსის ფსევდონიმით და სწორედ ამ გზით მოახერხა იქ პოპულარობისა და სიმდიდრის მოპოვება...

**ნიკა ლაშაური**

# როგორ მოიშორეს თავიდან ქალმა და მისმა დედინაცვალმა ცხვრებით მოვაჭრის ცხედარი და სად დატოვეს მათ მკვლელობის კვალი

54 წლის მურად ა-შვილის ცხედარი თანასოფლელებმა სოფლის ბოლოს, ხევში აღმოაჩინეს. ცხედარი ისეთი დასახიჩრებული იყო, რომ მისი ამოცნობა იმ ადამიანებსაც კი გაუჭირდათ, ვინც მას ათეული წლების განმავლობაში იცნობდნენ.

შემთხვევის ადგილზე გვამის გარეგნული დათვალიერებისა და ხევის მიმდებარე ტერიტორიის შესწავლის შედეგად სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ მამაკაცი, რომელსაც გულ-მკერდის არეში დანით მიყენებული ორი ჭრილობა აღენიშნებოდა, იმ ტერიტორიაზე მიყვანამდე იყო გარდაცვლილი. გარდაცვლილს სახეზე ჰქონდა დაზიანებები, მისი დასახიჩრებული თვალები, ცხვირი მიუთითებდა, რომ ხევში დატოვებულ გვამს ეს დაზიანებები, სავარაუდოდ, ცხოველების მიერ ჰქონდა მიყენებული.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, მურად ა-შვილი ცხვრებით ვაჭრობდა. ის ათი წლის წინ გაშორდა პირველ მეუღლეს, რომელთანაც შვილი არ ჰყავდა და ცოლად თანასოფლელი, ორი შვილის დედა, 34 წლის მალვინა მ-ძე შეირთო. მურადსა და მალვინას საერთო შვილი ქორწინებიდან ერთი წლის თავზე შეეძინათ. მეზობლების თქმით, ცოლ-ქმარს ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ქალი ალკოჰოლის აქტიური მომხმარებელი იყო, მურად ა-შვილი მას ხშირად ეკამათებოდა და სმაზე თავის დანებებას სთხოვდა.

გამოძიებამ პირველად გარდაცვლილის მეუღლე, მალვინა მ-ძე დაკითხა. როგორც მან განაცხადა, ქმარი ბოლოს მისი გვამის აღმოჩენამდე სამი დღით ადრე, გვიან ღამით ნახა. მალვინა მ-ძის ჩვენების მიხედვით, ის ბავშვს აძინებდა, როცა მურად ა-შვილმა განუცხადა, რომ ერთი დღით სოფლიდან საქმეებზე აპირებდა წასვლას. გარდაცვლილის ცოლის დაკითხვის შემდეგ გამოძიებას მასთან ბევრი შეკითხვა გაუჩნდა, პირველ ყოვლისა კი ის, თუ რატომ არ მოძებნა ქმარი იმ ორი დღის განმავლობაში, როცა ის სახლში არ გამოჩნდა, რაზეც ცოლმა უპასუხა, რომ, როცა ცხვრის ჩამოსაყვანად მიდიოდა, ორი-სამი დღე არ ბრუნდებოდა სახლში და, ამას მისგან მიჩვეული ვიყავიო, თუმცა, როგორც ქალმა მოგვიანებით განმარტა, ქმარზე გაბრაზებული იყო და მისი დაგვიანების მიზეზით ამიტომაც არ დაინტერესდა.

## ქალმა მძინარე ქმარი საწოლში მოკლა

გამომძიებელი დაინტერესდა გარდაცვლილის პირველი ცოლით, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, უცხოეთში იყო წასული სამუშაოდ და ყოფილ ქმართან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. გამოძიებისთვის საეჭვო ჩვენებას იძლეოდა კიდევ ერთი ქალბატონი – მალვინა მ-ძის დედინაცვალი, ეთერ ს-შვილი, რომელიც გარდაცვლილი სიძის შესახებ ნაცნობებში უცნაურ ამბებს ყვებოდა, მათ შორის იმასაც, რომ მურად ა-შვილი ბოროტი ძალების მსხვერპლი იყო და ის ჯადოქრობის შედეგად გარდაიცვალა, რასაც მის მიმართ თავად ახორციელებდა.

ეთერ ს-შვილი სოფელში ცნობილი მკითხავი იყო და, იმასაც ამბობდნენ, რომ მას სიძესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. თავად ეთერ ს-შვილი სიძეს ძუნწსა და მახინჯს ეძახდა და, თუ ის სახლში იყო, მათთან არ მიდიოდა. გამოძიებისთვის საკუთარი წყაროებით ცნობილი გახდა გარემოება, რასაც სამართალდამცველების მიერ მალვინა მ-ძის სახლის კუთვნილი სარდაფის დათვალიერება მოჰყვა. ეს ფაქტი მალვინა მ-ძემ იმაზე მეტად განიცადა ვიდრე ქმრის სიკვდილი. ჯერ იმას ამბობდა, სარდაფის გასაღები მაქვს დაკარგულიო; მერე – იქ ვერავის შევუშვებო. სამართალდამცველების ვარაუდით, სწორედ იქ იმალებოდა მკვლელობის კვალი, რადგან, ცნობილი გახდა, რომ სარდაფი, რომელიც არასდროს იკეტებოდა, ქალმა სწორედ იმ დღეებში დაკეტა ახლად ნაყიდი ბოქლომით, როცა მურად ა-შვილი დაიკარგა. როგორც გამოძიებით დადგინდა, სარდაფის იატაკზე აშკარად ჩანდა მამაკაცის სისხლის კვალი, რომელიც, ბევრი მცდელობის მიუხედავად, ვერ წაეშალათ.

სამართალდამცველებმა მურად ა-შვილის მკვლელობისთვის მისი მეუღლე, მალვინა მ-ძე დააკავეს. ის თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, იმ მტკიცებულებების მიხედვით, რაც გამოძიებას მის მიმართ ჰქონდა მოპოვებული, ის იძულებული გახდა ჩადენილი მკვლელობა ეღიარებინა. მოგვიანებით მან დაასახელა დანაშაულის თანამზრახველიც – თავისი დედინაცვალი, რომელიც მას ჯერ გვამის გადამალვაში, შემდეგ კი ხევში გადაგდებაში დაეხმარა. ქალებმა გვამი გვიან ღამით, ხელის ურიკით მოიტანეს ხევამდე, რისი თვითმხილველიც თანასოფლელი მამაკაციც იყო, რომელმაც ასევე მისცა ჩვენება გამოძიებას.

ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „გვიანი ღამე იყო. ვერ დავიძინე და აივანზე გავედი. ჩემს სახლთან პატარა ჩიხია, რომელიც სოფლის განაპირა გამავალ გზას უერთდება. ღამის სიბნელეში დავინახე ორი ქალი, რომლებსაც ხელით ურიკა მოჰქონდათ. ჯერ ვერც ერთი ვერ ვიცანი, მხოლოდ მაშინ, როცა ჩემს სახლს მოუახლოვდნენ, დავინახე, რომ ერთ-ერთი მათგანი ეთერი იყო. ის სოფელში ცნობილი მკითხავია, ხალხი ჯადოქრობასაც აბრალებს. ვიფიქრე, ალბათ, რამე თავისი ჯადოქრობის ამბავშია-მეთქი და მისი ღამეული გამოჩენისთვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. როცა მურადის გვამის პოვნის შესახებ გავიგე, მერე დავუკავშირე, რომ, შეიძლება, ის ღამე მკვლელობასთან კავშირში ყოფილიყო."

სასამართლო პროცესზე ბრალდებულმა ქალებმა თავი დამნაშავედ ცნეს. ქმრის მკვლელობა აღიარა მალვინა მ-ძემ, რომელმაც განაცხადა, რომ ქმარი მთვრალ მდგომარეობაში მოკლა.

ამონაწერი ბრალდებულის აღიარებითი ჩვენებიდან: „იმ ღამეს, როცა მურადი სახლში მოვიდა, მე უკვე ნასვამი ვიყავი. ამაზე ძალიან გაბრაზდა და ბევრი იყვირა. მასთან შერიგება ვცადე. ვიცოდი, რომ წინა დღეს ცხვრები გაყიდა, 700 ლარი ჰქონდა და, მინდოდა, გამომერთმია. მურადმა ფულზე უარი მითხრა – ვალი უნდა გადავიხადოო. ფულის მოთხოვნაზე ძალიან მეჩხუბა და ორჯერ სახეში გამარტყა. როცა დაიძინა, მე ორი ჭიქა არაყი კიდევ დავლიე და მძინარეს დავადექი თავზე. შურისძიების მიზნით, დანა ორჯერ ჩავარტყი გულში. დიდი დანა იყო, იმ დანით კლავდა მამაჩემი სახლში ღორებს. მურადმა ერთი ამოიხროტინა და საწოლი სისხლით გაივსო. დილამდე, სანამ ბავშვები გაიღვიძებდნენ, ყველა კვალი მოვსპე – სისხლიანი ზეწრები ტუალეტში ჩავყარე, სახლის იატაკი გავხეხე, მურადის გვამი კი სარდაფში ჩავათრიე, რომელსაც გასაღები მეორე დილითვე ვუყიდე, რომ ბავშვები არ ჩასულიყვნენ რამეზე. გვამს მარტო შორს ვერ წავიღებდი, ამიტომაც, ყველაფერი, რაც მოხდა, ვუამბე ჩემს დედინაცვალს, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ის დამპირდა, რომ გვამს ხევში გადამაგდებინებდა და ისეთ სიტუაციას შევქმნიდით, ჩვენ ვერავინ ვერაფერს დაგვაბრალებდა. მთავარი იყო, გვამი სახლიდან გაგვეტანა. მე და ეთერიმ ერთად დავგეგმეთ, გვამი ტომარში ჩაგვედო და გვიან ღამით, ურიკით გაგვეტანა ისეთი გზით, რომ ვერავის დავენახეთ." მალვინა მ-ძემ პროცესზე განაცხადა, რომ ქმარი არ უყვარდა და ის სიმთვრალის გამო, შურისძიების მიზნით მოკლა. მას სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 8 წლით პატიმრობა შეეფარდა ეთერ ს-შვილს, რომელიც სასამართლო პროცესზეც არ იხევდა უკან და ამბობდა, რომ მისი სიძე სიკვდილის ღირსი იყო და, თუ მას ცოლი არ მოკლავდა, ის თავისი ჯადოქრობით მაინც მოუღებდა ბოლოს.

**ეკა ბარაბაძე**

# რა მოხდა ამ დღეს

### 5 მაისი

1865 – ამერიკის შეერთებული შტატების შტატ ოჰაიოში მსოფლიოში პირველად მოხდა მატარებლის ძარცვა.

1891 – ნიუ-იორკში გაიხსნა ცნობილი საკონცერტო დარბაზი „კარნეგი ჰოლი".

1912 – გამოვიდა გაზეთ „პრავდის" პირველი ნომერი.

1961 – კოსმოსში გაფრინდა პირველი ამერიკელი ასტრონავტი ალან შეპარდი.

### 6 მაისი

1527 – „საღვთო რომის იმპერიის" ჯარებმა აიღეს და სასტიკად ააოხრეს ქალაქი რომი.

1682 – ვერსალი ოფიციალურად გახდა საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია.

1953 – ქირურგმა ჯონ ლიბონმა ოპერაციის დროს პირველად წარმატებით გამოიყენა დანადგარი „ხელოვნური გული-ფილტვები".

1994 – საზეიმოდ გაიხსნა გვირაბი ლამანშის სრუტის ქვეშ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

### 7 მაისი

1298 – დაიწყო ბარსელონის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. დასრულდა მხოლოდ 1885 წელს.

1610 – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის თანამგზავრები – იო, ევროპა და აგნიმედე.

1824 – ვენაში შედგა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის პრემიერა.

### 8 მაისი

1429 – ფრანგულმა არმიამ ჟანა დარკის სარდლობით, დაამარცხა ინგლისელები და აიძულა ისინი, ქალაქ ორლეანისთვის ალყა მოეხსნათ.

1970 – გამოვიდა „ბითლზის" ბოლო ალბომი – „ლეთ ით ბი".

### 9 მაისი

1502 – დაიწყო ქრისტეფორე კოლუმბის ბოლო, მეოთხე მოგზაურობა.

1812 – ნაპოლეონი ოფიციალურად ჩაუდგა სათავეში „დიდ არმიას", რომელიც რუსეთზე თავდასხმისთვის ემზადებოდა.

1945 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გამოიტანეს გასაყიდად ჩასახვის საწინააღმდეგო აბები.

### 10 მაისი

1857 – ინდოეთში დაიწყო სიფაების აჯანყება ინგლისელთა ბატონობის წინააღმდეგ.

1869 – დასრულდა ტრანსამერიკული რკინიგზის მშენებლობა. ამ რკინიგზამ შეაერთა ატლანტისა და წყნარი ოკეანეების სანაპიროები – ნიუ-იორკიდან სან-ფრანცისკომდე.

1872 – ვიქტორია ვუდჰალი გახდა პირველი ქალი, რომელმაც საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე, თუმცა, დამარცხდა.

### 11 მაისი

330 – რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიის ახალ დედაქალაქად ქალაქი კონსტანტინეპოლი (ახლა სტამბული) გამოაცხადა.

1867 – ლუქსემბურგი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1927 – დაარსდა ამერიკის კინოაკადემია, რომელმაც 1931 წლიდან „ოსკარების" მინიჭება დაიწყო.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუარო და რა პირობები შევუქმნა სუროს?**

**პასუხი:** სურო კარგად გრძნობს თავს ნებისმიერ ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადა ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში სურო ფორმას იცვლის და უშნოვდება, ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს. ნიადაგს ნურც ზამთარში გამოაშრობთ, თორემ, ფოთლები დაეჭმუჭნება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც; კარგად ხარობს ჰოლშიც და ზამთრის ბაღშიც და დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება. ასე რომ, სურო სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე. თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ და, გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: რა ტემპერატურასა და სინათლეზე ვამყოფოთ კალანჰოე?**

**პასუხი:** კალანჰოე ათასგვარი ფორმისა და ფერის არსებობს, თუმცა გარეგნული სხვაობის მიუხედავად, ყველა სახეობის კალანჰოეს თითქმის ერთნაირი გარემო და პირობები სჭირდება. მცენარე განათებულ ადგილას დადგით. რაც უფრო რუხი ან ბუსუსიანია, მით მეტი სინათლე სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა, თუმცა, იტანს ზამთრის სიგრილესაც, არანაკლებ 10 გრადუსისა. მისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი სააბაზანოა.

**კითხვა: რა სიხშირით სჭირდება მორწყვა იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** არალია ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი შედარებით იშვიათად. თუ ფოთლები მოიწყენს, მიხვდებით, რომ წყალი უნდა. ფოთლებს სიმუქეს შეუნარჩუნებთ, თუ მიწას რეგულარულად გაანოყიერებთ ფოთლოვანი მცენარისთვის განკუთვნილი სასუქით. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო ციპერუსს მუდმივი ტენიანობა? როგორც ვიცი, ამ მცენარეს ძალიან უყვარს ნესტი...**

**პასუხი:** ის ერთ-ერთია იმ მცენარეთაგან, რომელსაც მუდმივად სველი ნიადაგი სჭირდება. მუდმივი ტენიანობის შესანარჩუნებლად ციპერუსიანი ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით, რათა წყალი არასდროს მოაკლდეს – ასე მას მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება და ფესვებიც მუდამ ტენიანი ექნება.

**კითხვა: ძნელია თუ არა ჯუჯა პალმის მოვლა ოთახის პირობებში?**

**პასუხი:** ეს პალმა ძალიან გამძლე მცენარეა. ის კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს. არ უყვარს ბევრი წყალი, თუმცა, ზაფხულში რეგულარულად მორწყვა სჭირდება. ზამთარში კი, როცა პალმა ზრდას წყვეტს, მხოლოდ მაშინ მორწყეთ, როცა მიწა გამოუშრება. თუ ამ მცენარეს სიმშრალეში ამყოფებთ, რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

**კითხვა: წელიწადის ამ დროს სად არის სასურველი ფეროკაქტუსის მოთავსება?**

**პასუხი:** როდესაც ზამთრის ყინვები გაივლის, გარეთ გაიტანეთ და სინათლეზე დადგით. მისთვის შესაფერისი ადგილი სამხრეთის ფანჯარაა. ეს მცენარე, მაქსიმალურად დიდხანს უნდა იყოს მზეში, ზამთარშიც კი. მისთვის იდეალური პირობებია ნორმალური ან მაღალი ტემპერატურა და კარგი განათება. ზამთარში ტემპერატურის მინიმუმია 7 გრადუსი.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შესაძლებელია თუ არა სასამართლოს მიერ დაკისრებული ფულადი სახის ვალდებულების გადახდის განაწილება ან განვადება აღსრულების პროცედურების დაწყების შემდეგ, სააღსრულებო ბიუროში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების 12 თვემდე ვადით განწილვადების შესახებ: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ აღსასრულებელ საქმეზე – თავისი ინიციატივით, ხოლო სხვა საქმეზე – კრედიტორის თანხმობით. განწილვადების პირობების დარღვევის შემთხვევაში, სააღსრულებო საქმის წარმოება განახლდება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შესაძლებელია თუ არა აღმასრულებლის უკანონო მოქმედების შედეგად უკანონოდ დასრულებული სააღსრულებო პროცედურების გასაჩივრება და აღსრულების შედეგების შეჩერება?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ სააღსრულებო წარმოების მხარესა და დაინტერესებულ პირს, რომელთა კანონიერ ინტერესზედაც პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს აღმასრულებლის ქმედება, უფლება აქვთ, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ერთჯერადად გაასაჩივრონ აღმასრულებლის ქმედება, ასეთი ქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. ასეთი გასაჩივრება ავტომატურად ვერ შეაჩერებს გასაჩივრებულ სააღსრულებო ქმედებას. თუმცა, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით, ან სააღსრულებო წარმოების მხარის, ან დაინტერესებული პირის შუამდგომლობით, შეაჩეროს გასაჩივრებული სააღსრულებო ქმედება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შემიძლია თუ არა სრულად ვენდო საჯარო რეესტრში არსებულ მონაცემებს და აქვს თუ არა ამ მონაცემებს სამართლებრივი მნიშვნელობა სამოქალაქო დავების დროს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა სახის უფლებების და ვალდებულებების რეგისტრაცია ხორციელდება უძრავ ნივთებზე საჯარო რეესტრში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საჯარო რეესტრში, კერძოდ კი, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება: ა) საკუთრება; ბ) აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა; გ) უზუფრუქტი; დ) სერვიტუტი; ე) იპოთეკა; ვ) ქირავნობა, ქვექირავნობა; ზ) იჯარა, ქვეიჯარა; თ) თხოვება; ი) ლიზინგი; კ) საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები, ასევე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები.



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ვაზ 2107", 25 წლის. მაინტერესებს, რამდენს უნდა წვავდეს ას კილომეტრზე? ასევე, ზამთრისა და ზაფხულის წვას შორის არის თუ არა რაიმე სხვაობა?**

**პასუხი:** ასე, ერთმნიშვნელოვნად, ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რამდენი ლიტრი საწვავი შეიძლება, დაწვას თქვენმა ავტომობილმა ას კილომეტრზე. ამაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს – გააჩნია, მართვის რეჟიმს და იმ ადგილებს, სადაც მოძრაობა გიწევთ. ამას ემატება ასაკი, შესაბამისად, დეტალების ცვეთა, რომელიც საწვავის მომატებას აუცილებლად გამოიწვევს. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ამ კონკრეტულ ავტომობილს ყოველ ას კილომეტრზე შეიძლება, დააწვევინოთ როგორც 9, ასევე 15 ლიტრი საწვავი. რაც შეეხება სეზონურ წვას, ის, რა თქმა უნდა, იცვლება. ზამთარში ავტომობილი უფრო მეტ საწვავს მოიხმარს, ვიდრე ზაფხულში, რადგან ტემპერატურის იმ კონდიციას, როცა მინიმალური საწვავი სჭირდება, ის გვიან აღწევს, ანუ გვიან თბება.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „სუბარუ ფორესტერი", ტურბინიანი. რას მირჩევთ, მექანიკური მართვის კოლოფით ჯობია თუ ავტომატური? არის თუ არა უსაფრთხო, რესურსიანი და კომფორტული ეს ავტომობილი ოჯახისთვის?**

**პასუხი:** „სუბარუს" ძირითადი სისუსტე სიჩქარეების კოლოფია, მნიშვნელობა არ აქვს ის მექანიკურია თუ ავტომატური. რაც შეეხება სავალ ნაწილს, ის საკმაოდ მტკიცეა. ყველაზე მეტად კი თქვენს შეკითხვაში, ტურბირებულ ძრავას მინდა, გავუსვა ხაზი. ის საკმაოდ ფაქიზია იმისთვის, რომ დიდი ხნის მუშაობის რესურსი მოვთხოვოთ და საკმაოდ გაუმაძღარი იმისთვის, რომ ეკონომიური იყოს. შესაბამისად, თუ ოჯახზე ზრუნავთ და არა ავტომობილის სიმძლავრით საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებაზე, მაშინ უმჯობესია, არატურბირებული ძრავათი აღჭურვილი „სუბარუ" შეიძინოთ, რომლის კოლოფიც ნაკლებად დაზიანდება. ან, სულაც, რაიმე სხვა მოდელი შეარჩიოთ.

**კითხვა**: **მყავს ავტომობილი „მერსედესი", „ცე" კლასი. მინდა, შევიძინო შედარებით მაღალი გამავლობის ავტომობილი და დავამონტაჟო მათზე გაზის აპარატურა. ეს გამომადგება თბილისშიც, ქალაქგარეთაც და ოჯახისთვისაც შეღავათი იქნება. იქნებ მირჩიოთ, საქართველოს პირობებში 3 500–4 000 დოლარის ფარგლებში რომელი ავტომობილი შევიძინო?**

**პასუხი**: მაღალი გამავლობის ავტომობილისთვის, ანუ „ჯიპისთვის", ეს თანხა საკმაოდ მცირეა, რომ კარგ ფორმაში იყოს. „ჯიპის" ტიპის მანქანის, „კროსოვერისთვის" კი ეს თანხა მეტ-ნაკლებად ნორმალურია. შეგიძლიათ, შეიძინოთ „სუბარუ ფორესტერი", „ჰონდა HRV", „ტოიოტა" რავ 4-ის" ძველი მოდელი. ყველა ჩამოთვლილ ავტომობილს, ამ თანხით უფრო საღსა და კარგ მდგომარეობაში შეიძენთ, მაგრამ ალბათ, უფრო მარჯვენასაჭიანს.

> **ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**გვერდი მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

**კითხვა**: **ძაღლი გვყავს, რომელიც სულ სახლშია. ამ შემთხვევაში მაინც აუცილებელია ვაქცინაციის გაკეთება მისთვის?**

**პასუხი**: ცხოველს ვაქცინაცია აუცილებლად უნდა გაუკეთდეს, არ აქვს მნიშვნელობა, რა პირობებში ცხოვრობს ის. არსებობს მცდარი მოსაზრება, რომ, თუ ცხოველი იმყოფება ოთახის პირობებში, არ საჭიროებს ვაქცინაციას ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ. სინამდვილეში, დაინფიცირების რისკი საკმაოდ მაღალია, რადგან, ინფექცია გადადის არა მარტო ავადმყოფ ცხოველთან კონტაქტით, არამედ, საგნებიდანაც, რომლებთანაც ძაღლს შეხება აქვს. ასევე, დაავადება შეიძლება გადავიდეს პატრონის ტანსაცმლიდან და ფეხსაცმლიდან, რაც ქმნის ცხოველის დასნებოვნების ყველა პირობას.

**კითხვა**: **ცხოველი აუცილებლად შეჯვარებული უნდა იყოს? როგორც გვითხრეს, ეს მისი ჯანმრთელობისთვის არის აუცილებელი. თქვენ რას გვეტყვით?**

**პასუხი**: მცდარია მოსაზრება, რომ ცხოველი ერთხელ მაინც უნდა შევაჯვაროთ, რადგან ეს მისი ჯანმრთელობისთვის აუცილებელია. თუ თქვენ არ ეწევით სანაშენე საქმიანობას და არ იღებთ პასუხისმგებლობას ლეკვების მოვლასთან დაკავშირებით, უმჯობესია, ცხოველს ჩაუტაროთ კასტრაცია, რაც მოგცემთ საშუალებას, თავიდან აიცილოთ უამრავი გართულება.

**კითხვა**: **როგორ ავარიდოთ ცხოველი თვალის ინფექციებს? ბოლო დროს ჩემს ძაღლს ხშირად უწითლდება თვალი და ამიტომ მაინტერესებს.**

**პასუხი**: თვალის ინფექციის წარმოშობის თავიდან აცილება მარტივად არის შესაძლებელი, თუ რეგულარულად მოუვლით ცხოველის თვალებს და უზრუნველყოფთ მათ სისუფთავეს – ეს აუცილებელია. თუ ძაღლი გრძელბეწვიანია, თვალების გარშემო აუცილებლად რეგულარულად უნდა შეჭრათ ბეწვები. ამ პროცედურისთვის უნდა გამოიყენოთ ისეთი მაკრატელი, რომელსაც არ ექნება ბასრი წვეტი, ან, უმჯობესია, გქონდეთ სპეციფიკური მაკრატელი, რომელიც გამოიყენება აღნიშნული პროცედურისთვის. ისე კი, უმჯობესია, რეგულარულად მიმართოთ სპეციალისტს, რომელიც დაგეხმარებათ აღნიშნული პროცედურის ჩატარებაში. თუ ამ პროცედურას რეგულარულად ჩაატარებთ, ამით თავიდან აიცილებთ ძაღლს თვალში ბაქტერიების მოხვედრას. ასევე, რეგულარულად შეამოწმეთ თვალების კუთხეების ლორწოვანის მდგომარეობა, რადგან, ბაქტერიები სწორედ ამ ლორწოვანათი იკვებებიან და მერე აქედან ხვდებიან თვალის ლორწოვანში. თვალის კუთხეებიდან ლორწოვანი ნადების რეგულარული მოშორება განაპირობებს ინფექციის განვითარების თავიდან აცილებას. ამ პროცედურისთვის შეიძლება გამოიყენოთ სპეციალური ლოსიონები და წვეთები, რომლებიც იყიდება ვეტერინარულ აფთიაქებში; ან – გვირილის ან ჩაის სუსტი ნაყენი. ჩაწვეთების შემდეგ თვალი ბინტით გაუწმინდეთ გარეთა კუთხიდან ცხვირისკენ მიმართულებით. უმჯობესია თუ ამ დროს ბამბას არ გამოიყენებთ, რადგან, ბამბამ შეიძლება დატოვოს თავისი ბოჭკოები და გამოიწვიოს თვალის მექანიკური გაღიზიანება. აღნიშნული პროცედურების რეგულარულად ჩატარება ხელს უწყობს ცხოველის თვალების ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა**: **როდის არის ძაღლის გასეირნება უკეთესი – ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?**

**პასუხი**: გახსოვდეთ, რომ ძაღლის სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გაყვანა საჭიროა ჭამის წინ და არა ჭამის მერე. ჭამის შემდეგ ძაღლი ფიზიკურად არ უნდა დატვირთოთ. სეირნობის დროს თქვენი ლეკვი აუცილებლად უნდა შეაჩვიოთ უცხოებთან მშვიდ და წყნარ ურთიერთობას. არავითარ შემთხვევაში არ მისცეთ უცხოებს იმის უფლება, რომ თქვენს ლეკვს ისე ეთამაშონ ან მოეფერონ, როგორც პატარა ბავშვს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**



1
2
3
4
5
6
7

- ტერი-ტორიის ნაწილი
- 1
- ანტი-ლოპა
- (......) ბრედ-ბერი
- „ახალი“ (იტალ.)
- სიმღ-ერის სახეობა
- ზოგი მა-რგებელია
- ფრანგი ბატონი
- მაღაზია (......) პარი
- დიდი თეფში
- ჩინელთა ბალადი / მევიოლინე ვანესა / ძალიან ბევრი
- იაპონური ლექსი / ზაფხულ-ის საქმე
- პირ-ველი საკვები
- მუსლი-მანთა ლიდერი
- იცოც-ხლოს! (ლათ..)
- არის ასეთი ჩაი
- სიცილი
- ზოგჯერ მშობელს ასე მი-მართავენ
- ძვირფა-სი ქვა / თევზი
- 6
- ბრძოლა სისხლის ღვრა
- ოპერის სიმღერა
- 7
- ლიანა / ვაჟას სოფელი
- სოფელი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში
- ღონე
- „(....)-მაჯ-ნუნიანი“ / ფეხის გადადგმა
- თავის ნაწილი / ქართლის მდინარე
- ტიპიური კახური შორისდებული
- ორი ქართველი მეფის სახელი
- ცხელი სასმელი / ორიანი ნარდში
- ჩვენი დიდი მოჭი-დავე
- მოსწრე-ბული ენის პატრონი
- ოთხნი
- 2
- ხალხი ანუ?
- არის ასეთი მწვა-ნილი
- (......) ხაბე-ლოვი
- ამერი-კელი ჩოგბუ-რთელი
- სამი რომანი / ოფიცერი
- რჩეული გუნდი
- ახლან-დელი / „სითბოს“ წინსართი
- წყვილი / მუშკე-ტერების მტერი
- კიშინი-ოვის ფეხბ. გუნდი
- (.......) ქეთე-ლაური
- აქეთ მხარეს ანუ?
- ჟაკ-(....) კუსტო
- მობი-ლურის (.......) ბარათი
- მეორე მუსიკ. ერთეული
- რა? სად? როდის? წამყვანი
- ლევან თედიაშვი-ლის კინოგმირი / მარიფათი, უნარი ანუ?
- 3
- საიზო-ლაციო მასალა
- პოპულ-არული ინგლისუ-რი გვარი
- გადა-ჭრილი ხე
- რამინის სატრფო
- ტეხასის ქალაქი / ჩვენი წყალი
- 4
- ქართვე-ლო მო-ჭადრაკე ქალი
- ჩვენი მდინარე
- მეშვიდე / არზაყან-ის ცხენი
- მაია ბიჭო-ბაში
- „ვეფხის-ტყაოსნის“ ილუსტ-რატორი
- მარნის პატრონი კინოში
- (.......) გრი-გოლია
- მონროს ერქვა
- არომატი ოხში-ვარი
- მდინარის ქვიანი ნაპირი
- ხმის ნაკლი / კაცის სახელი
- ვიოლ-ინოს დაკვრას სჭირდება
- ფრან-გული მანქანა
- ცეცხლის ენა
- იტალიის მოქმედი ვულკანი
- მუს.ინსტ-რუმენტი
- 5
- ფრანგი მხატვარი გუსტავ....
- გრამატ. კავშირი
- ნუსხა / ადგილი სუფრის თავში
- ქალაქი საფრან-გეთში
- სახაზო კონტ-როლი
- ქალაქი-პორტი ინგლისში
- (.....)— მონაზონი
- 1912 წელს ჩაიძირა
- სიცილის ხელო-ვნება
- უთარგ-მნელი სიტყვა

Column clues (top to bottom, columns 1–40):

| Col | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Clues | 19 | 22 | 19 5 | 4 23 4 | 29 4 | 30 3 | 30 3 | 30 2 | 29 1 | 30 | 4 6 13 | 10 9 | 11 7 | 10 5 | 8 4 | 6 4 | 5 2 6 | 4 3 1 3 1 | 3 2 1 2 1 | 2 3 4 |

| Col | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Clues | 4 1 4 5 | 5 1 4 5 | 6 2 3 6 | 8 3 2 6 | 10 3 1 7 | 11 2 8 | 10 9 | 4 6 13 | 30 1 | 29 2 | 30 3 | 30 4 | 29 5 | 29 5 | 3 23 6 | 20 6 | 24 | 21 | 18 | 16 |

Row clues (left to right, rows 1–35):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 3 |
| 2 | 3 5 |
| 3 | 5 5 |
| 4 | 5 8 |
| 5 | 8 9 |
| 6 | 10 11 |
| 7 | 10 11 |
| 8 | 11 4 7 |
| 9 | 7 4 14 |
| 10 | 13 16 |
| 11 | 16 16 |
| 12 | 16 17 |
| 13 | 16 17 |
| 14 | 17 16 |
| 15 | 16 3 10 |
| 16 | 9 3 10 |
| 17 | 10 10 |
| 18 | 10 11 |
| 19 | 10 11 |
| 20 | 10 4 12 |
| 21 | 10 2 2 12 |
| 22 | 10 1 1 13 |
| 23 | 11 2 2 13 |
| 24 | 11 1 1 13 |
| 25 | 11 2 2 13 |
| 26 | 11 1 4 15 |
| 27 | 12 8 14 |
| 28 | 12 1 6 15 |
| 29 | 13 2 2 10 4 |
| 30 | 2 11 3 10 6 |
| 31 | 3 13 12 8 |
| 32 | 5 10 12 9 |
| 33 | 7 9 11 10 |
| 34 | 8 7 1 9 11 |
| 35 | 9 3 1 6 12 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | 7 | 4 | | 9 | | 3 | 1 |
| | 2 | 1 | | 7 | | 5 | 9 | |
| 4 | | | 1 | | 5 | 7 | | 8 |
| 3 | | 9 | 2 | | 7 | | 5 | |
| | 6 | | 9 | | 1 | 8 | | 3 |
| 7 | | 4 | | 5 | | 1 | | 9 |
| | 4 | | 7 | 9 | | 3 | | 5 |
| 2 | 3 | 8 | | 1 | 6 | | 4 | |
| | | 5 | | 3 | | 6 | 1 | 2 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 2 | | 4 | | |
| 5 | | | 9 | | 7 | | | 8 |
| | 1 | 3 | | 8 | | | 5 | |
| | 3 | | | 5 | | 9 | | 4 |
| 4 | | 1 | | 3 | | | 2 | |
| | 7 | | 4 | | 8 | | 3 | |
| 8 | | 9 | | | 3 | | 1 | |
| | | | | | | 6 | | 3 |
| 3 | 4 | | | 6 | 1 | | | |

# ადვილია თქვენთან ცხოვრება?

*ყველას გვაქვს ხასიათის ისეთი თვისებები, რომელთან შეგუებაც სხვა ადამიანებს უჭირთ. ტესტით გაიგებთ, ადვილია თუ არა თქვენთან ცხოვრება და თავად როგორ აღიქვამთ სხვის ნაკლს.*

შეკითხვებზე უპასუხეთ „დიახ“ ან „არა“ და იყავით გულწრფელი.



**1. გაქვთ თუ არა დღის განრიგი და იცავთ თუ არა მას?**

**2. თავად ალაგებთ ბინას სტუმრების წასვლის შემდეგ?**

**3. გაგებით მოეკიდებით, თუ მეზობელი დიდ ძაღლს მოიყვანს?**

**4. შეგიძლიათ სადილის მომზადება ან საოჯახო ნივთების შეკეთება?**

**5. დაბალ ხმაზე უწევთ ტელევიზორს საღამოს საათებში?**

**6. გიშლით ნერვებს ზოგიერთი მეზობლის უსიამოვნო ჩვევა?**

**7. ადვილად ურთიერთობთ ბავშვებთან?**

**8. ადვილად ურთიერთობთ მოხუცებთან?**

**9. შეგიძლიათ, გაამხიარულოთ ადამიანები, თუ ისინი ცუდ გუნებაზე არიან?**

**10. თუ მწეველი ხართ, ცდილობთ, ამით გარშემო მყოფები არ შეაწუხოთ?**

დადებითი პასუხებისთვის დაიწერეთ თითო ქულა და ნახეთ, რამდენი ქულა დააგროვეთ. გაეცანით შედეგებს.

*7 და მეტი ქულა: თქვენთან ცხოვრება ძალიან ადვილია, ყველაზე უხასიათო ადამიანსაც კი მოერგებით. ყოფითი პრობლემებისგან ტრაგედიას არასდროს ქმნით და რთულ სიტუაციაშიც ყოველთვის პოულობთ გამოსავალს.*

*5-6 ქულა: ახლობლები თითქმის ყოველთვის კარგად გრძნობენ თავს თქვენ გვერდით. მართალია, ურთიერთობაში ზოგჯერ ჩნდება პრობლემები, მაგრამ ამას ტრაგედიად არ აქცევთ. ცდილობთ, შეეგუოთ გარშემო მყოფთა ქცევებს.*

*0-4 ქულა: თქვენს ახლობლებს გულწრფელად თანავუგრძნობთ. არც სხვების ზოგიერთ თვისებას ეგუებით, არც საკუთარ მავნე ჩვევებზე ამბობთ უარს. აშკარად გირჩევნიათ განმარტოებით ცხოვრება. გახსოვდეთ, უკაცრიელ კუნძულზე ვერ აღმოჩნდებით, ამიტომ, ცოტა გამოსწორდით.*

## ყველაზე ძვირფასი კამეა

მსოფლიოს საგანძურში ღირსეული ადგილი უკავია „გონზაგას კამეას“ – სამფენიან სარდონიქსზე ამოკვეთილს და უძვირფასესს.



პირველი კამეების კეთება მეოთხე საუკუნის ბოლოს დაიწყეს, ოღონდ ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მოხდა. ძვირფას ქვაზე კვეთდნენ რელიეფურ, ამობურცულ სურათებს, ძირითადად, მითოლოგიური თემატიკის. საუკეთესო კამეებს ეგვიპტეში, ქალაქ ალექსანდრიაში ამზადებდნენ. ერთი კამეის შექმნას დაახლოებით იმდენივე დრო სჭირდებოდა, რამდენიც, მაგალითად, სასახლის აშენებას. ურთულესი და უფაქიზესი სამუშაო იყო.

„გონზაგას კამეაზე“ ცნობილი ადამიანები არიან გამოსახული, თუმცა მათ გამო, დიდხანს, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში კამათობდნენ ისტორიკოსები. საბოლოოდ, დადგინდა, რომ კამეაზე გამოსახული არიან ელინისტური ეპოქის ეგვიპტის ფარაონები – მეუღლეები, რომლებიც, ასევე და-ძმანიც იყვნენ: პტოლემეუსი მეორე ფილადელფი და არსინოია მეორე. ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ცხოვრობდნენ.

კამეის პირველი პატრონი, რომელზეც ინფორმაცია შემორჩა, იყო ფრანჩესკო გონზაგა, იტალიის ქალაქ მანტუის მმართველი. შემდეგ კამეა შვედეთის დედოფლის, კრისტინას კოლექციაში ინახებოდა. საიდანაც ვატიკანში მოხვდა, ნაპოლეონის ომის დროს საფრანგეთში აღმოჩნდა. იმპერატორმა ის თავის მეუღლეს ჟოზეფინა ბოგარნეს მიართვა. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ალექსანდრე მეორე ღირსეულად მოიქცა. მან ჟოზეფინას შემოსავალიც დაუტოვა და სახლიც. მადლიერების ნიშნად, ჟოზეფინამ რუსეთის იმპერატორს „გონზაგას“ სახელგანთქმული კამეა აჩუქა.

კამეის მთელი ღირსება მის ფერადოვნებაშია: სამი დომინანტი ფერი და სამიც – გარდამავალი. კამეას სიმაღლე 15,7 სანტიმეტრია, სიგანე – 11,8 სანტიმეტრი, რელიეფი 3 სანტიმეტრზეა ამობურცული. ასეთი დიდი ზომის კამეა მსოფლიოში ორი-სამია და მათ შორის „გონზაგას კამეა“ უდიდესია.

## ინდოეთი ციფრებში

* ინდოეთის სატელეფონო კოდია – 91.

* თბილისსა და დელის შორის საათობრივი სხვაობა ორსაათ-ნახევარია, ანუ, ისინი ჩვენზე 2 საათით და 30 წუთით არიან უკან.

* ინდოეთის საერთო ფართობი 3 287 000 კვადრატული კილომეტრია. ეს საკმარისია 90 მილიონი ადამიანის ნორმალურად არსებობისთვის. ინდოეთის მოსახლეობა კი ერთ მილიარდზე მეტია.

* ინდოეთში ჩვენთვის ნაცნობი ბუდა – სიდხარტხა გაუტამა – სულაც არ არის ერთადერთი და მთავარი ბუდა. ასეთი ბუდა იქ ბევრი ჰყავთ. უფრო მეტიც, ბუდიზმის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ყველას შეუძლია, გახდეს ბუდა, თუკი ის შეძლებს, დააგროვოს დიდი რაოდენობით დადებითი ენერგია.

* ზღვის დონიდან 8 611 მეტრზე მდებარეობს ინდოეთის უმაღლესი წერტილი – მწვერვალი კა-2, იგივე ჩოგორი, იგივე დაპრანგი. მასზე ასვლა ყველაზე გამოცდილ მთამსვლელებსაც უჭირთ. თუ ევერესტი დღემდე 1 500-მა ადამიანმა დაიპყრო, კა-2-ზე ასულია მხოლოდ 249 ადამიანი და კიდევ 60 ისე დაიღუპა, მიზანს ვერ მიაღწია – გზაში გაიყინა. კა-2 მეორე ადგილზეა სახიფათო მწვერვალებს შორის. პირველობას არავის უთმობს ანაპურნი (ჰიმალაი, ნეპალი).

* ჩვენს ერამდე ოცდამესამე-მეთვრამეტე საუკუნეებში მდინარე ინდის დაბლობზე პირველი ცივილიზაცია გაჩნდა – ინდური, იგივე ხარაპული ცივილიზაცია. ჩვენს ერამდე მერვე საუკუნეში ნეოლითის ხანა დაიწყო. სხვათა შორის, ინდოეთში დღემდე აქტუალურია მიწათმოქმედება ცეცხლით, ანუ, ბუჩქებიანი ფერდობის გადაწვით, რასაც აღარსად იყენებენ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძე**

# აუცილებელი საიდუმლო



ტომის შიში საერთოდ არ უგრძნია. მხოლოდ აღელდა, ისიც ოდნავ, როცა ტელეფონის ყურმილი აიღო და პოლიციაში დარეკა.

– მე, პოლიციელი მინდოდა.

– ბიჭუნა, ერთობი? პოლიციას სათამაშოდ არ სცალია.

ტომიმ ყურადღება არ მიაქცია პოლიციელის გაბრაზებულ ტონს.

– ეს მნიშვნელოვანია, ვიღაცამ მარკი და დედაჩემი მოკლა.

ბიჭუნამ გაიგონა, როგორ ამოიოხრა ვიღაცამ ყურმილში და მიხვდა, რომ მისი ნათქვამი დაიჯერეს. ახლა გაცილებით მარტივად იყო საქმე. ყურმილი დადო და დივანზე ჩამოჯდა. თავს აიძულებდა, რომ არ შეეხედა გვამებისთვის. ოთახში თბილოდა, მაგრამ ტომს ძალიან სციოდა თავის ფლანელის პიჟამაში. ძალიან უნდოდა, ისევ აღმოჩენილიყო თავის თბილ საწოლში და გაეგონა მარკის და დედის მხიარული ხმები, რომლებიც სამზარეულოში ლაპარაკობდნენ. მერე გაიღვიძებდა და იფიქრებდა, რომ ეს ყველაფერი ცუდი სიზმარი იყო და მეტი არაფერი, რომ მისი სახლისკენ ახლა, სწორედ ამ წუთს არ მოჰქროდნენ პოლიციის მანქანები...

კარზე მაგრად დააკაკუნეს. ტომი დივანიდან ჩამოცოცდა და კარი გააღო. სამი მაღალი, პოლიციის ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი ოთახში შემოვიდა. მათ ჯერ ტომის შეხედეს, მერე გვამებს მიაშტერდნენ...

– შეხედე, ბიჭუნას მართალი უთქვამს...

მარკი სავარძელში იჯდა, ჩვეულებისამებრ, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მკვდარი იყო. თუმცა, მკვდარს ძალიან არ ჰგავდა... დედაც მკვდარი იყო... იატაკზე ეგდო, სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახის კარის ზღურბლზე. ერთი ჭიქა იმ ორიდან, რომელიც მას, ალბათ, ხელში ეჭირა, ნამსხვრევებად იყო ქცეული. მეორე – რაღაც სასწაულად გადარჩენილიყო და იქვე ეგდო. ტომის გაახსენდა, როგორ ამბობდა დედა, თუ ამ ქვის იატაკზე რამე დაეცემა, ის ველარ გადარჩებაო. აი, ჭიქა კი გადარჩა გატეხას...

ერთ-ერთი პოლიციელი ტომისთან მივიდა.

– შვილო, კარგად ხარ?

ტომიმ თავი დაუქნია.

– შეგიძლია, გვითხრა, ეს როგორ მოხდა?

ბიჭუნამ ისევ დაუქნია თავი. ლეიტენანტმა ბიჭი დივანზე დასვა და გვერდით მიუჯდა.

– შენ ყოჩაღი, ძლიერი და უშიშარი ბიჭი ხარ. მარტო იყავი?

– დიახ.

– რა გქვია?

– ვინი – უპასუხა ბიჭუნამ.

– პიჟამაზე რომ ტომია ამოქარგული? – გაეღიმა პოლიციელს.

– ტომის დედა მეძახდა. ისე კი, ვინი მქვია. მამამ ასე დამარქვა. პოლიცია მე გამოვიძახე. მამა რომ წავიდა ჩვენგან, მას მერე დედა ტომის მეძახის.

პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს.

– ესე იგი, ეს კაცი... რომელიც მოკლეს, მამაშენი არ არის?

## ბორდენ დილი

– არა. მამაჩემი ჩვენთან აღარ ცხოვრობს. ეს მარკია, დედაზე დაქორწინებას აპირებდა და ხშირად მოდიოდა ჩვენთან, საღამოობით.

– გვისმინე, ტომი, ეს კაცი მაშინაც მოდიოდა დედასთან, როცა მამა თქვენთან ცხოვრობდა?

– არა. მამა და დედა ჩხუბობდნენ ხოლმე და მერე მამა წავიდა. კვირაობით მოდის ხოლმე ჩემთან და ვინის მეძახის. შეგიძლიათ, დაურეკოთ და უთხრათ, რომ მოვიდეს?

სერჟანტმა ბიჭს თავზე დაადო ხელი.

– ჩვენ მას უკვე ვეძებთ, პატარავ და მალე მოვიყვანთ.

ტომიმ გაიღიმა. თუ მამა მალე მოვიდოდა, მაშინ ყველაფერი კარგად იყო. ახლა შეეძლო, გარდაცვლილებისთვისაც შეეხედა. ისე ხდებოდა, როგორც კინოში... პოლიციელებიც ისე მოძრაობდნენ და ლაპარაკობდნენ, როგორც ტელევიზორში...

– ბილი, – თქვა ლეიტენანტმა, – აი, როგორ იყო ყველაფერი. ვიღაც სასტუმრო ოთახში შემოვარდა და ორი ტყვია ესროლა სავარძელში მჯდარ ამ ტიპს. მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, უფრო გაუკვირდა, ვიდრე შეეშინდა... სროლის ხმაზე ქალიც შემოვარდა, რომელიც, სავარაუდოდ, სამზარეულოში სასმელს ამზადებდა... ვფიქრობ, მკვლელი უცხო არ იყო მათთვის. 32 კალიბრის რევოლვერიდან არის ნასროლი... ყოფილი ქმრის ალიბი უნდა გადავამოწმოთ.

... დედას არასოდეს მოსწონდა ტომის სურვილი, ეთამაშა მამის კაბინეტში. მაგრამ ბიჭი მაინც ახერხებდა იქ შესვლას. დიდი ტყავის სავარძელში აძრომას და თამბაქოს სუნით გაჟღენთილ ტყავზე მიხუტებას...

კიდევ, სიგარების ცარიელი კოლოფით თამაში უყვარდა. ეს მისი დიდი საიდუმლო იყო. ტომის ზოგჯერ სავარძელშიც ჩაეძინებოდა ხოლმე და ამაზე დედა ბრაზობდა...

ბიჭუნამ მხარზე ლეიტენანტის ხელის შეხება იგრძნო და ზემოთ აიხედა. ზორბა პოლიციელი თანაგრძნობით უღიმოდა.

– მამა მალე მოვა?

– მალე მოვა, პატარავ. ხომ კარგად ხარ?

ტომიმ თავი დაუქნია. არ უთქვამს, რომ შიშველი ფეხები მთლად გაეყინა.

– მითხარი, მარკი და დედაშენი ხშირად ჩხუბობდნენ?

– ძალიან იშვიათად და ისიც ჩემ გამო. მარკი ეუბნებოდა, გაუშვი და მამასთან იცხოვროსო. დედა ბრაზობდა, ჩემი შვილია და ჩემთან უნდა იყოსო. მამასაც ზუსტად ასევე ეჩხუბებოდა. მოსამართლემ მეც მკითხა, ვისთან გინდა ყოფნაო. ვუთხარი, – მამასთან-მეთქი, მაგრამ მაინც დედასთან დამტოვეს. მითხარით, მამაჩემს აქვს ალიბი?

პოლიციელებს გაეღიმათ. ლეიტენანტმა მრავალმნიშვნელოვნად გადააქნია თავი.

– გასაოცრად ჭკვიანი ბავშვია. აქვს, პატარავ, ალიბი მამაშენს... წვეულებაზე იყო და იქიდან აქეთ მოდის... აი, ისიც.

ოთახში მაღალი, სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა, გემოვნებით ჩაცმული ლამაზი ქალის თანხლებით. შეშფოთებული მივიდა ტომისთან და გულში ჩაიკრა. ბიჭუნა მიხვდა, ახლა შეეძლო, ეტირა კიდეც და აზლუქუნდა. კაცმა პოლიციელებს შეხედა.

– ეს ყველაფერი ჩემი შვილის თვალწინ მოხდა?

– სავარაუდოდ. პოლიციაში სწორედ ბიჭუნამ დარეკა.

– მკვლელი ვინ არის? გაქვთ ვერსია?

– ჯერჯერობით არანაირი. მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ვიპოვოთ.

– მე ჩემი შვილი აქედან ახლავე უნდა წავიყვანო, – მკაცრად თქვა კაცმა.

პოლიციელმა თავი დაუქნია.

– რა თქმა უნდა. მისმინეთ, იცით, რა ურთიერთობა ჰქონდა თქვენს ყოფილ მეუღლეს მარკ დენისთან?

– არა და არც მაინტერესებდა. მე ჩემი ცხოვრება მქონდა, – პირქუშად მიუგო კაცმა და შვილს მიუბრუნდა, – ვინ, წამოიღე შენი ნივთები და წამოდი. ამიერიდან სულ ჩვენთან იქნები. ჰო, მართლა, მოდი, მარტა გაგაცნო. ისიც ჩვენთან ერთად იცხოვრებს და შეიძლება, შენი ახალი დედიკოც გახდეს.

ბიჭუნამ ქვემოდან შეხედა მოღიმარ ლამაზმანს.

– მამა, თუ შენთან წამოვალ, უფლებას მომცემ, საიდუმლო მქონდეს?

– აუცილებლად. ბიჭებს ყოველთვის აქვთ საიდუმლო, – ღიმილით უთხრა მამამ.

– და... შეიძლება, ეს საიდუმლო თან წამოვიღო?

– კი. აუცილებლად. სწრაფად, პატარავ...

ტომიმ მეორე სართულის კიბე აირბინა და მამას ყოფილ კაბინეტში შევიდა. კარადაში, სულ ქვემო თაროზე სიგარების ძველი ლითონის კოლოფი იდო. ტომიმ ნელა ახადა თავი ყუთს და ხელი ჩაყო. თითები ფრთხილად შეეხო 32-კალიბრიანის ლულას... იარაღში ორი ტყვია კიდევ იდო... გაახსენდა, როგორ ეჭირა ორივე ხელით რევოლვერი და მარკის გაოგნებული სახეც დაუდგა თვალწინ. დედის სახე აღარ ახსოვდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ყველაფერი ზუსტად ისე გააკეთა, როგორც ტელევიზორში და ახლა, მამასთან იქნებოდა. სიგარების ყუთი იღლიაში ამოიჩარა და მტკიცე ნაბიჯით გამართა სასტუმრო ოთახისკენ. მამა უღიმოდა, მარტაც...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**დავეხმაროთ 3 წლის ლიზი ყაველაშვილს უმძიმესი სენის დამარცხებაში!**



3 წლის ლიზი ყაველაშვილს ექიმებმა მცირე მენჯის ღრუს სიმსივნის დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც მის ჯამრთელობასა და სიცოცხლეს უდიდეს საფრთხეს უქმნის.

ლიზის სიცოცხლის შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწრაფო ოპერაცია ისრაელში.

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლიზის მძიმე გასაჭირი და ერთად ვიზრუნოთ მისი ლამაზი სიცოცხლის გადასარჩენად.

**„მაგთი," „ბილაინი," „ჯეოსელი": 0901 70 00 84.**
**„საქართველოს ბანკი" GE40BG0000000774324900.**

# ქალური შურისძიება

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები" №1-17(696)

დათომ პაუზა გააკეთა, მაგრამ დიმიტრიმ ველარ მოითმინა:



– შენ რაღაც იცი და მიმალავ?

– არაფერიც არ ვიცი! რას უნდა გიმალავდე?

– აბა, რას მენამიოკები? გაფიცებ შვილებს, ყველაფერი მითხარი. ნუ გეშინია, არც გავაფრენ და არც გული გამისკდება. უბრალოდ, ყველაფერი უნდა ვიცოდე, რომ რაღაცეები გავითვალისწინო და შესაბამისად მოვიქცე.

– მართლა არაფერი არ ვიცი, შვილებს გეფიცები.

– აბა, რატომ მითხარი, ნანიტას არ უპატიებია, რაღაც სხვა აქვს ჩაფიქრებულიო?

– უბრალოდ, მე უკეთ ვიცნობ ქალის ფსიქოლოგიას. ასე თუ ისე, ოდლესაც ექიმი ვიყავი, თანაც, მესამედ შევირთე ცოლი და წინა ორმა საკმაო პრაქტიკა გამატარა. არ გახსოვს, პირველმა ცოლმა რა ნომრები ჩამიტარა?!

– მახსოვს, მაგრამ, ჩემი არ იყოს, არც შენ იყავი მასთან მართალი.

– ვიცი, რომ არ ვიყავი, მაგრამ, ახლა ჩემს ბრალეულობაზე ან სიმართლეზე არ გელაპარაკები.

– აბა, რაზე? – ვერ მიხვდა დიმიტრი.

– რაზე და, შეურაცხყოფილი ქალის შურისძიებაზე.

– სისულელეა ეგ ყველაფერი. თანაც, ნანიტა არ არის ეგეთი ქალი.

– როგორი „ეგეთი"? – ირონიულად ჰკითხა დათომ.

– როგორი და, ძიშოვკა შურისმაძიებელი.

– შენ უკვე მეორედ მეუბნები ამას და მეც, მგონი, უკვე გითხარი, მაგრამ, კიდევ ერთხელ გეტყვი: ნუ ენდობი ქალს, რომელსაც ახლახან აწყენინეს.

– ეს შენი დაგატკებია?

– ჩემი არა, გაცილებით უფრო ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანის, თანაც ისეთის, რომელმაც, როგორც ჩანს, საკუთარ ტყავზე გამოსცადა ნაწყენი ქალის არასანდოობა.

– ანუ, შენ ამტკიცებ, რომ ნანიტას შურისძიება აქვს ჩაფიქრებული?

– მე არაფერს არ ვამტკიცებ, მხოლოდ გაფრთხილებ, რომ ყურადღებით იყო.

– ყურადღებით? რაზე?

– რამ გამოგაშტერა, შე ჩემა, ვერ ხვდები, რასაც გეუბნები?

– დათკა, გეყო, რა! არ მინდა, გაწყენინო, მაგრამ, ნუ მიჩხიკინებ ნანიტას წინააღმდეგ, ძალიან გთხოვ. მე, შეიძლება, ბევრი მივქარე, მაგრამ, მასზე ცუდის თქმას შენც კი არ გაპატიებ! – გაბრაზდა დიმიტრი.

– აუ, შენ რა უკულმა გესმის ყველაფერი! მე ნანიტას წინააღმდეგ კი არ გალიზიანებ, უბრალოდ, გეუბნები, რომ ფრთხილად იყო. ყველა ქალი ქალია და წყენას არც ერთი არასდროს არ ივიწყებს, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგი სიცოცხლის ბოლომდე ამ წყენითა და ტკივილით ცხოვრობს, სამაგიეროს გადახდას ვერ ბედავს თუ არ კადრულობს და მერე მთელი ცხოვრება ნანობს ამას; ზოგი პირდაპირ, ნახადუ უხდის სამაგიეროს იმას, ვინც მას ტკივილი მიაყენა; ზოგი კი წინასწარ გეგმავს შურისძიებას და ამას ისე ვერაგულად აკეთებს, როგორც მხოლოდ ქალს შეუძლია.

– კარგი, აღარ მინდა შენი სიბრძნეების მოსმენა. წავედი, მეძინება.

– გაფიცებ, ხომ არ გაწყენინე?

– არა, მაგრამ, ძაან გაატრაკე.

– ესე იგი, გეწყინა.

– არა, შენს ძმობას გეფიცები, არ მწყენია, უბრალოდ, ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, უფრო გამისწორდებოდა, რომ გაგემხნევებინე და იმედი მოგეცა, ან, რამე ამდაგვარი გექნა.

– კარგი, ჰო, ბოდიში გიხდი. მართალი ხარ, ზედმეტი მომივიდა. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

– მართლა? თუ, ამას დასამშვიდებლად მეუბნები?

– მართლა.

– ჯიგარი ხარ. ასე არ ჯობია? მომენტალურად კარგ ხასიათზე დავდექი.

– აბა, დავაი, მაგრად იყავი. დიდი გამოცდა გაქვს ჩასაბარებელი და გაუძელი.

– ვეცდები. ახლა კი მართლა წავედი, თორემ, იმდენი ხანია, ვლაპარაკობთ, ტელეფონი ჩამადნა ხელში.

– ჭკუით იყავი, იცოდე. დაგირეკავ.

– კარგი. დროებით.

დიმიტრიმ ყურმილი გათიშა და ჩაფიქრდა. დათოს ბოლო სიტყვებმა ცოტა დაამშვიდა, მაგრამ გაურკვევლობის თუ დაძაბულობის შეგრძნება მაინც დარჩა, თუმცა, ამ დაძაბულობას რაღაცნაირი სიხარულის გრძნობაც ახლდა. დიმიტრიმ ვერ გაარკვია, ასეთ მძიმე და კრიტიკულ სიტუაციაში რას უნდა გამოეწვია ეს სიხარული. ამაზე დიდხანს იფიქრა და თავისთავისვე მოულოდნელი აღმოჩენა გააკეთა: ნანიტა უყვარდა, უყვარდა უფრო მეტად, ვიდრე თავიდან და ეს სიყვარული საოცარი ენერგიით მუხტავდა. ახლა მთავარი იყო, ცოლის ნდობა მოეპოვებინა, დაერწმუნებინა თავისი გრძნობის გულწრფელობაში, მონანიების გულწრფელ სურვილში და, დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართებოდა, როგორც ზღაპრებში ხდება – „და ცხოვრობდნენ დიდხანს და ბედნიერად". ამის გაფიქრებაზე კმაყოფილების ღიმილი გადაეფინა სახეზე, მაგრამ, რატომღაც, უცებ დათოს ირონიით აღსავსე ხმა ჩაესმა: „ნეტარ არიან მორწმუნენი"... – და ეს ხმა ისე აშკარად გაიგონა, თითქოს დათო მის გვერდზე იდგა და ყურში ჩასჩურჩულებდა. ამ ხმამ დიმიტრი შეაკრთო, ღრუბლებიდან მიწაზე დაანარცხა და მის რომანტიკულ ფიქრებს ბზარი გაუჩინა. უცებ აეშალა ნერვები. ადგა და წინ და უკან დაიწყო სიარული. ადგილს ველარ პოულობდა, გალიაში გამომწყვდეული ლომივით აწყდებოდა კედლებს. მერე დაჯდა და დაწვრილებით გაიხსენა ბოლო რამდენიმე დღის ყოველი წუთი. უსიამოვნო განწყობა დაეუფლა. ერთი შეხედვით, ნანიტას საქციელში არაფერი საეჭვო არ ჩანდა, მაგრამ, დათოს სიტყვებმა, როგორც ჩანს, მაინც იმოქმედა და დაადარაჯა, თუმცა, კონკრეტული დასკვნა ამ ყველაფრიდან მაინც ვერ გამოიტანა და, გადაწყვიტა, ხვალინდელ დღეს დალოდებოდა.

უცებ საშინელი მოთენთილობა იგრძნო. ისე დაიღალა ამ ორი დღის განმავლობაში ფიზიკურადაც და მორალურადაც, ფიქრის თავიც აღარ ჰქონდა. სხეულიც და ტვინიც დასვენებას სთხოვდა. ძლივს მივიდა მისაღებ ოთახამდე, დივანზე ტანსაცმლიანად მიეგდო და თვა-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.........................

მარიკა 599 24 28 31

ლები დახუჭა.

„ხვალ გავარკვევ ყველაფერს“... – ამის გაფიქრებაღა მოასწრო და მაშინვე ძალიან ღრმად ჩაეძინა.

***

დილით სამივეს ადრე გაეღვიძა. მზიამ, ჩვეულებისამებრ, ყველა პროცედურა ჩაუტარა თავის პაციენტს, წამლები დაალევინა და ასაუზმა, შემდეგ გიორგის გაუწყო საუზმე და თავისთვისაც დაისხა ყავა.

– მზია, მოდი, დაჯექი, ერთად ვისაუზმოთ, – შესთავაზა გიორგიმ.

– დიდი მადლობა, ბატონო გიორგი, მაგრამ, ჯერ ერთი, დილაობით ისედაც ვერაფერს ვჭამ, თანაც, ისე ვნერვიულობ, საერთოდ დამეკარგა მადა. ყავაც იმიტომ დავისხი, რომ ცოტა გონზე მომიყვანოს, თორემ, ამის დალევაც კი არ მინდა.

– რა განერვიულებს. ნუ გეშინია, ყველაფერს გავარკვევთ.

– ამჯერად იმაზე ვნერვიულობ, რა პასუხს შეგვატყობინებს ირაკლი ექიმი.

– ჰო, ბატონი ირაკლის ზარს მეც მოუთმენლად ველი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩვენს თხოვნას... – გიორგის სიტყვა მობილურის ზარმა შეაწყვეტინა. ნომერს დახედა და აღელვებულმა უპასუხა:

– გისმენთ, ბატონო ირაკლი! დილა მშვიდობისა!

– დილა მშვიდობისა. ძალიან ადრე ხომ არ მომიწია დარეკვა? – ჰკითხა პროფესორმა.

– არა, რას ბრძანებთ. შეიძლება ითქვას, არც კი გვიძინია, ისე ვნერვიულობდით. როგორ არის ჩვენი საქმე?

– გამომძიებელს წუხელ ველაპარაკე. მითხრა, რომ მზიას პაემანი იმ კაცთან გამორიცხულია, მაგრამ, ალბათ, მალე გამოუშვებენ და მერე შეგიძლიათ, პირადად ინახულოთ. მთავარია, ახლა...

– გამოუშვებენ?! – შეაწყვეტინა გიორგიმ, – მოხსნეს ბრალდება?

– წინასწარი ორთვიანი ვადა გავიდა, თან, როგორც ჩანს, რეალური მტკიცებულება არ არსებობდა.

– ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა? – გაუკვირდა გიორგის.

– სიმართლე გითხრათ, ნიუანსები არ გამომიკითხავს, რა და როგორ მოხდა, მაგრამ, სასამართლო შემდგარა და საპროცესოზე შეთანხმებულან.

– მერე? – უცებ ვერ მიხვდა გიორგი.

– მერე, იმ კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და კიდევ რაღაცრაღაცეების გათვალისწინებით, ხუთი ათასი ლარის გადახდა დააკისრეს...

– და, გაუშვებენ? – შეაწყვეტინა გაოცებულმა გიორგიმ.

– დიახ.

– კი მაგრამ, საიდან უნდა მოიტანოს იმ საცოდავმა ამხელა თანხა?

– ხომ გაგიგიათ, ქვეყანაზე კეთილი ადამიანი არ დაილევა.

– ანუ? – ისევ ვერ მიხვდა გიორგი.

– ანუ, გამოჩნდა ვიღაც პიროვნება, რომელმაც თანხის ნაწილი გადაიხადა. ახლა მთავარია, გამოჩნდეს მეორე გულჩვილი ჰუმანისტი, რომ ის ხუთი ათასი შეავსოს და ჩვენი ეჭვმიტანილი თავისუფალი იქნება, ოღონდ, ცხადია, პირობითი სასჯელით.

– თუ არავინ გამოჩნდა გულშემატკივარი?

– მაშინ, ალბათ, რაღაცას მიუსჯიან, ოღონდ, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამდენს.



– რამდენი აკლია სრულ თანხას?

– ორი ათასი ლარი.

– კარგი, ბატონო ირაკლი, აღარ გაგაცდენთ, – მცირეოდენი პაუზის შემდეგ თქვა გიორგიმ, – დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

– არაფრის, ჩემო კარგო. ნახვამდის.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – გიორგიმ ყურმილი გათიშა და ჩაფიქრდა.

მზია და დიმიტრი მიხვდნენ, პაემანი ველარ შედგებოდა, მაგრამ, ინტერესით კვდებოდნენ, გაეგოთ, რაზე ელაპარაკებოდა პროფესორი. გიორგის საუბრიდან კი მოჰკრეს ყური, გუგას გამოუშვებენო, მაგრამ, დაწვრილებით უნდოდათ შეეტყოთ ყველაფერი.

– ვის უშვებენ, გუგას? – ვერ მოითმინა მზიამ.

– რა? – ფიქრებიდან გამოერკვა გიორგი, – ჰო, უფრო სწორად, ჯერ არა, მაგრამ, შეიძლება, მალე გამოუშვან.

– „შეიძლება“ რას ნიშნავს? – იკითხა დიმიტრიმ.

– საპროცესოზე შეთანხმებულან და ხუთი ათასი უნდა გადაიხადოს. სამი ათასი ვიღაც უცნობს შეუტანია. თუ კიდევ ვინმე გამოჩნდა მოხალისე და დარჩენილი ორი ათასიც გადაიხადა, გაათავისუფლებენ.

– ერთი ნაძირალას გამოსაყვანად ერთმა სულელმა რომ გადაყარა ამდენი ფული, ისიც საკვირველია და, არა მგონია, მეორე სულელიც გამოჩნდეს – ეს უკვე მეტისმეტად ბევრი და, თანაც, დაუჯერებელი იქნება, – გაბრაზებით თქვა დიმიტრიმ.

– შენ რა, გეწყინება, რომ გამოუშვან? – მიუხვდა ძმა.

– რატომ უნდა გამიხარდეს?

– თუნდაც ადამიანური სოლიდარობის გამო.

– ვის უნდა გამოვუცხადო სოლიდარობა, კაცს, უფრო სწორად, ნაკაცარს, რომელიც რეანიმაციულ პალატაში შემოიპარა და ჩემს მოკვლას ცდილობდა? – აღშფოთდა დიმიტრი, – დიახაც, სულაც არ მეწყინება, მაგ მკვლელსა და ნარკომანს ბევრს თუ მიუსჯიან. თავის დანაშაულზე ყველამ თვითონ უნდა აგოს პასუხი!

მზია დაიძაბა. აშკარად არ ესიამოვნა დიმიტრის არც ტონი და არც სიტყვები. კიდევ ერთხელ დაინახა ნამდვილი დიმიტრი და, თავისთვისვე მოულოდნელად, თითქოს გული გაუცივდა მის მიმართ. რამე ზედმეტი რომ არ ეთქვა, ფანჯარასთან მივიდა და გამოაღო.

გიორგი გააღიზიანა დიმიტრის სიტყვებმა, მაგრამ, არაფერი უთხრა, მხოლოდ გაოცებულმა შეხედა. მერე რამდენიმე წამს კარგად დააკვირდა მის სახეს და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ თავისი ერთადერთი ძმა, რომელსაც მთელი ბავშვობისა და სიყმაწვილის განმავლობაში ძმობასაც უწევდა, მეგობრობასაც და ხშირად მამის მაგივრობასაც, რადგან მამა ადრე გარდაეცვალათ, მისთვის აბსოლუტურად უცხო ადამიანი იყო, უცხო და მიუღებელი. მაგრამ, მზიასგან განსხვავებით, გული კი არ გაუცივდა დიმიტრიზე, თავისდა გასაკვირად, პირიქით მოხდა – საშინლად შეებრალა როგორც ადამიანი, მერე მისი გაღიზიანება თანდათან გადავიდა თანაგრძნობაში და მზერაც შესაბამისი გაუხდა. დიმიტრიმ შენიშნა ეს ცვლილება და გამომცდელად ჰკითხა:

– ასე რატომ მიყურებ, ძალიან საცოდავად გამოვიყურები თუ ჩემი ჯანმრთელობის გაუარესებაზე გელაპარაკა ირაკლი ქებაზე?

– არც ერთი და არც მეორე, – დაფიქრებით უპასუხა გიორგიმ.

– აბა, რა ხდება?

გიორგიმ სახე ხელით მოისრისა და პასუ-

## იცხოვრო, ნიშნავს კვალი დატოვო...



ბატონ ოთარ კიკვაძეს – „ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების“ პიონერს, სამგზის მოლაშქრეს, სახალხო განათლების წარჩინებულ მოღვაწეს, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდს, თავმდაბალ, სამართლიან, უანგარო, კოლორიტულ პიროვნებას, საუკეთესო პროფესიონალს, რომელმაც შეძლო ცოდნის სურვილით აენთო მრავალრიცხოვან მოსწავლეთა გული და გონება, შეეყვარებინა მათთვის მშობლიური ქვეყნის წარსული ისტორია, პატრიოტული და მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით აღეზარდა მომავალი თაობა, ამასთან ჩვეული გულისხმიერებით შეესრულებინა წლების მანძილზე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში დირექტორის მოადგილის საპატიო და რთული მოვალეობა. ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, დაბადების 80 წლისთავს. ვუსურვებთ, კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით სავსე სიცოცხლეს საყვარელ შვილთან, შორენასთან და ძვირფას შვილიშვილთან – მარიამთან, უახლოეს ადამიანებთან და მეგობრებთან ერთად.

ბატონო ოთარ, გფარავდეთ და გაძლიერებდეთ უფლის მადლი!

**ლამარა ლეჟავა-გეგუჩაძე, ზაირა ჯიქია, მარინა უკლება**



ხი დააყოვნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ეთქვა თუ არა ის, რასაც ფიქრობდა. დიმიტრი მოლოდინით შეაცქერდა და უცბად აფორიაქდა, თითქოს იგრძნო, რომ რაღაც ძალიან არასასიამოვნოს გაიგონებდა.

– რა ხდება-მეთქი? – გაუმეორა შეკითხვა და ყველაზე უარესის მოსასმენად მოემზადა.

– უბრალოდ, დავფიქრდი. არ ვიცი, როგორ გითხრა ის, რაც მინდა, რომ გითხრა.

– რამ დაგაფიქრა?

– კარგი, გეტყვი ყველაფერს: რამ დამაფიქრა და, შენმა ტონმა და სიტყვებმა.

– რომელმა სიტყვებმა, გუგაზე რაც ვთქვი? – ირონიულად გაეღიმა დიმიტრის.

– მარტო მაგან არა.

– კი მაგრამ, რა ვთქვი ისეთი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება? – ისევ დაიძაბა დიმიტრი.

– გუგა მკვლელი არ არის, – გაბრაზებით თქვა გიორგიმ და ჯიბიდან სიგარეტი და სანთებელა ამოიღო.

– მაპატიეთ, ბატონო გიორგი, მაგრამ, აქ მოწევა არ შეიძლება, – მორიდებით მისცა შენიშვნა მზიამ.

– შენ რა, ძმის მკვლელს ამართლებ? ის ნაბიჭვარი ჩემს მოკვლას აპირებდა და მის მხარეზე ხარ? – გაცხარდა დიმიტრი.

გიორგიმ სიგარეტი და სანთებელა ისევ ჯიბეში ჩაიდო, ძმას მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა და ლამის უყვირა:

– გუგა მკვლელი არ არის-მეთქი!

– რადგან ვერ მოასწრო ჩემი მოკვლა, ამიტომ არ არის მკვლელი? – იყვირა დიმიტრიმაც, – ამ შემთხვევაში ფინალს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ის არის, რომ ჩემს მოსაკლავად შემოიპარა რეანიმაციაში და, ესე იგი, მკვლელია!

– არ მოსულა ის საცოდავი შენს მოსაკლავად, არა! – ხმას დაუწია გიორგიმ.

– აბა, რისთვის მოვიდა? – დიმიტრიმ, რატომღაც, მაშინვე დაიჯერა ძმის ნათქვამი.

– ამას ცოტა მოგვიანებით გეტყვი.

– ახლა რატომ არა?

– ახლა ის მინდა, გითხრა, რატომ დამაფიქრა წეღან შენმა ცინიკურმა მონოლოგმა.

– მაინც, რატომ? – ისევ ირონია გაერია ხმაში დიმიტრის, – რა ვთქვი არასწორი, ნაკაცარი არ არის თუ ნარკომანი?

– კარგი, მაიძულებ, რომ ყველაფერი გითხრა, რასაც ახლა შენზე ვფიქრობ. ისე, ჯობია, ეს შენი ძმისგან გაიგო, ვიდრე ვინმე სხვისგან...

– გისმენ, – დიმიტრიმ შუბლი მოისრისა და განაჩენის მოსასმენად მოემზადა.

გიორგი მიხვდა, რომ მისი ავადმყოფი ძმა ძალიან განერვიულდა და შეეშინდა, რამე არ დაემართოსო, ამიტომ, მზიას გახედა და თვალებით ჰკითხა, ვთქვა თუ არაო. ექთანი დაძაბული შესცქეროდა ძმების საკმაოდ დაძაბულ დიალოგს და ჩარევას ვერ ბედავდა. ახლა კი, რადგან თვითონ გიორგიმ ჰკითხა მზერით, როგორ მოვიქცეო, დრო იხელთა და თავისი პროფესიული მოვალეობა შეასრულა:

– ახლა არა, ბატონო გიორგი! ჩემი ავადმყოფი ისედაც ძალიან აღელვებულია და თქვენმა სიტყვებმა რამე გართულება არ გამოიწვიოს. ძალიან გთხოვთ...

– მზია, შენ გაჩუმდი, ნუ ერევი ჩვენს საქმეში! მითხრას, რისი თქმაც უნდა, ნუ გეშინია, არაფერი მომივა! – მკაცრად უთხრა დიმიტრიმ.

– პასუხს ვაგებ შენს ჯანმრთელობაზე, ბატონო დიმიტრი და, თვით ბატონ გიორგისაც კი ვერ მივცემ უფლებას...

– გოგო! – ყვირილით შეაწყვეტინა დიმიტრიმ, – რამდენჯერ უნდა გითხრა, გაჩუმდი-მეთქი! შენ ვინა ხარ, რომ ვინმეს რამის უფლება მისცე? დაეტიე შენს ადგილას და დადუმდი! – დიმიტრის არც კი შეუნიშნავს, როგორ აევსო თვალები ცრემლით ექთანს და ახლა ძმას მიუბრუნდა: – მითხარი, ნუ მზოგავ. თუ არ მეტყვი, უფრო ვინერვიულებ და, შეიძლება, მართლა ძალიან ცუდად გავხდე.

– კარგი, – უცებ გადაწყვიტა გიორგიმ, – ოღონდ, არ გეწყინოს. დავიწყებ იმით, რომ შენ თვითონ არ გაქვს არანაირი უფლება, ასე უყვირო ქალს, რომელიც ამდენი თვეა, გივლის და თან გყვება... მე მის ადგილას ერთ საათსაც აღარ გავჩერდებოდი შენთან. სხვა დროს სხვანაირად გაგცემდი პასუხს, ახლა კი მხოლოდ ერთს გეტყვი: თუ თუნდაც ერთხელ, ოდნავ უხეშად მაინც მოეპყრობი მზიას, პირობას გაძლევ, რომ საერთოდ ხელს ავიღებ შენზე. გამიგე?

დიმიტრი უცებ პატარა ბავშვივით გაწითლდა და დამნაშავის თვალებით გახედა ექთანს, რომელიც აბუზული იჯდა ფანჯარასთან და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. ეს რომ დაინახა, დიმიტრის უცებ საშინლად შეეშინდა, მართლა არ მიეტოვებინა ექთანს და ბოდიშის მოხდის ტონით თქვა:

– ჩემი მის მარპლი ამას არ იზამს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად უხეში და უტაქტო ვარ, იცის, რომ მის გარეშე მოვკვდები. თანაც, ჩვენ წინ დიდი დეტექტიური საქმეები გველის. ამიტომ, იძულებულია, მაპატიოს, არა, მზიკო?

მზიამ პასუხი არ გასცა და ოთახიდან გასვლა დააპირა, მაგრამ გიორგიმ შეაჩერა:

– არა, აქ იყავი. მინდა, შენც მოისმინო ის, რასაც ახლა ვეტყვი ჩემს ძმას, – და როცა ექთანმა მადლიერი თვალებით შეხედა თავის დამცველს, გიორგიმ მისი ხელი მოიქცია ხელისგულებში, თბილად შეხედა და ღიმილით უთხრა: – თუ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ იქნები.

– კარგი, დავრჩები, – ჩაილაპარაკა ნასიამოვნებმა გოგომ და სკამზე ჩამოჯდა.

– მაშ, ასე, რადგან თვითონ მოითხოვე, გეტყვი: შეიძლება, მართალიც იყავი, როცა გუგას ნარკომანი და ნაკაცარი უწოდე, მაგრამ, ოდესმე ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულხარ, ვისი ბრალია, ასეთი რომ გახდა?

– რა, ეგეც ჩემი ბრალია? – გაბრაზდა დიმიტრი.

– გუგა შენი ძმაკაცი იყო, თანაც, როგო-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ | | ლ |  | | | | | ს | ი | ნ | ო | პ | ე | |
| პ | ი | ც | ა | | | | | | ო | | ა | | ა | | ბ |
| | ს | | შ | | | | | ბ | ი | | გ | ე | ს | ლ | ი |
| ვ | ი | ლ | ა | | | | | | ა | ბ | ო | | პ | | შ |
| | ს | | რ | | | | | შ | | | ი | ვ | ა | რ | კ |
| რ | ი | მ | ე | | | | | ნ | ო | რ | ა | | რ | | კ |
| | პ | ე | ლ | ე | | ო | ნ | ო | რ | ე | | ა | ტ | ა | კ |
| ფ | ი | ნ | ა | ლ | ი | | ო | | უ | ბ | ე | დ | უ | რ | ი |
| | | ჯ | | ჩ | | მ | ე | გ | რ | ე | | ა | | ე | |
| პ | რ | ი | ზ | ი | | ა | | | ო | კ | ი | ნ | ა | ვ | ა |
| რ | | | მ | | ი | რ | ჟ | ი | | ა | ლ | ი | ლ | ა | დ |
| ა | რ | ტ | ა | დ | ნ | ო | | | პ | | ფ | | ო | | ი |
| დ | | ო | | | დ | | ა | ნ | ა | კ | ი | ლ | ტ | ი | ტ |
| ა | რ | ტ | ა | გ | ი | | გ | ე | მ | ა | | ე | ი | რ | ი |
| | ი | ე | კ | ო | | ტ | რ | ო | პ | ა | რ | ი | | ი | |
| კ | ა | მ | ო | რ | ა | | ა | ნ | ე | ს | | ლ | ა | ვ | ა |
| | ლ | ი | ს | ი | | ს | | ი | რ | ი | ს | ი | | ძ | |
| | ტ | | ტ | | ტ | უ | რ | | ს | | ი | | ი | | ი |
| რ | ო | ბ | ა | ი | | ბ | ა | დ | ი | ა | | ა | ნ | უ | რ |
| ო | | ე | | ლ | ა | ს | ი | | | რ | ა | მ | ა | ზ | ი |
| დ | ა | ნ | ტ | ე | | ი | ტ | ქ | ა | შ | | ი | რ | ა | ს |
| ე | | ი | | დ | ა | დ | ი | ა | ნ | ი | | ნ | ი | ნ | ა |
| ნ | ა | ნ | ტ | ი | | ი | | ლ | ი | ა | ნ | დ | ა | გ | ი |
| ი | | ი | | გ | რ | ა | ც | ი | ა | | კ | ი | | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 7 | 1 | 5 | 3 | 6 | 2 | 4 |
| 2 | 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 9 | 1 | 8 |
| 6 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 | 7 | 5 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 5 | 2 | 4 | 7 |
| 7 | 2 | 8 | 3 | 9 | 4 | 1 | 5 | 6 |
| 4 | 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 9 | 3 |
| 1 | 7 | 3 | 9 | 4 | 6 | 5 | 8 | 2 |
| 5 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 | 3 | 9 |
| 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 2 | 7 | 6 | 1 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 6 | 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 5 | 9 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 6 | 3 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 9 | 4 | 5 | 8 |
| 7 | 3 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 4 | 6 |
| 2 | 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 6 | 4 | 1 | 9 | 3 | 5 | 2 | 8 | 7 |
| 1 | 7 | 4 | 5 | 8 | 3 | 6 | 9 | 2 |
| 9 | 2 | 3 | 1 | 4 | 6 | 8 | 7 | 5 |
| 8 | 5 | 6 | 2 | 9 | 7 | 3 | 1 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მორზეს ანბანში ეს ოთხი ნოტი გამოხატავს V-ს – Victory-ს, ანუ – გამარჯვებას. 2. შენობებში დამონტაჟებული ინფრაწითელი ალმომჩენები ამ თბოიზოლატორში გამოწყობილ ადამიანებზე არ რეაგირებენ. 3. ლაო ცზი. 4. რეკვიემი. 5. საკონცენტრაციო ბანაკებისთვის კრემატორიუმების დამზადება. 6. ნიუ-იორკი – „დიდი ვაშლი“. 7. სპეციალურად უთავისუფლებდნენ კუჭს, რომ აღლუმის დროს არ „შერცხვენილიყვნენ“. 8. „ბიგ მაკი“. 9. „ვიცე-მეფეს”. 10. მეფისთვის დამალვა სირცხვილია.**



რც გავიგე, იმ პერიოდისთვის ერთადერთი შემორჩენილი ძმაკაცი – ყველა დანარჩენი თვითონვე ჩამოიშორე, ალბათ. ისიც გავიგე, როგორი ახალგაზრდა იყო – ნიჭიერი, წესიერი, პერსპექტიული, შენ კი...

– ჰო, კარგი, – დანებდა დიმიტრი, – მაგრამ...

– არავითარი „მაგრამ“, – შეაწყვეტინა გიორგიმ, – შენ წეღან თქვი, საკუთარ საქციელზე ყველამ უნდა აგოს პასუხიო და გეთანხმები კიდეც.

– ჰო, ვთქვი და, თუ გინდა, ახლაც გავიმეორებ.

– არა, გამეორება არ მინდა, უბრალოდ, მინდა, გკითხო: შენზე არ ვრცელდება ეს თეორია?

– ვერ გავიგე, რას გულისხმობ, – აირია დიმიტრი.

– ძალიან კარგად გაიგე, მაგრამ, მაინც დაგიკონკრეტებ: შენ თუ აგებ ხოლმე პასუხს საკუთარ საქციელზე? უფრო სწორად, ერთხელ მაინც თუ გაგიკეთებია ეს?

დიმიტრიმ თვალები დახუჭა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. გიორგი მოთმინებით ელოდა – აინტერესებდა, რას ეტყოდა ძმა ასეთი ბრალდების შემდეგ.

– შენ მართალი ხარ, – ჩუმად დაიწყო დიმიტრიმ, – მე რომ შეცდომები და ცოდვები ჩამიდენია, ათ კაცს ერთად არ ექნება ჩადენილი. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, ხედავ, რა მდგომარეობაში ვარ და აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – ეტყობა, ღმერთმა ყველაფერზე ერთბაშად მაგებინა პასუხი, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამაში ღმერთს გუგაც წაეხმარა.

– რა სისულელეს ამბობ, თუ გესმის? – აღშფოთდა გიორგი, – შენს მდგომარეობასთან გუგა რა შუაშია?

– ასე მალე დაგავიწყდა? დარწმუნებული ვარ, ის წერილი გუგამ გამომიგზავნა და იმიტომაც მომივიდა ავარია.

– ამაში კატეგორიულად არ გეთანხმები.

– შენ არც იმაში მეთანხმები, რომ გუგას ჩემი მოკვლა უნდოდა. მაშ, მითხარი, რისთვის მოვიდა საავადმყოფოში, ჩემი ბედი აღელვებდა?

– მე არ მითქვამს, შენი მდგომარეობა აღელვებდა-მეთქი.

– აბა, რა უნდოდა, მოვენატრე?

– არა, ნიშნის მოსაგებად მოვიდა.

– რა ნიშნის მოსაგებად? – ისევ ვერ მიხვდა დიმიტრი, – შენ გითხრა რამე?

– პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ, იქაც, საავადმყოფოში და, შემდეგ – დაკითხვაზეც, თურმე, ამბობდა, მინდოდა, თვალებში ჩამეხედა და მეთქვა, რომ ერთით ერთიაო.

– რა?! – გაუკვირდა დიმიტრის, – რა ერთით ერთიო, არ დაუკონკრეტებია?

– არა. რამდენჯერმე ჰკითხეს კიდეც, რას გულისხმობო, მაგრამ, განაცხადა ეს მხოლოდ მე და დიმიტრის გვეხება. თუ გადარჩა, მინდა, თვალებში შევხედო და მე თვითონ ვუთხრა, რომ ანგარიში გავათანაბრეო.

დიმიტრი გაოგნებული დარჩა. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ ისევ ის აზრი ამოუტივტივდა, რასაც მანამდე ფიქრობდა:

– ის წერილი ხომ არ იგულისხმა?

– არა, გამორიცხულია. ჩემი აზრით, რაღაც უფრო სერიოზულს გულისხმობდა, მაგრამ, რას, ვერაფრით ვერ დააცდენინეს.

– ახლა რას ვაპირებთ, ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ?

– რას გულისხმობ?

– ჩვენს გამოძიებას.

– გუგას ნახვა ჯერჯერობით გამორიცხულია.

– ამიტომ, დრო რომ მოვიგოთ, დანარჩენებს შევხვდები და დაველაპარაკები, – ძმების დიალოგში ჩაერთო მზია.

– ვინ დანარჩენებს? – დიმიტრის გაუხარდა მზიას ხმის გაგონება, რადგან, გულში მაინც შიშობდა, მზიამ მართლა არ მიმატოვოსო.

– შენს ყოფილ ცოლს, შვილებს და, შეიძლება, სხვებსაც.

– ვისგან დაიწყებ? – მაშინვე დაეთანხმა დიმიტრი.

– არ ვიცი. პრინციპში, მნიშვნელობა არ აქვს, შეიძლება, ჯერ თორნიკეს ან ნუცას შევხვდე.

– დღესვე?

– დღესვე არა მგონია, მოესწროს. დღეს დავურეკავ და, ალბათ, ხვალისთვის შევუთანხმდები. ტელეფონის ნომრები ხომ გაქვს?

– რა თქმა უნდა, მაქვს. ჩემი პიჯაკის შიდა ჯიბეში ბლოკნოტი მიდევს... თუმცა, ბლოკნოტი რად მინდა, მობილურში მაქვს ჩაწერილი. სად არის ჩემი ტელეფონი? – აწრიალდა დიმიტრი.

– მაშინ, ასე მოვიქცეთ, – წამოდგა გიორგი, – მე ახლა ერთ ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე უნდა გავიდე. თქვენ ტექნიკური მხარეები მოაგვარეთ და დანარჩენზე საღამოს ვილაპარაკოთ.

– დაგაგვიანდებათ? – მორიდებით ჰკითხა მზიამ.

– სიმართლე გითხრა, არ ვიცი. ჩემი აზრით, ორ-სამ საათში სახლში ვიქნები. თუ რამე შეიცვალა, დაგირეკავთ და შეგატყობინებთ.

– არ ითქმევა, რა საქმეზე მიდიხარ? – რატომღაც, დაეჭვებით იკითხა დიმიტრიმ.

– ჯერჯერობით არა. როცა საჭირო გახდება, გაიგებთ, – თქვა გიორგიმ, მზიას დაემშვიდობა და კარი გაიხურა.

***

სადარბაზოდან გავიდა თუ არა, გიორგი იქვე, სახლის წინ მდებარე ბანკის ფილიალში შევიდა და თავისი ანგარიშიდან ორი ათასი ლარი გამოიტანა. შემდეგ ირაკლი ქებაძეს დაურეკა და შეხვედრა სთხოვა. პროფესორმა უთხრა, თუ ახლავე მობრძანდებით, ერთი საათი დრო მაქვს და მიგიღებთო. გახარებულმა გიორგიმ მაშინვე გააჩერა ტაქსი და ათი წუთის შემდეგ უკვე საავადმყოფოში იყო.

– ხომ მშვიდობაა? – ჰკითხა პროფესორმა, ხელი ჩამოართვა და სავარძელი შესთავაზა.

– თითქმის.

– ეს როგორ გავიგო? ბატონი დიმიტრი ხომ კარგადაა?

– არა უშავს. ბატონო ირაკლი, მე ახლა სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით მოვედი თქვენთან. ვიცი, ძალიან შეგაწუხეთ ჩვენი პრობლემებით, მაგრამ, თქვენი დახმარება მჭირდება.

– ყურადღებით გისმენთ, – ქებაძემ მაცივრიდან „ბორჯომის“ ბოთლი გამოიღო და ორი ჭიქა შეავსო, – უფრო მაგარს ხომ არაფერს დალევთ?

– არა, დიდი მადლობა, „ბორჯომი“ ახლა ნამდვილად მისწრებაა გულის გასაგრილებლად. ბატონო ირაკლი, თქვენი მოთმინებით ბოროტად რომ არ ვისარგებლო, პირდაპირ გეტყვით, რატომაც მოვედი: გადავწყვიტე, ის ორი ათასი მე შევიტანო.

– რომელი ორი ათასი? – უცებ ვერ მიხვდა პროფესორი.

– გუგას საპროცესოს გადასახდელი. თქვენ ხომ თქვით, ვიღაც უცნობმა სამი ათასი შეიტანა და ორი ათასი კიდევ შესატანიაო. ჰოდა, მინდა, რომ ის დარჩენილი თანხა მე შევავსო.

– თქვენ რა შუაში ხართ? – გაუკვირდა და თან გაუხარდა ქებაძეს.

– მე უფრო ვარ შუაში, ვიდრე ნებისმიერი სხვა ვინმე. ასეა თუ ისე, იმ კაცის გაუბედურებაში ჩემი ძმაა დამნაშავე და, მინდა, ამით ნაწილობრივად მაინც შევუმსუბუქო ცოდვა.

– ნამდვილად კეთილშობილური საქციელია, – კმაყოფილებით აღნიშნა ექიმმა, – მაგრამ, ერთი რამ მაინტერესებს, თუ, რა თქმა უნდა, ასეთ ცნობისმოყვარეობას დიდ ცოდვად არ ჩამითვლით: ამის გაკეთება დიმიტრიმ დაგავალათ?

რაღაც მომენტში გიორგის უნდოდა ეთქვა, რომ ეს იყო დიმიტრის თხოვნა და დიმიტრის ფული, მაგრამ, ვერ იკადრა ძმის ავტორიტეტის ტყუილით გამოსწორება და გულახდილად უპასუხა:

– არა, ეს მე გადავწყვიტე, ასე უფრო სამართლიანი იქნება. თავიდანვე ვერ მოვიფიქრე, თორემ, წესით, მთელი თანხა მე უნდა შემეტანა. მაგრამ, როგორც ჩანს, სიკეთე მართლაც გადამდები ყოფილა.

– ყოველთვის არა, მაგრამ, საბედნიეროდ, ხშირად ნამდვილად ასეა, – დაეთანხმა პროფესორი.

– ბატონო ირაკლი, მეც არანაკლებად ცნობისმოყვარე ვარ და ამიტომ გეკითხებით: შეიძლება, გავიგო, ვინ არის ის კეთილი ადამიანი?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, – ცოტა დაბნეულად უპასუხა ქებაძემ და მერე მორიდებით ჰკითხა: – ბატონმა დიმიტრიმ იცის, რის გაკეთებასაც აპირებთ?

– ჯერჯერობით არა. თუმცა, არც ვიცი, ოდესმე ვეტყვი თუ არა – არ მინდა, მასთან დატრაბახებასავით გამომივიდეს ან ამით საკუთარ ძმას ჩემი „კარგი ბიჭობა“ დავუმტკიცო და ამით ნიშნი მოვუგო.

– ჰო, მართალი ბრძანდებით. მე რაში უნდა დაგეხმაროთ?

– ძალიან კი გაწუხებთ, მაგრამ, იქნებ იმ გამომძიებელს დაურეკოთ და სთხოვოთ, სულ ხუთი წუთით მიმიღოს, რომ დამაკვალიანოს, როგორ უნდა გადავრიცხო ეს თანხა.

– მაგაზე ნამდვილად არ დაგზარდებით, – ღიმილით უთხრა პროფესორმა, მობილურში გამომძიებლის ნომერი მოძებნა და ციფრები აკრიფა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-17(696)

### წუნარი სტიქია

ნატომ ყოყმანით შეხედა ქეთის, თითქოს მზერით ცდიდა და ზვერავდა მისი გულწრფელობის ხარისხს. ქეთი თითქოს მეგობრულად ულიმოდა და სწორედ ეს უჩენდა ეჭვს.

– იცი, ჩხუბი არ მინდა, – უთხრა მოლუშულმა.

– საერთოდ არ ვაპირებ ჩხუბს, მართლა. პირიქით, ძალიან მინდა, ჩვენ შორის მომხდარი გაუგებრობა აღმოიფხვრას.



– არანაირი გაუგებრობა არ გვქონია. შენ ველარ აიტანე ჩემთან მეგობრობა და ის სიმართლე, რაც გითხარი. საერთოდ არ დაინტერესდი, რატომ გითხარი – შენზე რომ გული შემტკიოდა, იმიტომ. თუმცა, ახლა ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს.

– პირიქით, უნდა ვილაპარაკოთ.

ნატომ მხრები აიჩეჩა:

– ვერ ვხდები, რა აზრი აქვს ჩვენს ლაპარაკს, მაგრამ, რადგან ასე დაჟინებით მოითხოვ, რა გაეწყობა.

ქეთის ბრაზი მოერია და ძლივს შეიკავა თავი, რამე უხეშად არ ეთქვა. ნატო ალბათ იმსახურებდა ამას, იმ აგრესიული და დამცინავი ტონისთვის, რომლითაც მიმართავდა, მაგრამ ლელას პატივისცემისა და იმ დაპირების გამო, რომელიც მას მისცა, ისევ მეგობრულად, ალერსიანადაც კი განაგრძო:

– იცი, რაშია საქმე? თუ ორივე ვაღიარებთ, რომ მართლები არ ვიყავით, ჩვენი ურთიერთობა ნორმალურ რეჟიმში გაგრძელდება. სულელები ვიქნებით, რომელიმემ ამ კონფლიქტის გამო აქედან წასვლა რომ გადავწყვიტოთ.

ნატომ დამცინავად შეხედა:

– ვინ გითხრა, რომ წასვლას ვაპირებდი? საიდან მოიტანე? ძალიან გადაჭარბებულად ხომ არ აფასებ შენს პერსონას? მშვენივრად შემიძლია, აქ ვიყო და ვიმუშაო ისე, რომ საერთოდ არ გამახსენდეს შენი არსებობა.

ქეთი ჭარხალივით გაწითლდა შეურაცხყოფისგან და ტუჩები აუკანკალდა.

– ეს უკვე მეტისმეტია. რამ დაგბოლმა ასე, რა დაგიშავე? თუ ის შეგშურდა, რომ მე ქმარი მყავს, რომელსაც არ დავშორდი, მართლა არ მცნობიხარ. არადა, სულ სხვანაირი წარმოდგენის ვიყავი შენზე.

– მეც სხვანაირი წარმოდგენა მქონდა შენზე, – მოურიდებლად მიახალა ნატომ, – ასე რომ, ბარი ბარში ვართ.

– ასე რატომ მელაპარაკები? – ლამის ატირდა ქეთი და ლელაც გამოვიდა ოთახიდან წარბშეკრული.

– იქნებ სამზარეულოში შესულიყავით, – პაციენტი მყავს და ყველაფერი ისმის ოთახში, უხერხულია.

– ჩვენ უკვე მოვრჩით ლაპარაკს, – აგდებით წარმოთქვა ნატომ, – ქეთი, ალბათ, წავა კიდეც.

– შენ ჩემ მაგივრად გადაწყვეტილებებს ნუ იღებ, – გაღიზიანდა ქეთი.

– შედით ორივე სამზარეულოში და მეც მალე მოვალ. თუ მანამდე ერთმანეთს არ დახოცავთ, ძალიან დამავალებთ, – მკაცრად თქვა ლელამ და ქეთის ისე გაუღიმა გამამხნევებლად, ნატოს რომ არ შეემჩნია. ამით მიახვედრა, მე შენ მხარეს ვარო...

***

გიგი შეფარვით ადევნებდა თვალს თიკოს. ძლივს დაითანხმა სამსახურში წასვლაზე და ახლა აკვირდებოდა. თავადაც არ სჯეროდა, რომ გოგომ ღამე მის სახლში გაათენა. დილით მშრალი ფრაზით დააკმაყოფილა დედის მწველი ცნობისმოყვარეობა – ყველაფერს საღამოს აგიხსნიო და სახლიდან გამოვიდნენ. გზაში თიკომ ცოტა წაიწუწუნა – საშინლად მოუწესრიგებელი ვარ, ასე სამსახურში როგორ ვიყოო, მაგრამ მერე საერთოდ გაჩუმდა და ოფისამდე ხმა აღარ ამოუღია. კომპიუტერთან მოჯახირე თიკოს ყურება ნამდვილად არ იყო დიდი სიამოვნება, მაგრამ ბიჭს მაინც გაურბოდა მისკენ თვალი.

– გეყოფა! – მობეზრდა თიკოს მისი თვალთვალი, – შედი და იმუშავე, რას დამდგომიხარ თავზე?

– ლამაზი ხარ, იცი? – თქვა უცებ გიგიმ.

თიკოს თვალები გაუფართოვდა განცვიფრებისგან.

– შენ რა, კიდევ დალიე სადმე?

– მე? არა, ტო... სად უნდა დამელია? ერთად არ ვიყავით?

გოგომ ტუჩებზე მიიფარა ხელისგული და დამფრთხალმა მიიხედ-მოიხედა.

– შემიყარე ახლა ქვეყანა! ნუ ვილაპარაკებთ, რა, გუშინდელზე, ხომ გთხოვე?

– გუშინ არაფერი მომხდარა და რატომ ღელავ? – მხრები აიჩეჩა გიგიმ.

– მით უმეტეს, რომ არაფერი მომხდარა. იყავი შენთვის. ნუ მოსდებ მთელ ოფისს, რომ წუხელ დავთვერი და იძულებული გახდი, შენთან წაგეყვანე.

– კარგი.

– „კარგი” რას ნიშნავს, ზუკასაც არ ეტყვი? – ჩააცივდა თიკო.

– არც ზუკას და არც ვახოს, შეგიძლია, მშვიდად იყო. ისე, რატომ ვერ ვამჩნევდი, ასეთი ლამაზი თუ იყავი?

– გეყოფა. ისევ აგრძელებ? არ მინდა, არ მომწონს, ასე რომ მეხუმრები.

– კარგი, ბატონო. მე არ ვხუმრობდი, მაგრამ, მაინც გავჩუმდები.

– ყველანი ერთნაირები ხართ, – ამოიოხრა თიკომ, – ყველანი, განურჩევლად.

– შეგეშვები. შაბათს ივენთზე ერთად წასვლა ძალაშია და არ გადაიფიქრო, იცოდე. ჰა, ასე რატომ მიყურებ. უარი უნდა მითხრა?

– იქ ხომ ნინიც იქნება... – ყოყმანით თქვა თიკომ, – ცეცხლზე ნავთს დავუსხამთ, ერთად რომ დაგვინახავს.

– მგონი, პირიქით, მიხვდება, რომ მხოლოდ თანამშრომლები ვართ და ჩვენ შორის არაფერი ხდება.

– ჰმ, რა ადვილად გგონია ყველაფერი, – ტუჩი აიბზუა თიკომ, – მერე, ნინი დაიჯერებს ამას?

– დავაჯერებ, – დარწმუნებით ჩაილაპარაკა გიგიმ.

– ჯერ თავად დაიჯერე ეგ, რომ მერე ნინიც დაარწმუნო. გუშინ არ ამბობდი, მორჩა, ეგ გოგო სამუდამოდ დავკარგეო?

– მერე რა, რომ ვამბოდი, იმედი ხომ ბოლოს კვდება.

– იმედსაც გააჩნია, – მრავალმნიშვნელოვნად თქვა თიკომ, – ანუ, აღიარებ, რომ გიყვარს?

– შენ თუ ამას სიყვარულს ეძახი, ეგრეა.

– „სიყვარულს ეძახი“ რა შუაშია? ეტყობა, ეგრე ელაპარაკებოდი ხოლმე ნინის და იმიტომაც დაგშორდა.

– იმიტომ დამშორდა, რომ მისი ცოლად მოყვანა გადავავადე.

– თუ არ მოინდომე? – გამომცდელად მოჭუტა თვალები გოგომ.

– აუუ, რანაირები ხართ ეს ქალები! გაგონილა, კაცს დააძალო, ცოლად შემირთეო?

– გიგი, დაფიქრდი, რას ლაპარაკობ? თქვენ ხომ გინდოდათ, ერთად ყოფნა? კარგი, ნინის დავანებოთ თავი, შენ ხომ გინდოდა?!

– მინდოდა და ვიყავით კიდეც ერთად. რა აუცილებელი იყო შტამპი პასპორტში და საქორწინო ცერემონიალი? ეს რას შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობაში, ამიხსენი!

– შენ თვითონ ვერ ხვდები?

– ვერა.

– ისემც შენ რა გითხარი. მაგრამ, გეტყვი: ქალებს გვიყვარს სტაბილურობა და ის, რომ კაცები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ჩვენთან ურთიერთობას. ახლა გაიგე?

გიგიმ თავი გააქნია.


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

– ნუ თამაშობ და ნუ ცდილობ, თავი შემაცოდო.

– არც მიფიქრია. გულწრფელად მაინტერესებს, ასე რატომ გიჟდებით ქალები გათხოვებაზე?

– მაშინ, ჯერ მეც გკითხავ და მერე გიპასუხებ.

– მიდი, – დაეთანხმა გიგი. წინ დაუჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო.

– ოღონდ, ყოველგვარი ცინიზმისა და ირონიის გარეშე მიპასუხე.

– გპირდები. ხომ არ დავიფიცო?

– აჰა, დაიწყე უკვე?

– კარგი, კარგი, გეხუმრე, – ხელები გაასავსავა გიგიმ და ორი თითით ყელიც გამოიწია, – მკითხე და გიპასუხებ.

– შენ ნინი გიყვარდა, მასთან იყავი და უარს მაინც არ ამბობდი სხვა ქალებთან ურთიერთობაზე... როგორ ურთიერთობას ვგულისხმობ, ხვდები, ალბათ...

– ნუ, ურთიერთობის სურვილი დანაშაული არ არის.

– მე მოსამართლე არა ვარ და კითხვას პირდაპირ უპასუხე, თემას ნუ ცვლი.

– არ ვცვლი, არა... გოგო, ტორტი რომ გედოს წინ, ხაჭაპურისკენ თვალი არ გაგექცევა?

– თვალი თუ ხელი? – შეუბრალებლად ჩააცივდა თიკო.

– ზოგჯერ ორივე, – აღიარა გიგიმ, – მაგრამ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

– ოი, ოი! აი, რატომ არ გინდოდა ნინის ცოლად შერთვა.

– ჰო, რატომ?

– იმიტომ, რომ თავისუფლად გეშლიგინა ნაშებში. ვოტ! ეს არის რეალობა და ნუღარ კითხულობ მიზეზს, რატომ მიგატოვა ნინიმ.

– ჯერ ერთი, იმას არ მივუტოვებივარ, ორმხრივი შეთანხმება იყო, – თავი გამოიდო გიგიმ.

– არ გინდა, გამოტყდე, რომ ნინის ყელში ამოუვიდა შენი თავქარიანობა და უპასუხისმგებლობა და „დაგადო“.

– თიკო, „დაგადო“ რა სიტყვაა, სად ისწავლე ასეთი მდაბიო ენით ლაპარაკი? – ყასიდად შეიცხადა გიგიმ, – გირჩევნია, მიპასუხო იმაზე, რაც გკითხე: რატომ გიჟდებით ქალები გათხოვებაზე.

– რა მეტყობა, რომ გათხოვებაზე ვგიჟდები? – კითხვა შეუბრუნა თიკომ.

– სავარაუდოდ, შენც ეგრე დაგემართება, თუკი ვინმე შეგიყვარდება.

– აი, შენნაირზე რომ გათხოვება არ მომინდებოდა. ეგ ზუსტად ვიცი.

– ეჰ, თიკო, შენც ჩვეულებრივი ქალი ხარ.

– ისევე, როგორც შენ ხარ ჩვეულებრივი კაცი, – გამოაჯავრა თიკომ, – ნინის ადგილას მე არ შეგირიგდებოდი.

– ვითომ? მე განსაკუთრებული ვარ, – გაიცინა გიგიმ, – ჩემი დავიწყება ადვილი არ არის.

– ეგოისტი ხარ. ვითომ ნინიზე დარდობ, სინამდვილეში კი ლამის მეც დამიწყე შებმა.

– მე გაბამდი, გოგო? აუ! ერთი შენნაირი მოწმე კიდევ და დაღუპული ვარ. ლამაზი ხარმეთქი, რომ გითხარი, ეგ იგულისხმე?

– რა ვიცი, რა ვიცი... მოკლედ, მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ ღირს შენთვის წვალება.

– წვალება? ამით რისი თქმა გინდა?

– დაგეხმარებოდი ნინისთან შერიგებაში, მაგრამ, ღირს? რატომ ჩავდგა ფეხი ნინის ცოდვაში? შენ ისევ არ ხარ მზად ოჯახის შესაქმნელად.

გიგიმ ამოიოხრა:

– ეჰ, მგონი მზად ვარ.

– რა იცი?

– გოგო, წუხელ მშვენიერი ქალი მყავდი გვერდით და ცდუნების წინაშეც კი ვმდგარვარ. მეტი მტკიცებულება რაღა გინდა, – ხელები თეატრალურად გაშალა გიგიმ.

თიკომ ველარ მოითმინა და გამეტებით წამოსცხო კეფაში...

***

თომამ გამომცდელი მზერა შეავლო გაფითრებულ ნინის და პიჯაკი ჩამოართვა.

– რას შეჭამ? თუ, ჯერ დავლიოთ რამე?

– დავლიოთ. მარტინი შეუკვეთე ჩემთვის, ლიმონი და ზეთისხილი.

– საჭმელი? ნახე მენიუ. აქ ისეთ კერძებს ამზადებენ, შენ რომ მოგწონს.

– რაღაც, არა ვარ ჭამის გუნებაზე. საერთოდ არ მშია.

თომას ისევ არ მოეწონა ნინის დაღვრემილი მზერა და უხალისო იერი.

– რატომ არ გინდოდა ჩემთან შეხვედრა? – ჰკითხა და პასუხის მოლოდინში გული შეუქანდა.

– მინდოდა, მაგრამ, ძალიან დავიღალე და, ვიფიქრე, სახლში წავალ, ცოტას დავისვენებმეთქი.

– იცი, მთელი დღე გადევნებდი თვალს სამსახურში... არ მომწონხარ, ნინი. რამე მოხდა?

– არაფერი. რა უნდა მომხდარიყო? დავიღალე, სულ ეს არის.

– გუშინაც მინდოდა, ერთად გაგვესეირნა სადმე და რაღაც მოიმიზეზე, – განაგრძო თომამ.

ნინი გააღიზიანა ბიჭის დაკითხვასავით ჩაციებამ.

– „რაღაც მოვიმიზეზე” რას ნიშნავს? ხომ გითხარი, მე და ლიზა საყიდლებზე ვიყავით. მერე საერთოდაც მასთან დავრჩი.

– ლიზასთან დარჩი? მის სახლში?

– ჰო, რა არის ამაში განსაკუთრებული?

– კი მაგრამ, ლიზას ქმარი არ ჰყავს?

– მერე რა, რომ ჰყავს. ერთ ოთახში კი არ ცხოვრობენ. მშვენიერი უზარმაზარი ბინა აქვს. მეზარებოდა სახლში „მარშრუტკით“ წასვლა და დავრჩი.

– დაგერეკა და მოგაკითხავდი.

– შენ ჩემი ქმარი არ ხარ, რომ ანგარიშები გაბარო ან შეგითანხმო, სად ვარ და რას ვაკეთებ, – იფეთქა ნინიმ.

– ნინი, რა მოგივიდა, რატომ ბრაზობ? ქმრობა რა შუაშია. მხოლოდ მეგობრებიც რომ ვიყოთ, მაინც მოვიდოდი და წაგიყვანდი. თუმცა, იმედი მაქვს, რომ მეგობარზე ცოტა მეტიც ვარ.



– მაშინ, დაკითხვას ნუ მიწყობ.

– კარგი, აღარაფერს გკითხავ, ოღონდ, ჩემი ეჭვი, რომ რაღაცამ გაგაღიზიანა, საფუძველს მოკლებული არ არის.

– ჰო, ცოტა ვერ ვარ გუნებაზე. თუმცა, არაფერი მომხდარა. ეტყობა, გადავიღალე.

– ავიღოთ შვებულება და გავიდეთ ქალაქიდან.

– ბარემ, ხომ არ დავქორწინდეთ და საქორწინო მოგზაურობაში წავიდეთ? – ისევ წამოენთო ნინი და მარტინი მოსვა, – მე თუ მკითხავ, შენთან მოხდა რაღაც. პირდაპირ, მაიძულებ, ცოლად გამოგყვე.

– რას ამბობ? უსაფუძვლო ბრალდებაა. მინდა, რომ ჩემი ცოლი გახდე, მაგრამ როგორ დაგაძალებ ამას, რა უფლება მაქვს? თუ გახსოვს, მე არც ჩემი სიყვარული შემომიხვევია შენთვის თავზე. რაღაც კეთილგანწყობა რომ არ დამენახა, საერთოდ არ ამოვიღებდი ხმას. იცი, რას ვფიქრობ? ლიზა შენზე ცუდ გავლენას ახდენს.

– შენ ეგ ერთხელ უკვე მითხარი და მაშინ გაგაფრთხილე, აღარ გაგემეორებინა. ლიზას რას ერჩი?

– არ მოვწონვარ.

– მე უნდა მომწონდე და არა ლიზას, რით ვერ გაიგე?

– ჰო. შენ უნდა მოგწონდე, ვიცი. რა მოხდა, ნანობ, რომ შენთან სიახლოვის უფლება მომეცი?

ნინიმ საყვედურით შეხედა მუდარით მომზირალ ბიჭს და ამოიოხრა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალით დაიწყეთ სტივ უანდერის თავის ხატვა



2. მიახატეთ ცხვირი



3. მიახატეთ სათვალე



4. მიახატეთ პირი და ულვაში



5. შემდეგ – კბილები



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## დაეხმარე გზის გაკვლევაში



## რამდენი გოჭია ნახატზე



# უვიცი ექიმი

## (იგავ-არაკი)

ერთხელ კაცი ავად გახდა. ექიმები ეუბნებოდნენ, საშიში არა გჭირს რა, ოღონდ, კიდევ კარგა ხანს უნდა იწვეო. ერთი უვიცი მკურნალი იყო, ავადმყოფს დაუჩემა:

– სიკვდილისთვის მოემზადე, ხვალამდე ვერ გააღწევო, – და წავიდა.

გავიდა ხანი. ფერმიხდილმა და ქანცგამოლეულმა ავადმყოფმა მოიხედა. ერთხელ გზად იმ მკურნალს შეეყარა, სიკვდილი რომ გადაუწყვიტა.

– გამარჯობა, ძმობილო, – მიესალმა ექიმი, – როგორ არიან საიქიოში?

– ძალიან კარგად. დღენიადაგ ნეტარების წყაროსა სვამენ. ეს ერთი ხანია, სიკვდილი და ჰადესი ექიმებს ემუქრებიან, ავადმყოფებს სიკვდილში ხელს უშლიან, საიქიოს ნეტარცხონებას აკლებენო. შავ სიაში შენი შეტანაც უნდოდათ, მაგრამ მათ წინ დავემხე და ვემუდარე: გეფიცებით, ამ კაცს ექიმობის არა სცხია რა, ეს ბოროტმა ენებმა მოუგონეს-მეთქი, – უთხრა ავადმყოფმა.

არაკი უვიცსა და მოლაყბე ექიმებს ამხელს.

## რიცხვრებუსი

6, , , , , , 3 , , 3



# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-17(696)

მე და ბერძენა ჯემალას სახლის წინ, მანქანაში ვისხედით. ჩიპოც იქვე იმყოფებოდა ტელეფონ-ავტომატში. ლაპარაკს რომ მორჩა, შემოგვიერთდა და გვითხრა:

– მალე ბაითი ცარიელი იქნება.

– ათიოდე წუთის შემდეგ სახლიდან დიანა გამოვიდა და დაღმართზე დაეშვა. ჩიპო მანქანაში დარჩა, მე და ბერძენა კი ბაითში შევედით და ოცი წუთის შემდეგ დიდი კუშით გამოვედით.

– რა ქენით? – გვკითხა ჩიპომ.

– ზუსტად ასი ათასია, – მიუგო ბერძენამ, – წავედით.

ჩიპო მოპარული მანქანის საჭეს უჯდა. მან ნელა დაძრა ის ადგილიდან და დაღმართზე დაეშვა. ბედის ირონიით, საპირისპირო მიმართულებით წითელი „ჟიგული“ მოდიოდა, რომელსაც თბილისის მილიციის სამმართველოს ნომრები ეკეთა. ბერძენამ პირველმა შენიშნა ნომრები და თქვა:

– „ძაღლები“!

– მშვიდად, ჩიპო, – ვთქვი მე, – აუღელვებლად იმოძრავე და, იქნებ, გადავრჩეთ. გაჩერება თუ მოგვთხოვეს, მხოლოდ მაშინ მოწყვიტე ადგილიდან.

სამმართველოს „ძაღლები“ რისი „ძაღლები“ იქნებოდნენ, ღამით საეჭვო მანქანა რომ არ გაეჩერებინათ. ამიტომ, მანქანა გააჩერეს, იქიდან ერთი ოპერი გადმოვიდა და ხელით გვანიშნა, გაჩერდიო. ჩიპომ სვლა შეანელა, ვითომ ჩერდებოდა, შემდეგ სიჩქარე გამოცვალა, მოპარული მანქანა ადგილიდან მოწყვიტა და ვიწრო ქუჩებში გაუჩინარდა. სამმარველოს ოპერები კუდზე დაგვასხდნენ, მაგრამ ჩიპო მაგარი „რული“ იყო და მილიციელებს გაექცა. შემდეგ მანქანა ერთ ვიწრო ჩიხში შეაყენა და თქვა:

– ჩქარა, გადავედით! აქედან მეტრომდე მივალთ და ძაღლებს მოვუტყდებით.

ჩიპომ მშვიდობიანად მიგვიყვანა მეტრომდე. იქ კი სათითაოდ შევედით, ვითომ ერთად არ ვიყავით და ერთი გაჩერების შემდეგ, ლენინის მოედანზე ჩამოვედით. ფული ბერძენას ჰქონდა, ამიტომ ის შუაში მოვაქციეთ – წინ მე მივდიოდი, უკან კი ჩიპო. საშიშროების შემთხვევაში, ბერძენას ჩიპოსთვის უნდა მიეცა



ფული და ის უნდა გაქცეულიყო. მაგრამ, ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ბერძენას სახლში ყოველგვარი ექსცესების გარეშე მივედით. როგორც კი ბინაში ფეხი შევდგით, ტელეფონმა დარეკა. ბერძენამ ყურმილი აიღო და უპასუხა:

– გისმენთ!

– ბესო ვარ, ნატოს სთხოვეთ.

– სხვაგან მოხვდი, გენაცვალე, – მიუგო ბერძენამ, ყურმილი დაკიდა და გვითხრა:

– ბესო იყო.

„ნატოს სთხოვეთ“ პაროლი იყო და იმას ნიშნავდა, რომ ბესოსთან, ანუ ნაკოლშჩიკთან, ყველაფერი სუფთად იყო. ბერძენას პასუხი – „სხვაგან მოხვდითო“ კი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენთანაც ყველაფერი კარგად იყო. მართლაც, არავის გაუგია, რომ ჯემალას ბაითი ჩვენ „დავბომბეთ“, რადგან, მილიციისთვის ეს ამბავი ბინის პატრონს არ უცნობებია – მას, უბრალოდ, არ აწყობდა ეს. თუმცა, ეგრეთ წოდებული "შიდა გამოძიება“ მაინც ჩაატარა ჯემალამ და, როგორც მე ვვარაუდობდი, დიანამ ქმარს უთხრა:

– ვიღაცამ დამირეკა და მითხრა, ჯემალა ავარიაში მოყვა და დილამში, რკინიგზის საავადმყოფოში წევსო. რა უნდა მექნა, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე და შენს სანახავად გამოვვარდი.

– ფუი, მაგათი დედაც... – შეუგინია ჯემალას, – პროფესიონალების ნაჩალიჩევია, მაგრამ, ნაკოლი ვინ მისცა?

– თვითონ ნაკოლი არა ხარ? – აღშფოთებულა დიანა, – სამ-სამი ვიდეო რომ გაქვს ორას-ორას მანეთად გაქირავებული და, ექვსი თვეა, დღედაღამ მაყუთს ღუნავ, მთელმა თბილისმა იცის. ვიღაც ჭკვიანმა კი ეს კარგად დაიანგარიშა და იჩალიჩა.

– მართალი ხარ, მართალი... – ხელი ჩაუქნევია ჯემალას.

ეს დიალოგი ჩვენ ბესომ მოგვიყვა, ბესოს კი – მისმა საყვარელმა, რომელმაც ჰკითხა:

– შენ ხომ არ იჩალიჩე?

– მე?! – შეიცხადა თურმე ბესომ და ხმას აუწია, – ჯერ ერთი, მე რა ვიცოდი, სახლში ამდენი ფული თუ გქონდათ, მეორეც, რომელი ქურდი და მამაძაღლი მე მნახე? ჩემი ფეხი აღარ იქნება შენთან!

– კარგი, კარგი, ისე გითხარი, რატომ ავარდი? – უთქვამს დიანას ბესოსთვის და მიალერსებია...

ეს ამბავი ბესომ ორი კვირის შემდეგ მოგვიყვა. სწორედ მაშინ, როცა ბერძენასთან თავისი პოლნი წილის წასაღებად მოვიდა.

– აი, ძმაო, შენი ოცდახუთი ათასი, ალალი იყოს, – უთხრა ბესოს ბერძენამ და ფული მისცა.

ბესომ თავისი წილი პლაშჩის სხვადასხვა ჯიბეში ჩაილაგა და წასასვლელად გაემზადა. ამ დროს ზარმა დარეკა. ჩვენი ერთი უბნელი ბიჭი „ბარიგა თამარასთან“ გვყავდა გაგზავნილი, რომელსაც ერთი ბლოკი „მარლბორო“ უნდა მოეტანა და ის გვეგონა. ბერძენა კარის გასაღებად გავიდა და, რომ გააღო, ქალის ხმა შემოგვესმა:

– ბესოს ვეძებ!

ბესო ჩემ წინ იდგა, ქალის ხმის გაგონებაზე გაფითრდა და ყბა აუკანკალდა. ბერძენამ კი ქალს უთხრა:

– ბინა შეგეშალათ, ქალბატონო. აქ ბესო არ ცხოვრობს.

უცებ ბრაგუნი და ფეხის ხმა გაისმა, რასაც ბერძენას გინება და კარის მოჯახუნება დაერთო თან. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ქალს ხელი უკრავს ბერძენასთვის და წაუქცევია, თავად კი სასტუმრო ოთახში შემოკაკუნდა და გასაქცევად გამზადებულ ბესოს უთხრა:

– ყველაფერი ვიცი, შე დამპალო! გეგონა, ხელიდან დამისხლტებოდი?

– რა ყველაფერი იცი, დიანა? – ხმის კანკალით მიუგო ბესომ.

– ჩუმად, შე მოღალატევ! – კიდევ უფრო აუწია ხმას დიანამ. ამ დროს ოთახში ბერძენა შემოვარდა, რომელმაც ქალს შეუბღვირა და რაღაცის თქმა დააპირა, დიანამ კი თითი დაუქნია მას და მტკიცედ უთხრა:

– შენი ხმა არ გავიგო! – შემდეგ ისევ ბესოს მიუბრუნდა: – გეგონა, მომატყუებდი? ეგრევე მივხვდი, რომ ნაკოლშჩიკი შენ იყავი. ამათმა კი, – დიანამ ჩვენზე მიუთითა და დაამატა, – შეასრულეს.

– რას ამბობ, არ მესმის, – თქვა ბესომ. დიანა კი მასთან მიიჭრა, შეაჯანჯღარა, პლაშჩიდან გადმოვარდნილი ფულის დასტას დასწვდა, ბესოს სახესთან მიუტანა და უთხრა: – შენი აზრით, ეს რა არის, პატიოსანი შრომით მოპოვებული ფული, ხომ?! ეს ჯემალას ფულია. სულელი ხარ, სულელი და მოღალატე. ხომ მოვილაპარაკეთ, რომ ერთად წავსულიყავით რუსეთში? ამ ფულსაც წამოვიღებდი და სულ ჩვენი არ იქნებოდა?

– ჰოდა, წავალთ კიდეც. ეს ფულიც გვეყოფა, – უთხრა ბესომ დიანას, რომელიც მოლბა და თავის კუროს უთხრა:

– სულელო, რომ არ მიყვარდე, იცი, რას გიზამდი?

– რას?

– დაგბრიდავდი.

– დიანა-ჯან, აქ როგორ მომაგენი?

– ორი კვირაა, გითვალთვალებ. შენ მე რამეს გამომაპარებ? – თქვა დიანამ და ბერძენას მიუბრუნდა: – იზვინი, ძმაო, ხელი რომ გკარი და წაგაქციე, მაგრამ ძალიან განერვიულებული ვიყავი.

– ეგ არაფერი, დაიკო, ხდება ხოლმე, – მშვიდად უთხრა ბერძენამ დიანას, რადგან ქალს ეტყობოდა, რომ შემოტევას აღარ აპირებდა.

– დიანა, დაიკო, – ვუთხარი ქალს, – გეტყობა, რომ გაგებული ქალი ხარ, თანაც, ბესო ძალიან გიყვარს. ჩვენ ქურდები ვართ და ჩვენი პროფესია მოპარვაა. ჩვენ შენ და შენს ქმარს არ ვიცნობდით და თქვენი ბინა ამიტომ გავქურდეთ. თუ გინდა, ნაქურდალს დაგიბრუნებთ და ბაზარი მოკვდეს.

– ეს ბაზარი ისედაც მკვდარია, სულ ფეხებზე არ მკიდია ჯემალას ფული? მე ჩემიც საკმარისი მაქვს და მე და ბესოს გვეყოფა. თუმცა, ბესოზე მაინც ნაწყენი ვარ – არაა ლამაზი ასეთი საქციელი.

ბესო უკვე სრულ „ხოდზე“ იყო, ამიტომ, დიანას ხელი გადახვია და უთხრა:

– კაი, რა, მე ეს ფული ჯემალას მოვპარე.

შენ კი, ხომ იცი, რომ ძალიან მიყვარხარ.

– მართლა გიყვარვარ?

– ვითომ არ იცი, რომ მართლა.

დიანა გაინაზა და ბესოს უთხრა:

– ვიცი, ვიცი. ისეთი ვნებიანი ხარ, რომ სიყვარულის გარეშე ეს არ გამოგივიდოდა.

– ახლა ჩუ! – უთხრა ბესომ დიანას, – რა პონტია ასეთი ბაზარი?

– კარგი, მე ახლა წავალ, ჯემალა უნდა მოვიდეს და, სახლში რომ არ დავხვდე, გააფრენს.

დიანა წავიდა. ჩიპომ კი ბესოს შეუტია:

– შე ნაბოზარო, ეს რა გვიყავი, კუდი როგორ მოგვაყენე აქ, ჰა? შენი დედაც...

– კაი, რა, ჩიპო, კაი... მე რა მოგაყენეთ, ვერ ხედავ, რა სატანაა? თურმე „დავუხვოსტივარ“, – ლუღლუღებდა ბესო.

– სულ არ მკიდია? ეგ შენი პრობლემაა... რომ ჩაგვიშვას?

– არ ჩაგვიშვებს, ჩიპო-ჯან, არა. ხომ გაიგე, როგორ ბაზრობდა.

– პლასტინკა რომ შეცვალოს?

– არ შეცვლის, ნუ გეშინია.

– რომ შეცვალოს? შე ბოზო შენა... ქალია და, რა გარანტია გვაქვს? – ცხარობდა ჩიპო, თან ბესოს სილებს ულაწუნებდა.

– თავი დაანებე, ჩიპო. არა მგონია, დიანამ ჩაგვიშვას, – ვუთხარი ჩიპოს და დავამატე: – თუ, რა თქმა უნდა, მას ბესო არ აწყენინებს. ხოლო, რომ არ აწყენინოს, მასთან ერთად რუსეთში უნდა გაემგზავროს.

– გავემგზავრები, კობრა-ჯან, აბა, რას ვიზამ, გავემგზავრები, – იმეორებდა ბესო.

ბესო და დიანა იმ ამბიდან ორი კვირის შემდეგ რუსეთში გაიქცნენ და დიანამ თავისი საგვარეულო სამკაულები წაიღო თან. ეს წყვილი დღეს გერმანიაში ცხოვრობს და პატარა ბიზნესი აქვთ, რომელიც დიანამ ააწყობინა ბესოს. ჯემალა ერთ-ერთ ჩვენ მეზობელ სახელმწიფოში გაემგზავრა, ცოლი მოიყვანა და იქ დასახლდა. მისი და დიანას შვილები კი საქართველოში ცხოვრობენ. ერთ-ერთი მათგანი მოსამართლეა, მეორე კი – გამომძიებელი და, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, თითოჯერ მაინც მქონდა მათთან შეხება. სწორედ ჯემალას გამომძიებელმა ვაჟმა წამიკითხა საბრალდებო ტექსტი, როდესაც ჩემს სახლში „სოდს“ გავექეცი. მანამდე კი მისმა უფროსმა ძმამ გამასამართლა ქურდობისთვის. თუმცა, მოსამართლეს შეეძლო, საქმე დაეშალა, რადგან ჩემ წინააღმდეგ არასრული სამხილები ჰქონდათ. ის კი პირიქით მოიქცა და, როცა საბოლოო სიტყვა მომცა, არც ვაციე და არც ვაცხელე, ვუთხარი:

– ბატონო მოსამართლევ, თქვენ, თქვენი ძმა და მამათქვენი რომ ვიდეომაგნიტოფონსა და პორნოკასეტებს აქირავებდით, იმაზე თუ ფიქრობდით, რომ ოდესმე მოსამართლე გახდებოდით და ადამიანების ბედ-იღბალს გადაწყვეტდით-მეთქი?

მოსამართლე გაწითლდა, მაგრამ, არაფერი მიპასუხა და სწრაფი ნაბიჯით სცადა, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ, თავის მანტიას ფეხი დააბიჯა, კიბეებზე დაგორდა და წარბი გაიხეთქა...

დარბაზში სიცილ-ხარხარი ატყდა. მართალია, ბადრაგმა სასწრაფოდ გამიყვანა დარბაზიდან, მაგრამ, ვერც ისინი იკავებდნენ სიცილს. იმავე საღამოს მეშვიდე იზოლატორში გადამიყვანეს. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გამკაცრებული კანონი და წყეული 223-ე პრიმა მუხლი არ არსებობდა. ამიტომ, მივხვდი, რომ სხვა რაღაცაში იყო საქმე. თუმცა, აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემი გადაყვანა მოსამართლის მიერ იყო მოწყობილი და, თანაც, იმიტომ, რომ მის ჯალათ ძმას გავეპრესე.

მე „ადინოჩკაში“ გამომამწყვდიეს. საღამოს კი მოსამართლის გამომძიებელი ძმა მეწვია საკანში და დამცხო... არ ვიცი, რისი იმედი ჰქონდა, ჩემს საცემრად მარტო რომ მოდიოდა, მაგრამ, ნაცემი თავად დარჩა და ისიც წარბგახეთქილი გავუშვი.

„ახლა კი მთელი პოლკი მოვა და ცემაში ამომხდიან სულს“, – ვფიქრობდი ჩემთვის და ერთ დუჟინ კუნთმაგარ და გონებაშეზღუდულ ზედამხედველებთან შესახვედრად ვემზადებოდი. თუმცა, არავის შევუწუხებივარ. შუაღამეს კი „გუბერნსკაში“ გადამიყვანეს და ქურდულ საკანში მომათავსეს. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, თურმე, ხუჭუჭამ მიშველა. ეს მან თავად მითხრა ჩვენი ერთადერთი შეხვედრის დროს, მრავალი წლის მერე, რომელიც მეშვიდე იზოლატორის ერთ-ერთ კაბინეტში შედგა.

– სხვათა შორის, სულ რაღაც ერთი დღის დანიშნული ვიყავი თანამდებობაზე და ისეთი გაწამაწია მქონდა, შეიძლება, შენი ამბავი გამომპარვოდა, – მითხრა ხუჭუჭამ, – სულ შემთხვევით გავიგე, რომ ნადზორები შენს ცემას აპირებდნენ, ის ნაბოზარი გამოვიძახე და სილა გავარტყი.

ხუჭუჭას რომ არ გადავერჩინე, ჯემალას ნაბოზარი გამომძიებელი შვილი და მისი პაძელნიკები სულს ამომხდიდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ იმავეს მიპირებდა ის ნაძირალა, როდესაც „სოდის“ ფორმაში გამოწყობილმა, ბრალდება წამიკითხა ჩემს ბინაში. მაშინ ხუჭუჭა უკვე ძებნილი იყო, ვერ დამეხმარებოდა და გაქცევამ მიშველა. მართალია, ციხიდან არასდროს გავქცეულვარ და ასეთი რამის გაკეთება არც მიცდია, მაგრამ, ამ ხერხისთვის სვაბოდაზე ბევრჯერ მიმიმართავს. გაქცევა განსაკუთრებული ფენომენია და უდიდეს შვებასა და თვითკმაყოფილებას განიცდი, როცა მდევრისგან თავის დაღწევას ახერხებ. მდევარი და მოთვალთვალე კი ჩემი კრიმინალური კარიერის განმავლობაში არ მომკლებია და, რომ იტყვიან, ამ საქმეში ჭიპი მაქვს მოჭრილი.

მრავალი წლის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პირველ პრისტუპნიკულ ნაბიჯებს ვდგამდი, ცხოვრებაში პირველად მომიწია მილიციის მდევრისგან თავის დაღწევა. ციხიდან ახალი გამოსული ვიყავი. უბანში რომ გამოვჩნდი, ჩემი წრის ყველა წარმომადგენელი სროკზე იმყოფებოდა, მათ შორის – ბერძენაც. ამიტომ, სახლიდან თითქმის არ გამოვდიოდი გარეთ. მთელი დღე ან მეძინა, ან ტელევიზორს ვუყურებდი. ერთი სიტყვით, პარაზიტულად ვცხოვრობდი, რასაც მხოლოდ ერთი თვე გავუძელი, ბოლოს კი საქმის გაკეთება გადავწყვიტე. ერთ მშვენიერ დღეს, სიგარეტის საყიდლად გარეთ გამოვედი და, მაღაზიიდან უკან რომ ვბრუნდებოდი, მანქანა წამომეწია.

– ჰაერზე გამოსვლა გადაწყვიტე? – მომესმა მარჯვნიდან ბესარიონ აბრალავას ნაცნობი ხმა. შევტრიალდი და მივუგე:

– გამარჯობა, ძია ბესო.

– გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს, კობრა, როგორ ხარ?

– არა მიშავს. თქვენ?

– მეც მასე. აღარ გიჩერდება გული სახლში, ხომ? – გაეღიმა აბრალავას. მივხვდი, რომ მილიციის სამმართველოს უფროსს ჩემ შესახებ რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციებს და კარგად იცოდა, რომ სახლში ვიყავი გამოკეტილი.



– სიგარეტზე გამოვედი, ძია ბესო, – ვუთხარი პოლკოვნიკს.

– რას აპირებ, როგორ ფიქრობ ცხოვრების გაგრძელებას?

– ჯერჯერობით ვფიქრობ.

– ჰოდა, რას ფიქრობ-მეთქი, მეც ამას არ გეკითხები?

– ზუსტად არ ვიცი, ძია ბესო. ერთი თვეა, რაც ციხიდან გამოვედი და ცოტა უნდა ამოვისუნთქო. ალბათ, ჯერ დავისვენებ და მერე ვნახოთ.

– კობრა, ვიცი, შენი „ვნახოთ“ რას ნიშნავს და გაფრთხილებ, რომ ღმერთი არ გაგიწყრეს და ხელი არაფერზე წაგიცდეს. ყველა შენი კოლეგა სროკზეა და ქალაქში სერიოზული ქურდობები არ ხდება. ხომ ხვდები, რას გეუბნები?

– ძია ბესო, შენც ხომ კარგად იცი, რომ თბილისში არასდროს მიჩალიჩია?

– ეგ ნამდვილად არ ვიცი. უბრალოდ, არასდროს დამიჭერიხარ ფაქტზე, თორემ, შენზე ეჭვი ბევრჯერ გვქონდა, მაგრამ, ხომ გაგიგონია: „ნე პოიმან, ნე ვორ!“

– არა! მართლა არასდროს არაფერი მომიპარავს თბილისში.

– ან სხვაგან რატომ უნდა მოიპარო? – მითხრა აბრალავამ, – ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი ხარ. რა გექურდება? არ ჯობია, პროფესორი გამოხვიდე?

– ჩემგან პროფესორი ისევე გამოვა, როგორც ამ მანქანიდან წყალქვეშა ნავი, – მივუგე აბრალავას, მან კი თავი გააქნია და მითხრა:

– მე ჩემი გითხარი, ძმაო და შენი საქმე შენ იცი. ჩემი იმედი ნუ გექნება. დააშავებ? – მიიღებ. ისე კი, გირჩევ, პატიოსან ცხოვრებას მოჰკიდო ხელი და გამოსწორდე.

პოლკოვნიკის სიტყვებზე გუნებაში გამეცინა და გავიფიქრე: „ეეჰ, ძია ბესო, რაც მე თბილისში მიჩალიჩია, ყველაფერზე რომ „მიმელო“, ალბათ, ორას წელს მომისჯიდნენ“, მას კი ვუთხარი:

– ვიფიქრებ, ძია ბესო. ერთი თვეა, რაც გამოვედი და ცოტა სული უნდა მოვითქვა.

– ეგ ციხეში უნდა გექნა, იქ უნდა გეფიქრა. თუმცა, არც გარეთაა გვიან, – მითხრა აბრალავამ, – შენ, ალბათ, გულში დამცინი, მაგრამ, გირჩევ, გამოსწორდე. ყოველმხრივ გვერდში დაგიდგები და მუშაობას დაგაწყებინებ. სულ სხვა სამყაროში მოხვდები, ოჯახს შექმნი და ცხოვრებას ააწყობ.

– მადლობელი ვარ, ძია ბესო, მაგრამ, ჯერ უნდა ვიფიქრო.

– კარგი, იფიქრე. აბა, კარგად! – მითხრა აბრალავამ და მანქანა ადგილიდან დაძრა.



პოლკოვნიკი ბესარიონ აბრალავა ყიფიანებთან მიდიოდა. იმ დღეს ხუჭუჭას დაბადების დღე იყო, ხუჭუჭა კი – აბრალავას ნათლული და ოჯახში დიდი სუფრა იყო გაშლილი. მე ნაბიჯს მოვუჩქარე და აბრალავას დავუძახე:

– ძია ბესო, ძია ბესო!

პოლკოვნიკმა მანქანა გააჩერა და მკითხა:

– რა მოხდა?

მე პოლკოვნიკის მანქანასთან მივირბინე და აბრალავას ვუთხარი:

– ძია ბესო, დღეს ხუჭუჭას დაბადების დღეა და ყიფიანებთან მიდიხართ, ხომ?

– კი.

– ძია ბესო, ბატონ ვახტანგთან მისვლა მერიდება და იქნებ თქვენ მომცეთ ხუჭუჭას ტელეფონის ნომერი, რომ ლენინგრადში დავურეკო და მივულოცო?

აბრალავამ ხუჭუჭას ტელეფონის ნომერი ფურცელზე დამიწერა, მომაწოდა და მითხრა:

– აი, გამომართვი. საღამოს ცხრის მერე დაურეკე. მანამდე სახლში არ იქნება. აბა, კარგად.

– კარგად, ძია ბესო, დიდი მადლობა, – მივუგე პოლკოვნიკს და ჩემი ეზოსკენ გავემართე.

საღამოს, ზუსტად ათის ნახევარზე ლენინგრადში დავრეკე.

– ალო, – მიპასუხა ხუჭუჭამ.

– გეტყოდი, მაგის პასუხს, შენი დაბადების დღე რომ არ იყოს, – ვთქვი მე და დავამატე: – ხუჭუჭ, ძმაო, გილოცავ დაბადების დღეს და გისურვებ ყოველივე კარგს!

ხუჭუჭა არასდროს იბნეოდა, მაგრამ, ჩემი ხმის გაგონებაზე პატარა პაუზა მაინც გააკეთა და მითხრა:

– მადლობა, კობრა, დიდი მადლობა. ჩემი ტელეფონის ნომერი ვინ მოგცა? შენი ამბავი რომ ვიცი, ჩემებთან მისვლა მოგერიდებოდა.

– ნათლიაშენს გამოვართვი.

– ბესოს?

– ჰო. დღისით უბანში შემხვდა და მეუბნებოდა, პატიოსან ცხოვრებას მოჰკიდე ხელიო.

– „იზვინი“, კობრა, რომ ციხეში ვერ გნახე.

– მერე რა, სამაგიეროდ, შენს გრევებს ვილებდი და დიდი მადლობელი ვარ.

– რა მადლობა, არ გრცხვენია? როგორ ხარ?

– ნიჩივო, არა მიშავს. შენ?

– მეც მასე. რას აპირებ?

– ახალს არაფერს.

– იასნია. ძალიან მომენატრე და, იმედია, მალე შევხვდებით, – მითხრა ხუჭუჭამ. შემდეგ, თითქმის ერთი საათის განმვლობაში, ბავშვობას ვიხსენებდით და ბოლოს ხუჭუჭამ თქვა:

– კარგი, კარგი, გვეყოფა. ალბათ, ისედაც მაგრად გაიწეწე ჩემთან ლაპარაკში. დანარჩენი მერე ვიბაზროთ, როცა ჩამოვალ და გნახავ. დიდი მადლობა მოლოცვისთვის.

– აბა, შენ იცი, კარგად! – ვუთხარი ხუჭუჭას და ტელეფონი გავთიშე.

თბილისში კიდევ სამიოდე დღე გავჩერდი და სოჭში სევასთან გავემგზავრე. ის „სროკიდან“ ჩემსავით ახალი გამოსული იყო და იმ იმედით წავედი, რომ რამე საქმეს გავაკეთებდით ერთად. თანაც, ლენას ნახვის იმედიც მქონდა. ზაფხული იყო, ლენას არდადეგები ჰქონდა და, სავარაუდოდ, ის ლენინგრადიდან სოჭში უნდა ჩასულიყო.

– კობრა, ძმაო, საიდან სადაო? – გულწრფელად გაეხარდა სევას ჩემი დანახვა და გადამეხვია – კარგ დროს ჩამოხვედი.

– რა ხდება, რო?!

– შემოდი, შემოდი და სახლში ვიბაზროთ, – მითხრა სევამ და ბინაში შემიყვანა.

სევას დედა რომ მოვიკითხე, მან თავი ჩაღუნა და მითხრა:

– სამი თვის წინ გარდაიცვალა.

– კაი, რას ამბობ?! – შევიცხადე მე, რადგან მართლა ძალიან მეწყინა.

– ჰო. საცოდავი ჩემთან იყო ზონაში და, უკან რომ დაბრუნდა, ინფარქტმა დაარტყა. მეზობელმა აღმოაჩინა. აი, ამ ტახტზე იწვა, გულში ჩემი სურათი ჰქონდა ჩახუტებული და იღიმებოდა.

იმ პერიოდში ჩემი მშობლები ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, თუმცა მერე ჩემებიც ჩემს დარდს გადაჰყვნენ. სევას დედის ამბავმა კი ბერძენას დედა გამახსენა და ვთქვი:

– ძმაკაცი მყავს ერთი – ბერძენა. დედამისმა წინასწარ დაწერა წერილები და ის უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ, ბერძენას მეზობელი ქალი უგზავნიდა დედის წერილებს.

– რას ამბობ? – თავი გააქნია თვალცრემლიანმა სევამ, არყით სავსე ჭიქა ასწია და თქვა:

– ამით დედებს გაუმარჯოთ!

– გაუმარჯოთ, ჩემო სევა, – ვთქვი მე და ჭიქა ბოლომდე დავლიე.

მე და სევამ დიდი ბოთლი არაყი გამოვცალეთ და დასაძინებლად დავწექით, დილით კი სევამ მითხრა:

– კარგია, რომ ჩამოხვედი. ხვალ-ზეგ მე თვითონ ვაპირებდი შენთან დაკავშირებას.

– რა პონტია, რამე კარგი საქმე გაქვს?

– უკეთესს ვერც ინატრებს კაცი. თუმცა, ცოტა ხლაფორთი მოგვიწევს.

– აბა, თქვი, – ვუთხარი სევას და მოსასმენად მოვემზადე. მან კი მითხრა:

– ჩალიჩი გემზე მოგვიწევს.

– გემზე?

– ჰო. გემის კაპიტანია ერთი, კონტრაბანდისტობითა და ბარიგობით მაგარ მაყუთს შოულობს. ძირითადად ოქროსა და ძვირფას ქვებს ყიდულობს და ყველაფერ ამას გემზე ინახავს. თავის კაიუტაში სეიფი უდგას და იქა აქვს ჩაკეტილი.

– გემზე ინახავს?

– ჰო. იმიტომ, რომ თითქმის სულ ზღვაშია. ცოლ-შვილი მაგას არ ჰყავს და, თან დააქვს, რა, – მითხრა სევამ.

– შეიძლება, სულ სხვა რამეშია საქმე.

– რას გულისხმობ?

– რას და, ქონებას გემზე რომ ინახავს, იმას.

– ვერ მივხვდი, – მხრები აიჩეჩა სევამ.

– შეიძლება, ქონებას იმიტომ ინახავს გემზე, რომ საზღვარგარეთ გაქცევა უნდა.

– საზღვარგარეთ გაქცევა?

– ჰო. ერთხელაც, რომელიმე ქვეყანაში რომ ჩავა, თავის განძს ნაპირზე ჩაიტანს და მოტყდება.

– ჭკვიანურია, – მითხრა სევამ, – ჰოდა, სანამ არ დათესილა, დროზე უნდა ვიჩალიჩოთ.

– ვიჩალიჩოთ. რამე გეგმა გაქვს?

– კონკრეტული არაფერი. ზუსტად ვიცი მხოლოდ ის, რომ გემზე უნდა ავაღწიოთ და გეგმაც იქ შევადგინოთ. რას იტყვი, მომყვები?

სევას სიტყვები საკმაოდ მაცდუნებლად ჟღერდა, თან, ამ საქმეს რომანტიკისა და კარგი კუშის სუნიც ასდიოდა და მივუგე:

– მოგყვები. რაც იქნება, იქნება. იმედია, გაგვიმართლებს.

მე და სევამ ორი დღის შემდეგ ორკვირიანი საკრუიზო საგზურები შევიძინეთ გემზე,



რომელზეც საქმე უნდა გაგვეკეთებინა. გემი სოჭიდან ოდესამდე და უკან აკეთებდა რეისს, რომელიც ორი კვირა გრძელდებოდა და ეს სიამოვნება ორასი მანეთი ღირდა ერთ კაცზე, თუმცა, ჩვენ ხუთას-ხუთასი დაგვიჯდა. პირველი კლასის ორადგილიან კაიუტაში რომ შევდგით ფეხი, სევამ მითხრა:

– კეთილი იყოს ჩვენი ფეხი აქ და ღმერთმა ხელი მოგვიმართოს.

რბილად რომ ვთქვა, უხერხული იყო, ქურდობაში ღმერთისთვის დახმარების თხოვნა, მაგრამ, სევას ხათრი არ გავუტეხე და მივუგე:

– ამინ!

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგარდები ვიყავით, მე და სევამ თითქმის „ხუთიანზე" შევასრულეთ საქმე. კაპიტნის კაიუტაში შეღწევასა და სეიფის გახსნას სულ რაღაც თხუთმეტი წუთი მოვანდომეთ და, რომ არა აბსოლუტურად გაუთვალისწინებელი რამ, გემიდან მშვიდად ჩამოვიდოდით. მაგრამ, ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. უკვე გამარჯვებას ვზეიმობდით. სულ რაღაც ერთ საათში გემი სოჭის პორტში შევიდოდა და ნაპირზე ჩასვლაშიც ვერაფერი დაგვიდგებოდა წინ. მე და სევა ნაქურდალი ნივთებით სავსე ჩანთით ჩვენს კაიუტაში ვბრუნდებოდით. ჩანთა სევას მხარზე ჰქონდა გადაკიდებული. ხალხმრავალ გემბანს რომ გავცდით და გემის კუდში გავედით, სადაც ორი მეზღვაური იმყოფებოდა, გემი მკვეთრად შეირყა. სევამ თავი ვერ შეიმაგრა და მოაჯირს დაეჯახა, ჩანთის ელვა კი წვეტიან შვერილს გამოედო, გაიხა და იქიდან ორი ცალი ოქროს ზოდი გადმოვარდა. მეზღვაურებმა ყველაფერი დაინახეს. სევამ ზოდები უკან ჩააბრუნა და მშვიდად სცადა, იქაურობას გასცლოდა, მაგრამ ერთ-ერთმა მეზღვაურმა გაჩერება უბრძანა და სევასკენ გაემართა. სევამ მას მუშტი სთხლიშა და ძირს დასცა. მეორეს მე ამოვკარი აპერკოტი და კოლეგას გვერდით მივუწვინე. სევამ მიყვირა:

– ჩქარა, ჩვენს ნივთებს ხელი დავავლოთ და აქაურობას გავეცალოთ!

ჩვენ კაიუტაში ჩავედით და მხოლოდ პასპორტები ავიღეთ. შემდეგ მარჯვენა გემბანზე ფრთხილად გავედით და გემზე მიბმულ კატერში ჩავხტით.

– კობრა, ჩანთას გაუფრთხილდი! – მითხრა სევამ და ჩანთა მე გადმომცა, შემდეგ კატერი ახსნა, დაქოქა და ადგილს მოსწყვიტა.

ასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, უკან მოვიხედე და კუდზე დამჯდარი ორი კატერი დავინახე, რომლებშიც მეზღვაურები და ორი ოფიცერი იჯდა. ისინი დიდი სისწრაფით მოგვდევდნენ, თან პისტოლეტიდან ტყვიებს გვიშენდნენ. მე დეტალურად არ მოვყვები დევნის მთელ პროცესს. ვიტყვი იმას, რომ სევამ ოსტატურად მოახერხა მათგან თავის დაღწევა და ერთ-ერთი მდევარი კატერი მეჩეჩზე შესვა. მეორეს კი ისეთი ოსტატური მანევრი გაუკეთა, რომ ამოატრიალა და მდევარი მეზღვაურები და ოფიცერი ზღვაში ჩაცვივდნენ. მე და სევა სოჭის სამხრეთით, ერთ უკაცრიელ ნაპირზე ამოვედით და ჩქარი ნაბიჯით გავუდექით გზას.

– ყოჩაღ, ძმაო, რა ოსტატურად მართავდი კატერს, – ვუთხარი სევას, მან კი უკმაყოფილოდ გააქნია თავი და მომიგო:

– რა ყოჩაღ, ფარჩაკი ვარ. თავი ვერ შევიმაგრე და დავიწვით.

– არა უშავს. მთავარია, რომ მოვუტყდით.

– ჯერ ადრეა სიხარული, სამშვიდობოზე არ ვართ და წინ კიდევ დიდი გზა გვაქვს, – მითხრა სევამ და სიტყვა წესიერად დამთავრებულიც არ ჰქონდა, როდესაც უკნიდან მოგვესმა:

– ეი, ახალგაზრდებო, მოდით აქ!

შევტრიალდით და მილიციელი დავინახეთ, რომელიც თავისთან გვიხმობდა.

– ესლა გვაკლდა, – ვუთხარი სევას, რომელმაც მიპასუხა:

– კოშკის მორიგეა ეგ ნაბოზარი. სათვალთვალო კოშკია და, როგორც ჩანს, დაგვინახა, კატერით რომ გამოვედით. საეჭვოდ მოეჩვენა და იმიტომ გვეძახის.

– რა ვქნათ?

– როგორ მოვხიოთ? კუდზე დამაჯექი, – მითხრა სევამ და გაიქცა. მე უკან გავყევი.

მე და სევამ დაახლოებით რვაასი მეტრი ვირბინეთ და ეგრეთ წოდებული აგარაკების ტერიტორიაზე ამოვედით. კუდზე არავინ გვაჯდა და სევას ვუთხარი:

– მგონი, გავექეცით.

– არც არავინ გამოგვკიდებია. ის ნაბოზარი რაციით გადასცემდა და, თუ დროზე არ მოვშორდით აქაურობას, „ძაღლების" რაზმი მოვა და აგვყრიან.

– საით წავიდეთ?

– საითაც არ უნდა წავიდეთ, ფეხით შორს ვერ წავალთ, მანქანა გვჭირდება, – მითხრა სევამ, – აი, იმ ეზოსთან რომ „მოსკვიჩი" დგას, შევეცდები დავითრიო და ეგ თუ გვიშველის. შენ კი, აი, იმ ნანგრევებში დამელოდე, – მითხრა სევამ და „მოსკვიჩისკენ" ფრთხილად გაემართა, მე კი ნანგრევებისკენ წავედი.

ნანგრევებამდე მისვლაც ვერ მოვასწარი, რომ სევამ „მოსკვიჩი" ადგილიდან დაძრა, დამეწია, ჩამისვა და ტრასისკენ აიყო გეზი.

– როგორ მალე იშუსტრე, – ვუთხარი სევას, მან კი მომიგო:

– პატრონმაც იშუსტრა. თანაც, „ძაღლია" და კალიასკიანი „ურალით" მოგვდევს. აბა, უკან გაიხედე.

ჩვენს „მოსკვიჩს" მილიციის ინსპექტორი მოსდევდა მილიციის მოტოციკლით და სევას ვუთხარი:

– ესლა გვაკლდა! ვერა და ვერ მოვიშორეთ ეს „ძაღლები"!

– „ძაღლები" რომ ასე იოლად გვშორდებოდნენ, რაღა გვიჭირდა, – მითხრა სევამ და სიჩქარეს მოუმატა.

ჩვენი რბოლა ტრასაზე გაგრძელდა და უაღრესად ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობდა: მთელი სოჭის ავტოინსპექცია „კუდზე გვაჯდა" და, რომ არა სევას ოსტატობა, ყველაფერი, ალბათ, ტრაგიკულად დამთავრდებოდა. მაგრამ, გადავრჩით. ჩემმა მასპინძელმა ბოლო, ურთულესი მანევრი გააკეთა და „მოსკვიჩი" მოძრაობის საწინააღმდეგოდ წაიყვანა. შემდეგ ორასიოდე მეტრი გავიარეთ, მანქანა გავაჩერეთ და გადმოვედით.



– ჩქარა, მომყევი! – მითხრა სევამ და მარცხნივ მკვეთრად აუხვია. ორიოდე წუთის შემდეგ უკვე სატვირთო ვაგონში ვისხედით, რომელიც ნელი სვლით მიდიოდა. სოჭში ვბრუნდებოდით.

– ამდენი ცხოვრებაში არ მირბენია, – ვუთხარი სევას, როდესაც ვაგონის კედელს მივეყრდენი და სული მოვითქვი.

– სამაგიეროდ, ღირდა, – მითხრა სევამ და ნაქურდალი განძით სავსე ჩანთას ხელი დაადო.

– ნამდვილად ღირდა, – დავუდასტურე მე, – აქ საკმაოდ დიდი კუშია.

სევას ბინაში მშვიდობიანად დავბრუნდით და სამი დღე ცხვირი არ გამოგვიყვია გარეთ. შემდეგ ნაქურდალი ქურდულად გავანაწილეთ, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინეთ და ლენინგრადში ლენასთან გავემგზავრეთ.

– ლენოჩკას სულ შენი სახელი ეკერა პირზე, ხშირად მეკითხებოდა, როდის ჩამოვაო, – მითხრა სევამ, როდესაც საქმეს მოვრჩით და სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, ლენას ვწვეოდით. მაგრამ, ლენა არ დაგვხვდა – სტუდენტურ ბანაკში იყო გამგზავრებული თანაკურსელებთან ერთად, თუმცა, ვერავინ გვითხრა, სად და რამდენი ხნით.

– არა უშავს. ლენოჩკას სხვა დროს ვნახავთ, ახლა კი ვიგულაოთ. მე და შენ საკმაოდ მძიმე სამუშაო დღეები გვქონდა და დასვენება და დროსტარება დავიმსახურეთ, – მხიარულად მითხრა სევამ, ჯიბეზე ხელი დაირტყა და დაამატა, – ფულს ცეცხლი უკიდია და, თუ არ დავხარჯეთ, დაიწვება...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ლევან მარგიანის ხსოვნას!

ჩემო ლევან, ჩემო საყვარელო ლევან, მეორე წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. 4 მაისს 30 წლის გახდი, შვილო.

ლევან, დედი, გვიჭირს უშენობა, გაუსაძლისია შენ გარეშე ცხოვრება. გვიყვარხარ და გვენატრები. ენატრები შენს პატარა გიორგის, რომელიც, რაც დრო გადის, შენ გემსგავსება. ენატრები შენს ძმას! გიორგის, ჯუკას, სალომეს, ანზორიკოს, შენს უბედურ მამას. ასეთი ტკივილისთვის, როგორ გაგვიმეტე, შვილო. არ გსაყვედურობ, მხოლოდ ტკივილი მალაპარაკებს, ის ტკივილი, რომელიც არ შუშდება. ილოცე შენი ლამაზი ცოლ-შვილისთვის და ახლობლებისთვის.

**შენი უბედური დედა**
**შეხვედრამდე!**

**საქართველოში არა მხოლოდ მაცხოვართან დაკავშირებული სიწმიდეები ინახება, არამედ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულიც. მათი ჩვენს ქვეყანაში ჩამობრძანების ისტორია კი უაღრესად საინტერესოა. ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ სიწმიდეებზე გვესაუბრება, ისტორიკოსი ელდარ ბუბულაშვილი.**

# რა სასწაულებრივი ძალა გააჩნია ღვთისმშობლის კვართს, რომელსაც ყელი უპატარავდება და ვინ ჩამოიტანა საქართველოში საიდუმლოდ სხვადასხვა სიწმიდეები

**– ბატონო ელდარ, საქართველოში ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული რა სიწმიდეები ინახება და როგორია მათი ისტორია?**

– საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამის შესახებ ცნობილია როგორც ქართული წერილობითი წყაროებიდან, ასევე საეკლესიო ტრადიციით. თანამედროვე ცხოვრებაში, ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხმა ზღაპრული ელფერი მიიღო, რაც მას ცოტა გაურკვეველს ხდის. უცხოელისთვის და ურწმუნო ქართველისთვის არადამაჯერებელი ხდება ის თხრობა, რაც დღეს საზოგადოებაში არსებობს. ჩვენ მოვკიდეთ ამ საკითხს ხელი და შევისწავლეთ, თუ როგორ არის ეს ასახული ქართულ საისტორიო მწერლობაში და დავადგინეთ: გარდა ქართულისა, ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი უცხოური წყაროებითაც დასტურდება. როგორც ცნობილია, ღვთისმშობელმა მაცხოვრის ამაღლებიდან მეათე დღეს მონაწილეობა მიიღო წილისყრაში და მას წილად ერგო საქართველო. ისიც ნათქვამია, რომ ღვთისმშობელმა სამჯერ მიიღო ამ წილისყრაში მონაწილეობა და მას სამჯერვე საქართველო ერგო. „ქართლის ცხოვრების“ გარდა, ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი, გადმოცემულია მეთერთმეტე და ასევე, მეთოთხმეტე საუკუნით დათარიღებულ წმიდა ნინოს სვინაქსარებში. მეთერთმეტე საუკუნის სვინაქსარი მოცულობით შედარებით მცირეა, ხოლო მეთოთხმეტე საუკუნის – შედარებით დიდი.


ღვთისმშობლის კვართი

**– დღეს დამკვიდრებულია სწავლება, რომ ღვთისმშობელს კი ერგო საქართველო, მაგრამ მან ვერ მოახერხა წამოსვლა, რადგან გამოეცხადა მაცხოვარი და უთხრა, რომ მოახლოებული იყო მისი მიძინების დრო.**

– ეს არასწორი, არარეალურია. ქრისტიანული სამყაროსთვის და, საერთოდ, ეკლესიის ისტორიისთვის, ცნობილია, რომ ღვთისმშობელმა ამის შემდეგ დიდხანს იცოცხლა და იოანე ღვთისმეტყველთან ერთად იერუსალიმში იყო. ეს კარგად ჩანს მეთოთხმეტე საუკუნის წმიდა ნინოსადმი მიძღვნილ სვინაქსარში, სადაც აღნიშნულია, რომ ღვთისმშობელი უნდა დარჩენილიყო იერუსალიმში, რომელიც ქრისტიანობის მძლავრი ცენტრი იყო და იქ უნდა ემოღვაწა. ანუ, ის თვალსაზრისი, რომ ღვთისმშობელმა მიიძინა და ამიტომ, ვერ წამოვიდა საქართველოში, არარეალურია. სწორედ მიძინების ფაქტი გახდა იმის ერთ-ერთი პირობა, რომ ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხმა ლეგენდის სახე შეიძინა. ამ საკითხის შესახებ საინტერესო ცნობა გვაქვს როგორც ბერძნულ, ასევე რუსულ წყაროებში, რომელიც უფრო გვიანი წლებით არის დათარიღებული. ბერძნული წყაროებიდან მნიშვნელოვანია სტეფანე ათონელის თხზულება. როგორც ჩანს, მას საქართველოს ღვითსმშობლის წილხვდომობის საკითხი უნდა გაეგო ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრებული ქართველი ბერებისგან. მისი თხზულება 1903 წელს ითარგმნა, გამოიცა ქუთაისში, მის გამოცემაში დიდი როლი შეასრულა ათონის მთაზე მოღვაწე ბენედიქტე ბარკალაიამ. ამ ხელნაწერისთვის დღემდე არავის მიუქცევია ყურადღება. მასში აღწერილია ღვთისმშობლის ცხოვრება სხვადასხვა ფორმით. როგორც ჩანს, ქართველმა ბერებმა ათონის მთაზე თარგმნეს, შემდეგ კი ბენედიქტე ბარკალაიამ ხელნაწერი გადაწერა და საქართველოში ჩამოიტანა. სტეფანე ათონელს ბერების მიერ მიწოდებული მასალები მთლიანი სახით შეუტანია თავის თხზულებაში. იქ ძალიან საინტერესოდ არის აღწერილი, რომ წილისყრის დროს ღვთისმშობელს წილად ერგო საქართველო, შემდეგ კი უფლის სახელით ანგელოზები გამოეცხადნენ და ამცნეს, რომ საქართველოში არ წასულიყო და უნდა დარჩენილიყო იერუსალიმში. სტეფანე ათონელისა და წმიდა ნინოს მეთოთხმეტე საუკუნის სვინაქსარული ცხოვრება სრულ თანხმობაშია ერთმანეთთან და ახსნილია ის მიზეზები, თუ რატომ არ წამოვიდა ღვთისმშობელი საქართველოში. სტეფანე ათონელის თხზულება რუსულ ენაზე გადაუთარგმნიათ მეთექვსმეტე საუკუნეში, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნეში შესწორებები შეიტანა ნიკონმა და ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნაა, ეს სწავლება რუსულ ეკლესიაში სწორედ აქედან შევიდა. შემდეგ ამის საფუძველზე შეიქმნა რუსული საკითხავები. დიმიტრი როსტოველის „თვენში“ პირდაპირ არის მითითებული, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მეთხუთმეტე-მეჩვიდმეტე და განსაკუთრებით მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში რუსულ ეკლესიას მიაჩნდა, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და ამიტომ, მას შეუძლია, მფარველობა გაუწიოს რუსეთის ეკლესიას. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გავრცელდა, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს და რუსულ ეკლესიას შეუერთეს. ანუ, მათი აზრით, მადლი გადავიდა რუსულ ეკლესიაზეც. შეიძლება, სწორედ ამის გამოცაა, რომ ივერიის ღვთისმშობლის ხატებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა არსებობს. ათონის ივერთა მონასტერში დამკვიდრებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის რამდენიმე ასლი შეიქმნა და 1624 წელს, ასევე მეჩვიდმეტე საუკუნის 50-იან წლებში, რუსეთში იქნა ჩაბრძანებული. საქართველოს გარდა, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნებია: კვიპროსი, ათონის მთა, ამას უნგრეთიც აცხადებს. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო არ არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ეს საკითხი საინტერესოდ არის აღწერილი კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზ გულაბერიძესთან, რომელიც 1150-1177 წლებში იყო პატრიარქი. გარდა ამისა, გვაქვს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები.


წმიდა მარინეს მკლავი

**– როგორ მოხვდა ღვთისმშობლის კვართი საქართველოში?**

– რაც შეეხება ღვთისმშობლის კვართს, რომელიც ზუგდიდში ინახება, მას ვიწრო ყელი აქვს. ფედოტი ელჩინს და პავლე ზახარევს ნიკოლოზ კათალიკოსი ეუბნება, რომ გადმოცემის თანახმად, ამ კვართს ყელი თანდათან უპატარავდებაო. როდესაც პატრიარქს ეკითხებიან, როდის მოხვდა კვართი საქართველოში, ის პასუხობს, მე ახალი დანიშნული ვარ და ვერ გიპასუხებთო. თუმცა, ღვთისმშობლის კვართის შესახებ გვაქვს მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ძალიან საინტერესო ქართული წყაროები. უცხოური წყაროები შედარებით ძველია. თუმცა, წყაროების შედარებით, ორი შეხედულება გამოიკვეთა. პირველის თანახმად, კვართი, მერვე საუკუნეში, ხატმებრძოლეობის დროს შემოუტანიათ საქართველოში. მაგრამ, ჩვენ ამას არ ვემხრობით, ასე რომ მომხდარიყო, ეს აუცილებლად აისახებოდა წყაროებში. ჩვენი აზრით, კვართი საქართველოში, ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ უნდა შემოსულიყო. ამის შესახებ წყაროებშიც არის მითითებული. სხვათა შორის, როდესაც ბიზანტიის იმპერია დაემხო, სასულიერო პირებმა სხვადასხვა სიწმიდე საიდუმლოდ შემოიტანეს საქართველოში. კვართის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს გვაძლევენ კათოლიკე მისიონერები. მეჩვიდმეტე საუკუნეში კათოლიკე-მისონერი ძამპი 20 წელი ცხოვრობდა სამეგრელოში და იმ დროს კვართი ხობის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. კვართის გარდა იქ იყო, წმიდა მარინეს მკლავი, წმიდა კვირიკეს ხელის მტევანი, რომელიც გაუხრწნელია. ძამპი აღწერს ამ სიწმიდეებს და იმასაც წერს, რომ თითქოს ქართველები მათ არ სცემდნენ პატივს, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ასევე, კვართის შესახებ ძალიან საინტერესო ცნობებს გვაძლევენ არქანჯელო ლამბერტი და დონ ქრისტეფორე დე კასტელი, რომელიც წერს, რომ ქართველები, ამ სიწმიდეს არ სცემენ პატივს. მათ ისეთი ხატები მიაჩნიათ პატივისცემის ღირსად, რომლებიც ძვირფასი ლითონისგან არის დამზადებული. მე ამ სიწმიდის მოპარვა მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. ასეთ ხალხში კი არ უნდა იყოს ასეთი სიწმიდეები, ჩვენთან უნდა იყოს და თუ კი ვინმე იქ მოხვდებით, იქნებ შეძლოთ მისი წამოღებაო. მეჩვიდმეტე საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი მაკარიოსი და მისი შვილი. მაკარიოსი წერს: მე ვნახე კვართი, ვემთხვიე, თარგზეც გამოვჭერი მისი ასლი და კვართიდან პატარა ნაჭერი ჩავაკერეო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ღვთისმშობლის კვართის ასლი. კვართს კურნების უნარიც გააჩნია და მის სახელთან დაკავშირებით არაერთი სასწაული მომხდარა.

**– საქართველოში ღვთისმშობელთან დაკავშირებული კიდევ რა სიწმიდეები ინახებოდა?**

– საქართველოში უამრავი წმიდა ნაწილი იყო, რომლებიც ღვთისმშობლის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ მათ უმრავლესობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ინფორმაციას მათ შესახებ კი ვხვდებით რუსულ წყაროებში. 1640 წელს მღვდელი პავლე ზახარევი და დიაკონი ფედოტი ელჩინი იმყოფებოდნენ დადიანის კარზე, სამეგრელოში. მათ, გარდა პოლიტიკური საკითხებისა, უნდა შეესწავლათ, თუ რა სიწმიდეები იყო საქართველოში და თუ საშუალება ექნებოდათ, ისინი რუსეთში უნდა წაეღოთ. ოდიშის მთავარი ლევანი მათ დიდი პატივით შეეგება და სასულიერო პირებს დაავალა, მათთვის სიწმიდეები დაეთვალიერებინათ. მაქსიმე მიტროპოლიტმა მოქვის მონასტრის დათვალიერების დროს აჩვენა თეთრი ქვისგან დამზადებული კვირისთავი და აუხსნა – ეს ღვთისმშობლის კუთვნილია და მასზე ძაფს

**(გაგრძელება 78-ე გვერდზე)**

**ვერკა ჯაჯანიძე მაყურებელმა „ცეკვავენ ვარსკვლავებიდან“ გაიცნო, სადაც ის გია სურამელაშვილს უწევდა პარტნიორობას. ვერკას ცეკვამ და გოჩა ჩერტკოევის მიერ მის ლამაზ ფეხებზე გაკეთებულმა კომენტარებმა არავინ დაიტოვა გულგრილი. ვერკას ექვსი წელია ერთი მეწყვილე ჰყავს – გიორგი სუთიძე და მასთან ერთად არაერთ შოუში იღებს მონაწილეობას.**

# რატომ უშლის ვერკა ჯაჯანიძეს ხელს ცეკვა პირადი ცხოვრების მოწყობაში და რა სირთულეების გადალახვა მოუწია მას

**ვერკა ჯაჯანიძე**: ჭიათურიდან ვარ. ჯერ კიდევ ბაღში დავდიოდი, როდესაც ცეკვა დავიწყე. მშობლებმა ქართულ ცეკვებზე მიმიყვანეს, სადაც 12 წელი ვცეკვავდი. შემდეგ ჩემმა მასწავლებელმა სტუდია გააკეთა და, მე, როგორც საუკეთესო მოსწავლე, სამეჯლისო ცეკვებზე გადამიყვანა. ერთი სიტყვით, ძალიან მოვიხდინე ეს ცეკვები და ცხრა წლის განმავლობაში ვცეკვავდი. თბილისში ჩამოვედი უნივერსიტეტში ჩასაბარებლად, მაგრამ, უცებ გადავწყვიტე, თეატრალურში ჩამებარებინა და ქართული ცეკვები გამეგრძელებინა, რადგან მამას არ მოსწონდა ლათინური ცეკვები. ახლა ეს ცეკვები მოდაში შემოვიდა და აღარ აქვს მძაფრი რეაქციები. ზოგადად, ამ პროფესიის გამო ბევრი რამის გადატანა მომიწია. საბოლოოდ, სპორტის აკადემიაში ჩავაბარე, რომელიც შემდეგ ილიას უნივერსიტეტს შეუერთდა, დავამთავრე და ახლა ვარ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების მწვრთნელი. ამავდროულად, ვარ პროფესიონალური საბჭოს წევრი საქართველოში, მაგრამ, ამჟამად უფრო ინდივიდუალურად ვცეკვავთ მე და ჩემი მეწყვილე. ჩვენთვის ვვარჯიშობთ, ვერც ვიტყვით, რომ თბილისში პედაგოგი გვყავდა. აქ თუ რამეს მივაღწიეთ, ეს მხოლოდ ჩვენი დამსახურებაა – ძალიან ბევრს ვშრომობთ. ძალიან ძლიერი მოცეკვავეები იყვნენ ადრე საქართველოში, დღეს ბევრმა თავი დაანება. მათი ცქერით ბევრი რამ ვისწავლე. რასაც ვაკეთებთ, ყველაფერს ჩვენით, წვალებით ვაკეთებთ. საქართველოს მასშტაბით კონკურსებშიც ვმონაწილეობდით, მაგრამ, უცხოეთში ვერ წავედით გარკვეული ფინანსური პრობლემები გამო.

**– მამა შეეგუა შენს გადაწყვეტილებას?**

– კი, შეეგუა. რადგან ეს პროფესია ავირჩიე, უნდა შეეგუოს. რაღაცეები არ მოსწონს, მაგრამ, ეს ჩემი პროფესიაა.

**– რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე?**

– შემიძლია თამამად ვთქვა, რომ, მე და ჩემი პარტნიორი, გიორგი სუთიძე, პირველი წყვილი ვიყავით საქართველოში, რომლებმაც გავაკეთეთ შოუ და დავდიოდით კორპორაციულ საღამოებზე, სხვადასხვა ღონისძიებაზე, რესტორანშიც ვცეკვავთ. თავიდან ამ ყველაფრის აღქმა და შეგუება ხალხს ძალიან უჭირდა, უფრო ქართულ ცეკვებს ითხოვდნენ. თუ „ვალსს” ან „ტანგოს” ვიცეკვებდით, ამას ხვდებოდნენ, მაგრამ, როგორც კი ლათინურ-ამერიკულ ცეკვების შესრულებას ვიწყებდით, ძალიან უკვირდათ. უფრო ადრე ის იყო პრობლემა, რომ სამეჯლისო ცეკვებში მაინც მოხსნილი კაბებია და, რაიონში კაბა რომ აგიფრიადლებოდა და რაღაც გამოგიჩნდებოდა, მეზობელი აჭორავდებოდა, ვიღაცა რაღაცას იტყოდა. ძალიან ბევრი რამის გადატანა მოუწია ჩემს მეწყვილეს, ბიჭისთვის უფრო რთული იყო. ახლა სტუდია მაქვს, ბავშვებს ვასწავლი, სულ გოგონები არიან, ბიჭები არ დადიან.

**– შენი პროფესიის გამო ვინმეს თუ ჩააუყენებიხარ უხერხულ სიტუაციაში?**

– დიდი ხანია, ამ სფეროში ვმუშაობ, მაგრამ, ცუდი არაფერი მიგრძნია. გამოხედვა კი ყოფილა, მაგრამ, სერიოზული არაფერი. ადრე უფრო კაბაზე გიყურებდნენ – რა გეცვა, რა გიჩანდა. ახლა რესტორანში ჩემზე მოხდილი კაბებით დადიან, ამიტომ, აღარ აქვთ დიდი რეაქცია. ეს მაინც საცეკვაო ფორმაა და აღარ მაქვს ამის კომპლექსი. თან, რაც ტელევიზიით „ცეკვავენ ვარსკვლავები“ გავიდა, ხალხი მიეჩვია და უფრო მეტად იმას აქცევენ ყურადღებას, როგორ ცეკვავ – მოითხოვენ, კარგად ვიცეკვო და მაღალ დონეზე შევასრულო ჩემი ნომერი.

**– არ გაგიჭირდა მეწყვილის პოვნა?**

– კი, ძალიან ძნელი იყო. რაიონში მეც და ჩემს მეწყვილესაც სხვადასხვა წყვილი გვყავდა. თბილისში რომ ჩამოვედით, გადავწყვიტეთ, ერთად გვეცეკვა. მეზობლები ვართ, ერთად გაზრდილები და ვიცნობთ ერთმანეთს. ბევრს კი ვკამათობთ, მაგრამ, ეს ჩვენი პროფესიისთვის არის საჭირო. უცხო ბევრ რამეში ვერ გაგიგებს, ამიტომ, ამ კუთხით არ გვაქვს პრობლემები, ამაში ძალიან გამიმართლა.



**ბიჭთან ერთად რომ ვცეკვავ, ესეც არ მოსწონთ, ვერ ეგუებიან და ეჭვიანობენ. უმეტესობას უნდა, რომ გავთხოვდე და სახლში დავჯდე**

**– ხშირად მეწყვილეები, საბოლოოდ, შეყვარებულები ხდებიან, ზოგჯერ – ცოლ-ქმარიც. ექვსი წელია, ერთად ცეკვავთ და, თქვენ შორისაც რამე ხომ არ ხდება?**

– არა. ბევრ ნაცნობს უნდა, რომ ერთად ვიყოთ, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ერთმანეთის მიმართ ეს გრძნობა. სადმე რომ მივდივართ, გვეკითხებიან: „ცოლ-ქმარი ხართ? არც შეყვარებულები?” მერე იწყებენ: რატომ არ ხართ შეყვარებულები, ასეთი კარგი გოგოა, არ დაუთმო არავისო. ცალკე ჩემთან მოდიან: „მიდი, მიდი, მიდი”... მერე – მასთან. ბოლოს ვიღლებით და, ათას კითხვას რომ გვისვამენ, უკვე დადებითად ვპასუხობთ.

**– გიშლის შენი პროფესია ხელს პირად ცხოვრებაში?**

– ისეთი პროფესია მაქვს, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა იმ ადამიანის პოვნა, რომლის გვერდითაც ვიქნებოდი. ჯერჯერობით ასეთი არავინ არის ჩემს ცხოვრებაში. დატვირთული რეჟიმი მაქვს, მეორე ნახევარს კი ბევრი ყურადღება სჭირდება. ზოგადად, ყურადღებიანი ვარ, მაგრამ, ეს ჩემი პროფესიაა და, მინდა, რაღაცას მივაღწიო. სტუდია მაქვს, გადაღებები, საღამოობით ვცეკვავ და, საკმაოდ დაკავებული ვარ. არც ის მოსწონთ, ბიჭთან ერთად რომ ვცეკვავ, ვერ ეგუებიან, ეჭვიანობენ და, უმეტესობას უნდა, გავთხოვდე და სახლში დავჯდე. სახლში ვერ დავჯდები. ამდენი წელი ვიშრომე და ახლა ეს ყველაფერი წყალში ჩავყარო, ნამდვილად არ მინდა.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– მეუბნებიან ხოლმე, იპოვე შენი პროფესიის ადამიანი და იმას გაჰყევიო. ხშირად წყვილები მართლაც ქმნიან ოჯახებს, მერე შვილები ჩნდებიან და, აქედან გამომდინარე, ერთი განაგრძობს ცეკვას, მეორე კი შვილების, ოჯახის მოვლით კავდება, რაც უფრო მეტად ქმნის ეჭვიანობის მომენტს. მე არ ვიცი, რატომ, მაგრამ, არ მინდა ჩემი პროფესიის მეუღლე. ხელოვანი თუ იქნება, კარგია, ბევრ რამეში გამიგებს. უბრალოდ, მინდა ჩემს საქმეში იყოს ჩახედული, რომ მიხვდეს რა რთულია ამ ყველაფრისთვის თავის დანებება. მინდა, ოჯახს რომ შევქმნი, მქონდეს მხოლოდ სტუდია და ბავშვებს ვასწავლიდე ცეკვას. შეიძლება, მე აღარც ვიცეკვო. ზოგადად, მეოჯახე ტიპი ვარ. ვინც არ მიცნობს, ყველას ძალიან მკაცრი ვგონივარ, არადა, სცენაზე სულ სხვანაირი ვარ და ისე – სულ სხვანაირი.

**– რა განსხვავებაა ორ ვერკას შორის?**

– სცენაზე ძალიან თამამი, გახსნილი ვარ, გიჟური ტიპი, ცხოვრებაში კი – ძალიან კომპლექსიანი, უფრო ნაზი. თუ დრო მაქვს, მირჩევნია, სახლში ვიყო. ჩემი მეწყვილეც სულ იმაზე მეჩხუბება, როცა გირეკავ, სულ საქმეს აკეთებო. ეს არის ჩემი ჰობი – მიყვარს სახლში ბევრი რაღაცის კეთება, ისე ვერ დავჯდები. დარწმუნებული ვარ, ოჯახი რომ შევქმნა, ჩემს საქმესაც გავაკეთებ და ოჯახსაც მივხედავ. კარგი ცოლი ვიქნები, ვერ დაიწუწუნებენ, რომ მხოლოდ ცეკვა მეხერხება. თან, გემრიელი ხელი მაქვს, რასაც ვაკეთებ, გემრიელი გამომდის. მინდა, ჩემი მეორე ნახევარი იყოს ძალიან ყურადღებიანი, რადგან, მე თვითონ ვარ ასეთი. შემიძლია – საქმეც ვაკეთო და მასაც მივაქციო ყურადღება. რაც მთავარია, მას უნდა ჰქონდეს თავისი საქმე და გააჩნდეს მიზანი – მიაღწიოს წარმატებას. რა თქმა უნდა, მეც შევუწყობ ხელს და მისგანაც იმავეს მოვითხოვ.

**– „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ დიდხანს არ მოგიწია ყოფნა, მაგრამ, მაყურებელს თავი მაინც დაამახსოვრე.**

– მესამე სეზონში გამოვდიოდი, რადგან, პირველი და მეორე სეზონების დროს საქართველოში არ ვიყავი – მე და ჩემი მეწყვილე ჩინეთში მიგვიწვიეს სამუშაოდ. რომ ჩამოვედი, მივედი ქასთინგზე და ამიყვანეს. სხვათა შორის, 2010 წელს „ნიჭიერშიც“ გამოვდიოდით და ფინალისტები გავხდით. ჩვენ პირველი წყვილი ვიყავით, ვინც ტელევიზიით გამოჩნდა. საქართველოდან ქართველი მოცეკვავეები არიან წასულები, თავისი შოუ აქვთ. იქ არიან, ასევე, უკრაინელებიც და მათაც აქვთ შოუ. ჩვენი ვიდეოები ნახეს „იუთუბიზე“, დაგვიკავშირდნენ და შემოგვთავაზეს სამთვიანი კონტრაქტით წასვლა. ოთხ ქალაქში ვიყავით და კლუბებში ვცეკვავდით „ჯაივს“, „სალსას“, „ლამბადას“ და „ჩა-ჩა-ჩას“. ძალიან მოსწონდათ, ერთწლიანი კონტრაქტიც შემოგვთავაზეს, მაგრამ, არ დავთანხმდით. ერთ საღამოს შანხაის დასათვალიერებლად გავედით. ერთ-ერთ ბაღში მუსიკა იყო ჩართული. იქვე არიან მასწავლებლები და, სადაც მუსიკა მოგეწონება, შეგიძლია, გაჩერდე და იცეკვო. ერთ ადგილას „ვალსი“ იყო ჩართული. მაშინვე დავიწყეთ ცეკვა. არ დამავიწყდება, რა ხდებოდა: უამრავი ხალხი მოგროვდა, აპლოდისმენტები, არ გვიშვებდნენ – კიდევ იცეკვეთო.

**– გოჩა ჩერტკოევი სულ შენს ფეხებზე აკეთებდა კომენტარებს.**

– სხვათა შორის, არ მოველოდი ასეთ შეფასებებს. რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნო იყო. გოგონებიც მეუბნებოდნენ, რომ მოსწონდათ ჩემი აღნაგობა. დედა უკრაინელი მყავს და მისი სისხლიც მირევია. გიასთან მუშაობა არ იყო ძალიან რთული. ვერ გეტყვი, რომ ვარჯიშით თავს იკლავდა, მე უფრო მეტს ვცდილობდი. იზარმაცა ცოტა. რეპეტიციებზე უფრო კარგად ცეკვავდა, მეტად გახსნილი და თამამი იყო, უბრალოდ, გამოსვლისას ძალიან ნერვიულობდა.

**ნათია უტიაშვილი**

**„X ფაქტორის“ შესარჩევ ტურში გამოსულმა 19 წლის სოფი სააკაშვილმა თავისი ძლიერი, ლამაზი ხმით მაშინვე მოხიბლა მაყურებელი. სოფის გულშემატკივრებს შორის დედამისი, მომღერალი მაია ყარყარაშვილი იყო. დედა-შვილს ერთმანეთთან მეგობრული და ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ. რაც მთავარია, სოფის დედისგან არა მხოლოდ ძლიერი ხმა გამოჰყა გენეტიკურად, არამედ ენერგიული, ხალისიანი და პოზიტიური ხასიათიც.**

# რაზე თქვა უარი შვილის გამო მაია ყარყარაშვილმა და როგორ ამართლებს სოფი სააკაშვილი საკუთარ გვარს

**სოფი სააკაშვილი:** ხშირად ვესწრებოდი სტუდიაში დედაჩემის ჩაწერებს, ჩვენც გვაქვს ერთად სიმღერა ჩაწერილი. ძალიან კარგად მახსოვს ბავშვობის ამბები, ის პერიოდი, როცა დედა აქტიურად საქმიანობდა, როგორც მომღერალი. ვფიქრობ, დედამ იქონია გავლენა – მის სიმღერებს სულ ვუსმენდი. ერთი ლირიკული სიმღერა ჰქონდა და იმას რომ ვუსმენდი, ვტიროდი. „თბილისო“ და „სიყვარულის მატარებელი“ ძალიან მიყვარდა, ვცეკვავდი ხოლმე. ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, არაფერს ვუმალავ. ისიც ყოველთვის მიგებს. არ უყვარს ასე თქმა: შენ ეს უნდა გააკეთო! უბრალოდ, რჩევებს მაძლევს. ბავშვობიდან დამოუკიდებელი ვარ, მაგრამ დედას ვეკითხები ხოლმე: ეს როგორ იქნება, ან კარგი იქნება ეს რომ გავაკეთო? ეს ეხება ყველაფერს – სწავლას, მუსიკას, პირად ცხოვრებას. დედა ძალიან მხიარული, ხალისიანი ადამიანია, სულ ხუმრობს. ჟარგონულად, რომ ვთქვათ, „ღადაობს“ და ამაში აშკარად დავემსგავსე. ამბობენ ხოლმე: მაიასავით იცის „ღადაობაო“.



„ვერძი“ ვარ და ყველაფერს რქებით ვაწვები

**– იმ ფაქტს, რომ დედა ძალიან პოპულარული იყო და დღეს ისე აქტიურად ველარ მუშაობს, როგორც მომღერალი, ალბათ, განიცდის?**

– ძალიან რთულია, როცა ყველა გიცნობს, ვარსკვლავი ხარ და მერე უცებ ჩერდები. მაგრამ, იმ დროს მთელი შოუბიზნესი გაჩერდა. იმის მერე ნორმალურად არც განვითარებულა. ეს მისთვის, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურად ძალიან რთული იყო, მაგრამ ჩემთან მიმართებაში, ჩემ გვერდით ყოფნისას, ეს არასდროს მიგრძნია. პირიქით, მხიარულია, კარგ ხასიათზე და ბევრ პოზიტივს მაძლევს.

**– რომ ამბობენ, დედისერთები ეგოისტები არიანო, შენ ხარ ასეთი?**

– არ ვარ ეგოისტი. თან, ნახევარძმა მყავს. დედა და მამა დიდი ხანია, დაშორებულები არიან, მაგრამ მე ყოველ შაბათ-კვირას, ანუ დასვენების დღეებს მამასთან, ბებია-ბაბუასთან ვატარებდი. დედას ექსდედამთილთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და მამასთანაც – ჩვეულებრივი. ყოველ შემთხვევაში, მამას მხრიდან, მე არასდროს არაფერი მომკლებია.

**– რამდენი წლის იყავი, შენი მშობლები რომ დაშორდნენ?**

– ოთხ-წლინახევრის ვიყავი, ყველაფერი მახსოვს. თუმცა, ეს ჩემთვის არ ყოფილა დეპრესიული პერიოდი, რადგან კვირის განმავლობაში 4 დღე მამასთან ვიყავი. ანუ, ამ კუთხით დეფიციტი არ მქონია.

**– როგორ აღიქვი დედის მეორედ გათხოვება? ზოგი ბავშვი ამას მტკივნეულად აღიქვამს, ზოგი – პირიქით.**

– ძალიან ჩვეულებრივად შევხვდი ამ ფაქტს. დედა და მამა იმდენი ხნის დაშორებულები იყვნენ, რომ ნორმალური იყო, ორივეს შეექმნა ახალი ოჯახი. დედა ლამაზი, ახალგაზრდა ქალია და რატომ უნდა ყოფილიყო მარტო? ასე რომ, კარგად მივიღე ეს გადაწყვეტილება და მშვენიერი ურთიერთობა მაქვს მის მეუღლესთან.

**– ახლა შენს ამბავს დავუბრუნდეთ. როგორც მივხვდი, ბავშვობიდან მღერი.**

– როგორც მეუბნებიან, ჯერ ლაპარაკიც არ მქონდა დაწყებული, როცა უკვე ვღიღინებდი. თან, ბებია ფორტეპიანოს მასწავლებელია და სულ მინდოდა, პიანინოზე ავსულიყავი, დამეკრა, ვეპოტინებოდი კლავიშებს. ყურები ჰქონდათ ჩემი ბრახუნით გახვრეტილი. გიტარით ხელში მაქვს ფოტოები გადაღებული, სალამურით. ჩემს ოჯახში ბევრი მუსიკალური ინტრუმენტია და რაც ხმას გამოსცემდა, ჩემი ჭკუით, ყველაფერზე ვცდილობდი დაკვრას. ადრე პატარა პიანინოები რომ იყო, წრიპინა ხმით, ის მქონდა და რომ ვჭამდი, თან ვუკრავდი. მოკლედ, მუსიკალური ბავშვი ვიყავი. მოგვიანებით, რომ გავიზარდე, ბებიამ ფორტეპიანოზე დაკვრა მასწავლა, შვიდწლედი მაქვს დამთავრებული. როგორც ასეთი, სისტემატურად ვოკალის პედაგოგთან არ მივლია. ვოკალთან დაკავშირებული სკოლაც არ გამივლია. დედასაც შეიძლება, რაღაც შენიშვნა მოეცა ან რჩევა, მე მასთან გამღერებაც არ გამიკეთებია, ჩემთვის მასტერკლასები არ ჩაუტარებია. უფრო, თავად ვუტარებდი საკუთარ თავს მასტერკლასებს. ჩემით ვსწავლობდი ყველაფერს.

**– აქამდე კონკურსებში არ მიგიღია მონაწილეობა?**

– 12 წლის ვიყავი, როცა „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ გავიმარჯვე კონკურსში „წარმატების ფორმულა“. აქედან შემდეგ ხვდეობდნენ „ევროვიზიის“ შიდა ქასთინგზე და მოვხვდი მეც. უცხოეთში ძალიან ბევრს ვმოგზაურობ, მაგრამ კონკურსებზე არასდროს გამოვსულვარ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა. ექვსი თვე რომ გავიდეს და სადმე არ წავიდე, ძალიან განვიცდი. 19 წლის ვარ და უკვე 14 ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ახლახან ჩამოვედი ნიუიორკიდან. იქ ცხოვრობს ბებიაჩემი და მასთან ვიყავი სამი თვე.

**– დედას ან შენ არასდროს გიფიქრიათ, თუნდაც ამერიკაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში საცხოვრებლად გადასვლა, იქ კარიერის გაკეთება?**

– დედას ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვევები, მაგრამ უარს ამბობდა. მე რომ თან წავეყვანე, მაშინ მამასთან, ბებიასთან არ მექნებოდა კონტაქტი და მას ეს არ უნდოდა. ჩემ გამო შეიკავა თავი და დათმო რაღაცეები. ამას ვაცნობიერებ და ძალიან ვაფასებ. მე მინდა, უცხოეთში წასვლა. მინდა, რომ სწავლა განვაგრძო. იქ უკვე მოვაგვარე რაღაცეები, მერე, თუ შესაძლებლობა მომეცემა, კარიერასაც გავაგრძელებ. არასდროს მავიწყდება გამოთქმა: როცა გძინავს, სულ უნდა გახსოვდეს, რომ სადღაც ვიღაც, საქმეს წინ იგდებს, რაღაცას აკეთებსო. აქედან გამომდინარე, ბევრი უნდა ვიშრომო, ამისთვის კი მზად ვარ. „ვერძი“ ვარ და ყველაფერს რქებით ვაწვები.

**– სად სწავლობ ამჟამად, რა სპეციალობას ეუფლები?**

– ძალიან საინტერესო პროფესია მაქვს, ჩემს გვარს ვამართლებ. ვსწავლობ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, საჯარო ადმინისტრირებისა და სახელმწიფოს მართვის სპეციალობაზე, ინგლისურ ენაზე. ვმღერი, სამსახიობო მონაცემებიც მაქვს. ამიტომ მეკითხებიან: რატომ არ ჩააბარე სამსახიობოზე, აქ რატომ მოხვედიო. იმიტომ არ ჩავაბარე, რომ ის შემოსავალი, რაც შეგიძლია, მოიპოვო დიპლომატიით, ან სახელმწიფოს მართვით, ვერ მოიპოვებ ვერც მომღერლობით და ვერც მსახიობობით. ხშირად ვწუწუნებ: არ მაქვს დრო, ამდენი რამ როგორ გავაკეთო-მეთქი. მაგრამ, არც ლოდინი მიყვარს, მოთმინების უნარი არ გამაჩნია, ის, რაც სამ თვეში შეიძლება გაკეთდეს, მე ერთ თვეში ვაკეთებ. რაც შეიძლება ერთი წლის მერე გაკეთდეს, მე იმწუთშივე დავრეკავ და გავაკეთებ. საბოლოოდ, ყველაფერს ერთად ვაკეთებ. აქედან გამომდინარე, ვიფიქრე, რომ უნდა მქონოდა ჩემი პროფესია, რომელიც ბევრ რამეში დამეხმარება. თუ სიმღერით ვერ მივაღწევ ვერაფერს, ხომ უნდა ვიცხოვრო რაღაცით. ამიტომ, უნდა მქონდეს შესაბამისი განათლება, ბაზა. სხვათა შორის, პაპაჩემი, ნიკოლოზ სააკაშვილი პარლამენტარი იყო. სულ მეუბნებოდა: პაპა, ისწავლეო. ერთი წლის წინ გარდაიცვალა, ვერ მოასწრო უნივერსიტეტში ჩემს სწავლას. ვამბობ ხოლმე: გავამართლე მისი იმედები-მეთქი. ძალიან ჭკვიანი, განათლებული ადამიანი იყო – ბევრი პროფესიის. ძალიან მინდა, მას დავემსგავსო.

**– ახლა მითხარი, რატომ გადაწყვიტე „X ფაქტორში“ გამოსვლა?**

– ზოგადად, არ მიყვარს კონკურსებში მონაწილეობა. თან, როცა პატარა ქვეყანაა, შეიძლება, ვინმემ თქვას: დედამ ჩაუწყო, ბიძამ, ბაბუამო. რა შუაშია ჩაწყობა, როცა დედაჩემი იდგა და ტიროდა, ისეთი გახარებული იყო. მას გაუკვირდა კიდეც ამ კონკურსში გამოსვლა რომ მოვინდომე. მაია ყარყარაშვილის შვილი კი ვარ, მაგრამ დედამ როგორ უნდა გამქაჩოს? თუ ვერ ვმღერი, მაინც ვერაფერს გავაკეთებ, ხალხი ყრუ ხომ არ არის?! დედაჩემის დამსახურება ის არის, რომ გენეტიკურად გამომყვა სიმღერის ნიჭი და არასდროს დაუშლია ჩემთვის სიმღერა. უნივერსიტეტშიც, სკოლაშიც ბევრმა არ იცოდა, ვისი შვილი ვარ. არ მიყვარს აფიშირება: მე, იცით, ვისი შვილი ვარ... რაც შეეხება „X ფაქტორს“, ამერიკიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, ცოტა დეპრესიაც მქონდა, ვერ შევეგუე აქაურობას და უცებ ვნახე ტელევიზორში: „X ფაქტორი“ საქართველოშია. გადავწყვიტე გამოვსულიყავი, თან უცხოეთში თუ წავალ და რამე წარმატებას მივაღწევ, მინდა, საქართველოში უკვე მიცნობდნენ.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– გათხოვილი არ ვარ და საერთოდ, მე და გათხოვება შორს ვართ ერთმანეთისგან. გათხოვებას რომ მიხსენებენ, ცოტა მეშინია. ეს იმხელა პასუხისმგებლობაა – ეს ხომ სახლობანას თამაში არ არის, სერიოზული გადაწყვეტილებაა. თან, მარტივად არ მომწონს ადამიანი. საქართველოში არ ვიცი, მაგრამ აშკარად რაღაც სჭირთ ამ ბიჭებს. გაინტერესებს, როგორი ბიჭები მომწონს? არ მომწონს ისეთი ბიჭები, ზედმეტად რომ იფასებენ თავს. არც პასიურები. რომანტიკულიც ვარ, ყურადღებიანიც. მესმის, რომ ოცდამეერთე საუკუნეა, გოგოები აქეთ უხსნიან ბიჭებს სიყვარულს, მაგრამ, მე არ შემიძლია ასეთი რამ. უფრო ველი, რომ ბიჭისგან მოდიოდეს ინიციატივა. განათლებული უნდა იყოს, ნაკითხი, რომ რაღაც თემებზე შეძლო მასთან საუბარი. ასევე, სიმპათიური – მაღალი, შავგვრემანი, ღია ფერის თვალებით. ჯერ ვიზუალს ვაფასებ ადამიანში. თუ თავიდან ვიზუალურად არ მოახდინა ეფექტი, მის სულსა და გონებრივ შესაძლებლობას ვერ განსაზღვრავ. მერე იმას ვაქცევ ყურადღებას, როგორ მოიქცევა, როგორ საუბრობს, რამდენად ყურადღებიანია. ყურადღებაში არ ვგულისხმობ, ყოველ წუთს მესიჯების წერას. ზოგადად, ყველაფერს ვანიჭებ მნიშვნელობას, რაც ყურადღების გამოჩენაში იგულისხმება.

**ნათია უტიაშვილი**

**„პალიტრა TV“ ექვსი მაისიდან ახალ გადაცემას იწყებს. გადაცემა უჩვეულო ფორმატისაა – მას ეყოლება სამი წამყვანი – გია ჯაჯანიძის, მაკა შალიკაშვილისა და ნატა ტყეშელაშვილის სტუმრები იქნებიან ჩვეულებრივი ადამიანები, მაყურებლები, რომლებიც თავისი ცხოვრების ისტორიას მოყვებიან. პატარა რჩევებს ამა თუ იმ უხილავ რესპონდენტს, წამყვანები თავად მისცემენ, მოყვებიან ანალოგიურ ისტორიებს და საშუალება ექნებათ, ღამის ეთერში, ესა თუ ის თემა ფართოდ გაშალონ.**

# ვინ არიან გია ჯაჯანიძის ავი ანგელოზები

**გია ჯაჯანიძე**: ერთი წელი სატელევიზიო პაუზა მქონდა და „პალიტრა TV-ში“ მივიტანე გადაცემის პროექტი, რომლის ანალოგიც საქართველოში არ არსებობს. იქნება სამი წამყვანი და არც ერთი სტუმარი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სტუმრის გარეშე ვიქნებით გარკვეული პერიოდი მაინც. პირდაპირ მაყურებელთან გვაქვს კონტაქტი და იქნება ზარები. ადამიანი ყვება თავის ისტორიას და შემდეგ უკვე ჩვენ ვშლით თემას. თემა იქნება არჩეული და დაანონსებული და მის გარშემო ვისაუბრებთ. ეს არის სიყვარული, ღალატი, განშორება, ტკივილი, წარმატება-წარუმატებლობა, ძალიან გავრცელებული ნევროზი და სხვა.

**– ხომ არ იქნება მაყურებლის მოყოლილი ამბები სტერეოტიპული, როგორ ფიქრობთ?**

– იქნება სტერეოტიპულიც და სრულიად მოულოდნელი ისტორიებიც, რადგან ყველა ამბავი უნიკალურია.

**– რაც შეეხება თანაწამყვანებს, რის მიხედვით შეირჩნენ? მაკასთან მუშაობის დიდხნიანი გამოცდილება გაქვს...**

– როგორც კი პროექტზე ფიქრი დავიწყე, მოვიაზრებდი მაკას და კიდევ ერთ მამაკაცს, უფრო ახალგაზრდას. დიდხანს ვსაუბრობდით და ვფიქრობდით ამ თემაზე. ხომ იცი, ვგიჟდები ექსპერიმენტებსა და მოულოდნელ გადაწყვეტილებებზე. ძალიან ხშირად, თითქმის ყველა ტელევიზიაში, როდესაც ჯერი წამყვანის არჩევაზე მიდგება, იწყება ფიქრი ცნობად სახეებზე, სხვას არც განიხილავენ. ვიფიქრე, მაყურებელს ეს ცნობადი სახეები ყელში ჰყავს ამოსული და მრავალფეროვნებისთვის, წავედით ექსპერიმენტზე – ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანი იქნება ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი, რომელიც კარგად არის ნაცნობი სატელევიზიო სივრცეში. ვნახოთ, როგორ გაამართლებს. გადაცემის მომზადების პროცესში იყო „ჩეპეები”, მოხდა განხეთქილება, ჯახიც და ეჭვქვეშ დადგა საერთოდ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

**– მაკა უკვე მიჩვეულია შენთან მუშაობას და კომპრომისებზეც მიდის.**

**მაკა შალიკაშვილი**: კი, გიასთან უკვე ვიცი, რამდენიც არ უნდა ვიჩხუბო და არ დავეთანხმო, მაინც ისე გადაწყვეტს, როგორც საჭიროა და მასთან კომპრომისებზე მივდივარ. ყველაფერს ვუჯერებ უკვე. ბოლოს ვხვდებოდი ხოლმე, რომ მაინც მართალია. თუმცა, ვცდილობ, ცოტა ჩუმად მაინც ვიბრძოლო.

**გია**: ხანდახან ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მაკას მამა ვარ, იმდენჯერ მყავს ნაცემი, ოღონდ არა პირდაპირი მნიშვნელობით. თან, საშინლად ცელქია, ხის კენწეროდან რომ ვერ ჩამოიყვან და თუ ჩამოიყვან, მეორე ხეზეა. საშინლად მამწარებდა, ყველა ის კადრი მახსოვს.

**– გაგვაცანი ნატა უფრო კარგად, როგორ მოხვდა გადაცემაში?**



**გია: „ძალიან დიდი ჩხუბის, ყვირილის შემდეგ, რომ გაგიჟდება და თავიდან სკალპს გადაიძრობს, მერე ჩუმდება და ხდება მოკრძალებული“**

**გია**: ნატა სატელევიზიო ბიზნესში იყო, მაგრამ კამერის უკან მუშაობდა წლების განმავლობაში.

**ნატა ტყეშელაშვილი**: 2005 წელს დავბრუნდი საქართველოში მოსკოვიდან. იქ ვსწავლობდი და ვმუშაობდი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დავიწყე მუშაობა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარეკლამო სამსახურში და რვა წლის განმავლობაში ვიმუშავე.

**– ერთია, როცა რაღაცას ყიდი და მეორე, როცა გასაყიდს ქმნი ან შენ გყიდიან.**

– დიახ ასეა, თავად გავხდი გაყიდვის საგანი. მაგრამ ვიცი, რა სჭირდება მაყურებელს და როგორი უნდა იყოს პროდუქტი, რომ მას რეიტინგი ჰქონდეს. ეს შემოთავაზება ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო და ამავე დროს ამაღელვებელიც, რადგან დიდ პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. ამხელა გამოცდილებამ დამანახვა, თუ რამხელა პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანს, ვინც ეთერში ჯდება.

**– რა იყო თქვენ შორის სკანდალის მიზეზი?**

– ამის კომენტარისგან თავს შევიკავებ.

**– გია, შენ მომიყევი, შენ არ იკავებ ხოლმე თავს...**

**გია:** გია თავშეუკავებელი ***(იცინიან).*** ამ შემთხვევაში, ორი განსხვავებული ადამიანი მუშაობს ჩემთან ერთად. მაკამ ეკრანის სპეციფიკა კარგად იცის, იცის რა არის საჭირო. ნატამ კი ეს მხოლოდ თეორიულად იცის. წინასწარ ვიცი, ამ სამეულის ეთერში დაჯდომას რაც მოჰყვება. დაიწყება ამბიციები, გახდება მოწყვეტილი ვარსკვლავი, შეიფერებს ამ ყველაფერს და მერე იქნება მარცხი, გარდაუვალი მარცხი, რომელიც ყველა წამყვანმა გავიარეთ. მაგრამ, ტელევიზიას ერთი საოცარი თვისება აქვს – თუ მიგიღო, ბოლომდე გიღებს და თუ არადა, რაც არ უნდა მაგარი იყო, მაინც გაგდებს. ძალიან ბევრი წამყვანი ყოფილა და ტელევიზიას მასთან ურთიერთობა დაუმთავრებია. გმირებად მიმაჩნია ისინი, წლები რომ მუშაობენ ეთერში. ამას უდიდესი შინაგანი ძალა სჭირდება. რაც შეეხება სკანდალს, ამ საქმეში ჭიპი მაქვს მოჭრილი და არ გამოვრიცხავ, თავად შევუწყვე ამას ხელი. კონფლიქტის დროს ადამიანები თავს ამჟღავნებენ და კარგი ტესტია რაღაცეების გამოვლინებისთვის.

**– შენ გინდოდა, რომ ნატა ბევრზე წამსვლელი აღმოჩენილიყო?**

**ნატა**: ბევრზე არა, ყველაფერზე.

**გია**: ამას რომ მასშტაბური სახე მიეღო, შეურაცხმყოფელი ყოფილიყო, გადაცემა შესაძლოა, ეთერში გასულიყო, მაგრამ უფრო სხვა სახით.

**– თქვენც მოყვებით ანალოგიურ ისტორიებს, ალბათ.**

– რასაკვირველია, ჩვენ გვაქვს საკმარისი ცხოვრებისეული გამოცდილება. შესაძლოა, მე უფრო მეტი, ასაკის გამო, მაგრამ მოსაყილი ნამდვილად ბევრია და ვფიქრობ, მოვერევით.

**– როგორ ფიქრობთ, ვართ მზად იმისთვის, რომ საჯაროდ მოვყვეთ ჩვენი ძალიან ინტიმური და პირადი ისტორიები?**

**მაკა**: გიამ მიაჩვია ***(იცინიან).***

**ნატა**: თან, ეს სრულიად კონფიდენციალურია. მათი იდენტიფიკაცია ვერანაირად ვერ მოხდება.

**გია**: გადაცემა გადის ღამის ეთერში, სამშაბათს და პარასკევს თერთმეტის ნახევარზე. ეს ის დროა, როცა ადამიანი გულახდილობის ხასიათზე დგება. ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც ცოლ-ქმარი ფსიქოლოგთან მიდის, ერთი და იმავე ისტორიას სრულიად განსხვავებულად ყვებიან. გადაცემას ჰქვია „1002 ღამე“. მაკა ღამე მირეკავს და ისტორიებს მიყვება ხოლმე...

**– შენი შეჰრაზადაა?**

– შეჰრაზადა არა, ჯაჯოს ავი ანგელოზები არიან.

**ნატა**: მე რატომ ვარ ავი?

**გია**: რაც არ უნდა პროფესიონალი იყო, მაინც საჭიროა მოთელვის და ერთმანეთთან შეჩვევის დრო. თავიდან ვერაფრით გაიგებს ან იმას თუ რა არის საჭირო. მე ვიქნები ბედნიერი, რომ ამათმა ერთმანეთი დაჭამონ და მე სეირს ვუყურებ.

**ნატა**: აქ გასათვალისწინებელი ჩემი ხასიათია - როდესაც კონფლიქტი იწყება, ვჩუმდები და მეღიმება. ესაა ჩემი იარაღი. ვარ აბსოლუტურად გაწონასწორებული, უკონფლიქტო ადამიანი, არანაირ ინტრიგას არ ვეგები. მოთმენა ჩემი იარაღია.

**გია**: ძალიან გთხოვთ, ეს დიდი ასოებით გამოიტანეთ რა ჟურნალში. რაც თქვა, ეს იცი, როდის ხდება?! აი, ძალიან დიდი ჩხუბის, ყვირილის შემდეგ. რომ გაგიჟდება და თავიდან სკალპს გადაიძრობს, მერე ჩუმდება და ხდება მოკრძალებული. მანამდე ვერ ვცნობ ***(იცინიან).*** ასე რომ, როგორ იქნება ეს ყველაფერი, უყურეთ კვირაში ორჯერ, საღამოს 22:30 საათზე. კარგად გაერთობით.

**სალომე გველესიანი**

# რატომ მოაკვლევინა თავი კახელ გლეხს ერეკლე მეფის სიძემ, ვახტანგ ორბელიანმა

1812 წლის თებერვალში კახეთი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებამ მოიცვა. იმ დროს საქართველოში მთავარმართებლად იყო იტალიური წარმომავლობის მარკიზი – ფილიპე ოსიპის ძე პაულიჩი (1779-1849).

„ერთობით ვსწერთ ჩვენს მწუხარებას, რომელნიცა არ შესწრებიან წინაპარნი მამანი და პაპანი“... ესე იგი ამისთანა უბედურებაში საქართველო არ ყოფილაო, – წერდნენ კახელები აჯანყების მოწოდებაში...

მართლაც, თუ ადრე მაჰმადიანი დამპყობლების მიერ ეროვნული და სარწმუნოებრივი ჩაგვრა ელოდათ, ახლა „ერთმორწმუნე“ დამპყრობლები მოევლინენ ქვეყანას და აქამდე არნახული უბედურება ეწვიათ – სამეფოსა და ავტოკეფალიის გაუქმება, ქართულად წირვა-ლოცვის შეზღუდვა, ახალმოვლენილ უცხო მოხელეთა უტიფრობა და სხვა მრავალი.



აჯანყებულებმა ალექსანდრე ბატონიშვილს შესთავაზეს მეთაურობა, მაგრამ ის ირანში შეყოვნდა. აჯანყებაში უმალ ჩაერთო გიორგი მეთორმეტის შვილის, იოანეს ვაჟი – გრიგოლი. 9 თებერვალს კახეთს ქართლის მთიანეთიც შეუერთდა. მთიულებმა ჩაკეტეს სამხედრო გზა. ამან დიდი ხიფათის ქვეშ დააყენა რუსული მმართველობა. დახმარება არ შემოვიდოდა, აქ კი შეიძლება დამპყრობლები, ამჯერად უკვე რუსები, ერთიანად ამოეჟუჟათ დალოცვილ კახელებს, როგორც არა ერთხელ გაუკეთებიათ.

სამწუხაროდ, ქართლში აჯანყებას წარმატება არ ეწერა. მხოლოდ ორმა თავადმა დაუჭირა მხარი – იოსებ ერისთავმა და სიმონ მაჩაბელმა.

აჯანყებულთა რიგებში გრიგოლ ბატონიშვილის გამოჩენამ დიდი იმედი ჩაუსახა კახელებს. სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე მეოცნებეებმა არ დააყოვნეს და გრიგოლი მეფედ გამოაცხადეს. ეს დიდი ფსიქოლოგიური დარტყმა იყო რუსებისთვის.

დაფაცურდა რუსული მმართველობა და მოიფიქრეს ვერაგული გეგმა.

დღეს ჟურნალისტების სახლის, საპატრიარქოსა და კარის წმინდა გიორგის ეკლესიის გვერდით შემორჩენილია სასახლე თეკლე ბატონიშვილისა (1766-1846), რომელიც მას მამამ, ერეკლე მეორემ აჩუქა. სწორედ ამ სახლში ცხოვრობდა მომავალი მწერალი, ალექსანდრე ორბელიანი, თეკლე ბატონიშვილის ვაჟი.

ალექსანდრე ორბელიანი (ჯამბაკურ-ორბელიანი) დაიბადა 1802 წელს. მამას, ერეკლე მეფის სიძეს, ერქვა ვახტანგი. მისი ძმა, ვახტანგი დაიბადა 1812 წელს.

თეკლე, ერეკლე მეფის ქალიშვილი, ლაღად და თავისუფლების სიყვარულით იყო გაზრდილი. მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მამასთან. განათლებული და გონიერი თეკლა წერდა, იყო რომანტიკოსი პოეტი.

იმ თებერვლის ცივ დღეებში, ვერაგი დამპყრობლების ბრძანებით, რუსმა სალდათებმა ალყა შემოარტყეს და ზარბაზანი დაუმიზნეს თეკლა ბატონიშვილის სახლს. გარეთ გამოსვლის ნებას ზრდილობიანად არ აძლევდნენ. ასე მოექცნენ სხვა „საეჭვო“ ქართველებსაც.

ვახტანგ ორბელიანი და სხვა თავადები დაიბარა პაულიჩმა და ზეწოლითა და ლიქნით, კახელების წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა „ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებისთვის“. ბევრ ჯილდოსაც ჰპირდებოდა და ცბიერად ცოლ-შვილის მძევლობასაც ახსენებდა იქ მიწვეულ ქართველებს.

შეიძლება, ზოგი უკვე დიდი ხნის გადასული იყო რუსების მხარეს, მაგრამ მათ შორისაც ერია ვაჟკაცები. ასეთი იყო ვახტანგ ორბელიანი.

ერეკლე მეორის სიძე პაულიჩთან ნავახშმევს, გვიან მიიყვანეს. ფეხმძიმე თეკლე ბატონიშვილი მოუთმენლად ელოდა ქმარს, თან ვედრებით შესცქეროდა ღვთისმშობლის ხატს. ალექსანდრე ამ დროს 9 წლისა იქნებოდა, მასაც არ ეძინა. ვახტანგ ორბელიანი გვიან დაბრუნდა.

ორბელიანმა უამბო ცოლს, რაც ხდებოდა კახეთში. ისიც უთხრა, რომ რუსის ჯართან ერთად აპირებდნენ კახელებთან საომრად წასვლას. მოსამსახურეებს უბრძანა, ცხენი მოემზადებინათ, საჩქაროდ უნდა გავეშუროთო.

პატარა შვილმაც კი შეატყო მამას, რომ ძალიან დამწუხრებული იყო.

– გეტყობა, რომ შეწუხებული ხარ. რა ვქნათ, ძალა მაგათშია, ძლიერება და რაც უნდათ, იმას გვიბრძანებენო, – უთხრა მეფის ასულმა ქმარს.

ვახტანგმა მეუღლეს გაუმხილა, რომ არ შეეძლო სამშობლოსთვის ელალატა და ქართველებისთვის, აჯანყებული კახელებისთვის, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძოდნენ, თოფი ესროლა.

ცოლმა ურჩია, წადით და მიემხრეთ კახელებს, ჩვენ რაც უნდა მოგვივიდეს, არაფერიაო.

ქმარმა აუხსნა, რომ რუსებს წინასწარ საქმეები მოუგვარებიათ, გზები შეუკრავთ, ბევრი ქართლელი და რაც მთავარია, კახელი თავადი მოუქრთამავთ. თავადები ერთმანეთს ველარ ვენდობით და აღარაფერი გამოვაო.

– ახლა რაღა გვეშველება, საქართველო საუკუნოდ რუსების მონად დარჩება? – აღმოხდა მეფის ასულს.

– დარჩება თუ არა, ღმერთმა იცის, – არ გადაიწურა იმედი ორბელიანმა, მე კი ველარ მნახავ ცოცხალს, ბატონიშვილო. შვილებს გაუფრთხილდიო.

## შეთქმულების მონაწილეთა მხარდაჭერისთვის თეკლა ბატონიშვილი კალუგაში გადაასახლეს

თეკლე ატირდა, ორბელიანმაც ვერ მოითმინა და ატირდა. აბღავლდა პატარა ალექსანდრეც: ვაი, მამა, ვაი, მამაო.

მშობლები წამოცვივდნენ და გააჩუმეს, აგერ კარზე რუსები არიან და წაგიყვანენო. მართლაც არ ეძინათ თეკლა ბატონიშვილის სახლის მოალყე რუს სალდათებსა და ოფიცრებს, ყოველ მოძრაობას თუ ხმას აკვირდებოდნენ აჯანყებით დაშინებულნი და ქართველების თავისუფლების სიყვარულით გაბრაზებულნი.

მერე ვახტანგ ორბელიანი მოემზადა და წავიდა ისე, რომ აღელვებული ვერც კი დაემშვიდობა ცოლ-შვილს.

რუსებმა, მოღალატეების შემწეობით, ჩაახშვეს კახელთა აჯანყება. ერთი კვირის მერე ვახტანგ ორბელიანის ცხედარი ჩამოასვენეს და სიონის ეკლესიაში დაკრძალეს. როცა ყველაფერი მიწყნარდა, თეკლა ბატონიშვილმა გაარკვია ყველაფერი, რაც მოხდა.

ვახტანგ ორბელიანს არ შეეძლო სამშობლოს ღალატი, ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა. რომ გადასულიყო კახელების მხარეს, ცოლშვილს დაუხოცავდნენ, რუსების ზარბაზანი ისევ „იცავდა“ მის ცოლ-შვილს. ვერც ვერავის ენდო, ვერ გაუმხილა თავადებს თავისი გულისტკივილი. ამიტომ, ბრძოლის დროს გამოძებნა ყველაზე ლამაზად შეკაზმული კახელი, მიეჭრა და „თოფის წართმევა“ დაუპირა.

კახელმა უთხრა, ძმაო, კარგი ვინმე ჩანხარ, ქართველი, თოფს ვერ მოგცემ, თავი დამანებე, ნუ მაიძულებ გესროლოო.

ვახტანგი კიდევ მიეძალა და თან გულმკერდს უშვერდა. ასე „იძალავა“ კარგა ხანს და ძალით ასროლინა კახელ აჯანყებულს მკერდში ტყვია, თავი მოაკვლევინა, რათა სამშობლოს ღალატი არ ჩაედინა.

რა თქმა უნდა, იმ კახელისთვის თოფის წართმევას არც აპირებდა, პირიქით, ოცნებობდა მის გვერდით დამდგარიყო, მაგრამ, ცოლ-შვილს რუსები ამოუწყვეტდნენ. ამიტომ, უარი თქვა მოღალატე კაცის სახელით სიცოცხლეზე.

ეს მოხდა 1812 წლის 1 მარტს.

ის კახელი კიდევ იბრძოდა თურმე ერთხანს, მაგრამ მერე რუსებს მოუკლავთ.

ვახტანგ ორბელიანის ცხედარი ტფილისში ჩამოასვენეს და სიონის ტაძარში დაკრძალეს.

ორბელიანის მსახურმა მერე საიდუმლოდ, რათა რუსებს არ გაეგოთ, უამბო თეკლე ბატონიშვილს: დამწუხრებული ბატონი ამბობდა, მე ვერ შევძლებ და გაღიმებული სახით ვერ მივულოცავ რუსებს ქართველების დამარცხებასო...

მან ბატონის მიერ მეუღლისათვის გამოგზავნილი უკანასკნელი წერილიც გადასცა დაქვრივებულ ბატონიშვილს, სადაც ეწერა: „ვითომ რუსების ერთგულებისთვის ხვალ ომის ქარცეცხლში შესვლა მომიწევს და ეგება მომკლან, ან როგორმე თავი შევაკლა ვინმეს, როგორც ვაღიარე კიდეც შენთან. რა ვქნა, ჩემს გულს რუსების ჩვენს კისერზე წამოჯდომა ვერ აუტანია“.

...გავიდა წლები...

1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა მხარდაჭერისთვის თეკლე ბატონიშვილი გადაასახლეს კალუგაში 1 წლით.

თეკლე ბატონიშვილმა ვაჟკაცურად გაზარდა შვილები. ალექსანდრე ორბელიანი იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ქართველ რომანტიკოსთა უფროსი თაობის წარმომადგენელი.

ის გახლდათ 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რისთვისაც დააპატიმრეს და გადაასახლეს ორენბურგში.

დაბრუნდა 1840 წელს და ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში: იყო ჟურნალ „ცისკრის“ ერთ-ერთი აღმდგენელთაგანი. იქვე აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს. ზრუნავდა ქართული თეატრის აღორძინებაზე, ჟურნალ-გაზეთების დაარსებისა და სკოლების გახსნისთვის. გარდაიცვალა 1869 წელს.

ვახტანგ ორბელიანს და თეკლე ბატონიშვილს ჰყავდათ კიდევ ერთი შვილი – დიმიტრი. დიმიტრის დაბადებამდე ერთი ვაჟი, ნიკოლოზი ჩვილობაში გარდაცვლიათ.

ვახტანგ ორბელიანის გარდაცვალებიდან სულ მალე, 5 აპრილს დაიბადა ვაჟი, მას დაღუპული მამის სახელი – ვახტანგი დაარქვეს. ისიც ცნობილი კალმის ოსტატი, პოეტი გახდა. მანაც მიიღო მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში, რის გამოც ისიც გადასახლებული იყო კალუგაში.

**გიორგი მახოზეშვილი**

**სულ ახლახან დაბეჭდილ სტატიას პურის მავნებლობასთან დაკავშირებით, ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში. ყველა ერთხმად ალაპარაკდა, თუ რა საშიშროებასთან გვქონია საქმე. გაჩნდა მრავალი კითხვა, რომელთა პასუხების ძიებაში კვლავ ჩვენს რესპონდენტს ალექსანდრე ყიფიანს მივმართეთ. როგორც ცნობილია, მისი უწმინდესობის ინტერესია, რომ საქართველოში იწარმოებოდეს კარგი, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო, ბუნებრივ საფუარზე დამზადებული პური. ბატონი ალექსანდრეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის კურთხევით შეუდგა პურის და საფუარის საკითხზე მუშაობას.**

# რომელი მცენარე სწევდა ჩვენი წინაპრების რაციონში საფუარის მაგივრობას და რა დაავადებებს იწვევს დღევანდელი საფუარით გამომცხვარი პური ჩვენი და ჩვენი შვილების ორგანიზმში

**ალექსანდრე ყიფიანი**: უკვე წელიწადი ხდება, რაც პურისა და საფუარის თემებზე ვმუშაობ და გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი საფუარიანი პური ნებისმიერი მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის მავნებელია. რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, საჭმლის მომნელებელი სისტემის სტრუქტურის მოშლით. დღევანდელი საფუარიანი პურის სისტემატური მოხმარება, თანდათან ასუსტებს იმ მიკრობაქტერიულ შემადგენლობას ჩვენს ორგანიზმში, რომელიც თავის ფუნქციას და იმუნიტეტს თანდათან კარგავს. რაც ასაკის მიხედვით სხვადასხვა დაავადებით იჩენს თავს.

**– გინდათ თქვათ, რომ სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიას სხვადასხვა საშიშროება ემუქრება საფუარიანი პურის ყოველდღიური მოხმარებით?**

– საფუარიანი პურის მოხმარება ყველა ასაკისათვის ერთნაირად მავნებელია, თუმცა სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა გამოვლინება ახასიათებს. მოზარდებში პირველი, რაც შეიმჩნევა, ეს ჭარბწონიანობაა, დაღლილობა, არაენერგიულობა. მაგალითად: იმისთვის, რომ ბავშვმა სწორად იკვებოს, მშობელი ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების შეძენით არის დაკავებული და დიდ შრომას, ენერგიას და სახსრებს ხარჯავს ამისთვის. მაგრამ, როგორც კი, ამ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტით მომზადებულ კერძს დააყოლებენ საფუარიან პურს, მთელი შრომა წყალში იყრება. ყველა მიღებული პროდუქტი, კარგი მასალა ხდება საფუარისთვის და არა მოზარდისთვის.

საფუარიანი პურის მოხმარების შედეგად, ადრეული ასაკიდანვე იწყება ორგანიზმის სხვადასხვა მიმართულებით დასუსტება, რაც სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა დაავადების ხელშეწყობით გამოიხატება. ზოგადად, იმუნიტეტდასუსტებული ადამიანი ყველა დაავადებას ადვილად იღებს, გარდა ამისა, საფუარი თვითონ ახდენს სხვადასხვა დაავადების პროვოცირებას. მაგალითად: იწვევს თმის ცვენას, ნერვიული სისტემის დასუსტებას, კბილების, ღრძილების დაზიანება-დასუსტებას, კუჭ-ნაწლავის სისტემის მოშლას, ღვიძლის გადატვირთვას, სისიმსივნური დაავადებების სტიმულაციას და სისიმსივნური უჯრედების კვებასა და ზრდას, ენდოკრინოლოგიურ დაავადებებს. მოკლედ, საფუარი მთელი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირების მოშლისთვის ყველა მიმართულებით მოქმედებს.

**– SOS! ეს ყველაფერი მართლაც განგაშის საფუძველს იძლევა. რაში ხედავთ გამოსავალს?**

– ერთმნიშვნელოვნად, იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა, უნდა გადავიდეთ უსაფუარო, ბუნებრივ საფუარზე მომზადებული პურის მოხმარებაზე.

**– ამისთვის რა არის საჭირო?**

– უპირველესად, საჭიროა სურვილი და მონდომება პურის მწარმოებლების მხრიდან. განსაკუთრებით, ეს შესაძლებელია, განახორციელონ მცირე და საშუალო წარმოებებმა. ნებისმიერ, ამ საკითხით დაინტერესებულ მეწარმეს შემიძლია, გავუწიო კონსულტაცია. დარწმუნებული ვარ, სულ მალე ეს მათი ბიზნესისთვისაც მომგებიანი გადაწყვეტილება იქნება. პირადად მეც, ვაპირებ პურის საწარმოს მოწყობას, სადაც გამოვაცხობთ უსაფუარო, ბუნებრივ საფუარზე დამზადებულ პურს. ასევე, ვმუშაობ ბუნებრივი, ჩვენი წინაპრების ტექნოლოგიით მომზადებული საფუარის წარმოებაზე, რომელსაც ნებისმიერ მსურველს მივაწოდებ და მათ ექნებათ საშუალება, სახლშიც კი გამოაცხონ ბუნებრივი, ჯანმრთელი საფუარით მომზადებული პური.

**– სახლის პირობებში ვინც მოსინჯავს ჯანმრთელი პურის გამოცხობას, დარწმუნებული ვარ, შედეგითაც დატკბება, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ახსენეთ, ბუნებრივი საფუარით ცომის გაფუებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. როგორ მოიქცნენ ასეთ სიტუაციაში პურის მწარმოებლები?**

– ისეთი მწარმოებლებისთვის, რომელთა ყოველდღიური ფქვილის მოხმარება შეადგენს ერთიდან ხუთ ტომრამდე, მათთვის ეს ტექნოლოგია მისაღები იქნება. შეუძლიათ, მოამზადონ ცომი ღამით, დილით კი გამოაცხონ და მოემსახურონ მომხმარებელს. ასევე, მცირე მწარმოებლები, რომლებიც უფრო მეტ ფქვილს მოიხმარენ, მათ შესაძლებლობაც მეტი აქვთ, დასჭირდებათ ცომისთვის მოსაცდელების დამატება და იგივე მეთოდით შეუძლიათ ფუნქციონირება.



**საფუარიანი პურის მოხმარება ყველა ასაკისთვის ერთნაირად მავნებელია, თუმცა სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა გამოვლინება აქვს**

საჭიროა, მწარმოებლებმა შეცვალონ მიდგომა პურის ცხობისადმი. მცირე ტექნოლოგიური ცვლილებები იქნება შესატანი მათ მუშაობაში, რაც არც ისე რთულია. სამაგიეროდ, თანდათან აღდგება პურისადმი ნდობა, შეიცვლება ერის დამოკიდებულება ამ მეტად მნიშვნელოვანი პროდუქტისადმი, რომელიც ყველაფრის სათავეა. პური დაიბრუნებს თავის მნიშვნელობას და პატივს. თანდათან მივხვდებით, რას ნიშნავს ნამდვილი პური. საქართველო ხომ პურის და ღვინის ქვეყანაა. ჩვენ შესაძლებლობაც გვაქვს, ვაწარმოოთ ჩვენთვის საკმარისი ხორბალი. როგორც ის არის წარმოუდგენელი, რომ ქართველს ყურძენი შემოჰქონდეს სხვა ქვეყნიდან და ისე აწარმოებდეს აქ ღვინოს, ასევე წარმოუდგენელი უნდა გახდეს ჩვენთვის, ხორბლის შემოტანა პურის გამოსაცხობად. დღეს, სოფელში მცხოვრებ ადამიანს თანხა, ძირითადად, პურის და ფქვილის შეძენაში ეხარჯება. ეს იმას ნიშნავს, რომ დაიკარგა ხორბლის, როგორც კულტურის, მოვლა-პატრონობის ტრადიცია, რაც აუცილებლად უნდა აღდგეს.

**– რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით?**

– როგორც ყველა ქართველს უყვარს ვაზი და არა აქვს მნიშვნელობა, პატარა ნაკვეთი აქვს თუ ჰექტრობით მიწა, ვაზს მაინც რგავს, უვლის და პატრონობს, ასეთივე უნდა იყოს დამოკიდებულება ხორბლისადმი. ყველამ უნდა გამოუყოს მცირე კუთხე თავის მიწის ნაკვეთზე ამ კულტურას და თუ იმდენსაც მოახერხებს, რომ ოჯახის სამყოფი ხორბალი მოიწიოს, ეს უკვე დიდი საქმეა.

ასეთი მიდგომით მოსახლეობა თანდათან გაერკვევა ხორბლის ჯიშებში. ნახავს მისთვის რომელია ხელსაყრელი ადგილმდებარეობის მიხედვით. ქართული სოფელი დაუბრუნდება იმ დაკარგულ ფასეულობას, რომლის ნოსტალგიაც გენეტიკურად გვაქვს. დღეს ყველა ერკვევა ვაზის ჯიშებში და ღვინის სახეობებში, მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს ხორბალსა და პურზე, რაც ძალიან გვაკლია. ეს ქართულ სოფელსაც მიმზიდველს გახდის. აღდგება წისქვილის, ხორბლის მოვლა-დაბინავების ტრადიცია.

რაც შეეხებათ ფერმერებს, უამრავი მოუვლელი მიწაა, სადაც შეიძლება ხორბლის სხვადასხვა ჯიშების მოყვანა. ეს მომგებიანი საქმეცაა და ეროვნულიც.

მოკლედ, ერთიანი ძალისხმევით უნდა მივუდგეთ ამ პრობლემის მოგვარებას და შედეგი ძალიან კარგი იქნება. მემატიანე გვეუბნება: როდესაც პური და ღვინო გაჩნდებოდა ქყვეყანაში, ხალხი იმედიანად იყო და შიმშილის აღარ ეშინოდა. ჩვენ დღეს პური გვაქვს, მაგრამ მაინც ვშიმშილობთ, იმიტომ რომ, ვერ ვიღებთ დღევანდელი პურისგან იმ კალორიულობას და ენერგეტიკულ ღირებულებებს, რაც გვჭირდება.

**– ჩვენი წინაპრების ბიოლოგიურად სუფთა საფუარი როგორ მზადდებოდა?**

– ამ მეთოდებზე ძალიან ბევრი შეიძლება ვისაუბროთ, რადგან არაერთი იყო მეთოდი: მაგალითად, ერთ-ერთი იყო ფქვილის ამჟავება. რამდენიმე დღის განმავლობაში ფქვილს ამზადებდნენ საფუარისათვის და დაახლოებით 1 კვირაში მისი დამატება უკვე შეიძლებოდა გამოსაცხობი ფქვილისათვის, რითაც ფუვდებოდა პურის ცომი. არასამარხო იყო რძის პროდუქტით მომზადებული ცომი.

**– ეს როგორ?**

– აჭრილი რძისგან, ანუ ხაჭოსგან იზილებოდა ცომი, რაც შემდეგ იძენდა საფუარის თვისებას. ხაჭოთი მოზელილი ცომით ძალიან ფხვიერი, სასარგებლო და გემრიელი პური ცხვებოდა. აფუებამდე თუ გამოვაცხობდით ამ მასას, ერქვა ხაჭაპური. შემდეგში ხაჭაპურმა მნიშვნელობა შეიცვალა. დღევანდელი ხაჭაპური სხვაგვარად ცხვება, სხვაგვარად გამოიყურება და სხვაგვარი გემოვნური თვისებებით ხასიათდება. ბალახეულის ნახარშითაც ზელდნენ ცომს. ამ ნახარშს გააჩნდა ამჟავების ფუნქცია. ერთ-ერთი ასეთი მცენარეა სვია, რომელიც საფუარის მაგივრობას წევდა უწინ.

**ეკა სალაღაია**

**„რუსთავი 2-ის" „დილის" წამყვანს, ეკა ამირეჯიბს, ცხოვრების ზეაქტიური პერიოდი აქვს: გარდა იმისა, რომ პოპულარული სერიალის „ჩემი ცოლის დაქალების" ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს თამაშობს, მონაწილეობს სარეკლამო კლიპებსა და სხვადასხვა ღონისძიებაში. ამბობს, რომ ასეთი რეჟიმის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია და მუდმივად ეძებს სიახლეებს.**

# ვისთან გადაიკვეთა ეკა ამირეჯიბის გზები და როგორ მოიწყო მან სახლში ედემი

**ეკა ამირეჯიბი**: ძალიან აქტიური პერიოდი მაქვს, თუმცა, ბუნებით მაქსიმალისტი ვარ და, ვფიქრობ, უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლება. ვარ „რუსთავი 2-ის" დილის გადაცემაში, სტუდიაშიც ვმუშაობ და პირდაპირ ჩართვებზეც; აქტიურად ვარ დაკავებული სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები" და, პარალელურად, მიმყავს სხვადასხვა ღონისძიება. მუდმივად მაქვს შემოთავაზებები, რაზეც უარს არ ვამბობ. შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში ნამდვილად ზეაქტიური „პალასა" მაქვს. თუ ადამიანს ჰგონია, რომ არსებული მოცემულობა არის ყველაფერი, ალბათ, მას აღარ აქვს მოტივაცია და სწრაფვა; მე ეს გრძნობა ჯერ არ გამჩენია, კიდევ ბევრი კარგი სიახლის მოლოდინი მაქვს. ძალიან ენერგიული ადამიანი ვარ. თუ არ არის სიახლე, ვკვდები. ჩემი ხასიათი და განწყობა ძალიან ნეგატიურია, თუ რამე ახალი არ ხდება ჩემს თავს, მაგრამ, დეპრესიაში არ ვვარდები. სულ მჭირდება გადახალისება და „რეფრეში" – ასე უფრო საინტერესოა ცხოვრება.

**– პროფესიით დიპლომატი ხარ, მაგრამ, სულ სხვა სფეროში გიწევს საქმიანობა. ეს კომფორტს გიქმნის?**

– ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა. ეს არის მაგალითი იმისა რომ, თუ რაღაც ძალიან გინდა, ის აუცილებლად გამოვა. საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, თუმცა, ჩემი პროფესიით არასდროს მიმუშავია. ხასიათით ნამდვილად ვარ დიპლომატი – არ ვარ კონფლიქტური ადამიანი; სულ ვცდილობ, თავიდან ავირიდო დაძაბულობა, ნეგატივი. იმასთან, ვინც ჩემთვის მისაღები არაა, ურთიერთობებს არ ვიწყებ. ასეთი ვიყავი სულ, ეს არაა დიპლომატობის „ბრალი" *(იცინის).* 17 წლის ასაკში, როცა პროფესიულ არჩევანს აკეთებ, ძალიან რთულია, მიხვდე და გადაწყვიტო, სინამდვილეში რა გინდა. ეს ასაკი ძალიან ადრეა ასეთი არჩევნის გასაკეთებლად. რაც თავი მახსოვს, სულ მინდოდა მსახიობობა, არ ყოფილა არც ერთი მომენტი, რომ სხვა პროფესია მომწონებოდა და სხვა რამისკენ გადავხრილიყავი. დედაჩემი მუსიკოსია, მუსიკოსია ბებიაც და, შესაბამისად, ჩვენს ოჯახში სულ მუსიკაზე იყო საუბარი. მეც მთელი ბავშვობა ვუკრავდი და გამოვდიოდი კონცერტებზე, მაგრამ, მაინც მსახიობობა მინდოდა – ეს იყო ჩემი ოცნების ოცნება. ვერ ვიტყვი, რომ ოჯახმა დამიშალა მსახიობობა, უბრალოდ, ჩემი პროფესიული არჩევანი უფრო რაციონალური გადაწყვეტილების მიღებას ჰგავდა, მაგრამ, მერე მოხდა ისე, როგორც მოხდა და ეს ძალიან მიხარია. იმდენი კარგი, პროფესიონალი მსახიობია, რომელიც ვერ მოხვდა საჭირო დროს საჭირო ადგილას, ან, რაღაც სხვა მხრივ ვერ აეწყო მათი ცხოვრება, მე კი გამიმართლა და პრაქტიკაში განვახორციელე ჩემი ოცნება, თუმცა, ვფიქრობ, პროფესიონალი მსახიობი რომ ვყოფილიყავი, უფრო საინტერესო და სასიამოვნო წლებს გავატარებდი თეატრალურ უნივერსიტეტში და უფრო მეტ როლს ვითამაშებდი.

**– უდიპლომო მსახიობობა სულ არ გემჩნევა. ტელესახის ამპლუაში როგორ გრძნობ თავს?**

– ეს ორივე ამპლუა ერთმანეთისგან განსხვავებულია. როცა ეთერში ვარ და გადაცემა მიმყავს, ვარ ის, ვინც ვარ – ეს ყველაზე მთავარია ტელეეკრანზე, რომ შენ იყო შენ, არ გჭირდებოდეს ნიღაბი. სერიალში კი პირიქითაა, როლში ყოფნა სხვა რამეს ნიშნავს. სულ ვმიჯნავ ჩემს პერსონაჟს ჩემი თავისგან, არც არის საჭირო, პერსონაჟი და თავად შენ ერთმანეთს ჰგავდეთ და პარალელები გაავლო. როცა არ გგავს გმირი, როლზე მუშაობა უფრო საინტერესოა. უკვე ხუთი წელია, რაც „რუსთავი 2-ში" ვარ, ისე მალე გავიდა ეს დრო, ვერც კი მივხვდი. სულ ვამბობ: მე ახალი ვარ-მეთქი და



ხურცილავასნაირ ქმარს სახლში ვერ ავიტანდი

აღარ „დავძველდი" *(იცინის).*

**– „რუსთავი 2-ის" წყალობით, ფლორასა და ფაუნაშიც კარგად დაოსტატდი და კვირაში ერთ დღეს თბილისის ზღვის ედემში ატარებ.**

– ყვავილები ძალიან მიყვარს, მსიამოვნებს ისეთი გარემო, სადაც ყოფნა თვალსაც უხარია და აშკარად იგრძნობა, რომ ინტერიერზე ვიღაცამ იზრუნა. ესთეტიკის დიდი მოყვარული ვარ, ზურასთან ურთიერთობამ კიდევ უფრო შემაყვარა გარემო, ბუნება. მე და ზურა ძალიან დავმეგობრდით და მიხარია, რომ, სამსახურიდან გამომდინარე, ჩვენი გზები გადაიკვეთა. ყვავილები სახლშიც ბევრი მაქვს და ვცდილობ, კარგად მოვუარო. ძალიან განვიცდი, თუ მათ რამე ემართებათ. მე არ მაქვს სახლში ისეთი ედემი, როგორიც ზურა შევარდანაძეს, მაგრამ ჩემს დიდ აივანზე საკმაოდ ბევრი მცენარეა, თუმცა, აივნის ბოლომდე მათი შევსება ვერ მოვახერხე.

**– სერიალზე მინდა გკითხო: შენ გარდა თითქმის ყველა მთავარი პერსონაჟი ქალის პირადი ცხოვრება შეიცვალა – რეალურ ცხოვრებაშიც ყველა ორსულადაა.**

– მე ანგარიში გავუწიე შემოქმედებით ჯგუფს, კიდევ ერთი ორსული – დარტყმა იქნებოდა სერიალისთვის. ჯერ სხვა გოგოებს გავატარებ. ჩემი ცხოვრება ასე დაგეგმილად ნამდვილად არ ვითარდება. ვისაც როდის როგორ უგრძნობს გული და რა მოუნდება, იმის მიხედვით უნდაააწყოს თავისი ცხოვრება. მე ამ ეტაპზე უფრო საქმიანი თვალსაზრისით ვაქტიურობ.

**– პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე, ის პერსონაჟები დროებით „გაქრნენ" სერიალიდან. შენ არ ითხოვ ხოლმე „ტაიმაუტს"?**

– მხოლოდ კატო გამოგვაკლდა ამ ეტაპზე. ვერც კი წარმომიდგენია ცხოვრება ამ სერიალის გარეშე. ყველა მსახიობს, ვინც არის სერიალშია დაკავებული, პარალელურად სხვა სამსახური აქვს, ისევე, როგორც მე. ამას ყოველთვის ითვალისწინებს ის ხალხი, ვინც სერიალს აკეთებს, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ გამოდის. არის ხოლმე ისეთი დღეები, როცა გადაღებებისგან ვისვენებთ, თუმცა, მერე გაათმაგებულად გვიწევს ხოლმე მუშაობა. რაღაცის დაგეგმვა რომ მინდა, ჯერ გადამღებ ჯგუფს ვურეკავ, ისინიც რამეს ხომ არ გეგმავენ *(იცინის).*

**– რეალურ ცხოვრებაში ცოლის ამპლუაში ძალიან განსხვავებული ხარ შენი პერსონაჟისგან?**

– ძალიან. ლიკუნას ცოტა არაადეკვატური რეაქციები აქვს ხოლმე, ხშირ შემთხვევაში, უფრო დაუფიქრებელი და ფეთქებადია, მე კი უფრო სიდინჯე მახასიათებს. უემოციო არ ვარ, მაგრამ, ჩემი წყობიდან გამოყვანა საკმაოდ ძნელია. არც ისეთი ეჭვიანი ვარ, როგორიც ჩემი პერსონაჟია, თუმცა, ლიკუნას და ვანიკოს ოჯახური ურთიერთობა ჩვეულებრივი ურთიერთობაა. როგორც მეუბნებიან, ასე ხშირად ხდება – როცა ოჯახი ახალშექმნილია, ქალი მეტად დასტრესილია და დაძაბულობაც უფრო მეტი აქვს. ბევრი მწერს ხოლმე „ფეისბუქზე" კონკრეტული სცენების მერე, ამ ეპიზოდმა ჩემი თავი გამახსენაო. პრინციპში, ესაა ჩვენი რეალობა – ვიღაცასთან უფრო დიდი დოზით ხდება ჩხუბი, ვიღაცასთან – ნაკლებად, ის, რაც ხდება ამ ცოლ-ქმარს შორის, მაინც ქართული ოჯახების რეალობიდან არის აღებული.

**– ეს სერიალი ცოლქმრული ურთიერთობის კარგ პრაქტიკასაც გატარებს.**

– პირად ცხოვრებაში სერიალით არ ვხელმძღვანელობ, მაგრამ, საერთო მომენტები ამ წყვილსა და ჩემს პირად ცხოვრებას შორის, რა თქმა უნდა, არსებობს. რაღაცეები ემთხვევა ჩვენსას, რაღაცეები – არ ემთხვევა. ხურცილავასნაირ ქმარს სახლში, ალბათ, ვერ ავიტანდი, ასეთ საყვარელსა და მხიარულს, ბევრი ისეთი რამ აქვს, რაც, ალბათ, ბევრ ქალს სახლში ძალიან გააღიზიანებდა, თუმცა, ნიჭიერ ადამიანს ბევრ რამეს აპატიებ და, ჯობია, გვერდით საინტერესო ადამიანი გყავდეს, ვიდრე პრიმიტიული, ვისაც აზრად არ მოუვა თავში ის, რაც ხურცილავას კარგად გამოსდის ხოლმე.

**– ასეთ რეჟიმში ცხოვრება, ერთდროულად ბევრ ადგილზე ყოფნა არ გიჭირს?**

– ყველა იმას მეკითხება, როგორ ვიღვიძებ ხუთის ნახევარზე. მე ამას უკვე მიჩვეული ვარ. ძალიან ხშირად ასეთი დღეები გრძელდება გადაღებით, რომელიც გვიან მთავრდება, მეორე დილას კი, შესაძლოა, ისევ ეთერში ვიყო. ხანდახან ერთი, კვირის განმავლობაში, დღე-ღამეში სულ ორი-სამი საათი მძინავს, მაგრამ, ეს არაა დიდი პრობლემა. ის უფრო ძნელი გასაძლები იქნებოდა, ასეთ აქტიურ რეჟიმში რომ არ ვიყო. ძალიან ბევრ რამეს ვერ ვასწრებ, მაგალითად, მეგობრებთან ურთიერთობას, რის გამოც მათგან შე-

# რის გამო იხდიან სექსში უფრო მეტს ქართველი ქალები და რამდენს ითხოვენ სპორტსმენი ბიჭები ქალთან სექსის სანაცვლოდ

*შედარებით ადვილია, იპოვო რესპონდენტი მეძავი ქალი, გეი ან ტრანსვესტიტი, მით უფრო – ზოგადად ისაუბრო ამ თემებზე, მაგრამ, საკმაოდ რთული აღმოჩნდა მეძავი ნატურალი მამაკაცის პოვნა, რომელიც ქალებს ემსახურება. გარდა ამისა, ინფორმაცია მათ შესახებ ძალიან მწირია. ამიტომ, ასეთი რესპონდენტის საპოვნელად ბევრი ბერკეტი გამოვიყენე, მათ შორის, ცირკთან მდგარ ტრანსსექსუალებთანაც მომიწია რამდენიმე კვირის განმავლობაში მეგობრული (ოღონდ, არა სექსუალური) ურთიერთობის დამყარება. მომავალში მათ გულახდილ საუბარსაც შემოგთავაზებთ, მანამდე კი ზედაპირულ, მაგრამ, საინტერესო ინტერვიუს გთავაზობთ სპორტსმენ ბიჭთან, რომელიც ქალებთან სექსში იღებს ფულს.*

**– რისკი იმისა, რომ ამ ინტერვიუთი, შესაძლოა, „ოქროს თევზი” დაკარგო, რეალურად არსებობს. მსგავს ინტერვიუებს, ძირითადად, პოპულარობის გამო იძლევიან ხოლმე, მაგრამ, ამ შემთხვევაში შენ შენს რეალურ სახელსაც არ მეუბნები და, საინტერესოა, რატომ დამთანხმდი ინტერვიუზე?**

– თუ გინდა, არ დაგთანხმდები *(იცინის).* იმ ადამიანს ვენდობი, ვინც ჩემთან მოგიყვანა, თანაც, უკვე ბევრი რამ მოუყოლია შენთვის და უარს რაღა აზრი აქვს. გარდა ამისა, ჩემი კლიენტები სხვანაირი მენტალიტეტის ქალები არიან და, არა მგონია, ამის გამო ვინმემ ჩემთან სექსზე უარი თქვას.

**– ეს ის შემთხვევაა, როცა ერთბაშად ბევრი რამ მინდა გკითხო, მაგრამ, შეკითხვის ფორმის შერჩევა მიჭირს. მოდი, ყველანაირი შელამაზების გარეშე დაგისვამ კითხვებს და შენც ასევე მიპასუხე. მე შენი მომხმარებლების მენტალიტეტი მაინტერესებს – რა კატეგორიის ქალები გაკითხავენ?**

– ძირითადად, ბიზნესმენების ცოლები ან თვითონ ბიზნესმენი ქალები, რომლებიც წარმატებულები არიან საკუთარ საქმეში და პირადი ცხოვრება მეათე პლანზე აქვთ გადატანილი. ასეთ ქალებს გრძელვადიანი რომანებისთვის არ სცალიათ, ან, არ სურთ, მათზე სუსტ ტიპთან ჰქონდეთ ურთიერთობა, ძლიერს კი ვერ პოულობენ. ამიტომაც, ურჩევნიათ, ერთჯერადად დაიკმაყოფილონ სექსუალური ჟინი, დაიცალონ ემოციებისგან, თავისუფალი სექსით დაკავდნენ და მოახდინონ საკუთარი ფანტაზიების ასი პროცენტით რეალიზება.

**– და შენ ასი პროცენტით უმართლებ მოლოდინს?**

– ჯერ არ მქონია შემთხვევა, ვინმე ჩემთან ერთხელ დაწოლილიყო და ხშირი კლიენტი არ გამხდარიყო.

**– აშკარად თავდაჯერებული და თვითკმაყოფილი ხარ, თუ, მეჩვენება?**

– თავდაჯერებულიც ვარ და თვითკმაყოფილიც, იმიტომ, რომ ეს ნაღდია. ქალი, იმენა, მაგრად მევასება და, რაც უფრო ასაკშია, უფრო მაგარი სექსი მაქვს. ხშირად „ვიაგრასაც“ ვიყენებ, მაგრამ, უფრო ხშირად მე ვღლი ხოლმე მათ, ვიდრე ისინი – მე. ქალს რომ სიამოვნებისგან დაღლი, ჩათვალე, ის ქალი მთლიანად შენია.



**როცა ნომერში შევედი, თვითონ საპატარძლო კაბაში დამხვდა და ქორწინების პირველი ღამის ინსცენირება მოაწყო**

**– მთლიანობაში რას გულისხმობ?**

– იმას, რომ კიდევ დაგირეკავს და უფრო მეტს გადაგიხდის, ვიდრე წინაზე გადაგიხადა.

**– ერთ საათში რამდენს გიხდიან?**

– ერთი საათით არ ვმუშაობ. შეხვედრაში 300 დოლარს ვიღებ და დრო შეუზღუდავია – მანამდე ვარ მასთან, სანამ თვითონ არ დაიღლება.

**– 300 დოლარი მაგარი ფულია. დღეში რამდენს შეგიძლია, შეხვდე?**

– ძალიან ბევრი ხომ არ გაინტერესებს? რა იყო, ჩემი კონკურენტი ხომ არ გინდა, გახდე? *(იცინის)* რა ვიცი, ხან ისეა, ხან – ასე. ზოგჯერ, შეიძლება, მთელი კვირა ისე გავიდეს, არაფერი მოხდეს, ზოგჯერ კი, შეიძლება, დღეში რამდენიმე ქალის გული გავახარო.

**– მაგას ქალის „გულის გახარება“ აღარ ჰქვია. ადვილია ასეთი ქალების პოვნა და როგორ ხდება?**

– ჩემს შემთხვევაში – ადვილია. ადრე ინტერნეტით ვჩალიჩობდი, ახლა კი, უკვე, პლეხანოვზე ერთი ბარ-რესტორანია, სადაც ყოველდღე მივდივარ. ვინც ამით არის დაინტერესებული, ყველამ იცის ეს ბარი. შესაბამისად, იქ მოსულმა ქალებმა უკვე იციან და, თუ არ იციან, მალევე იგებენ.

**– ამ რესტორანში ყველას შეუძლია შემოსვლა?**

– კი, მაგრამ, ძირითადად ისეთები შემოდიან, ვინც იცის, რომ იქ კარგი სპორტსმენი ბიჭები არიან; თან, მე ძალიან კარგად ვიცი რუსული, აზერბაიჯანული და თურქული. ქალების უმრავლესობას უცხოელად ვეცნობი და, ამიტომ, ჩემთან უფრო გახსნილები არიან.

**– ქართველს მართლა არ ჰგავხარ, მაგრამ, არ გიჭირს, ბოლომდე უცხოელის როლის თამაში?**

– პირიქით, ბევრ საინტერესო ამბავს ვიგებ. ისეთ რაღაცეებს მიყვებიან, რასაც ქართველთან ვერ იტყვიან. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა ქართულად სიყვარულით მლანძღავენ: „რა კარგი ხარ, შენი დედა...“, „მიდი, ასე ქენი, ისე ქენი“... და ასე შემდეგ. ერთხელ ერთმა ქალმა მთელი ღამე სასქესო ორგანოს სახელი მეძახა. დღემდე ვერ ვიგებ, რა მულამი ჰქონდა.

**– შენს სიაში ცნობილი ქართველები არიან?**

– კი. რამდენიმე საკმაოდ სერიოზულ ქალბატონს ვიცნობ, ზოგი დღესაც ჩანს ტელევიზორში, ზოგიც დაიკარგა.

**– ფარული ვიდეოების „ბუმმა” შენს თავზეც გადაიარა?**

– გადაიარა, ოღონდ, მსუბუქად. ვგულისხმობ იმას, რომ ამით არავის დავუშანტაჟებივარ, უბრალოდ, ვიცოდი, რომ რაღაც ჩანაწერები არსებობდა ამ ცნობილი ქალბატონების შესახებ, მაგრამ, როცა ეს ყველაფერი აქტუალური გახდა და, ამის გარდა, კიდევ ბევრი რამე გაირკვა, მაშინ აღვიქვი გამძაფრებულად და უფრო შემეშინდა.

**– მერე რიღასი შეგეშინდა?**

– არ ვიცი. თავის დროზე ეს ინფორმაცია მძაფრად ვერ აღვიქვი, მაგრამ, როცა გავიგე, რომ ამას მასობრივი და სერიოზული სახე ჰქონია. წარმოვიდგინე, რა პრობლემები შეიძლებოდა შემქმნოდა და ამაზე ვინერვიულე.

**– ქალებს, რომლებიც კაცთან სექსში ფულს იხდიან, ალბათ, საკუთარი მოთხოვნებიც აქვთ, ისევე, როგორც კაცებს, რომლებიც ქალს უხდიან. ყველაზე უცნაური ან დასამახსოვრებელი მოთხოვნა რა გქონია?**

– ჩემთვის ყველაზე უცნაური იყო, როცა ქალმა მალაზიაში წამიყვანა, მიყიდა ახალი საცვლები, ფეხსაცმელი, თეთრი „საროჩკა“ და შარვალ-კოსტიუმი, მერე კი მითხრა, საღამოს „რედისონში“ მივსულიყავი ამ ტანსაცმელში გამოწყობილი და 1 000 დოლარს მომცემდა, ოღონდ, მთელი ღამე უნდა დავრჩენილიყავი მასთან. როცა ნომერში შევედი, თვითონ საპატარძლო კაბაში დამხვდა და ქორწინების პირველი ღამის ინსცენირება მოაწყო.

**რომან საყვარელიძე**

---

ნიშვნებს ვიღებ ხოლმე. მეხმარება დედა, რომელსაც ხშირად აბარია ჩემი გარდეროობის მოწესრიგება – ამაში დედას ბადალი არ ჰყავს.

**– მეუღლე ამ რეჟიმის გამო სახლში „საჩივრის წიგნს” არ გივსებს?**

– არა, ჩვენ არ გვაქვს „ქართული” მიდგომები, გადასარევად ვუგებთ ერთმანეთს. ყოველდღე და დღეში სამჯერ, სადილისთვის, ბუნებრივია, ვერ ვიცლი, მაგრამ, თუ დრო და სურვილი მაქვს, სახლში საქმესაც ვაკეთებ. თუ რამეს არ გააკეთებ, ისევ შენ დაგაკლდება. ქართული მიდგომა – „მეზარება, არ შეიძლია, ორშაბათიდან დავიწყებ” – არ მაქვს, ჩემს გასაკეთებელს ყოველთვის მე ვაკეთებ, სხვების შეწუხება არ მიყვარს. ჩემი მეუღლე თავადაც ახლოსაა ხელოვნებასთან, მუსიკასთან, შემოქმედი ადამიანია, მაგრამ, პარალელურად, ბევრ რამეს აკეთებს, შესაბამისად, ჩემი ცხოვრების წესი და რეჟიმი კარგად ესმის და იმაშიც მიგებს, რომ ასეთი რეჟიმით მიწევს ცხოვრება.

**– და, ამ რეჟიმში შენი მთავარი „რეფრეში” რა არის?**

– რაც არ უნდა დაკავებული ვიყო, ვერ ველევი მუსიკას. ვცდილობ, თუ მაქვს საშუალება, სადმე გავიდე ქალაქიდან. ბუნებაში ყოფნა ჩემთვის არის საუკეთესო დასვენება. ჩემი ყველაზე დიდი ანტიდეპრესანტი და რეფრეში არის მოგზაურობა – მგონია, რომ ამაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს. ამ ზაფხულს შვეიცარიაში ვიყავი და ძალიან კარგად დავისვენე. ახლა ვგეგმავ ძალიან კარგ ტურს მუსიკალურ ფესტივალზე ბუდაპეშტში, სადაც ბევრ კარგ ჯგუფს მოვუსმენ „ლაივში” და ბევრ კარგ მუსიკოსს ვნახავ. ამ ტურს დიდხანს ვგეგმავდი, ამიტომაც, ძალიან მიხარია და აჟიტირებული ვარ.

**თამუნა სამადაშვილი**

# ბრძნული აზრები

**პუბლიუსი**: არასოდეს ეჩხუბო მას, ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი, ეს უთანასწორო ბრძოლაა.

**გოეთე**: ორი მოჩხუბარისგან შედარებით ჭკვიანი უფრო მეტად დამნაშავეა.

**ფულერი**: თავმდაბლობა კეთილი თვისებაა, მორცხვობა – ნაკლი.

**ვოლტერი**: თავმდაბლობა ბრწყინვალეა, მაგრამ გულგრილნი არ უნდა ვიყოთ.

**რეიგანი**: არსებობს ორი უძველესი პროფესია. მეორეა პოლიტიკა. მისი პირველთან მსგავსება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

**კერგრეგორი**: ადამიანური ბუნების მთავარი ნაკლი ის არის, რომ ყოველთვის საპირისპიროს ესწრაფვის.

**ლაროშფუკო**: ვიდრე კაცს სიკეთის ქმნის ძალი შესწევს, არ უნდა ემინოდეს უმადურობის.

**პოუპი**: ვინც ბრაზობს, იმის შეცდომებს იტაცებს ის, ვინც გააბრაზა.

**ციცერონი**: როცა იარაღი გრგვინავს, კანონი დუმს.

**დიზრაელი**: პირობები კი არ ქმნის ადამიანს, არამედ ადამიანი ქმნის პირობებს.

**კონფუცი**: მხოლოდ ჭეშმარიტ ადამიანს აქვს უნარი, უყვარდეს და სძულდეს.

**როხასი**: მთავარი ადამიანში კეთილი განზრახვებია.

**არისტოტელე**: ბილწსიტყვაობის ჩვევიდან ცუდი მოქმედებისკენ მიდრეკილება ვითარდება.

**სენეკა**: დიდი განსხვავებაა იმაში, არ გინდა, თუ არ შეგიძლია შეცოდება.

**ლიხტენბერგი**: ვინც საკუთარ ნაკლოვანებებს აკვირდება, ის სხვების ნაკლის დანახვას ვეღარ ასწრებს.

**ავრელიუსი**: შეეცადე, არაკაცთა მიმართ არ განიცდიდე იმას, რასაც არაკაცნი განიცდიან კარგ კაცთა მიმართ.

**ჰეზლიტი**: ჩვენში ზუსტად იმდენი ღირსებაა, რამდენის შემჩნევაც სხვაში შეგვიძლია.

**კიტსი**: შეცდომების გზით ჭეშმარიტებამდე მიღწევა ბრძენთა საქმეა; მცდარობაში უდარდელად დარჩენა კი – უგუნურთა საქმე.

**აბუ შექარი**: არამზადა რომ შეგაქებს, იმაზე დიდი უბედურება არაფერია.

**სოკრატე**: დაქორწინდი, ყველაფრის მიუხედავად: თუ კარგი ცოლი შეგხვდა, გამონაკლისი იქნები, თუ ცუდი – ფილოსოფოსი გახდები.

**შოპენჰაუერი**: ღირსება გარეგანი სინდისია, სინდისი კი შინაგანი ღირსება.

**ტოლსტოი**: არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს, თუმცა, ესაა მისი ძირითადი შეცდომაც.

**ჰორაციუსი**: უბედურებას აქვს თვისება, გამოავლინოს ნიჭი, რომელიც ბედნიერ პირობებში მიძინებული დარჩებოდა.

**მელიხანი**: ქალი ორ შემთხვევაში ინარჩუნებს ერთგულებას: როცა მიაჩნია, რომ მისი მამაკაცი ერთადერთი და განუმეორებელია, ან ფიქრობს, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია.

**ბალზაკი**: ქალებს სიყვარული აჭკვიანებთ.

# თუ გამოიცნობთ

1. ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის ყველაზე ცნობილი ლაიტმოტივის ოთხი ნოტი, როგორც თვად კომპოზიტორი ამბობდა, ბედის კარზე კაკუნს, ბედის მოსვლას გამოსახავს. იგივე, ოღონდ, უფრო კონკრეტული აზრის სიმბოლო გამოიხატება ინგლისურად არამუსიკალური საკრავით. **როგორ?**

2. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების მომხმარებელთა შორის დამნაშავეებიც სარგებლობენ ტექნიკის პროგრესით. მაგალითად, ქურდები დასვლეთ ევროპასა და ამერიკაში ხშირად იყენებენ სახანძრო კოსტიუმებს. **რაში სჭირდებათ ისინი ქურდებს?**

3. ჩინეთში ხშირად ნახავთ სურათს, რომელზეც გამოსახულია ხარზე ამხედრებული წვერიანი კაცი, რომელსაც გრძელი ხალათი აცვია და ძალიან ჰგავს საბჭოთა მსახიობს – ევგენი ლეონოვს. **სინამდვილეში ვინ არის გამოსახული ამ ნახატზე?**

4. ჩვენთვის ცნობილი ეს სიტყვა აღებულია კათოლიკურ ეკლესიაში დაკრძალვის დროს წასაკითხი ლოცვიდან და ნიშნავს „მუდმივ სიმშვიდეს“. **დაასახელეთ, რომელი სიტყვა?**

5. გერმანიაში 30-იანი წლების ბოლოდან ამ ბაზრის პიონერი გახდა პატარა ფირმა – „ტორფი“, რომელიც სპეციალიზებული იყო სამრეწველო ღუმელების დამზადებაზე. მთავრობისგან მიღებული დიდი შეკვეთის შემდეგ ეს ფირმა ძალიან წარმატებული გახდა. **რა შეკვეთა მიიღო მან?**

6. 1920-იან წლებში ამერიკელი ჯაზ-მუსიკოსები სხვადასხვა ქალაქში დადიოდნენ და კონცერტებს მართავდნენ. თუ კონცერტი წარმატებული იყო, იმ ქალაქს „ვაშლს“ უწოდებდნენ. **დაასახელეთ ქალაქი, რომელშიც ყველაზე დიდი წარმატება ხვდათ წილად და ეს მეტსახელი დღესაც შემორჩა.**

7. როგორც ცნობილია, ცხენები ძალიან მომთმენი ცხოველები არიან, განსაკუთრებით – სამხედრო ცხენები. თუმცა, იმ დროს, როცა ისინი მაშინდელ სამხედრო ტექნიკას წარმოადგენდნენ, წითელ მოედანზე აღლუმზე გამოსასვლელად განსაკუთრებულად ამზადებდნენ. **როგორ?**

8. მას ამერიკული ცივილიზაციის პირმშოდ მიიჩნევენ. მართლაც, პირველად ის 1968 წელს პიტსბურგში გამოჩნდა, 7 კომპონენტისგან შედგებოდა და 1994 წლამდე ამერიკაში ყველგან 2 დოლარი და 99 ცენტი ღირდა. ახლა ის მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქშია და მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში იყიდება. **რა?**

9. დიდ და ძალიან ლამაზ პეპელას „მონარქი“ ჰქვია. **რას ეძახიან პეპელას, რომელიც წვეთი წყალივით ჰგავს მას, ოღონდ, ზომით მისი ნახევარია?**

10. ნაპოლეონ ბონაპარტესა და კარლოს მეთორმეტეს ძალიან უყვარდათ ჭადრაკი და ხალისით თამაშობდნენ ხოლმე. ცნობილია, რომ არც ერთი თითქმის არასდროს აკეთებდა როქს, თან, ერთი და იმავე მიზეზის გამო. **რა მიზეზის?**

*პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე*

## გამოჩენილი ადამიანების უკანასკნელი სიტყვები და ქცევები

**ვინსენტ ვან გოგი** – მხატვრის ბოლო სიტყვები იყო: „ნაღველი, ნაღველი, მუდამ ნაღველი...“

**ანრი მატისი** – მხატვრის ბოლო სიტყვები იყო: „როდესაც სული ტოვებს სხეულს, სულერთია, სად მოათავსებენ სხეულს, მთავარია, წესიერი ადგილი იყოს“.

**პოლ გოგენი** – მხატვრის ბოლო სიტყვები იყო: „სიმღერისთვის ორი სიცოცხლეა საჭირო: ერთი – სწავლისთვის, მეორე – სიმღერისთვის“.

**მატია ბატისტინი** – მომღერლის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე ჩემს ხმას ყოველდღე ვპოულობ“.

**პლინიუს უფროსი** – რომაელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი. გარდაიცვალა ვულკან ვეზუვის ამოფრქვევისას. იგი იმდენად შეიპყრო ვულკანის შეცნობის წადილმა, რომ მას ძალზე მიუახლოვდა და ლავამ შთანთქა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ლf7-b7!**

**შეადგინა სერგილ სუხიტაშვილმა**




– სოფო, რომ გიღალატო და შენ გაიგო, რას იზამ?
– საფლავზე დავაწერ, მას ნათელი მომავალი ჰქონდა, მაგრამ, ნათელში ყოფნა არჩია-მეთქი.

***

– რატომ აღარ მირეკავ, გადამიყვარე?
– არა, სმას დავანებე თავი...

***

ავტობაზარზე.
– თქვენს ავტომობილში არის რამე დამცავი საშუალება? – ეკითხება მყიდველი გამყიდველს.
– როგორ არა, ორი პრეზერვატივია „აპტეჩკაში“.

***

– თუ რამე პრობლემა შეგექმნება, ჩემი ნომერი ხომ გაქვს?
– მაქვს.
– წაშალე...

***

ღამე ფანჯრიდან კოღოებისგან დამცავი ბადე მომიხსნეს. მეორე ღამეს დააბრუნეს წარწერით: „ჩვენს ფანჯარას არ მოერგო, ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის“.

***

– რა განსხვავებაა მამაკაცისა და ქალის ლოგიკებში?
– მამაკაცის ლოგიკა სწორია, ქალის – საინტერესო.

***

– და, საერთოდ, ქორწინება ცუდი ნიშანია – უფულობა იცის...

***

სახელი: მაკა.
გვარი: დაფარულია.
მისამართი: ელ.ფოსტა: zugd.narsia1998@ge

***

– თიკო, დაჯექი, წაგიყვან...
– ვერა, გიო, სამსახურში მაგვიანდება...

***

– მარო, შენი ქმარი ყვირის იმი დროსა?




– ხანდახანა... ამწინეებზე, მთელი უბანი აიკლო გინებითა, მიტუასთან რო მამისწრო...

***

რომის აეროპორტ „რომინიდან“ აფრენისთანავე თვითმფრინავმა მართვა დაკარგა და ვარდება. გამწარებულმა მოშემ ცოლს დაუწყო ყვირილი:
– ფული ჭკუით უნდა ხარჯო-მეთქი, რამდენჯერ მითქვამს! არა, ჩააგდე ფული ფანტანში, ჩააგდე, ისევ დავბრუნდებით რომშიო...

***

– ცოლთან ქორწინებამდე სექსი გქონდა?
– არა. შენ?
– მე – კი, ოღონდ, ნამდვილად არ ვიცოდი, რომ შენ შეირთავდი ცოლად.

***

– სამწუხაროა, რომ, როდესაც გრძნობებზე იწყებ ლაპარაკს, მაშინვე გეუბნებიან, მთვრალი ხარო...

***

– სანდრო, არ გადამრიო, სიგარეტი მოწიე?
– არა, დე!
– აბა უნიტაზში ნამწვავები ვინ ჩაყარა?
– ალბათ, მეზობლისგან მოხვდა, ისვრიან ხოლმე.
– სულ მამას როგორ დაემსგავსე? იმანაც მეზობლის ტრუსი სარეცხის თოკიდან ქარმა მოწყვიტა და საძინებელში, საწოლის ქვეშ შეაგდოო...

***

– ისეთი ენა აქვს ჩემს ცოლს, გაჭენებულ ცხენს გააჩერებს...
– ენა რათ უნდა, ბიჭო, უმაკიაჟოდ დოუდგეს წინ და მისით გაჩერდება...

***

ბავშვობა – ზღაპარია.
ახალგაზრდობა – რომანი.
მოწიფულობა – ბუღალტრული ანგარიში.
სიბერე – ამბულატორიული ანკეტა.

***

იატაკზე ნოუთბუქი დავდე.




ბებიამ იფიქრა, რომ სასწორია.
მოკლედ, ბებია 1 200 ლარს იწონის.

## ცნობილი ადამიანების იუმორისტული გამონათქვამები

თავადი ივანე მალხაზიშვილი გუბერნატორად რომ დანიშნეს, დიამბეგები გამოეცხადნენ.
– ვაშე სიატელსტვო, უთხრა თურმე ერთმა დიამბეგმა, – ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ, რომ თქვენ დაგნიშნეს გუბერნატორად. მთავრობა აქამდე ყურადღებას არ გვაქცევდა და იმედია, ახლა თქვენ მაინც შეგვიბრალებთო.
– ბიჭო და, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ მთავრობა ყურადღებას არ გაქცევდათ, თორემ ყურადღება რომ მოექციათ, დიდი ხანია, კამჩატკაში იქნებოდითო, – უპასუხა მალხაზიშვილმა.

***

დ. გ-ს „ჩესტი“ გაუკეთა სალდათმა. გ-მა უთხრა თავის თანამოგზაურს გურულს:
– ჰხედავ, როგორ პატივს მაძლევენო!
გურულმა უპასუხა დაცინვით:
– შემცდარი ხარ: სალდათმა ხელი რომ მიიფარა შუბლზე, შემოგიჭვრიტინა და იფიქრა: „ღმერთო, მომკალ! ამ გლახასაც ჩინი ჰღირსებიაო!“

***

ერთმა რუს-ქართველმა ჰკითხა აკაკის:
– რუსი რომ იცინის, ამბობს, გვერდები ამტკივდაო და ქართველი კი – ვაიმე, დედავ, მუცელიო. ეს განსხვავება რისგან არის?
– შენ უკეთ უნდა იცოდე, – მიუგო პოეტმა, – ამიტომ, რომ როცა გაიცინებ, გვერდებიც უნდა გეტკინოს და მუცელიცო.

***

ერთი ვინმე კარგ გუნებაზე იყო თურმე და „მიმინო მყვანდა მიყვარდას“ მღეროდა. იმდენი იმღერა ეს „მყვანდა-მიყვარდა“, რომ ყველას




თავი მოაბეზრა და ყველაზე უფრო აკაკის.
– არ გეტყობა, რო მიმინო გყოლოდეს, ამდენი მწყრები არ გეყოლებოდაო, – უთხრა ნერვებ-აღძრულმა პოეტმა.

***

ახალგაზრდა ქართველმა ინჟინერმა ხუმრობით ჰკითხა ნაავადმყოფარ აკაკის:
– ასე მალე როგორ დაბრუნდით საიქიოდან?
– შენი გაკეთებული გზა რომ ყოფილიყო, დღესაც იქ ვიქნებოდი, – მოუჭრა სიტყვა პოეტმა.

# ჯენტლმენი კახი კავსაძისა და ბევრი მსახიობის „ნაცოლარი“ გულჩინა დადიანის ამბავი

ქართული მხატვრული ფილმი – „ღვინის ქურდები“ ქართული კინოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია. ამ იუმორით გაჯერებული ფილმის გადაღების დროს, მრავალი „დამატებითი“ იუმორისტული კაზუსი მომხდარა. დანარჩენი შემდეგისთვის იყოს, ახლა კი ერთ-ერთზე გავჩერდები.

ფილმის ეპიზოდურ როლს (ელიბოს ცოლი) ასრულებს იუმორის გრძნობით ჭარბად დაჯილდოებული ქალბატონი – გულჩინა დადიანი. გადაღება „რაზგარშია“. რეჟისორი გიორგი შენგელაია ჩვეულ ამპლუაშია. სცენას სცენაზე იღებს პავილიონში და ერთი, მორიგი კადრი რომ გადაიღო, გულჩინას უხმო.

გულჩინა, როგორც ყველა ქალბატონი დედამიწის ზურგზე, დაქალებთან ჭორაობს ეზოში.

– კახი, – ეუბნება კავსაძეს რეჟისორი, – მოიყვანე გულჩინა, „ლოგინის სცენა“ უნდა გადავიღოთ, თუმცა ჯერ რეპეტიცია გავიაროთ.

ბატონი კახი ყოველთვის მოწესრიგებული და რეჟისორის „დამჯერი“ მსახიობია.

ჩავიდა ეზოში და ქალებთან საუბარ-ჭორაობაში გართულ გულჩინა დადიანს თავისებური, ინტელიგენტური ტონით გააწყვეტინა:

– ქალბატონო გულჩინა.

– გისმენ, კახი, – დროებით შეწყვიტა გახურებული ჭორაობა ქალმა.

– რეჟისორი გიხმობს.

– რაშია საქმე?

– აი... ის... ის... „ლოგინის სცენის“ რეპეტიცია უნდა გავიაროთ. ქართველმა მაყურებელმა ზეპირად იცის ის სცენა: „მარნიდან არა, ბოსლიდან“...

მოკლედ, კახიმ მიიწვია რეპეტიციაზე.




– რის რეპეტიციაზე? – ვითომ ამქვეყნად არ იყო, – ჭორაობიდან გამოერკვა დადიანი.

– რა და... ლოგინის... – „დაირცხვინა“ კახიმ.

– მოიცა ერთი, – აბეზარად გაიქნია ხელი „ცოლმა“ და ჭორაობა განაგრძო.

კახი ჯენტლმენია და ცოტა ხანს კიდევ დააცადა, მაგრამ ეს „ცოტა ხანი“ საკმაოდ გაგრძელდა, არადა რეჟისორი ელოდება.

– ქალბატონო გულჩინა, – რეჟისორი გთხოვთ...– უთხრა ისევ 15 წუთის შემდეგ.

– რაო, რა მინდაო? – ისევ შთაბეჭდილებებშია „ცოლი“.

– „ლოგინის სცენა“ უნდა გავიაროთ... ლოგინის.

ქალბატონი გულჩინა საბოლოოდ გამოერკვა:

– ეს აუცილებელია?

– რა თქმა უნდა, ქალბატონო გულჩინა.

– გადამრევენ ესენი... მოიცათ ცოტა! – დროებით შეწყვიტა ჭორაობა და კახის მიუბრუნდა.

– კახი!

– გისმენთ, ქალბატონო გულჩინა.

– კაცო... ერთ ფილმში დოდო აბაშიძის ცოლი ვიყავი, ხომ იცი?

– კი, რა თქმა უნდა.

– მეორეშიც დოდოს ცოლი და საყვარელი.

– ვიცი...

– მერე რამაზ ჩხიკვაძის ცოლი ვიყავი...

– ეგეც ვიცი.

– ახლა შენი ცოლი ვარ... ჩემი საკუთარი ქმრის ცოლი ხომ ვარ და ვარ.

– ვიცი... ვიცი... ი... – ამოილუღლუღა კახიმ.

– აბა, თქვე დალოცვილებო, ამდენი „ცოლობის“ შემდეგ მე კიდევ „ლოგინის“ რეპეტიცია მჭირდება?!

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(68-ე გვერდიდან)

# რა სასწაულებრივი ძალა გააჩნია ღვთისმშობლის კვართს, რომელსაც ყელი უკატარავდება და ვინ ჩამოიტანა საქართველოში საიდუმლოდ სხვადასხვა სიწმიდეები

ართავდაო. დღეს ის დაკარგულია. 1650-1652 წლებში იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდნენ რუსი ელჩები – ალექსი იევლიევი და ტოლოჩანოვი. მათ აღწერეს იმერეთის სიწმიდეები და ცალკე მოხსენებები გააკეთეს რუსეთის სამეფო კარზე. სიწმიდეების დათვალიერებისას, მათ ნახეს ვერცხლის ჯვარი, რომელსაც მოოქრული პერანგი ჰქონდა, ერთი საჟენი სიმაღლის იყო და როგორც ისინი აღწერდნენ, ამ ჯვარში იდო ღვთისმშობლის კბილი, რომელიც შვიდი წლის ასაკში მოიცვალა. სად არის ამჟამად ეს კბილი, ჩვენთვის უცნობია. ამ ჯვარში იდო ასევე ღვთისმშობლის თმის ნაწილი, რომელიც გამწარებულმა იმ დროს დაიგლიჯა, როცა მაცხოვარი ჯვარს აცვეს. ისინი ასევე აღწერდნენ, რომ იქვე იყო ღვთისმშობლის რძე, მაგრამ, როგორი ფორმით, არ ვიცით. იევლიევი ასევე აღწერს, რომ იქვე ნახა მოოქრული კიდობანი და როგორც სასულიერო პირმა უთხრა, ეს კიდობანი და საკეტი დამზადებული იყო იმ ოქროსგან, რომელიც ბეთლემში დაბადებულ ქრისტეს მიართვეს მოგვებმა მურთან და გუნდრუკთან ერთადო. და დასძენს, რომ ბაგრატის ტაძარში, ასევე ინახება ქრისტეს წვერის ღერებიო. ტოლოჩანოვი კი აკონკრეტებს, რომ მას უნახავს იაგუნდებით მორთული ხატი, ხახულის ხატზეა საუბარი და წერს, რომ ეს ხატი ლუკა მახარებლის დაწერილია, ხოლო ჩარჩო იმ ბაგის ფიცრებისგან არის დამზადებული, სადაც მაცხოვარი დაიბადაო. წყაროების მიხედვით, ქუთაისში ინახებოდა ღვთისმშობლის კაბის ნაჭერი, რომელიც ფეხმძიმობის დროს ეცვა მას. წლების წინ ქუთაისის მუზეუმში აღმოჩნდა ამ სიწმიდის პატარა ნაწილი. გორის რაიონში, სოფელ ოთარაშენში იყო წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, გასული საუკუნის 30-იან წლებში ამ ეკლესიიდან თბილისში ჩამოიტანეს სიწმიდეები, რომელთა შორის დასახელებულია ღვთისმშობლის თმა და ლეჩაქის ნაწილი. ასევე, მინდა, გესაუბროთ ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ, რომელიც მთელ მსოფლიოში სამგან ინახება: ტრინში, ათონის მთაზე, ვათოპედის მონასტერში, სადაც ნახა პლატონ იოსელიანმა. ქართულ სინამდვილეში ეს სარტყელი მიკრული აქვს ხატს, რომელიც სახელმწიფო მუზეუმში ინახება – ძალიან არის დაზიანებული და ღვთისმშობლის გამოსახულება აღარ ჩანს. თვითონ ხატის დაფა უნიკალური, ძვირფასი სამკაულებით არის შემკული. მათ შორისაა ბიზანტიური მონეტები, რომლებსაც ანალოგი არ აქვს. ამ ხატზეა მიკრული ყავისფერი სარტყელი, რომლის სიგანე 11 სანტიმეტრია. გადმოცემის თანახმად, ის საქართველოში უნდა ჩამოეტანა ბაგრატ მეოთხის მეუღლეს, ელენე დედოფალს, რომელიც ავადმყოფობდა, ხატი კონსტანტინეპოლის მახლობლად, ვლაქერნის ადგილას იყო დაბრძანებული და ეს სახელიც ამიტომ დაერქვა. ღვთისმშობლის სარტყელთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი სასწაული მომხდარა და მან, ვლაქერნის ხატთან ერთად, არაერთხელ დაიცვა ბიზანტიის იმპერია უცხო ძალების შემოსევებისგან. უცხოურ წყაროებში ქართველებს „სარტყლიან ქრისტიანებს“ გვიწოდებენ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ღვთისმშობლის სარტყლის მფლობელები ვართ. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, როცა სამეგრელო თავდასხმის ობიექტი იყო, გრიგოლ დადიანმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა გიორგი მეთორმეტის ასული, ხატი სიმამრს გაუგზავნა, რომ ვინმეს არ გაეძარცვა. გიორგი მეთორმეტის გარდაცვალების შემდეგ, მისმა შვილმა დავითმა დაიტოვა ხატი და სამეფოს გაუქმების შემდეგ, როდესაც ის რუსეთში გაემგზავრა, თან წაიღო. მეგრელები ეხვეწებოდნენ, რომ დაებრუნებინა და ბოლოს მათ ასეთ ხერხს მიმართეს: სამეგრელოს მთავარმა პეტერბურგში გააგზავნა დეპუტაცია, თან მთავარმართებელი ციციანოვიც ჩააყენეს საქმის კურსში, რომელმაც იმპერატორ ალექსანდრე პირველს წერილი მისწერა. ამ დროს კი დავითმა ეს ხატი იმპერატორს მიართვა საჩუქრად, რომელმაც საბოლოოდ, დეპუტაციას აჩუქა, თან სიგელიც უბოძა – ვუბრუნებ მეგრელ ხალხსო და ორი ათასი ჩერვონეცი ოქროც გამოატანა, ამ ხატის სახელზე ტაძარი ააშენეთო. ეს ტაძარი მოგვიანებით, 40-იან წლებში აშენდა, გადააბრძანეს ხატი და დიდი ხნის განმავლობაში იქ იყო დაბრძანებული. ექვთიმე თაყაიშვილი 1913 წელს იმყოფებოდა სამეგრელოში, მას ხატის აღწერა უნდოდა. მაგრამ მანამდე, დადიანებმა ეს ხატი სასახლეში გადააბრძანეს და ჩაკეტეს, რადგან ის რამდენჯერმე მოიპარეს და გაძარცვეს. იმ დღეს, როცა ექვთიმე სამეგრელოში იმყოფებოდა, დადიანები სახლში არ იყვნენ და მან ვერ აღწერა ეს ხატი. 1918-1921 წლებში, როდესაც ქვეყანაში საშინელი ძარცვა-გლეჯა სუფევდა, დადიანებმა გააკეთეს კედელი, შიგნით დამალეს ხატი და ამოქოლეს. როდესაც ექვთიმე მეორედ ჩავიდა სამეგრელოში, დადიანების მოურავმა კედელი დაანგრია და ეს ხატი თაყაიშვილმა თბილისში ჩამოაბრძანა. როდესაც ექვთიმე მას აღწერს, არსად არ მიუთითებს, რომ მასზე იყო სარტყელი, შესაბამისად, მეცნიერები სარტყელს დაკარგულად მიიჩნევენ. იმ დროს არსებობდა ასეთი კანონი – სახელმწიფოს საკუთრებაში უნდა გადასულიყო ის საეკლესიო ქონება, რომელიც ეკლესიისთვის აღარ იყო სასარგებლო. თუ ექვთიმე დაწერდა, რომ მასზე იყო სიწმიდე, ის ეკლესიაში დარჩებოდა და შეიძლება, დაკარგულიყო. დღეს ამ დაფაზე აღარ არის ღვთისმშობლის გამოსახულება, მაგრამ მასზე არის სარტყელი, რომელიც ჩვენ შევადარეთ ვათოპედიიდან ჩამოტანილ ფოტოს. ანუ, ეს ხატი, თავის სარტყელთან ერთად ინახება მუზეუმში.

**ნათია უტიაშვილი**
















# სხეულის რომელ ნაწილებზეა აქტუალური საქართველოში ტატუირება და რატომ უნდა გავიკეთოთ ის ზღვის სეზონამდე ერთი თვით ადრე

*ტატუირება ბოლო წლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ჩვენს ქვეყანაში. როგორც ირკვევა, ტატუს მხოლოდ ახალგაზრდები კი არა ასაკიანი ადამიანებიც იკეთებენ. ჩვენი რესპონდენტი ამ სფეროში საკმაოდ გამოცდილი ადამიანია. დუჩე – სწორედ ამ სახელით იცნობენ მას, რომელსაც არაერთი ადამიანის სხეული მოუხატავს. პირველი ტატუ მან 14 წლის ასაკში მეგობარს გაუკეთა, დროთა განმავლობაში კი მიხვდა, რომ ეს მისთვის მხოლოდ გართობა აღარ იყო და საქმეს სერიოზულად მოეკიდა. კარგა ხანს მუშაობდა უკრაინაში, ამჟამად კი საქართველოშია და წასვლამდე აქ განაგრძობს მოღვაწეობას.*

**– სხეულზე უამრავი ტატუ გახატია, ყველა საკუთარი ხელით გაქვს დახატული?**

– მარცხენა ხელი და ფეხები მე თვითონ მოვიხატე, დანარჩენი კი სხვისი დახატულია. ვერ ვიტყოდი, რომ ძალიან ბევრი ტატუ მაქვს, მაგრამ, არც ცოტაა.

**– მოთხოვნადია დღეს საქართველოში ტატუს გაკეთება?**

– ტენდენცია შეიცვალა, ხალხი უკვე სხვანაირად უყურებს ამ თემას და საკმაოდ მოთხოვნადი გახდა. ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ ახალგაზრდები არიან ტატუს გაკეთების მსურველები, საკმაოდ ხშირად ხანდაზმული კლიენტებიც მაკითხავენ.

**– ფერადი ტატუ უფრო მოთხოვნადია თუ შავ-თეთრი?**

– ჯერჯერობით მოთხოვნა უფრო შავ-თეთრ ტატუზეა.

**– რაც შეეხება ტატუს ფასს, რის მიხედვით ფასდება, ზომით თუ სირთულით?**

– ზომითაც და სირთულითაც. ფასი 50 ლარიდან იწყება.

**– ყველაზე ხშირად სხეულის რა ნაწილზე იკეთებენ ტატუს?**

– ქალები უფრო მუცელზე და მაჯაზე, ხოლო კაცები, ძირითადად, მკლავზე და ზურგზე. ჩემთვის ყველაზე ადვილი და კარგი სამუშაო ბარძაყია, რადგან, დიდი ხორცია, ტკივილიც ნაკლებია და კანიც იდეალურად იღებს საღებავს.

**– მნიშვნელობა აქვს ტატუს დახატვის დროს აპარატისა და საღებავის ხარისხს?**

– სხვაობა საღებავებშიც არის, აპარატებშიც და ტატუს ოსტატშიც, რადგან, ყველაფერს თავისი წესები აქვს, მაგალითად, როგორ უნდა ჩასვა კანში, ფერი როგორ უნდა დააჯინო, კონტურის ხაზი როგორ უნდა გააკეთო და ასე შემდეგ.

**– საშიში არ არის ტატუს გაკეთება?**

– საშიში იმ შემთხვევაშია, თუ ტატუს გაკეთება არ იცი; თუ არასტერილური ნივთებით მუშაობ და, ასევე, თუ პაციენტი მას რამდენიმე დღის განმავლობაში არ მოუვლის კარგად.



მე ყოველთვის მუდმივი ტატუს დახატვას ვანიჭებ უპირატესობას, რადგან, დროებითი ტატუ ჩემი სტილი არ არის

**– არის ისეთი შემთხვევები, როცა ტატუ ადამიანს ჰბეზრდება და მისი წაშლა სურს.**

– ტატუირების წაშლა ლაზერის მეშვეობით არის შესაძლებელი, რაც საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია.

**– ტატუს მოხატვაც საკმაოდ მტკივნეულია. ანესთეზია თუ კეთდება?**

– თუ მისასხურებელ საშუალებას გამოიყენებ, მხოლოდ 15 წუთის განმავლობაში მოქმედებს, მერე უკვე აღარ შეიძლება მისი გამოყენება, რადგან უკვე ჭრილობაა. ლიდოკაინს რაც შეეხება, არც ეს არის მიზანშეწონილი, რადგან, ტატუ შემდეგ ფორმას იცვლის და, შესაძლოა, დეფორმაცია განიცადოს. თან, შეიძლება, პრეპარატის მიმართ ალერგიული აღმოჩნდეს ადამიანი. ასე რომ, ჩემი აზრით, არ ღირს ტატუს გამო ჯანმრთელობის საფრთხეში ჩაგდება. ნამდვილად არ არის ისეთი მტკივნეული მისი გაკეთება, რომ ადამიანმა ვერ გაუძლოს.

**– ზაფხული მოდის და, ალბათ, უფრო აქტიურდებიან ტატუს მოყვარულები.**

– დიახ, ასეა, მაგრამ, ყველას ვურჩევ ერთ რამეს: ტატუ მანამ გაიკეთონ, სანამ ზღვის სეზონი მოვა, მინიმუმ ერთი თვით ადრე, რადგან, მზე ტატუს ფერს უკარგავს და შეხორცებაშიც უშლის ხელს.

**– სად მუშაობ ამ ეტაპზე?**

– ამჟამად „თბილისი ტატუ არტსტუდიოში" ვმუშაობ. უკრაინაში ვმუშაობდი. ისე, ნამდვილად არ მიღირს აქ მუშაობა. ისევ უკრაინაში წასვლას და მუშაობის იქ გაგრძელებას ვაპირებ.

**– სახლის პირობებში თუა სანდო ხელსაწყოების დასტერილება?**

– დასტერილება საჭირო არ არის, რადგან, ელემენტარულად, არ შეიძლება. ყველაფერი უნდა იყოს ერთჯერადი. B და C ჰეპატიტის ბაქტერიები ყველაზე ძლიერია, რომელსაც ვერანაირი ხარშვა ვერ მოკლავს. არავის ვურჩევ ტატუს გაკეთებას სტერილური ნემსით. ყოველ შემთხვევაში, მე არ გამიკეთებია. არასდროს ენდოთ ტატუს ოსტატს მხოლოდ სიტყვაზე, აუცილებლად გადაამოწმეთ მისი პორტფოლიო და მისი ნამუშევარი თვითონ ადამიანის სხეულზე. ამით აუცილებლად მიხვდებით, რა შეუძლია და რა – არა.

„ფეისბუქში" შეგიძლიათ ნახოთ გვერდი Duche Tattooist, ან, თავად ის ადამიანები, ვისთვისაც გაკეთებული მაქვს ტატუ – ასეთები ძალიან ბევრნი არიან.

**მარიკა ხიდურელი**